

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ი

1975

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

4 · 1975



ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА

4887



4 · 1975

თბილისი  
ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე ვ ი ა : ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,  
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),  
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,  
В. Н. Габашвили, Ю. М. Качаравა (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),  
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე  
Ответственный секретарь Э. Вашакидзе

---

რ ე დ ა კ ტ ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-24-07

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.XII.75; შეკვ. № 3020; ანაწყოების ზომა 7×12;  
ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 17.38; საალრაიჯვო-სავაგომოცემლო  
თაბახი 14.33; უე 02114; ტირაჟი 1500.

ღასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

\*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

**წ ა რ ი ლ ა ზ ი**

კოჭლავაშვილი, საბჭოთა საქართველო ღირსეულად ვეგებება სკკპ XXV ყრილობას	5
ბორტნოვსკი, ქართველების მონაწილეობა პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში	20
უთურაშვილი, მიწის რენტის ფორმები საქართველოს სოფელში	27
ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნის რეფორმამდე პერიოდში	48
ვათეიშვილი, საქართველო-რუსეთის მეცნიერულ-კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში	62

**ც ნ ო გ ა ზ ი და შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა ზ ი**

ლემონჯვაძე, ეპიზოდი კლასთა ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში XIX საუკუნის 40-იან წლებში	74
შლენტი, შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხისათვის XVII საუკუნის 60—70-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში	79
ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ — თარიღისათვის	89
გიუნაშვილი, ამირბარი	95
ა. აბდლაძე, ლაშა გიორგის მემკვიდრის საკითხისათვის	102
დ. გორგოლიშვილი, იერუსალიმის ჯეარის მონასტრის ისტორიიდან	107
ქ. ჯავახიშვილი, პართული საბეჭდავი ურბნისიდან	112
ი. ჯალაღანია, სასანური და ბიზანტიური მონეტების განძი სოფელ მაგრანეთიდან	123
შ. ბაჰიანიშვილი, რუსუდან დედოფლის მონოგრამის უცნობი გრაფიკული ვარიაციები	132
რამიშვილი, გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ფიჭვნარში	141
ჩიქოვანი, საიალალ მატერიალური კულტურის ძეგლები ჯავახეთში	153
ალაპიძე, სულთსაქცვე საკრავ ორღანოსა და სონარის წარმოშობა-ურთიერთობის საკითხისათვის	164

**პ რ ი ტ ი კ ა და გ ი ზ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა**

რჩაულიშვილი, არქიტექტურული ძეგლების როგორც ისტორიული დოკუმენტების ინტერპრეტაციის შესახებ	181
--	-----

**ძ რ ო ნ ი კ ა და ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

აადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადების 80 წლისთავი	190
მესია მიძღვნილი არაგვის ხეობის კვლევა-ძიებისადმი	192

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

А. КОЧЛАВАШВИЛИ, Советская Грузия достойно встречает XXV съезд КПСС . . . . .	5
В. БОРТНОВСКИЙ, Участие грузин в движении Сопротивления Польши . . . . .	20
И. УТУРАШВИЛИ, Формы земельной ренты в грузинской деревне . . . . .	27
В. ДЖАОШВИЛИ, Население Грузии в дореформенный период XIX в. . . . .	48
Дж. ВАТЕИЦВИЛИ, Из истории грузино-русского научного и культурного сотрудничества в XVIII в. . . . .	62

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Д. ЛЕМОИДЖАВА, Эпизод из истории классовой борьбы в Грузии в 40-х годах XIX в. . . . .	74
Д. ЖГЕНТИ, К вопросу о внутриклассовой борьбе в Восточной Грузии 60—70 гг. XVII в. . . . .	79
З. АЛЕКСИДЗЕ, К датировке трактата Арсения Сафарского «О разделении Картли и Армении» . . . . .	89
Дж. ГИУНАШВИЛИ, Амирбар . . . . .	95
А. АБДАЛАДЗЕ, К вопросу о наследнике Лаша-Гиორги . . . . .	102
Д. ГОЧОЛЕИШВИЛИ, Из истории крестового монастыря в Иерусалиме . . . . .	107
К. ДЖАВАХИШВИЛИ, Парфянская печать из Урбниси . . . . .	112
И. ДЖАЛАГАНИЯ, Магранетский клад сасанидских и византийских монет . . . . .	123
Ш. БАДЖИАШВИЛИ, Неизвестные графические вариации монограммы царицы Русудан . . . . .	132
А. РАМИШВИЛИ, Селище позднебронзового периода Пичвнари . . . . .	141
Т. ЧИКОВАНИ, Памятники яйлажной материальной культуры в Джавахети . . . . .	153
Д. АЛАВИДЗЕ, О происхождении и взаимоотношении органа и сойнари . . . . .	164

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Л. РЧЕУЛИШВИЛИ, По поводу интерпретации архитектурных памятников как исторических документов . . . . .	181
--	-----

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

80-летие со дня рождения академика С. Г. Каухчишвили . . . . .	190
Научная сессия, посвященная исследованию Арагвского ущелья . . . . .	192

ალექსანდრე კოხლავაშვილი

საბჭოთა საქართველო ღირსეულად ეგებება სკკპ XXV ყრილობას

საბჭოთა საქართველოს მშრომელები შემოქმედებითი შრომით ხვდებიან ლენინური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას.

საქართველოს მშრომელები არნახული პატრიოტული გატაცებითა და დაცხრომელი ენერგიით იბრძოდნენ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მეცხრე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რითაც ხელი შეუწყვეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურა ძლიერების შემდგომ აღმავლობას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა დაჩქარებას და ამის საფუძველზე საბჭოთა საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომ ზრდას.

საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია კვლავ შემოქმედებითად იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის. ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ხელმძღვანელობის მანკიერი სტილისა და დაშვებული სერიოზული შეცდომების შედეგად მრეწველობა მნიშვნელოვნად ჩამორჩა ხუთწლედით დასახულ მიჯნებს. აღნიშნულ პერიოდში არსებითად ადგილი არა ჰქონდა მრეწველობის ზრდას, უმნიშვნელო იყო მისი ხვედრითი წონა საკავშირო მრეწველობის მთლიან პროდუქციაში, ვერ სრულდებოდა პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარე დავალებანი, დაბალი იყო შრომისნაყოფიერება და აღმოცენდა საგრძნობი დანაკლისი, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მეცხრე ხუთწლედის შესრულებას.

1973 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ განახორციელეს ღონისძიებები მრეწველობის ჩამორჩენილობის აღმოფხვრისა და მისი შემდგომი განვითარების მიმართულებით. მთავარი ყურადღება დაეთმო პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფას სამეურნეო-იდეოლოგიური მოღვაწეობისა და კულტურული მშენებლობის, ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნების, ერთი სიტყვით, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა კომუნისტების, თითოეული მშრომელის აქტივობის ამაღლებისა, მასებში პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საწარმოთა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას გარდაქმნიდნენ და სრულყოფდნენ იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობდნენ სკკპ XXIV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებებიდან.

პარტიის ხელმძღვანელობით საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომლის მთავარ საბრძოლო ამოცანად დაისახა ადგილობ-

რივი რეზერვების მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენება, შემოქმედებითი აქტივობის ზრდა, საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების ამაღლება, ხუთწლედის პირველი ორი წლის პერიოდში აღმოცენებული დანაკლისის ანაზღაურება და მრეწველობის შემდგომი სწრაფი აღმავლობა ხუთწლედის ამოცანათა შესრულებისათვის. საქართველოს მუშათა კლასი შეგნებულად შეხვდა პარტიის მოწოდებას და ენერგიულად გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის გადამწყვეტი 1973 წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშათა ახალი და ახალი ფენები ეზმებოდნენ, ავითარებდნენ შრომით გვირობას, თაოსნობას და ზრდიდნენ შრომისნაყოფიერებას.

გაიზარდა ზუშუმებისა და ინეინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი თაოსნობა წარმოების რაციონალურ ორგანიზაციასა და პროგრესული მეთოდების დანერგვაში. 1971 წელს საქართველოში 22,3 ათასმა გამოგონებელმა და რაციონალიზატორმა წამოაყენა 26,4 ათასი რაციონალიზატორული წინადადება; ხოლო 1973 წელს კი 24,5 ათასმა გამოგონებელმა და რაციონალიზატორმა შეიტანა 28,7 ათასი წინადადება; მათი ნაწილის (22,7 ათასი) დანერგვით სახალხო მეურნეობამ მიიღო 39,7 მილიონი მანეთის ეკონომია. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა მეტი ნაწილი მოდიოდა მრეწველობაზე.

კაპიტალური დაზანდების დონე 1973 წელს მრეწველობაში რამდენადმე შემცირდა, მაგრამ საქართველო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ენერგიული ზომებით სამრეწველო მშენებლობა რამდენადმე დაჩქარდა. 1973 წელს აშენდა და მწყობარში ჩადგა 23 მსხვილი სამრეწველო საწარმო, ამოქმედდა უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრენი ახალი საწარმოების მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით, მათ შორის: ელექტროსადგურის 0,3 ათასი კილოვატის სიმძლავრის ტურბინა, 228 კმ სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროენერჯის გადამცემი ხაზი; მანგანუმის მადნის მოპოვების სიმძლავრენი წელიწადში 850 ტონა მადნის მწარმოებლურობით, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების საწარმოო სიმძლავრენი წელიწადში 8,7 ათასი კუბმ მწარმოებლურობით. ასეთივე საგრძნობი სიმძლავრენი გადაეცა საექსპლოატაციოდ მშენებლობის, ხე-ტყის დამზადების, მსუბუქი და კვების მრეწველობის მსხვილ საწარმოებს. სამრეწველო მშენებლობაზე რამდენიმე ათასი ერთეულით გაიზარდა მექანიზმები და ამწე-სატრანსპორტო საშუალებანი. მრეწველობაში გადიდდა ძირითადი საწარმოო ფონდები და ამაღლდა შრომის ფონდალტურვილობის დონე. მიმდინარეობდა საჩარხო პარკის განახლება.

ერთდროულად სამრეწველო საწარმოებში მნიშვნელოვნად დაჩქარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მარტო 1973 წელს შექმნა 79 ახალი ტიპის მანქანა, მოწყობილობა, აპარატი და ხელსაწყო, მათ შორის 34 გამომოვლელი ტექნიკის საშუალება და 6 სასოფლო-სამეურნეო მანქანა. მიმდინარეობდა სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური ბაზის დონის თვისებრივი ზრდა, გაფართოვდა წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. 1973 წელს სამრეწველო საწარმოებში მოქმედებდა 1693 მექანიზებული ნაკადური ხაზი, 127 ავტომატური ხაზი, 998 კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული უბანი, საამქრო და წარმოება, 196 კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმო. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში მასობრივი მასშტაბით გამოიყენებოდა მძიმე საყელავი მანქანები, საკვეთ-საბურღი, ფუჭი

ქანების დამტვირთავი მანქანები, ხვეტია დანადგარები, კონვეიერები, საშახტო ელმავლები და სხვ.

სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპში თანდათანობით, მაგრამ განუხრელად იზრდებოდა და 1973 წელს იგი შეადგენდა 5,9 პროცენტს.

საქართველოს სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება 1973 წელს საგრძნობლად გაიზარდა. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ მიაღწია 2724 ათას კვტ-ს, ხოლო ელექტროენერჯის წარმოებამ — 10665 მილიონ კილოვატ-საათამდე, ე. ი. 11-ჯერ აღემატებოდა 1940 წლის დონეს; დამზადდა ლითონსაჭრელი 3953 ჩაჩხი, სატვირთო ავტომობილი — 16380, სანაგისტრალო ელმავალი — 104.

საქართველოს მშრომელები ენერგიულად იბრძოდნენ სკკ XXIV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შეარტულებისათვის და ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. შენახვედრი გეგმების შესრულების საფუძველზე ხუთწლედის განმსაზღვრელ 1974 წელს ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

პარტიის ხელმძღვანელობით ზორციელდებოდა სოციალური ღონისძიებები, რომლებმაც განაპირობეს რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება წინა წელთან შედარებით.

მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად 1974 წელს 6,9 პროცენტით ანუ 458 მილიონი მანეთით გადიდდა მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი.

საქართველოს მუშათა კლასმა ახალ წარმატებას მიაღწია და 10,3 პროცენტით გააძლიერა სამრეწველო პროდუქციის წარმოება. თვალსწინა შედეგები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 6,2 პროცენტით გაზარდეს.

მრეწველობის აღმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტური გამოყენება. 1974 წელს კაპიტალური დაბანდებიანი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით, რამაც უზრუნველყო ძირითადი ფონდების ამოქმედების ზრდა 2,4 პროცენტით. 1974 წელს სახალხო მეურნეობაში ამოქმედდა 1235 მილიონი მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის წარმოების გაფართოებას.

რესპუბლიკის ეკონომიკის საერთო აღმავლობასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა გაიზარდა 2,1 პროცენტით და ამის შესაბამისად მათი ხელფასის ფონდი გადიდდა 4,6 პროცენტით. ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს 1,8 პროცენტით გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 5 პროცენტით. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების 5,5 პროცენტით გადიდებამ გამოიწვია ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდა 4,5 პროცენტით.

გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთავარი ყურადღება ჰქონდა დათმობილი საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების ზრდას, როგორც სახალხო მეურნეობის სწრაფი აღმავლობის მთავარ ფაქტორს. ენერგიული ბრძოლის შედეგად 1974 წელს შრომისნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 8,7 პრო-



ცენტრთა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში—6,4 და მშენებლობაში—7 პროცენტით. შრომისნაყოფიერების ზრდამ ხელი შეუწყო პროდუქციის წარმოების გაფართოებას. 1974 წელს საქართველოს სამრეწველო პროდუქციამ შეადგინა 6692 მილიონი მანეთი, ე. ი. განმსაზღვრელ წელს გამოთქმულ იქნა 533 მილიონი მანეთით მეტი სამრეწველო პროდუქცია.

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ გადააჭარბა 73 მილიონი მანეთით, რაც თითქმის 13 პროცენტით აღემატებოდა 1971-73 წლების საშუალო წლიურ წარმოებას.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია საქართველოს მუშათა კლასმა სამრეწველო წარმოების განვითარებაში, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის მეცნიერებამ. 1974 წელს სამრეწველო წარმოების მატებამ 1973 წელთან შედარებით შეადგინა 11,4 პროცენტი. აქედან რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში დაგეგმილი 9 პროცენტის ნაცვლად შეადგენდა 11,1 პროცენტს.

გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით პროდუქციის რეალიზაციამ 135,8 მილიონ მანეთს მიაღწია. 1973 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქცია: ელექტროენერგეტიკის 5 პროცენტით, საზოგადოებრივი მრეწველობის—4, შავი მეტალურგიის—5, ფერადი მეტალურგიის—7, ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობის—11, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების—12, მსუბუქი მრეწველობის—12, კვების მრეწველობისა—13.

მრეწველობის მშრომელთა თავდადებული ბრძოლის შედეგად შრომისნაყოფიერება 1974 წელს გაიზარდა 8,7 პროცენტამდე, ნაცვლად დაგეგმილი 5,9 პროცენტისა. სამრეწველო პროდუქციის 84,6 პროცენტი მიღებულ იქნა შრომისნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება ქალაქ თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მრეწველობის მუშაობა 1974 წელს.

საქართველოს მუშათა კლასმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწია მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებაში, მაგალითად: ელექტროენერგიის გამოთქმევებამ მიაღწია 11 116 მილიონ კილოვატ-საათს, ქვანახშირის ამოღებამ—2152 ათას ტონას, მანგანუმის მადნისა—1819 ათას ტონას, გამოშვებულ იქნა 4 062 ლითონსაჭრელი ჩარხი და 105 სამაგისტრალა ელმავალი. 1973 წელთან შედარებით გადაჭარბებით შესრულდა თუჯის, ფოლადის, შავი ლითონის ნაგლისის, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, სატვირთო ავტომობილების, ცემენტის, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოების წლიური გეგმა.

მრეწველობას მჭიდროდ დაუკავშირდა მეცნიერება, რამაც დააჩქარა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოებაში და მაღალ დონეზე განავითარა რესპუბლიკის მრეწველობა.

საბჭოთა საქართველოს მრეწველობა ამჟამად წარმოდგენილია მაღალმწარმოებლური თანამედროვე ინდუსტრიული დარგებით—ელექტროენერგეტიკით, მეტალურგიით, მანქანათმშენებლობით, ელექტროტექნიკით, ავტომობილმშენებლობით, ელმავალმშენებლობით, გემთმშენებლობით, თვითმფრინ-

ნავმზენებლობით, ხელსაწყოთმშენებლობით, სამთამადნო, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის მსხვილი საწარმოებით და სხვ.

საქართველოს მრეწველობა ახლა ერთ კვირაში ამზადებს უფრო მეტ სარეწველო პროდუქციას, ვიდრე რევოლუციამდელი საქართველოს მრეწველობა მთელი წლის განმავლობაში, ერთ სულ მოსახლეზე უფრო მეტი სამრეწველო პროდუქცია მზადდება, ვიდრე ზოგიერთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში. უკანასკნელი სამი წლის პერიოდში მრეწველობის გაფართოების შედეგად გაიზარდა საბჭოთა საქართველოს ხვედრითი წონა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქცია ფართოდ გამოიყენება მოძვე რესპუბლიკათა საწარმოებში. საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში უწყვეტ ნაკადად მიდის სამრეწველო ნაწარმი თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოთა მარკით. საქართველოს სამრეწველო პროდუქცია გადის აგრეთვე მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში.

საწარმოო ძალებისა და მანქანური ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე ხუთწლედის უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალური დონე, კერძოდ მუშათა ზოგადი განათლებისა და კულტურულ-ტექნიკური დონე. 1973 წელს საქართველოს მოსახლეობის ყოველ ათას სულზე მოდიოდა 584 კაცი უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლებით, ხოლო სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ათას კაცზე — 765. მუშათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი იყო საშუალო განათლებით.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე საქართველოს საერთო ეკონომიურმა განვითარებამ და ძირითადი დარგების გაფართოებამ გამოიწვია სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდა. 1974 წლის დამლევისათვის მათი რაოდენობა გაიზარდა 1642 ათას კაცამდე. მარტო მრეწველობაში მუშაობდა 388 ათასი მუშა-მოსამსახურე, მათ შორის მუშა — 314 ათასი, ხოლო ინჟინერი და ტექნიკოსი — 42 ათასი ანუ თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს საქართველოს მსხვილ მრეწველობაში დასაქმებული მუშათა რაოდენობა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სინამდვილეში ადგილი ჰქონდა სხვა მნიშვნელოვან ძვრებსაც. რესპუბლიკის მოსახლეობის ინტელექტუალური დონის მნიშვნელოვანი ამაღლების შედეგად საგრძნობლად შეიცვალა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა თვისებრივი შემადგენლობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1973 წელს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობდა 364,1 ათასი სპეციალისტი, აქედან 209,4 ათასი უმაღლესი განათლებით, მათ შორის 55,8 ათასი ინჟინერი. 1974 წელს სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 27,5 ათასი ახალი სპეციალისტი, აქედან 12,6 ათასი უმაღლესი განათლებით.

მეცხრე ხუთწლედში სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ინტელექტუალური დონის ამაღლებამ ბუნებრივად ხელი შეუწყო ტექნიკის სფეროში მუშათა აქტიურ მონაწილეობას. მუშათა გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებანი, რომელნიც მუშავდებოდა მეცნიერთა და სპეციალისტების მონაწილეობით, უმეტესწილად იძლეოდნენ მაღალ საწარმოო ეფექტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1973 წლიდან სერიოზული ღონისძიებები განახორციელა, შექმნა პირობები მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შემდგომი დაახლოებისთვის. ამასთან, პარტია უზრუნველყოფდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებასა და ყოველმხრივ გაღრმავებას, საზოგადოებაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ზრდას.

მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდა და გაფართოვდა მსხვილი ინდუსტრია, გაიზარდა რაოდენობრივად და თვისობრივად მრეწველობის ეროვნული კადრები. რაც ხელს უწყობდა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შემდგომ განმტკიცებას. მსხვილი ინდუსტრია წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების ზრდა-განვითარების საფუძველთა საფუძველს, ხოლო ამ დარგის მუშები შეადგენენ საზოგადოების მთავარ სოციალურ ბაზას. მსხვილი წარმოების მუშები არიან მატარებელნი რევოლუციური ტრადიციების, ორგანიზებულობის, მაღალი შეგნებულობისა და დისციპლინის. მისი უნარი აშენოს კომუნისტური საზოგადოება ამოიზარდა ისტორიულად და ამოიზარდა მხოლოდ მსხვილი წარმოების მატერიალური პირობებიდან. მხოლოდ მსხვილი წარმოების მუშათა კლასს, ამ წარმოებაში მისი ეკონომიური როლის გამო, უნარი შესწევს იყოს ყველა მშრომელთა ბელადი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, ითვალისწინებდა რა ვ. ი. ლენინის დებულებას, პარტიის მითითებას მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შესახებ, 1973 წლიდან ფართო ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ზრდისა და წარმოჩენის მიმართულებით. მუშათა კლასმა პარტიის ხელმძღვანელობით განამტკიცა კავშირი მშრომელთა ყველა სოციალურ ჯგუფთან.

მუშათა კლასი წარმოადგენს წამყვან ძალას მატერიალურ წარმოებაში, მასების სოციალისტურ შეჯიბრებასა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში, აგრეთვე სხვა ეკონომიურ და პოლიტიკურ პროცესებში. საქართველოში მსხვილი ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით გაიზარდა მექანიზებულ შრომაში დასაქმებული მუშების ხვედრითი წონა, მუშები დაეუფლნენ თანამედროვე ინდუსტრიულ პროფესიებს, დაუახლოვდნენ ინჟინრის შრომას, გაფართოვდა მათი ინტელექტუალური მოღვაწეობა წარმოებასა და საზოგადოებაში. ყოველივე ეს ერთად აღებული წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელმაც ხელი შეუწყო საზოგადოებაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას. ეს არის მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური შედეგი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მეცხრე ხუთწლედში განუხრებლად ასრულებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებული და XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებებით დამტკიცებულ პარტიის აგრარულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას.

პარტია გამოდის იქიდან, რომ კომუნისტური მშენებლობის პროცესში სულ უფრო იზრდება სოფლის მეურნეობის როლი და რომ განვითარებული სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საბჭოთა ეკონომიკის ზრდის უმნიშვნე-

ლოვანეს ფაქტორს. ამიტომ პარტიამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის აღ-  
 მავლობის მეცნიერულად დასაბუთებული მწყობრი ეკონომიური, მატერია-  
 ლურ-ტექნიკური და პოლიტიკური სისტემა. პარტიის აგრარული პოლიტიკა  
 წარმოადგენს მისი საერთო პოლიტიკური კურსის უმნიშვნელოვანეს შემად-  
 გენელს და ითვალისწინებს მყარი ეკონომიური პირობების შექმნას, პროდუქ-  
 ციის დამზადების სტაბილური გეგმების დადგენას, გეგმის დამატებით წარ-  
 მოებული პროდუქციისათვის წამახალისებელი ფასების შემოღებას და სხვა  
 ღონისძიებებს, რომლებიც სტიმულს მისცემენ გლეხობის დაინტერესებას სა-  
 სოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაში.

მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი არის სოფლის მეურნეობის განვი-  
 თარების ახალი ეტაპის დასაწყისი. ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე  
 მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ახალი ფართო პერსპექტივები დასახეს კოლ-  
 მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების წინაშე, ხელი შეუ-  
 წყვეს სოფლად მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალღმავლობას, ღრმა  
 სოციალურ ცვლილებებს, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხებს შორის  
 კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი 1973 წლიდან მრე-  
 წველობასთან ერთად, მთავარ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკის სოფლის  
 მეურნეობის აღმავლობას, კერძოდ მეცხოველეობას, რომლის შესახებაც  
 სკკ XXIV ყრილობაზე აღინიშნა ზოგიერთ სხვა რესპუბლიკასთან ერთად,  
 საქართველოშიც სრულად რომ არ იყო გამოყენებული ამ უმნიშვნელოვანესი  
 დარგის განვითარების შესაძლებლობანი. საქართველოს კომპარტიის ცენტ-  
 რალური კომიტეტის XVIII პლენუმმა მეცნიერულად გააანალიზა და პრაქტი-  
 კული ღონისძიებები დასახა მეცხოველეობის სერიოზული აღმავლობისათვის.

სკკ XXIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივან-  
 მა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „სოფლის მეურნეობის აღმავლობა დამო-  
 კიდებელია არა მარტო სოფლის მშრომელებზე, არამედ ბევრად დამოკიდებუ-  
 ლია მრეწველობის მუშაკთა, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა მეცადი-  
 ნეობაზედაც. პარტია მოუწოდებს მათ ღირსეული წვლილი შეიტანონ ამ დიდ,  
 შვემპარტიად საერთო-სახელმწიფო, საერთო-სახალხო საქმეში“. ამასთან  
 ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა, რომ შეუძლებელია სოფლის მეურნეობის პრობ-  
 ლემების ერთ-ორ წელიწადში და ხუთწელიწადშიც კი მთელი მოცულობით გა-  
 დაჭრა.

ყრილობის მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს პარტიუ-  
 ლა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მუშათა კლასი და მეცნიერები, რომ-  
 ლებმაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანე-  
 ლობით 1973 წლიდან ფართოდ გაშალეს სოფლისადმი დახმარება.  
 სასოფლო პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივმა ორგანი-  
 ზაციებმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბა-  
 მისად მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პარტიული, პოლიტიკურ-აღმზრდელო-  
 ბითი მუშაობა, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, გააძლიერეს  
 მატერიალური და მორალური სტიმულირების გამოყენება, მოწინავე გამოც-  
 დილებს პოპულარიზაცია და წარმოებაში დანერგვა.

ქალაქის სამრეწველო საწარმოო კოლექტივებმა დიდი მატერიალურ-  
 ტექნიკური დახმარება აღმოუჩინეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეო-  
 ბებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთებაში, ტექნიკის

შემკეთებელი სახელოსნოების მოწყობაში და მანქანათა სათადარიგო ნაწილების დამზადებაში. ზოგიერთმა საწარმოო კოლექტივმა საშეფო სოფლებში გაიყვანა წყალსადენი, შეაკეთა გზები, დაეხმარა კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა გააფართოვეს სოფლის მეურნეობის პრობლემათა კვლევა-ძიება, კერძოდ კოლხიდის ამოწრობის, მოსავლიანობის გადიდების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაციის, მექანიზაციისა და სხვა აქტუალური საკითხების ირგვლივ. საქართველოს მეცნიერებმა დიდი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, სისტემატურად ატარებდნენ თემატურ თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციებს, ლექციებსა და საუბრებს.

1973 წლიდან მნიშვნელოვნად გადიდდა სახელმწიფო დახმარება სოფლის მეურნეობისადმი. გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი, საკრედიტო თანხები, რამაც ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გაძლიერებას. სოფლის მეურნეობამ 1973 წელს მიიღო 11 ათასზე მეტი სხვადასხვა მანქანა, მათ შორის ტრაქტორი — 2909, სატვირთო ავტომობილი — 1990, კომბაინი — 434 და სხვა. ტრაქტორების პარკი გაიზარდა 19369 ერთულამდე, კომბაინების — 1412 და სატვირთო ავტომობილების — 18216 ერთულამდე. ელექტროენერჯის გამოყენებამ სოფლას მეურნეობაში მიაღწია 538,4 მილიონ კილოვატ-საათს. ელექტრიფიცირებული იყო კოლმეურნეობის 99 პროცენტი. სოფლად გაიზარდა მუშა და ძალოვანი მანქანებისა და მოწყობილობის ხვედრითი წონა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა მექანიზატორთა რაოდენობა, მომზადდა მექანიზატორთა ახალი კადრები.

დიდი სამუშაოები განხორციელდა სამელიორაციო, საირიგაციო ნაკვეთბათა, მეცხოველეობის კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების, ზოსტულ-ხილ საცავებისა და სასათბურო კომბინატის მშენებლობის დარგში.

სარწყავი მიწების ფართობი გაიზარდა 15000, ხოლო ამოწრობილ მიწებისა — შეიდი ათასი ჰექტარით. რამდენადმე გაიზარდა ძირითადი კულტურების ნათესი ფართობები. მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლად მინერალური სასუქების შეტანა. მარტო 1973 წელს შეტანილ იქნა 732 ათასი ტონა სხვადასხვა სასუქი ანუ 131 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1971 წელს.

ხუთწლედის 1974 განმსაზღვრელ წელს პარტიამ და სახელმწიფომ უფრო გააძლიერეს სოფლის მეურნეობისადმი დახმარება. სახელმწიფოსა და კოლმეურნეობათა მიერ კაპიტალურმა დაბანდებამ სოფლის მეურნეობის განვითარების სამუშაოთა მთელ კომპლექსში შეადგინა 328,7 მილიონი მანეთი. აქედან სახელმწიფოს ხაზით მოდიოდა 248,1 მილიონი მანეთი. კაპიტალური დაბანდება 1974 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 8,4 პროცენტით; მისი საერთო მოცულობიდან საირიგაციო-სამელიორაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 89,5 მილიონი მანეთი ანუ 12,9 მილიონი მანეთით მეტ, ვიდრე 1973 წელს.

განხორციელდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება. 1974 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობამ დამატებით მიიღო 2910 ტრაქტორი 157 ათასი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრით. სხვადასხვა დანიშნულების კომბაინები, სამკელი მანქანები, სატრაქტო-

რო გუთნები, საომარი მანქანები, კულტივატორები, სათესი, მინერალური სასუქების წომენები, დასაწვინებელი და სხვა მანქანები. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრაქტორების, კომბაინების, სატვირთო ავტომობილების პარკი.

1974 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 768 ათასი ტონა მინერალური სასუქი, აგრეთვე საკვები ფოსფატები და სხვ.

დიდი სამუშაოები ჩატარდა ტყეთა აღდგენისა და დაცვის საქმეში.

პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, 1974 წლიდან მტკიცედ დაიწყო გადასვლა ჩამორჩენილობიდან მოწინავე პოზიციებზე. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოება-დამზადების ტემპის ზრდაში. დაჩქარდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი. სოფლის მშრომელთა უნერგული შრომის შედეგად ხუთწლედის დონეზე სრულდება დავალება, გადაჭარბებით სრულდება ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

1974 წელს სარეკორდო წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მეჩაიეებმა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებასა და დამზადებაში. მეჩაიეებმა წარმატებით დაძლიეს გვიანი გაზაფხულით შექმნილი სიძნელები და სახელმწიფოს ჩააბარეს 312 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლი, ე. ი. ნაკისრ ვალდებულებასთან შედარებით 20 ათასი ტონით მეტი.

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა 1974 წელი საგრძნობი მოგებით დაამთავრეს. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებში მუშაობდა საბჭოთა მეურნეობების 90 პროცენტი.

არანელსაყრელი ამინდების მიუხედავად, სოფლის მშრომელებმა ორგანიზებულად შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და მნიშვნელოვნად გაზარდეს ძირითადი კულტურების მოსავლიანობა. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მსხველ-მთევსელებმა, რომლებმაც ჰექტარზე მოსავლიანობა 21,1 ცენტნერამდე გააძლიერეს და 1974 წლის სექტემბრისათვის შეასრულეს მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა, დაიწყეს მეათე ხუთწლედის ანგარიში მუშაობა და სახელმწიფოს დამატებით ათასობით ტონა მარცვლეული ჩააბარეს. მნიშვნელოვნად მეტი დამზადდა მემცენარეობის პროდუქტები. 1971-1973 წლებში მარცვლეულის საშუალო წლიური დამზადება შეადგენდა 680 ათას ტონას, 1974 წელს უკვე — 801,3 ათას ტონას, ყურძნისა შესაბამისად 375,3 და 453,3 ათას ტონას. სახელმწიფოს მიეყიდა 65 ათასი ტონით მეტი მარცვლეული. ანალოგიური მაჩვენებელია ხილის, მწესქმნილის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების დარგში.

1974 წელს დამკვეთურად მუშაობდნენ მეცხოველეები, მეჭარხლეები, მეციტრუსეები, მევენახეები. არსებული მონაცემებით სავარაუდებელია, რომ ხუთწლედის დავალებებზე მეტი იქნება შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, მზესუმზირის, ბოსტნეულისა და ბევრი სხვა კულტურების წარმოება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყველაზე ჩამორჩენილ დარგშიც — მეცხოველეობამ უკვე გარკვეული წარმატებას მიაღწია. გაიზარდა მსხვილჩქოსანი საქონელი, ძროხის წველადობა, ხორცის, ფრინველისა და კვრცხის წარმოება. მნიშვნელოვნად გადიდა მეცხოველეობის პროდუქტების

წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში და გადააქარბა წინა წლების წარმოების დონეს. ერთი ძროხის წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა 7 პროცენტით. სახელმწიფოს მიეყიდა მეტი ხორცი, რძე და კვერცხი. გადაქარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმა. საზოგადოებრივ მეურნეობაში უზრუნველყოფილია ყველა სახეობის პირუტყვის სულადობრივი ზრდა, გარდა ცხვრისა და თხისა.

წარმატებით შესრულდა 1975 წელს მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი, კერძოდ საშემოდგომო თესვა, მზრალად ხვნა, ტექნიკის მომზადება.

სოფლად მიღწეულ წარმატებათა შედეგად კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი გაიზარდა 349 მილიონ მანეთამდე ანუ 7 პროცენტით მეტი 1973 წელთან შედარებით და 10 პროცენტით მეტი, ვიდრე საშუალოდ 1971-1973 წლებში.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზემოქმედებით მეცხრე ხუთწლედში მიმდინარეობდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მნიშვნელოვანი ცვლილებანი. უწინარეს ყოვლისა, ღრმავდებოდა ინდუსტრიულ საფუძველზე სოფლის მეურნეობის გადასვლა. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მაღალმწარმოებლური ტექნიკით შეიარაღებამ, წარმოების ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის გაფართოებამ, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვამ და მეურნეობის ინტენსიფიკაციას ზრდამ, ხელი შეუწყვეს სოფლის სოციალურ ძვრებს. კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა ყოველმხრივ განვითარებას. ამილღდა მათი ინტელექტუალური დონე, მიმდინარეობდა სოფლის მშრომელთა შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გარდაქმნა, სოფლის მშრომელთა იერსახეობა უფრო მეტად დაუახლოვდა სამრეწველო მუშის იერსახეობას. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი ტიპის მუშაკის ჩამოყალიბება.

სოფლად სოციალურმა პროგრესმა თავისი კონკრეტული გამოხატულება პპოვა სოფლის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ამიღლებაში. გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება და იგი მნიშვნელოვნად მიუახლოვდა საბჭოთა მეურნეობის მუშათა ხელფასის დონეს. შეიცვალა კოლმეურნეობათა შემოსავლის სტრუქტურა უმთავრესად საზოგადოებრივი მეურნეობიდან შემოსავლის ხარჯზე, თუმცა კვლავ შემორჩენილია დამხმარე მეურნეობა. სოფლად აშენდა ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, კულტურის სახლები და სასახლეები. სოფელი სწრაფად იზრდება, გაფართოვდა სოფლის მშრომელთა სულიერი მოთხოვნები, სოფლად და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გაიზარდა საშუალო განათლების პირთა რაოდენობა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი საშუალო განათლებისაა, სოფლის მშრომელებმა აიმიღლეს პოლიტიკური დონე, უფრო ღრმად და მტკიცედ შეითვისეს მუშათა კლასის იდეოლოგია და მისი კომუნისტური იდეალები.

მეცხრე ხუთწლედში პარტიის XXIV ყრილობის ღირებუტივების განხორციელების პროცესში უფრო მეტად ამიღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე, მიმდინარეობდა საკუთრების ორი ფორმის შემდგომი დაახლოვება; აგრეთვე, გონებრივ და ფიზიკურ შრომას, სოფელსა და ქალაქს შორის არსე-

ბითი განსხვავების წაშლა, ყოველივე ამის შედეგად უფრო სრულყოფილი გახდა სოფლად საზოგადოებრივი ურთიერთობა.

პარტია გლეხობაში ზრდიდა ახალ ნიშანთვისებებს, რაც ნათლად აისახა მის მასობრივ შრომით გმირობაში, სოციალისტურ შეგვიბრებაში და ნოვატორობაში.

პარტია გლეხობაში ზრდიდა ახალ ნიშანთვისებებს, რაც ნათლად აისახა ადგენს სოფლის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. ხუთწლედში გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, საბენსიო უზრუნველყოფა, სოციალური დაზღვევა. სოფლის საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად თანდათანობით იცვლებოდა გლეხობის სოციალური სახე და ფსიქოლოგია. სულ უფრო აქტიურად მოქმედებს სოციალისტური შეგვიბრება შრომისადმი კოლმეურნეთა მხრივ კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავებასა და ახალი ტიპის გლეხის ჩამოყალიბებაზე.

1974 წელს რამდენადმე გაუმჯობესდა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაობა. აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა 11 ახალი საწარმოო სიმძლავრე, საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-სყოფაცხოვრებო ობიექტი. მწყობრში ჩადგა პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. აშენდა ნეცხოველეობის ახალი სადგომები, საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხანა, სოფლის მეურნეობას გადაეცა 11,6 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი და 9 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწები.

მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოს მეცნიერება. საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში გაფართოვდა კვლევადიებიანი. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა მოამზადა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. უკვე გამოქვეყნდა რამდენიმე ტომი. საქართველოს მეცნიერებმა დიდი სამუშაოები განახორციელეს მეცნიერულ სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლების, ფუნდამენტური კვლევა-ძიების შემდგომი გაშლისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით ძალებისა და საშუალებათა კონცენტრაციისათვის. ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის. დამუშავდა უზემოსავლიანი და ყინვაგამძლე ჯიშის ჩაის გამოყვანისა და დანერგვის, მეცხოველეობის განვითარების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდების მეთოდები. გაიზარდა მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვა წარმოებაში.

ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერებმა დიდი კვლევითი მუშაობა ჩატარეს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში ლითონის ამოწობის ავტოკლავური მეთოდის შესამუშავებლად და დასანერგავად. აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს სპეციალური თვისებების მქონე ფოლადებისა და შენადნობების ახალი კომპოზიციები, აითვისეს ორი ახალი მარკის ფოლადის წარმოება.

ბეტე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა. 1970 წელს საქართველოში იყო 20160 მეცნიერი მუშაკი, ხოლო 1974 წელს — 23 ათასზე მეტი.

საქართველოში 1974 წელს მეცნიერთა მონაწილეობით შეიქმნა 40-მდე დასახელების ახალი ტიპის მანქანა, სამრეწველო საწარმოებში დაიდგა მექანი-



ზებული ნაკადური ხაზების 60 ზე მეტი კომპლექტი, ავტომატური 10 ხაზი, შეიქმნა წარმოების აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული 10 სისტემა. 98 ნაწარმს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

1975 წლიდან საქართველოს მშრომელები უფრო მეტი ენერჯით შეუდგნენ მეცხრე ხუთწლედის წარმატებით შესრულებას. სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები საერთოდ დამაკმაყოფილებლად სრულდება რესპუბლიკაში, მაგრამ ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე აღმოცენებული დანაკლისის ახანაზღაურებლად რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე საბრძოლო ამოცანად დაისახა გეგმის ვადამეტებით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო და 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად შეხვდნენ ამ ამოცანის შესრულებას.

საქართველოს მუშათა კლასის ინიციატივით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რათა მთელი რესპუბლიკა ღირსეულად შეხედეს სკკპ XXV ყრილობას. ამ თაოსნობას აქტიურად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასები და ახალი სოციალისტური ვალდებულება იკისრეს. სტახანოვურმა მოძრაობამ შექმნა შესანიშნავი ტრადიცია, რომლის გავლენით ვითარდება სოციალისტური შეჯიბრება. მშრომელთა კოლექტივები აქტიურად იბრძვიან პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მაღალი მაჩვენებლები-სათვის.

საქართველოს მშრომელებმა განვლილი ცხრა თვის მანძილზე შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს.

აფხაზეთის მშრომელებმა სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულები-სათვის ბრძოლას შედეგად, 6 ათასზე მეტმა მუშამ, 900 შრომითმა კოლექტივი-მა, უზანადა, ბრიგადამ უკვე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა, ხოლო აფხაზეთმა მთლიანად ოთხი წლის გეგმა გადაჭარბებით განახორციელა.

თბილისის საწარმოებში ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრება ახალი თავისი ფორმითა და შინაარსით, მისი საბრძოლო დევიზია ხარისხი და ეფექტიანობა. გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი, გაიზარდა ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ნაკეთობათა რაოდენობა, კერძოდ რთული აპარატებისა და მექანიზმების წარმოებაში. დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა.

ბათუმის საწარმოო კოლექტივებმა იკისრეს გეგმის ვადამეტებით გამო-უშვან 10 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ქუთაისში ყველა საწარმომ წარმატებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და ახლა მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის ყრილობას.

თელავის წინდის ფაბრიკის ფეიქრებმა XXV ყრილობის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრეს გამოუშვან გეგმის ვადამეტებით 600 ათასი მანეთის ნაწარმი. აქედან ცხრა თვის განმავლობაში უკვე გამოუშვეს 387 ათასი მანეთის პროდუქცია.

სამრეწველო საწარმოო კოლექტივებთან ერთად მაღალი პატრიოტული შემართებით იბრძვიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები, რათა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის ყრილობას. ამ მხრივ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მეჩაიეებმა, ჩაის მრეწველობის მუშაკებმა და მევენახეებმა. 1975 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 334

ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით ვათვალისწინებულ  
ლი 295 ათასი და სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი 309 ათასი ტონა.  
აშასთან, პირველი ხარისხის ნედლეულის ხვედრითმა წონამ შეადგინა 69,7  
პროცენტი. საქართველოს მევენახეებმა წარმატებით შეასრულეს ნაკისრი  
ვალდებულება — მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 407 ათასი ტონა ყურ-  
ძენი.

XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძო-  
ლის შედეგად მიღწეულმა წარმატებებმა შექმნეს პირობები საქართველოს  
მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

1974 წელს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-წლიური რაოდენობა სახალ-  
ხო მეურნეობაში გაიზარდა 1642 ათას კაცამდე. კოლმეურნეობათა საზოგადო-  
ებრივ მეურნეობაში მონაწილეობდა 379 ათასი კოლმეურნე.

გადიდდა ქალთა მონაწილეობა სახალხო მეურნეობის მრავალფეროვან  
დარგებში, მათი ხვედრითი წონა — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა  
და სპეციალისტთა შორის.

მარტო 1973 წელს მუშა-მოსამსახურეთა შორის იყო 719 ათასი ქალი  
ანუ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტი, მრეწველო-  
ბაში ქალთა ხვედრითი წონა შეადგენდა 44, ხოლო სოფლის მეურნეობაში —  
54 პროცენტს. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტებს შორის  
იყო უმაღლესი და საშუალო განათლებით 186,8 ათასი ქალი ანუ 51,3 პრო-  
ცენტი. აქედან 14,7 ათასი ქალი ინჟინერი ანუ 26,3 პროცენტი. 6 ათასი ქა-  
ლი იყო აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ვეტქიმი ანუ 33,7 პროცენტი. ტექნი-  
კოსად მუშაობდა 9,4 ათასი ქალი, ე. ი. 22,5 პროცენტი.

გაფართოვდა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და სკოლებში ახა-  
ლი კადრების მომზადება. სოფლის მეურნეობისათვის მომზადდა 4,4 ათასი  
მექანიზატორი. ახალი, თანამედროვე პროფესიები აითვისა 57,2 ათასმა კაცმა,  
აქედან 55,6 ათასმა მუშამ; კვალიფიკაცია აიმაღლა 105,3 ათასმა კაცმა, მათ  
შორის 68,1 ათასმა მუშამ. კოლმეურნეობებში კვალიფიკაცია აიმაღლა 1,2  
ათასმა კაცმა.

მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად  
გაიზარდა აგრეთვე აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. დამახასიათებე-  
ლია, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც უწინ სამრეწველო მუშების რაოდენობაც  
კი ერთეულებით განისაზღვრებოდა, 1973 წელს ოქქის სახალხო მეურნეო-  
ბაში მუშაობდა 9,4 ათასი სპეციალისტი, მათ შორის 5,6 ათასი უმაღლესი  
განათლებით.

ეროვნული შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით რეალური შემოსავა-  
ლი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1974 წელს გაიზარდა 4,5 პროცენ-  
ტით, გადიდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-თვიური ფულადი ხელფასი  
115,8 მანეთამდე. საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარებითა და  
შეღვათებით ეს თანხა 160,5 მანეთამდე გაიზარდა, კოლმეურნეთა შრომის  
ანაზღაურება გაიზარდა 5 პროცენტით.

მომხარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარება და შეღვათები  
1973 წელთან შედარებით გაიზარდა 68 მილიონი მანეთით და იგი შეადგენდა  
1300 მილიონ მანეთს.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მიზნებისათვის შემნა-  
ხველ სალაროებში მოსახლეობის ანაბრების თანხის 141 მილიონი მანეთით

ზრდა და სახალხო საქონელბრუნვის გაფართოება, დაიწყო სახელმწიფო სესხების ობლიგაციების დაფარვა.

გაუმჯობესდა მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები. 1971-73 წლებში თბილისში აშენდა თითქმის 1446 ათასი კვ. მეტრის საერთო ფართობის სახლები. ახალი სახლები აშენდა აგრეთვე აფხაზეთში, აჭარაში, საქართველოს რაიონებსა და სოფლებშიც. 1974 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა 29 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა და სახლი, რომელთა საერთო ფართობმა შეადგინა 1826 ათასი კვ. მეტრი. საბინაო პირობები გაუმჯობესდა 158000 კაცმა.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობდა ქალაქების, დაბებისა და სოფლების კეთილმოსაწყობად. 1974 წლის დამლევისათვის განხორციელდა 889,8 ათასი ბინის, მათ შორის სოფლად 361, 1ათასი ბინის გაზიფიცირება.

მეცხრე ხუთწლეულში მნიშვნელოვნად განვითარდა სახალხო განათლება და კულტურა. მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 1364 ათას კაცამდე. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 83,6 ათასი სტუდენტი, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 50,3 ათასი მოსწავლე.

გაფართოვდა მასობრივი ბიბლიოთეკების, კლუბების, კინოდანადგარების, კულტურას სახლების ქსელი. 1974 წელს გამოიცა წიგნები და ბროშურები 15190 ათასი ტირაჟით.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. გადიდდა ადგილების რაოდენობა სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებსა და ტურისტულ ბაზებში. 1974 წელს ექიმთა რაოდენობა გაიზარდა 19 ათასამდე, ხოლო საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა 48 ათასამდე.

1975 წლიდან უფრო გაძლიერდა ბრძოლა წლიური გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. წინასწარი მონაცემებით ცხრა თვის მანძილზე მშრომელთა თავდადებული შრომისა და ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრების გაძლიერების საფუძველზე მიღწეულია სახალხო მეურნეობაში ახალი მიჯნები. დაჩქარდა სამუშაოთა ტემპი და გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის გამოწვევის არა მარტო გეგმები, არამედ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანიც. ეს მაჩვენებლები განუწყვეტლივ იზრდება და უმჯობესდება.

ცხრა თვეში მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი გადიდდა 10,6 პროცენტით. გაიზარდა პროდუქციის რეალიზაციისა და შრომისნაყოფიერების გადიდების ტემპიც. ამის საფუძველზე გეგმის გადამეტებით უკვე წარმოებულა 153,1 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

მეცხრე ხუთწლეულის განვლილ პერიოდში მოპოვებულ მიღწევებში მკაფიოდ აისახა შეუპოვარი შრომა, ახალი მიჯნების მიღწევისაკენ დაუოკებელი მისწრაფება ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა, რომელსაც გადამწყვეტი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სწრაფ აღმავლობასა და კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენებაში.

შესანიშნავად და წარმატებით იბრძვიან აგრეთვე სოფლის მეურნეობის მშრომელები და ჩვენი ინტელიგენცია დამამთავრებელი წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

რესპუბლიკის ყველა წარმატება მიღწეულია საქართველოს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის ზრდის, იმ უზარმაზარი პარტიულ-ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის შედეგად, რომელსაც 1973 წლიდან ახორციელებს ცენტრალური კომიტეტი, XXIV ყრილობის დირექტივების, პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაგენილებათა შესრულებისათვის. ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ გაკეთდა და მიღწეულია დიდი წარმატებები, მაგრამ ხუთწლედის პირველი ორი წლის პერიოდში აღმოცენებული დანაკლისი ჯერ კიდევ სრულად არ არის ანაზღაურებული. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რაზმავს პარტიულ და უპარტიო მასებს, აძლიერებს იდეოლოგიურ მუშაობას, ზრდის მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რათა რესპუბლიკამ აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, ნეგატიური მოვლენები და უფრო მაღალ წარმატებებს მიაღწიოს ხარისხისა და ეფექტიანობის მეათე ხუთწლედში, პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ვლადისლავ ბორტნოვსკი

ქართველების მონაწილეობა პოლონეთის წინააღმდეგობის  
მოძრაობაში

(1941 — 1944 წწ.)

მეორე მსოფლიო ომის ახალ ვითარებაში ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ინტერნაციონალური ურთიერთობისას ფართო გამოხმაურება და განვითარება ჰპოვა XIX ს-ის რევოლუციონერთა ლოზუნგმა „ბრძოლა ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“.

პიტლერელების მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე პარტიზანულ რაზმებში ვხვდებით ბევრ პოლონელს, რომლებიც საბჭოთა ქვეგანაყოფებში და შენაერთებში მებრძოლებად და მეთაურებად ითვლებოდნენ, ისინი აყალიბებდნენ თავიანთ ეროვნულ რაზმებს მჭიდრო კავშირში ადგილობრივ სარდლობასთან. ამავე დროს პოლონეთის მიწა-წყალზე საბჭოთა ადამიანები წინააღმდეგობის მოძრაობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ პოლონურ რაზმებში მონაწილეობით, დამოუკიდებელ საჯარისო ნაწილებში და სადესანტო-სადივერსიო ჯგუფებში, რომლებიც მტრის ღრმა ზურგში მოქმედებდნენ.

საბჭოთა ადამიანთა შორის, რომლებიც პოლონეთში ფაშისტებს წინააღმდეგ იბრძოდნენ, საკმაოდ ბევრ ქართველს ვხვდებით. პოლონელთა წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველ მებრძოლთა მონაწილეობის საკითხი ჯერჯერობით სათანადოდ დამუშავებული არ არის. საერთო შრომებში, რომლებშიც ასახულია პარტიზანული მოძრაობის ისტორია, ცოტა მაგალითით როდია აღწერილი ქართველთა მოქმედებისა და თავგანწირვის შესახებ.

„გვარდია ლიუდოვას“ (სახალხო გვარდიის), „არმია ლიუდოვას“ (სახალხო არმიის) და გლეხთა ბატალიონების ოფიციალურ ცნობებში მრავლად არის აღნიშნული პოლონეთის პარტიზანულ რაზმებში ქართველების საბრძოლო მონაწილეობის შესახებ. მაგრამ ეპიზოდური ხასიათის მასალებიდან, რომლებიც დიდი რაოდენობითაა გაფანტული სხვადასხვა წყაროში, ძნელია შეიქმნას გამოკვეთილი და ერთიანი სურათი.

პრეტენზიას არ ვაცხადებთ, რომ ამ თემას ამოვწურავთ, ის თავის ავტორს ელოდება. ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ, თუმცა არასრული, მაგრამ, ჩვენი აზრით, საინტერესო მაგალითები, რომლებიც ამოვკრიფეთ პოლონურად დაბეჭდილი შრომებიდან.

როგორც საბჭოთა კავშირის, ისე პოლონეთის საარქივო ფონდებში ბევრი უცნობი ფაქტი მოიპოვება ისტორიკოსებისათვის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დღეს არ შეიძლება ამ თემაზე რაიმეს დაწერა. პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ ამის შესახებ წერა აუცილებლად საჭიროა, აგრეთვე, დავაინტერესოთ ქართველი და პოლონელი ისტორიკოსები, რათა მათ შეისწავლონ ყველა ხელმისაწვდომი წყარო, რომლებშიც მოიპოვება ჩვენთვის საინტერესო მასალა.



ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის პირველსავე დღეებში პოლონეთის ტერიტორია დაიფარა სამხედრო ტყვეთა ბანაკების ფართო ქსელით. სინამდვილეში ეს იყო სასიკვდილო ბანაკები, სადაც კვების უკმარისობისა და სამედიცინო დახმარების დიდად ნაკლებობის გამო, ამასთან ერთად არაადამიანური შრომის შედეგად, ბანაკში გამომწყვდეულები მასობრივად იხოცებოდნენ. ზოგიერთ ბანაკში სიკვდილიანობა აღიოდა თვეში 25%-მდე, ზამთრის ყინვების დამდეგს კი ეს პროცენტი უფრო მატულობდა. პოლონელები გულგრილად ვერ უყურებდნენ ჰიტლერელთა მხეცობას. სამოქალაქო მოსახლეობა არაორგანიზებულად უწყევდა მრავალმხრივ დახმარებას ტუსაღებად ქცეულ ტყვეებს. აწვდიდა საჭმელს, ტანსაცმელს, ხელს უწყობდა მათ გაქცევებს. არსდებოდა სამხედრო ტყვეებისათვის დამხმარე კომიტეტები. იმათ, ვინც სამხედრო ტყვეებს ეხმარებოდა, ჰიტლერელები სიკვდილით სჯიდნენ. მაგრამ ვერც მუქარა, ვერც სასჯელი ვერ აკავებდა მოსახლეობის მისწრაფებას დახმარებოდნენ ტყვეებს. ეს მხარდაჭერა და ზრუნვა არა მარტო იზრდებოდა და ფართო ხასიათს იღებდა არამედ მეტ წარმატებასაც აღწევდა. ბანაკებიდან გაქცეულები მიჰყავდათ განმარტოებულ ადგილებში, მალავდნენ სოფლებში და კერძო ბინებში, თუმცა ამისათვის მათ სიკვდილით დასჯა ელოდათ. შემდეგ ისინი გადაჰყავდათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე — უკრაინასა და ბელორუსიაში.

ომის დასაწყისში, აღმოსავლეთში გერმანელთა დროებით წარმატებების პერიოდში, პოლონელებს მძიმე და დათრგუნვილი განწყობილება ჰქონდათ, მაგრამ ისინი არ კარგავდნენ რწმენას, რომ ჰიტლერელები საბოლოოდ დამარცხდებოდნენ.

კონსპირაციულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ ლონდონის ბურჟუაზიულ მთავრობაზე, მიიღეს ბრძანება იარაღით ხელში მდგარიყვნენ შანამ, ვიდრე მდგომარეობა არ გამოირკვეოდა.

პოლონეთის პოლიტიკური წრეების მარცხენა ფრთას მეთაურობდნენ კომუნისტები, რომლებიც 1941 წელს ჯერ კიდევ შეუუკავშირებლად მოქმედებდნენ, აყალიბებდნენ ადგილობრივ კომიტეტებს.

მაგრამ 1941—42 წლების გარდატეხის პერიოდში ლონდონის მთავრობას აღარ შეეძლო, შეეკავებინა თავის მომხრეთა უკიდურესი ფრთის გამოსვლები. ამოქმედდნენ ტყეში გასული პოლონეთის არმიისა და გლეხთა ჯგუფები. ასეთ რაზმებში ჩვენ ვხვდებით, აგრეთვე, საბჭოთა მოქალაქეებსაც. შემდგომ ისინი აყალიბებდნენ თავიანთ ცალკეულ რაზმებსაც, ან უერთებოდნენ იმ შენაერთებს, რომლებსაც პოლონელი კომუნისტები და გლეხების მემარცხენე მოღვაწეები ხელმძღვანელობდნენ.

ბელორუსიასა და უკრაინაში ბანაკებიდან გაქცეულთა გადასვლები გამრავლდა.

თავდაპირველად ადგილობრივი მოსახლეობის მითითებით გადადიოდა სამ-ოთხკაციანი ჯგუფები პოლონელ გამყოლთა თანხლებით. 1942 წლიდან გადადიოდნენ ჯგუფები, რომლებშიც 20—30 კაცი შედიოდა, ამათი ნაწილი შეიარაღებული იყო. ეს გადასვლები გრძელდებოდა პოლონეთის მიწების სრულ განთავისუფლებამდე.

პირველი ქართველი პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობის რიგებში უნდა იყოს მაიორი გიორგი დუბაშვილი. ბელოსტოკის ქუჩის ბრძოლებში დაჭრილი მეომარი მოათავსეს კაზიმირ იულიანოვიჩის ბინაზე, სადაც მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

ძნელა იძის ვარკვევა, თუ ვინ იყო ანტიფაშისტური წრის შექმნის ინიციატორი, რომელსაც უფრო მოგვიანებით ხელმძღვანელობდა ალექსანდრე რაკოვეცი, დუბაშვილი თუ იულიანოვიჩი. ამ წრეში დუბაშვილმა ჩამოაყალიბა სადივერსიო ჯგუფი. აგვისტოში ჯგუფმა ააფეთქა საწვავით სავსე ცისტერნა ბელოსტოკის სატვირთო სადგურზე. იმავე აგვისტოში მოაწყო თავდასხმა პიტლერელ შუსტერზე, რომელიც სდევნიდა და ძარცვავდა მოსახლეობას. ამ თავდასხმის დროს გაჩაღდა შეტაკება, რომელშიც დუბაშვილი დაიჭრა და მალე გარდაიცვალა.

1942 წლიდან მუშაობა დაიწყო პოლონეთის მუშათა პარტიამ. მან მოუწოდა პოლონეთის მოსახლეობას და ბანაკებიდან გაქცეულ საბჭოთა მეომრებს ჩამოეყალიბებინათ პოლონური და საბჭოთა პარტიზანული რაზმები და შენაერთები. ასეთი იყო მაგალითად „კაზიკი ქართველის“ რაზმი, რომლის მეთაურიც იყო სიმონ ჩიქოვანი. პოლონელთა დახმარებით ის გაიქცა ნეპენროვს ბანაკიდან. რაზმში იყო 6 საბჭოთა ადამიანი და 15 პოლონელი. შემდეგ ამ რაზმის შემაღვენლობა გაიზარდა. ეს რაზმი უმთავრესად კრასნიცკის მარაში მოქმედებდა.

ზაფხულში „კაზიკი ქართველის“ რაზმმა გაანადგურა ძეჟოვიცის სამაზრო სამმართველო, შემდეგ მოსპო გერმანელთა დაცვა მიკულიში. რაზმი ხშირად უსაფრთხოდა პოლიციისა და ჟანდარმერიის პატრულებს, რასაც მუდამ წარმატებით აგვირგვინებდა. „კაზიკი“ შეეცადა რადომის რაიონში გადასულიყო, რადგან აცნობეს რომ იქ ერთ-ერთ სოფელში 1939 წლიდან შენახული იყო დიდძალი, იარაღი. ვისლაზე გადასვლის დროს რაზმს ცეცხლი დაუშინა გერმანელთა ჩასაფრებულმა ნაწილმა. მათ დიდი დანაკარგი ჰქონდათ. ჩიქოვანი უკან, ლიუბლინის სავოევოდოში დაბრუნდა, სადაც მოქმედებდა 1944 წლის თებერვლამდე — იქ ის შეუერთდა პოლკოვნიკ ვერშიგორას დაჯგუფებას.

„გვარდია ლიუდოვასი“ საბჭოთა მოქალაქეებს ხშირად ეკავათ მეთაურთა თანამდებობანი, რადგანაც მათ სამხედრო მომზადება ჰქონდათ. ისინი, აგრეთვე, ინსტრუქტორებადაც მუშაობდნენ, ატარებდნენ მეცადინეობებს ტყეებში იოწყობილ სამხედრო სკოლებში.

„გვარდია ლიუდოვასი“ ერთ-ერთ რაზმში, რომელიც ნოემბერში ჩამოყალიბდა და ვარშავის მახლობლად მოქმედებდა, ოფიცრებად იყვნენ გიორგი გუდაშვილი და ვალერიან ჭედიძე. რაზმში იყო 30 — 35 მებრძოლი. მათ მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი პეტრე ფინანსოვი, რის გამოც მას „პეტრეს რაზმს“ უწოდებდნენ. გმირული მოქმედების შედეგად გაიზარდა რაზმის პოპულარობა. 1943 წლის მარტში პეტრემ ბრძანება მიიღო, გადასულიყო ვიშკოვის რაიონში. სოფელ პობრატომთან შესვენების დროს გერმანელთა აგენტის დასმენით პარტიზანებს ალყა შემოარტყეს ჟანდარმეებმა. უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა რაზმის თითქმის მთელი შემადგენლობა, გადარჩა მხოლოდ ორი კაცი, რომლებმაც ალყას თავი დააღწიეს. დაიღუპნენ ოფიცრები გიორგი გუდაშვილი და ვალერიან ჭედიძე.

ლიუბლინის საოკეიდოსა და პოდლიასის პარტიზანულ მოძრაობაში საპატიო ადგილი უკავია „ვასკა ქართველის“ (ვასილ მანჯავიძის) რაზმს. 1942 წლის მარტში მან ჩამოაყალიბა რაზმი და „გვარია ლიუდოვასაგან“ მიიღო იარაღი. ის დამოუკიდებლად მოქმედებდა. ერთ პერიოდში იგი ირიცხებოდა, აგრეთვე, კოტოვსკის სახელობის საბჭოთა რაზმში, მაგრამ იუზეფოვზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ ხელახლა შექმნა დამოუკიდებელი რაზმი და წარმატებით თანამშრომლობდა სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფების პოლონურ რაზმებთან.

პოლონელ მოსახლეობაში მანჯავიძეს ჰქონდა მეკავშირეთა ქსელი, რომლის საშუალებით ის ადვილად ადგენდა ფაშისტთა ადგილსამყოფელს.

1943 წლის სექტემბერში მანჯავიძემ გლეხთა ბატალიონების რაზმთან ერთად სადგურ გოლეშთან ააფეთქა ამუნიციით დატვირთული მატარებელი. დეკემბერში რაზმი შეეცადა გაენადგურებინა პიტლერელთა გარნიზონი ტარნოვრადში, მაგრამ სრულ წარმატებას ვერ მიაღწია. ფაშისტთა ნაწილი ბუნეკ-რენში მიიშალა, პარტიზანებს არ გააჩნდათ საკმარისი ასაფეთქებელი მასალა.

თავისი მოქმედების განმავლობაში ამ რაზმმა ლიანდაგებიდან გადაყარა რამდენიმე მატარებელი და 4 ხიდი ააფეთქა. 1944 წლის თებერვალში მანჯავიძემ ცნობა მიიღო, რომ ვერშიგორა გადმოდიოდა პოლონეთის მიწაზე. სხვა საბჭოთა რაზმების მსგავსად იგი შეუერთდა ვერშიგორას.

უნდა აღინიშნოს, რომ 1944 წელს ფრონტის მოახლოების გამო შედარებით მეტი საბჭოთა მოქალაქე გადავიდა უკრაინასა და ბელორუსიაში. ამავე დროს პოლონეთში გაჩნდა საბჭოთა სადესანტო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ რევულარული ნაწილების ჯარისკაცები და ოფიცრები.

1943 წლამდე პოლონეთის რაზმებში ძირითადად იყვნენ ბანაკებიდან გამოქცეული საბჭოთა მოქალაქეები.

1943 წელს გერმანელებს დამცველ რაზმებში შეჰყავდათ სამხედრო ტყვეები და აყალიბებდნენ „ოსტლეგიონებს“. ამ დროს სამხედრო ტყვეებმა უკვე იცოდნენ, რომ ფაშისტები მარცხდებოდნენ აღმოსავლეთ ფრონტზე. ფიქრობდნენ, რომ „ოსტლეგიონებში“ შესვლა საშუალებას მისცემდა მათ, იარაღით ხელში გაქცეულიყვნენ. რასაკვირველია, მხედველობაში არ ვიღებთ ვლასოველთა მსგავს საზიზღარ მოღალატეთა ხროვას, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ფაშისტებს.

ყველაზე უფრო ხშირად „ოსტლეგიონის“ ქვეგანაყოფებში ჯგუფები დგებოდა იმ ადამიანებისაგან, რომლებიც მზად იყვნენ გასაქცევად. ჯერ თითო-ორი კაცი დეზერტირობდა, ისინი კავშირს ამყარებდნენ პარტიზანებთან და აწვდიდნენ ცნობებს, სად და როდის დაელოდებოდნენ სხვა ამხანაგებს. წესად ჰქონდათ, რომ უნდა გადასულიყვნენ იარაღით და ამუნიციით, თავიანთი უფროსების დახოცვის შემდეგ.

„არმია კრაიოვას“ „ოსეტას“ რაზმში მოქმედებდა ქართული მსროლელი ქვეგანაყოფი. შემდეგ ეს რაზმი გადავიდა „მარიანსკის“ ქვეგანაყოფში, მაგრამ 1943 წლის სექტემბერში, საბჭოთა მოქალაქეების დევნის გამო, ქვეგანაყოფის მეთაურმა ყაზბეგმა მადლობა გადაუხადა „მარიანსკის“ აღმოჩენილი დახმარებისათვის და იძულებული გახდა სხვაგან გადასულიყო. ყაზბეგის ქვეგანაყოფი ერთ ხანს მოქმედებდა „გვარდია ლიუდოვას“ ქვეგანაყოფთან ერთად, შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ გაემართა.



1943 წლის ივლისში ქართველების დიდი ჯგუფი ოზენიცის მახლობლად ბანაკიდან გამოიყვანა „გვარდია ლიუდოვას“ „იანკას“ რაზმმა. ისინი ყველანი იბრძოდნენ ამ რაზმში, მაგრამ შემდეგ მათ გამოთქვეს სურვილი, შეერთებოდნენ საბჭოთა პარტიზანებს. ისინი გადაიყვანეს ვისლაზე, მაგრამ ქართველები პოლონელ გამცილებლებთან ერთად ამოხოცა იქ ჩასაფრებულმა უკიდურესად რეაქციულმა ბანდამ — „ორლიკმა“.

1943 წლის 4 ივნისს კონონოვიჩის სახელობის რაზმის „ოსტლეგიონის“ ბანაკზე თავდასხმის დროს 18 შეიარაღებული ქართველი პარტიზანებთან გადავიდა. ისინი ივლისის დამლევამდე მონაწილეობდნენ რაზმის მოქმედებაში, აგვისტოში კი, „გვარდია ლიუდოვას“ სარდლობის ბრძანებით შევიდნენ იანკინისკის რაზმში და განაგრძობდნენ ბრძოლას.

1943 წლის ნოემბერში 21 ქართველი, რომლებიც „ოსტლეგიონში“ ირიცხებოდა, მთელი საომარი აღქურვილობით სოფ. კონსკისში გადავიდა ბარტომ გლავაცის რაზმში, რომელიც ჩამოყალიბდა კინცის საოფეოდროში.

პირველი გაქცევის რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ერთმა 10 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა მიატოვა „ოსტლეგიონი“. მათ მოკლეს 2 ოფიცერი და 3 უნტეროფიცერი. გლავაცის რაზმში პოლონელებს ერთხანს ქართველები სჭარბობდნენ კიდევ რიცხოობრივად.

დიდი თავდასხმა მოაწყო ამ რაზმმა მედნეის თემში გაგზავნილ დამსჯელ ექსპედიციაზე. ეს რაზმი წარმატებით ატარებდა სხვადასხვა აქციებს ტრანსპორტზე, აფეთქებდა სარკინიგზო ნაგებობებს. შემდეგ რაზმი გადავიდა რადომის ოლქში.

საპატიო სახელი და დიდება მოიპოვეს ქართველებმა იან სონტის გლეხთა დაჯგუფებებში (იგივე „ოსკას დაჯგუფება“).

ზაკუევიდან ილჟეცის მახრაში „ოსკასთან“ გადავიდა 7 ქართველი გუშაგი. ისინი შალვა გოგებაშვილის მეთაურობით შევიდნენ „ბაცას“ — ვოიტუნიაკის რაზმში, როგორც დამოუკიდებელი მსროლელი ათეული და მონაწილეობას იღებდნენ ყველა მნიშვნელოვან აქციაში. განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს ცეპელევი პოლიციის რაზმზე თავდასხმის დროს. ამ ბრძოლაში დაიჭრა ქართველი ქვეგანყოფის მეთაური შალვა გოგებაშვილი. ის მოათავსეს „ბაცას“ მშობლების სახლში, სადაც მას დიდი მზრუნველობით უვლიდნენ, სანამ არ გამოჯანსაღდა. 1944 წლის მარტის ბოლოს „ბაცამ“ და ქართველმა ილია გაბრიელის ძემ ერთად დაზვერეს სკარიშევის რაიონი. ვვიან ღამით ისინი დასაძინებლად გაჩერდნენ სოფელ ბოროევიში. დადლილ პარტიზანებს ეძინათ თითქმის შუადღის 12 საათამდე, ამ დროს კი უანდარმთა რაზმი ცხრილავდა სოფელს. იმ სახლის პატრონები, რომელშიც პარტიზანები იყვნენ, უანდარმების დანახვაზე გარეთ გამოცვივდნენ. ამან ჰიტლერელთა ყურადღება მიიქცია. „ბაცამ“ და „სერჟანტიმ“ (ილია გაბრიელის ძის ფსევდონიმა) გადაწყვიტეს შებრძოლებოდნენ. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა „სერჟანტი“, „ბაცა“ კი, რომელიც ხელის ტყვიამფრქვევის ცეცხლით თავს იფარავდა, სოფლის ნაგებობათა შორის მოხერხებულად გაუსწლტა უანდარმებს და ტყემდე მიიბრინა, რითაც თავი გადაირჩინა.

ილია გაბრიელის ძის სიკვდილმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა რაზმის პირად შემადგენლობაზე. იმ დღიდან „ბაცა“ ახალგაზრდა პარტიზანებს

დაღუპულ ილია გაბრიელის ძეს, როგორც ჯარისკაცული სიმამაცის მაგალითს, ისე უხსენებდა.

1944 წლის ზაფხულში ფრონტის ხაზი ვისლაზე განმტკიცდა. ფრონტის მახლობლად შეიქმნა ფაშისტთა ჯარების დიდი დაჯგუფება, რის გამოც პარტიზანული ბრძოლების წარმოება ძალზე გაძნელდა.

„ოსკას“ დაჯგუფებამ გადაწყვიტა „არმია ლიუდოვასა“ და საბჭოთა რაზმებთან ერთად გაერღვია ფრონტის ხაზი და საბჭოთა ტერიტორიაზე გადასულიყო. ამ ერთიან დაჯგუფებაში ათასზე მეტი მებრძოლი იყო.

27 — 28 ოქტომბერს ღამით ამ დაჯგუფებამ გაარღვია ფრონტის ხაზი. ვზაზე ბევრი საბჭოთა მებრძოლი გმირულად დაეცა, მათ შორის ქართველებიც იყვნენ, რომლებიც იბრძოდნენ „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“.

ყველაზე დიდი პარტიზანული ოპერაცია პოლონეთის ტერიტორიაზე მოხდა ლიბსკის, იანოვსკისა და სოლსკის ტყეებში. იგი ჩაატარეს „არმია ლიუდოვასა“, საბჭოთა პარტიზანებისა და „არმია კრაიოვას“ „კონარას“ რაზმებმა. პარტიზანთა ძალები 3000 მებრძოლს აღწევდა, ოპერაცია კი გაგრძელდა 11-დან 25 ივნისამდე. ამ ოპერაციას ჰქონდა დიდი საერთო-საარმიო მნიშვნელობა, ვინაიდან იგი აკავებდა ჰიტლერელთა 3 დივიზიას იმ მომენტში, როდესაც დაიწყო ბელორუსიის ოპერაცია.

ამ ბრძოლებში მამაცურად ეჭირათ თავი ქართველ პარტიზანებს.

მეტყვიაიმფრქვევე მეთოდე ადგიმვილი შეუენელებელი ცეცხლით აკავებდა მტრის ძეწკვისებურ წინსვლას და დაჭრილი სიკვდილამდე იფარავდა ამხანაგების უკუსვლას. ოცეულის მეთაური ამბროსი ყვავაძე პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა პარტიზანებს კონტრშეტევებზე გადასვლების დროს და არ დაუშვა, რომ გერმანელები ორგანიზებულად უკან დახევამდე შეჭრილიყვნენ პარტიზანთა მიერ დაკავებული ტერიტორიის სიღრმეში.

გერმანელთა დამსჯელმა რაზმებმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს. ჰიტლერელებმა ვერ შეძლეს პარტიზანთა დაჯგუფებების განადგურება, ბრძოლებში კი დიდი დანაკარგები ჰქონდათ. პარტიზანთა ზარალი არც თუ ძალიან დიდი, მაგრამ მაინც საგრძნობი იყო. სხვებზე რომ არ ვილაპარაკოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფელ ლისკოს მახლობლად გმირულად დაიღუპა მსროლელი ათეულის მეთაური იოსებ ჩუმაკიძე.

ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ყველა ქართველი პარტიზანის გვარი და მამაცური თავგანწირვის ეპიზოდები, რაც მათ პოლონეთის მიწა-წყალზე გადაიტანეს. ჩვენ წარმოვადგინეთ მხოლოდ რამდენიმე გმირული მაგალითი, ჩვენს მიწაზე მებრძოლი ქართველებისა, რომლებიც იბრძოდნენ პოლონეთის განთავისუფლებისათვის.

კვლევის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, სამწუხაროდ, ჩვენ ზუსტად ვერ დავასახელებთ ვერც საერთო რაოდენობას იმ ქართველებისას, რომლებიც პოლონეთის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ვერც ყველა მამაცურ საქმეს, მაგრამ ვიცით, რომ ყველამ, რომელთა შესახებაც თანამონაწილეებს შერჩათ მესხიერებაში, თავდადებულად მოიხადა საერთო მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ინტერნაციონალური ვალი.

პოლკოვნიკმა იულიან ტობიაშმა საარქივო მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ 1943 წლის მეორე ნახევარში „გვარდია ლიუდოვაში“ ირიცხებოდა (ქვემოდასახელებული რიცხვები არც ზუსტია, არც სრული): ზავიმ ჩორნის

რაზმში — 6 ქართველი, ჩახოვსკის რაზმში — 15, ბარტოშ გლოვაცკის რაზმში — 30 (ერთ პერიოდში ამ რაზმში ქართველები რიცხვით სჭარბობდნენ პოლონელებს), მარიან ლანჩევიჩის სახ. რაზმში — 11 ქართველი, პორუჩიკ გრონჩევსკის (პშეპიურკა) რაზმში — 28 ქართველი, სოვინსკის რაზმში — 6 ქართველი, ცნობილია, რომ „გვარდია ლუდოვას“ სხვა რაზმებშიც იყვნენ ქართველები, მაგრამ მათი რაოდენობის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. გლახთა ბატალიონების „ოსკას“ დაჯგუფებაში 1944 წლამდე იყო 30-ზე მეტი ქართველი მებრძოლი, იმავე წლის ივლისიდან კი, როდესაც მას არალოვის ჯგუფი შეუერთდა, დაახლოებით 30—40 ქართველი მებრძოლი იყო. „პაპუგის“ რაზმშიც 6 ქართველი ირიცხებოდა.

იმავე დროს დამოუკიდებლად მოქმედ საბჭოთა რაზმებში, რომლებიც პოლონეთის მიწა-წყალზე იბრძოდნენ, რამდენიმე ათეული ქართველი მებრძოლი იმყოფებოდა, ჩვენ მიერ ნახსენებ მანჯავიძის რაზმში კი ქართველები პირადი შემადგენლობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ.

ჩვენი აზრით, სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრეფილი ეს ფაქტები აშკარად გვიჩვენებენ იმ საძირკველს, რომლისგანაც წარმომდგარია ჩვენი დღევანდელი მეგობრობა. იგი ისახებოდა მძიმე ბრძოლებში, რომლებიც წარმოებდა პოლონელი ხალხისა და საბჭოთა ხალხების არსებობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად. იგი მტკიცდებოდა პირისისხლიან მტერთან ერთობლივი ბრძოლით, იგი გაძლიერდა სოციალისტურ მშენებლობაში და ჩვენ ვხედავთ ეს მეგობრობა როგორი სიდიადით მიისწრაფვის წინ პროგრესისა და ეკონომიური აღმავლობისაკენ.

### პოლონურიდან თარგმნა გურამ ზედგენიძემ

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ

იოსებ უთუხარავილი

მიწის რენტის ფორმები საქართველოს სოფელში

(XIX ს-ის 70-იანი წლები — 1917 წ.)

რენტის ამა თუ იმ სპეციფიკური ფორმის გაბატონებული მდგომარეობა ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ქვეყნის აგრარული წყობისა. ამიტომ, ბუნებრივია ის დიდი ყურადღება, რასაც მიწის რენტის საკითხი იმსახურებს.

კ. მარქსი მიუთითებს, რომ ყოველი მიწის რენტა ზედმეტი ღირებულებაა, ზედმეტი შრომის პროდუქტია<sup>1</sup>, რომელსაც გადაუხდიან სახნავი მიწისათვის, ტყისათვის და ა. შ. თავის განუვითარებელ ფორმაში, რენტის ნატურალურ ფორმაში, იგი ჯერ კიდევ უშუალოდ არის ზედმეტი პროდუქტი<sup>2</sup>. მიწის რენტის მითვისება ის ეკონომიური ფორმაა, რომელშიც მიწის საკუთრების რეალიზაცია ხდება. კ. მარქსი მიწის რენტას მიწის საკუთრების თანამედროვე (ე. ი. კაპიტალისტური ეპოქის) ფორმად მიიჩნევს<sup>3</sup>.

ჩვენში კაპიტალიზმი ვითარდებოდა ისეთ პირობებში, როცა მემამულეთა და ნაწილობრივ, გლეხთა მიწის საკუთრება საკუთრების გაბატონებული ფორმა იყო. ეს გარემოება აძნელებდა კაპიტალის სოფლის მეურნეობაში შეღწევას. ამ სიძნელის გადალახვას კაპიტალი ახდენდა ისეთი შემოვლითი გზით, როგორცაა მიწის დაგირავება და მეექვსეობა<sup>4</sup>. ამასთან ადგილი ჰქონდა მიწის იჯარით გაცემას კაპიტალის მქონე პირებზე. ამ გზებით მიმდინარეობდა მიწის მესაკუთრისაგან მიწის ჩამოცილების პროცესი.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა მიწაზე ბურჟუაზიული საკუთრების ფორმირება. მემამულეთა მიწის სულ უფრო მეტი რაოდენობა გადადის სოფლის ბურჟუაზიისა, აგრეთვე ქალაქის ვაჭრებისა და მრეწველების ხელში. მიწის კაპიტალისტური საკუთრება იზრდება აგრეთვე წვრილ და საშუალო გლეხმწარმოებელთა გადატაკების შედეგად, როცა მათი მიწები კაპიტალისტთა ხელში გადადის.

საგლეხო რეფორმის მომდევნო ხანაში მემამულეები მიწის მონაპოლიურ საკუთრებას განახორციელებენ. რეფორმის შემდეგ საქმე გვაქვს სახეცვლილ ფეოდალურ საკუთრებასთან. ბატონყმობის დროს მიწის საკუთრების ეკონომიური რეალიზაცია ფეოდალურ ექსპლუატაციას ემყარება, რეფორმის შემდეგ კი (შესასწავლ პერიოდში) — ძირითადად კაპიტალისტურ ექსპლუატაციას. ამ დროს სულ უფრო ფართოვდება მიწის სავაჭრო ბრუნვა, იზრდება ფულით ნაყიდი კერძო მესაკუთრული მიწის ფართობი.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 218.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 218.

<sup>3</sup> К. Маркс, Теория прибавочной стоимости (IV том Капитала), часть II, М. 1957, гв. 5.

<sup>4</sup> ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, თბ., გვ. 391.

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან 1917 წლამდე ჩვენში არსებობდა მიწის საკუთრების შემდეგი ძირითადი ფორმები: 1) მიწის კერძო კაპიტალისტური საკუთრება, 2) მემამულეთა მოდიფიცირებული ფეოდალური საკუთრება, 3) წვრილკლესური (პარცელური) მიწის საკუთრება, 4) სახელმწიფო (სახაზინო) მიწის საკუთრება.

იმ შემთხვევაში, როცა მემამულური მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზეა გარდაქმნილი, მიწათმფლობელი ერთდროულად კაპიტალისტი მეწარმეცაა, მეურნეობას ძირითადად დაქირავებული შრომით წარმართავს, — მეურნეობაში მიღებული მთელი საშუალო მოგება, ისევე როგორც მიწის რენტა, მის ჯიბეში იყრის თავს.

შესასწავლი პერიოდის საქართველოს სოფელში სოციალური ბუნების მიხედვით გაირჩევა მიწის რენტის ორი ძირითადი სახეობა — კაპიტალიზმამდელი (ფეოდალური) და კაპიტალისტური.

ფეოდალურსა და კაპიტალისტურ რენტას საერთო და განმასხვავებელი ნიშნები გააჩნია. მათ საერთო ისა აქვთ, რომ ორივე წარმოადგენს მიწის საკუთრების რეალიზაციის ეკონომიურ ფორმას და გამოხატავს ექსპლუატაციის მატარებელი ურთიერთობების არსებობას<sup>5</sup>. განსხვავება ფეოდალური რენტასა და კაპიტალისტურ რენტას შორის მდგომარეობს შემდეგში: ფეოდალური რენტა გამოხატავს წარმოებით ურთიერთობებს ფეოდალებსა და გლეხებს, ე. ი. ორ კლასს შორის, ხოლო კაპიტალისტური რენტა — სამ კლასს შორის — მიწის მესაკუთრეთა, კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შორის. ფეოდალური რენტა ემყარება უშუალო ბატონობისა და მორჩილების ხასიათის ურთიერთობას, გარეეკონომიურ იძულებას, ხოლო კაპიტალისტური რენტის ბაზაა კაპიტალისტური ექსპლუატაციის ურთიერთობანი. ფეოდალური რენტა შეიცავს ზედმეტ პროდუქტს, ზოგჯერ — ყმა გლეხის აუცილებელი პროდუქტის ნაწილსაც. კაპიტალისტური რენტა ზედმეტ ღირებულებაში საშუალო მოგების ნამატია.

კ. მარქსი დაწვრილებით განიხილავს ფეოდალური რენტის ფორმებს, მას შრომამიგებითი რენტა რენტის უმარტივეს და თავდაპირველ ფორმად მიაჩნია. „რენტის ამ ყველაზე მარტივ და ყველაზე თავდაპირველ ფორმას<sup>6</sup> ის შემდგენიარად ახასიათებს: „უშუალო მწარმოებელი კვირის ერთი ნაწილის განმავლობაში ფაქტიურად მის კუთვნილ მიწას ამუშავებს იმ სამუშაო იარაღებით (გუთანა, პირუტყვი და სხვ.), რომელნიც მასვე ეკუთვნის ფაქტიურად ან იურიდიულად, ხოლო კვირის დანარჩენ დღეებში მიწათმფლობელის მამულში მუშაობს მუქთად მიწათმფლობელისათვის<sup>7</sup>. ამ შემთხვევაში რენტა და ზედმეტი ღირებულება არა მარტო იდენტურნი არიან, არამედ ზედმეტ ღირებულებას მიღებული აქვს ზედმეტი შრომის ფორმა.

მიწის რენტის შემდგომ და უფრო განვითარებულ ფორმას წარმოადგენს რენტა პროდუქტებით. ის გულისხმობს უშუალო მწარმოებლის მაღალ კულტურულ დონეს, მამსადაამე, მისი შრომისა და საერთოდ საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ დონეს. იგი იმით განსხვავდება წინანდელი ფორმისაგან, რომ ზედმეტი შრომა აღარ სრულდება უკვე მისი ნატურალური სახით.

<sup>5</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 217.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 412.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 409.

მიწის მესაკუთრის, ან მისი წარმომადგენლის ზედამხედველობისა და იძულებიან ქვეშე. პირიქით, უშუალო მწარმოებელმა ეს ზედმეტი შრომა უნდა შეასრულოს თავისი პასუხისმგებლობით, რასაც მას, ნაცვლად უშუალო იძულებისა, ურთიერთობათა ძალა აკეთებინებს<sup>8</sup>. ამ დროს წარმოება მებატონის მამულის ნაცვლად თვით მის მიერვე ექსპლუატირებულ მიწაზეა მოწყობილი. ამ ურთიერთობაში უშუალო მწარმოებელი თავისი სამუშაო ძალის გამოყენებას თვითონ განაგებს, თუმცა ამ სამუშაო დროის ერთი ნაწილი კვლავ მუქთად ეკუთვნის მიწის მესაკუთრეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მიწის მესაკუთრე მას უკვე მისი საკუთარი ნატურალური ფორმით კი არ ღებულობს, არამედ იმ პროდუქტის ნატურალური ფორმით იღებს, რომლისიც ეს დრო ხორცეულდება. მწარმოებლის შრომა თავისთვის და შრომა მიწის მესაკუთრისათვის აღარ არის განცალკევებული ერთიმეორისაგან დროისა და სივრცის მიხედვით<sup>9</sup>. უშუალო მწარმოებელს შესაძლებლობა ეძლევა, გაუწიოს ექსპლუატაცია სხვის შრომას<sup>10</sup>.

რენტა პროდუქტებით მისი წმინდა სახით გულისხმობს უწინდებურად ნატურალურ მეურნეობას, თუმცა მას გადმონაშთის სახით შეუძლია განაგრძოს არსებობა უფრო განვითარებულ წარმოების წესსა და წარმოებით ურთიერთობაშიც<sup>11</sup>.

ფეოდალურ ფულად რენტას კ. მარქსი განიხილავს, როგორც პროდუქტებით რენტის უბრალო მეტამორფოზას<sup>12</sup>. ისევე როგორც რენტა პროდუქტებით, თავის მხრივ, მხოლოდ გარდაქმნილი შრომამიგებითი რენტაა. პროდუქტის ნაცვლად უშუალო მწარმოებელმა მიწის მესაკუთრეს (სახელმწიფო იქნება ის, თუ კეძო პირი) პროდუქტის ფასი უნდა გადაუხადოს. ამგვარად, უკვე აღარ კმარა პროდუქტის ნამეტის მიღება პროდუქტისავე ნატურალურ ფორმაში, არამედ რენტა ნატურალურის ნაცვლად ფულად ფორმას იღებს. ახლა უშუალო მწარმოებელი პროდუქტის ერთ ნაწილს საქონლის სახით აწარმოებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარმოების წესის ხასიათი მეტ-ნაკლებად იცვლება. ეროვნული მასშტაბით მიმდინარე პროდუქტებითი რენტის გადაქცევა ფულად რენტად გულისხმობს ვაჭრობის, მრეწველობის, საერთოდ საქონელწარმოებისა და ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვან განვითარებას<sup>13</sup>.

ფულადი რენტა ფეოდალური რენტის უკანასკნელი და ამასთანავე მისი დაშლის ფორმაა. „თავის შემდგომ განვითარებაში ფულად რენტას აუცილებლად მივყევართ, — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ შუალედ ფორმებს, როგორც, მაგალითად, წვრილ გლეხურ მოიჯარეთა ფორმას, — ან მიწის თავისუფალ გლეხურ საკუთრებად გადაქცევამდე, ანდა წარმოების კაპიტალისტური წესის ფორმამდე, იმ რენტამდე, რომელსაც კაპიტალისტური მოიჯარე იხდის“<sup>14</sup>.

ამგვარად, განვითარებულ ფულად რენტას მივყევართ კაპიტალისტურ რენტამდე. რადგანაც „რენტა ფულადი რენტის სახით შეიძლება განვითარ-

8 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 415—416.

9 იქვე, გვ. 416.

10 იქვე, გვ. 417.

11 იქვე, გვ. 416.

12 იქვე, გვ. 418.

13 იქვე, გვ. 419.

14 იქვე, გვ. 420.

დეს მხოლოდ საქონელწარმოების საფუძველზე, უფრო სწორად — კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე და იგი ვითარდება იმ ზომით, რა ზომითაც სამიწათმოქმედო წარმოება საქონელწარმოებად იქცევა<sup>15</sup>.

ფეოდალური მიწის რენტის გადასვლა კაპიტალისტურ რენტაზე მიმდინარეობს ფეოდალური წარმოების წესიდან კაპიტალისტურ წესზე გადასვლის საფუძველზე.

კაპიტალიზმის დროს მიწის რენტის ორი ძირითადი ფორმა არსებობს: დიფერენციული და აბსოლუტური. კაპიტალიზმი შეუძლებელია არსებობდეს დიფერენციული რენტის გარეშე, მაგრამ მისი არსებობა შესაძლებელია აბსოლუტური რენტის გარეშე. აბსოლუტური რენტის შექმნის მიზეზია მიწაზე კერძო საკუთრების მონაპოლის არსებობა, დიფერენციული რენტისა კი — მიწაზე, როგორც კაპიტალისტური მეურნეობის ობიექტზე, მონაპოლია.

დაქირავებული სასოფლო-სამეურნეო მუშები კაპიტალისტ მოიჯარეებზე ჰყიდნიან თავის სამუშაო ძალას, რაც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად. დაქირავებული მუშების შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელიც იყოფა საშუალო მოგებად, რაც კაპიტალისტ მოიჯარეებს რჩებათ, და მიწის რენტად, რასაც მოიჯარე მიწათმფლობელს უხდის. ამგვარად, მიწის რენტას ქმნის არა ბუნება, არამედ ადამიანთა ურთიერთობა. დიფერენციული რენტა, როგორც წესი, მიიღება უკეთესი და საშუალო მიწებიდან, ხოლო აბსოლუტური რენტა ყოველგვარი მიწებიდან.

დიფერენციულ რენტას ვხვდებით წვრილგლეხურ მეურნეობაშიც, მაშინ როცა მიწა გლეხის საკუთრებაა. პარცელური საკუთრების დროს არსებობს დიფერენციული რენტა, „მხოლოდ იგი იმ გლეხის ჯიბეში მიდის, რომლის შრომის რეალიზაციაც უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში ხდება“<sup>16</sup>.

\* \* \*

საქართველოში შრომამიგებითი რენტის შესატყვის ტერმინს საბატონო ბეგარა წარმოადგენს, ხოლო პროდუქტადი და ფულადი რენტისა (მარცვლეულის წარმოებაში) — ღალა. ვენახიდან მიღებულ პროდუქტად რენტას კულუხი ეწოდებოდა.

ღალა ორგვარი იყო: 1) როცა ნათესის ფართობზე რენტის რაოდენობა წინასწარ იყო განსაზღვრული. მაგალითად, დღიურზე ერთი კოდი, ერთი მანეთი ან მეტ-ნაკლები. ეს იყო ე. წ. ფიქსირებული ღალა, რომელიც რენტის გადამხდელის მეტ სამეურნეო დამოუკიდებლობას გულისხმობდა; 2) როცა რენტის სიდიდე (უსათუოდ სულადით და არა ფულით) წინასწარ არ იყო განსაზღვრული და ცნობილი. მხოლოდ დადგენილი იყო ის, თუ მოსავლის რა ნაწილი უნდა აეღო მიწის მებატრონეს (ვთქვათ მეოთხედი, მესამედი, ნახევარი). ღალის ამ ფორმას „წილზედ ჰერა“ ეწოდებოდა<sup>17</sup>.

\* \* \*

რენტის საკითხებზე მსჯელობისას მკვლევრები, ბუნებრივია, ცდილობენ იმის გამორკვევას, თუ რენტის რომელი ფორმა სჭარბობდა რევოლუციამდე საქართველოში. რეფორმამდელი ხანის რენტულ ურთიერთობაზე გა-

15 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 222.

16 იქვე, გვ. 429.

17 ი. ჰავჭავაძე, თხზ., სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 15.

მოთქმული დასკვნითი ხასიათის მოსაზრებები ძირითადად შემდეგი სახისაა: ა. ფანცხავას აზრით, XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს სოფელში წამყვანი იყო რენტა პროდუქტებით, ხოლო 1859 წლის მონაცემების გათვალისწინების შედეგად ა. ფანცხავა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კატეგორიის გლეხთა მიმართ ფულადი რენტა ზდება რენტის გაბატონებულ ფორმად<sup>18</sup>.

ბ. ანთელავა საქართველოს სახელმწიფო გლეხთა რენტული ურთიერთობების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ამ კატეგორიის გლეხთა ბიუჯეტში XIX ს-ის პირველ ნახევარში საბატონო ბეგარას, ანუ შრომამიგებით რენტას შედარებით უმნიშვნელო ადგილი ეკავა. ამავე ავტორის აზრით, საბატონო ბეგარა შედარებით ფართოდ იყო გავრცელებული მემამულეთა მეურნეობებში<sup>19</sup>.

დ. გოგოლაძის დაკვირვებით, რეფორმის წინა ხანაში საქართველოს სოფელში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა შრომამიგებით რენტას. მას მოსდევდა პროდუქტადი რენტა, ხოლო ფულადი რენტა სულ ბოლო ადგილზე იყო<sup>20</sup>.

რეფორმის შემდეგი ხანის რენტულ ურთიერთობებზე ასევე საყურადღებო მოსაზრებანია გამოთქმული.

კ. ორაგველიძე ფიქრობდა, რომ რეფორმის შემდეგი ხანის საქართველოს სოფელში საიჯარო ქირის გადახდა უმეტესად შრომითა და პროდუქტებით ხდებოდა<sup>21</sup>.

პ. გუგუშვილს მიაჩნია, რომ „გლეხსა და მემამულეს შორის საიჯარო დამოკიდებულებაში მიწის იჯარის ქირის პროდუქტის სახით გადახდა გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა მიუღეს ამიერკავკასიაში თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე“<sup>22</sup>. რაც შეეხება ფულადი რენტის ხვედრით წონას, პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ „იჯარის ქირის ფულადი საზღაური ამიერკავკასიაში ვრცელდება 1860—1870-იანი წლებიდან“<sup>23</sup>. „მაგრამ ფულადი რენტა მაინც არ იყო ფართოდ გავრცელებული თვით 1900-იან წლებშიაც“<sup>24</sup> — დაასკვნის ავტორი<sup>24</sup>.

ბ. მირცხულავას აზრით, XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისის „საქართველოში იჯარის გაბატონებული ფორმა ნატურალური იჯარა იყო“<sup>25</sup>.

<sup>18</sup> А. Я. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии. М., 1957, гл. 210, 218, 277; მისივე: Вопросы аграрной истории Грузии первой половины XIX в. Тб., 1973, гл. 299.

<sup>19</sup> И. Г. Антелива, Государственные крестьяне Грузии, т. I, Тб., 1969, гл. 347, 348.

<sup>20</sup> დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფოდალურ ხანაში, თბ., 1971, გვ. 170—171.

<sup>21</sup> К. Орагвелидзе, К вопросу о развитии капитализма в сельском хозяйстве Закавказья. „История классовой борьбы в Закавказье“ (Сб. статей), 1930, гл. 15-16.

<sup>22</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეში, ტ. II, თბ., 1956, გვ. 697.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 704.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 705.

<sup>25</sup> ბ. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წლებში, თბ., 1964, გვ. 79.



ა. ბენდიანიშვილი 1965 წელს გამოცემულ ნაშრომში მიუთითებს, რომ „XIX ს-ის დასასრულისათვის საიჯარო ურთიერთობაში პროდუქტადი და ფულადი რენტის მასშტაბი თითქმის თანაბარი იყო და შეიმჩნეოდა ფულადი რენტის შემდგომი გაფართოების ტენდენცია“<sup>26</sup>. იგივე ავტორი 1970 წელს დაბეჭდილ ნაშრომში აღნიშნავს, რომ „XIX ს-ის საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა ნატურალურიდან ფულად რენტაზე გადასვლის პროცესი... საერთოდ საქართველოში XIX ს-ის 70-იანი წლებიდან უკვე რამდენადმე სჭარბობდა ფულადი რენტა და იგი ამჟღავნებდა სრული გაბატონების ტენდენციას“<sup>27</sup>.

როგორც ვხედავთ დასახელებულ ავტორთა მოსაზრებანი მიწის რენტის საკითხებზე, ხშირად ურთიერთსაპირისპიროა. ისტორიოგრაფიაში უპირატესად იმის გარკვევის ცდას ვხვდებით, თუ ფეოდალური რენტის რომელი ფორმა სჭარბობდა (რაც, რა თქმა უნდა, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია), ხოლო ძალზე იშვიათად და ისიც გაკვრით გვხვდება მსჯელობა იმის შესახებ, თუ რევოლუციამდელ საქართველოში როგორი შეფარდება არსებობდა ფეოდალურსა და კაპიტალისტურ რენტას შორის.

გარდა ამისა, რენტული ურთიერთობების საკითხის გარკვევისას არაიშვიათად მხოლოდ საიჯარო ურთიერთობებიდან ამოვლივართ, ანდა ამ ურთიერთობებს მხოლოდ მემამულესა და გლეხს შორის არსებულ საიჯარო ურთიერთობების მიხედვით ვსაზღვრავთ. საკითხის ასეთი წესით განხილვა გამართლებული იქნებოდა მიწის მხოლოდ მემამულური საკუთრება რომ არსებულიყო, ადგილი რომ არ ჰქონოდა მიწების დაგირავებას. მაგრამ რაკი ჩვენში მემამულეთა საკუთრების გარდა მიწის საკუთრების სხვა ფორმებიც არსებობდა (გარდა მემამულეებისა მიწის სხვა მესაკუთრეებიც მიმართავდნენ მიწის იჯარით გაცემას), ხოლო მემამულეთა მიწების დაგირავება ფართოდ იყო გავრცელებული, — რენტის საკითხების შესწავლისას საჭიროა, აგრეთვე, ამ ვითარების გათვალისწინება.

შესასწავლ პერიოდში გვხვდებოდა მიწის რენტის მითვისების შემდეგი ფორმები: მიწის საიჯარო ქირა; მიწათმფლობელთა შემოსავალი დროებით ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა სანადელო მიწებით სარგებლობისათვის; შემოსავალი, რასაც კერძო მფლობელთა მიწებზე მცხოვრები სახელმწიფო გლეხებისგან იღებდნენ მიწის იურიდიული მესაკუთრეები; იპოთეკური სესხის პროცენტები და საადგილმამულო სახელმწიფო გადასახადი.

\* \* \*

1. ს ა ნ ა დ ე ლ ო მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა. ბატონყმობის გაუქმებისას შექმნილი დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი საქართველოში მხოლოდ 1912 წლის 20 დეკემბრის კანონით გაუქმდა. მემამულეებისა და დროებით ვალდებულ გლეხთა ურთიერთობის სახით საქმე გვაქვს მიწათსარგებლობის თავისებურ ფორმასთან. ნადელის გამოსყიდვამდე გლეხი მიწის მხოლოდ ნომინალურ მესაკუთრედ ითვლებოდა, ხოლო ფაქტიურ მესაკუთრედ მემამულე რჩებოდა.

<sup>26</sup> ა. ბენდიანიშვილი, აგარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 46.

<sup>27</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 343—344.

აღმოსავლეთ საქართველოს დროებით ვალდებულმა გლეხებმა 1865 წლიდან 1904 წლამდე გამოისყიდეს 17 452 დეს. სანადელო კულტურული მიწა. 1904 წლისათვის გამოუსყიდავი რჩებოდა 58 866 დეს. კულტურული მიწა<sup>28</sup>.

დასავლეთ საქართველოს დროებით ვალდებულ გლეხებს<sup>29</sup> 207 523 დეს. სანადელო მიწა ჰქონდათ. დაახლოებით 1901 წლისათვის მათ გამოუსყიდიათ 144041 დეს., ხოლო გამოუსყიდავი რჩებოდა 63 482 დეს.<sup>30</sup>.

სანადელო მიწებით სარგებლობისათვის, დებულების თანახმად, ჩვენი დროებით ვალდებული გლეხები მემამულეებს რენტას უშთავრესად პროდუქტადი და ფულადი სახით უხდიდნენ<sup>31</sup>.

1890 წლისათვის თბილისის გუბერნიაში დროებით ვალდებული გლეხები იხდიდნენ ფულად გადასახადს: საკარმიდამო ნაკვეთებისათვის 16 502 მანეთს, ბალ-ვენახებისათვის 295 მანეთს, სახნავ-სათესისათვის — 21 264 მანეთს, სულ 38061 მანეთს<sup>32</sup>. ხოლო პროდუქტებით რენტა — კულუხი (ფულზე გადაყვანით) შეადგენდა: — 271 527 მანეთს, ღალა კი — 110 646 მანეთს. სულ სანადელო სარგებლობისათვის დროებით ვალდებული გლეხები იხდიდნენ როგორც ფულად რენტას, ისე პროდუქტად რენტას (ფულზე გადაყვანით) — 420 234 მანეთს. ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს დროებით ვალდებული გლეხები სანადელო მიწებით სარგებლობისათვის იხდიდნენ რენტას პროდუქტადი სახით (ფულზე გადაყვანით) — 382 173 მან., ანუ დაახლოებით 91%-ს, ხოლო ფულადი სახით — 38 061 მან., ანუ დაახლოებით 9%-ს.

ქუთაისის გუბერნიაში (ცნობებია ოთხ მაზრაზე: შორაპნის, ოზურგეთის, ლეჩხუმის, რაჭის) დროებით ვალდებული გლეხები სანადელო მიწებით სარგებლობისათვის იხდიდნენ რენტას ფულადი სახით — 109 177 მანეთს (30%), პროდუქტებით (ფულზე გადაყვანით) — 256 127 მან. (70%)<sup>33</sup>.

II. ხიზნური ურთიერთობა მიწის მესაკუთრეებისათვის (ამ შემთხვევაში ესანი ძირითადად მემამულეებია) რენტის მიღების კიდევ ერთ არსს წარმოადგენდა. ხიზნობა, როგორც მიწათსარგებლობის ფორმა, ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს ჩამოყალიბდა. მიწათსარგებლობის ხიზნური ფორმა, გლეხთა დროებით სავალდებულო ურთიერთობებთან შედარებით გულისხმობდა მწარმოებელთა უფრო ფართო უფლებრივ პირობებს.

XIX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისისათვის ხიზნებს სჭერიათ კულტურული მიწები თბილისის გუბერნიაში 28 384 დეს., ქუთაისის გუბერნიაში —

<sup>28</sup> Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях. Под ред. ф. Г. Гогичайшвили, Тифлис, 1910, გვ. 430-431.

<sup>29</sup> აქ არ შედის აფხაზეთი, ვინაიდან რეფორმიდან 4 წლის შემდეგ სანადელო მიწები გლეხებს საკუთრებად გადაეცათ. არ შედის აჭარა, რადგან იქ დროებით ვალდებული გლეხები არ იყვნენ.

<sup>30</sup> Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, СПб. 1904, № 107, 110. 120-121.

<sup>31</sup> Полное собрание законов Российской империи, Собрание второе, т. XXXIX, Отделение второе, 1864, СПб. 1867; №41350, §137; т. XL, Отделение второе, 1865, СПб, 1867, №42551, §65, 69, 70, 72, 74.

<sup>32</sup> Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, под ред. Е. Кондратенко, Тифлис, 1899, Приложение II, გვ. 150-151.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 163—177.

6 136 დეს., სულ — 34 520 დესეტინა. 1910 წლისათვის ხიზანთა განკარგულებაში ყოფილა 26 748 დეს. (თბილისის გუბ. — 21 621 დეს., ქუთაისის გუბ. — 5 127 დეს.)<sup>34</sup>.

ხიზნები მიწათსარგებლობისათვის მიწის მესაკუთრეებს უხდიდნენ რენტას: ფულთი, პროდუქტებით, შრომით. გასული საუკუნის 80-იანი წლების ცნობებით, თბილისის გუბერნიის ხიზნების 4 095 კომლი პროდუქტებისა და შრომის გარდა იხდიდა 54 451 მანეთს წლიურად. ფულს არ იხდიდა 2 679 კომლი<sup>35</sup>.

III. რენტული ურთიერთობანი არსებობდა აგრეთვე, ერთი მხრივ, მიწის მესაკუთრეთა და, მეორე მხრივ, მათ მიწებზე მცხოვრებ სახაზინო მიწის არმქონე სახელმწიფო გლეხებს შორის. მათ სარგებლობაში ყოფილა 51 877 დეს. კულტურული მიწა და 61 987 დეს. ტყე და საძოვარი. სულ 113 864 დეს.<sup>36</sup>

1870 წ. 14 მაისის დებულებით, კერძო მფლობელთა მამულებში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები სანადელო მიწებით სარგებლობისათვის იხდიდნენ პროდუქტად რენტას და ფულად რენტას<sup>37</sup>.

საერთოდ რენტული ურთიერთობანი, ერთი მხრივ, მიწის მესაკუთრეებსა და, მეორე მხრივ, დროებით ვალდებულ გლეხებს, ხიზნებსა და კერძო-მფლობელთა მიწებით მოსარგებლე სახელმწიფო გლეხებს შორის გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსათვის მოიცავდა დაახლოებით 416 846 დეს. მიწას (აქედან კულტურული მიწები — 212 159 დეს., ტყე და საძოვარი — 204 687 დეს.)<sup>38</sup>.

ამავე დროს უმთავრესად დროებით ვალდებულ გლეხთა მიერ ნადელების გამოსყიდვის შედეგად მიწის ამ ფონდის ოდენობა თანდათან მცირდება. გამოსყიდული მიწის ფართობი საქართველოში XX ს-ის დასაწყისში, შეადგენდა 161 493 დესეტინას.

1912 წ. 20 დეკემბრის კანონით დროებით ვალდებულ გლეხთა ჯერ კიდევ გამოუსყიდავი სანადელო მიწები და კერძო მფლობელთა მიწებით მოსარგებლე სახელმწიფო გლეხთა სანადელო მიწები გლეხებს საკუთრებად გადაეცა. ამიერიდან (1913 წ. 1 იანვრიდან) ვიდრე 1917 წლის ზაფხულამდე ამ მიწების გამოსყიდ ფასს გლეხები უკვე სახელმწიფო ხაზინას უხდიდნენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფულადი სახით.

IV. მიწის იჯარა. ამ შემთხვევაში მიწის მესაკუთრეები რენტას საიჯარო ჭირის სახით იღებენ. პრაქტიკულად მიწის რენტად გვევლინება ყოველივე ის, რასაც მოიჯარე მიწის მესაკუთრეს უხდის მიწის დამუშავების ნებართვისათვის<sup>39</sup>.

შესასწავლი პერიოდის საქართველოს სოფელში მიწას იჯარით გაცემდნენ მემამულეები, გლეხები, მამულის მქონე ვაჭრები, მრეწველები და სხვა

<sup>34</sup> С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, Тифлис, 1920, გვ. 152.

<sup>35</sup> Сборник статистических данных..., გვ. 18.

<sup>36</sup> Материалы..., გვ. 107.

<sup>37</sup> Полное собрание законов Российской империи, Собрание второе, т. XLV; отделение первое, 1870, СПб., 1874, №48557, §72.

<sup>38</sup> ცნობები ქუთაისის გუბერნიის ხიზნების შესახებ ემყარება 1882 წლის მონაცემებს.

<sup>39</sup> ე. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 206.

კერძო პირები, ხაზინა და საუფლისწულო უწყება. მოიჯარებოდ გვევლინებიან სოფლის და ნაწილობრივ ქალაქის თითქმის ყველა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები, უპირატესად კი გლეხები.

ჩვენში მემამულეთა მიწების უდიდესი ნაწილი იჯარით გაიციმოდა<sup>40</sup>.

1900-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს მემამულეთა განკარგულებაში ყოფილა 992 ათასი დესეტინა მიწა (კულტურული მიწები — 210 998 დეს., ტყე და საძოვარი — 781 216 დეს)<sup>41</sup>. ქუთაისის გუბერნიის თვადანაწილობას ეკუთვნოდა 495 125 დეს. (კულტურული მიწები — 78 082 დეს., ტყე და საძოვარი — 417 043 დეს.)<sup>42</sup>.

მემამულეთა მიერ იჯარით გაცემული სახნავი მიწის ფართობის დადგენაში ერთგვარი დახმარების გაწევა შეუძლია გაანგარიშებას, რომლის მიხედვითაც მემამულური მეურნეობების ხვედრითი წონა აღმოსავლეთ საქართველოს მარცვლეთის წარმოებაში XIX ს-ის დასასრულს დაახლოებით 12—15%-ს უდრიდა<sup>43</sup>. თუ გავიხსენებთ იმას, რომ XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში ნათესების საერთო ფართობი დაახლოებით 350—400 ათას დესეტინას უდრიდა, გამოვა, რომ მემამულეები საკუთარი სახნავ-ნათესი მიწების საერთო ფართობიდან (170 826 დეს.) უშუალოდ თვითონ ამუშავებდნენ დაახლოებით 42—60 ათას დესეტინას, ხოლო დანარჩენს, ე. ი. 110—130 დესეტინას, იჯარით გაცემდნენ. ეს უკანასკნელი ციფრი უნდა დაზუსტდეს, რადგანაც მთელი სახნავი მიწები ყოველწლიურად არ იხენებოდა, მათი ერთი ნაწილი, დაახლოებით 1/4—1/5 მოუხნავი რჩებოდა, — ამ მიწებს ასვენებდნენ. ასე რომ მემამულეთა მიერ იჯარით ყოველწლიურად დაახლოებით 85—100 ათასი დეს. სახნავი მიწა გაიციმოდა; მემამულეთა კუთვნილი საძოვრების საერთო ფართობიდან (357 ათას დეს.)<sup>44</sup>, ჩვენს ვარაუდით, იჯარით იყო გაცემული დაახლოებით 250—300 ათასი დეს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს მემამულეთა მიერ იჯარით გაცემული მიწის ფართობს, ამ მხრივ 1900-იანი წლების დასაწყისისათვის, რაიმე ვარაუდის გამოთქმის საშუალება არ გავაჩნია.

1917 წლისათვის საქართველოს კერძო მფლობელ მეურნეობებს (მათ შორის იგულისხმება მემამულეთა მეურნეობები) ეკუთვნოდათ 513 945 დეს. ყველა სახის საეარგული. აქედან, მათ იჯარით ჰქონიათ გაცემული 139 141 დეს. (68 904 დეს. კულტურული მიწა, 70 537 დეს. საძოვარი)<sup>45</sup>, ანუ მთელი მიწების 27%.

მიწას იჯარით გაცემდნენ მამულის მქონე მრეწველებიც. მაგალითად, ძმები სტეფანე და დავით გაბრიელის ძე მირზოეეების „ბაიდარის“ მამულის

<sup>40</sup> თბილისის გუბერნატორის 1887 წლის ანგარიშში აღნიშნულია: „В губернии больших хозяйств весьма немного и не потому, чтобы не было помещиков, владеющих обширными пространствами земли, а собственно вследствие того, что помещики в огромном большинстве отдают свои поля в аренду крестьянам“ (საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი—შემდგომი შემოკლებით: „სტსსა“, ფონდი 17, საქმე 9036ა, 1888 წ., ფურც. 2).

<sup>41</sup> Сборник статистических сведений..., გვ. XI.

<sup>42</sup> იქვე, გვ. LXXX—LXXXI.

<sup>43</sup> ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 1, გვ. 204.

<sup>44</sup> Сборник статистических сведений..., გვ. XI-XII.

<sup>45</sup> 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის მახრობრივი ჯამები, ტფილისი, 1922.

(2058 დეს.) ექსპლუატაცია იჯარის წესით ხდებოდა. აქ იჯარა მოკლევადიანი იყო. საიჯარო ქირას ფულით ან პროდუქტებით იხდიდნენ<sup>46</sup>.

ხაზინის მიერ იჯარით გაიცემოდა ე. წ. საღალო მუხლები (სახაზინო საიჯარო მუხლები) დაახლოებით 45 ათასი დესეტინა (თბილისის გუბერნიაში — 41 175, ქუთაისის გუბერნიაში — 3 725). ამ მიწებიდან 80-იანი წლების შუახანებში ხაზინა 49 639 მანეთს იღებდა. იჯარით გაიცემოდა სახაზინო საძოვრები (450 118 დეს.) — 64 610 მანეთად<sup>47</sup>.

ამგვარად, XIX ს-ის 80-იან წლებში და შემდეგაც ხაზინა იჯარით გასცემდა სხვადასხვა სახის სავარგულებს, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 495 ათას დეს. უდრიდა.

მიწის იჯარით გაცემას საუფლისწულო უწყებაც მიმართავდა. მაგალითად, 1895 წლისათვის მუხრანის საუფლისწულო მამულში სახნავი მიწები 1 240 დეს. შეადგენდა. აქედან ნახევარი (616 დეს.) ჯავნარით ყოფილა დაფარული და მისი გამოყენება არ ხერხდებოდა. დანარჩენი მიწა კი გლეხებზე იჯარით გაიცემოდა<sup>48</sup>. 1906 წლის ცნობით ვიაურარხის საუფლისწულო მამული იჯარით გასცემდა 9 ათას დესეტინა საძოვარს, წელიწადში 14 751 მანეთად<sup>49</sup>.

ბორჩალოს მაზრის სოფ. სარჩანეთის 110 გლეხურ კომლს საუფლისწულო უწყებისაგან იჯარით ჰქონია აღებული 1 300 დეს. მიწა. ამ მიწით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა განუწყვეტლივ მატულობდა. სახელდობრ, გასული საუკუნის 90-იან წლებში საიჯარო ქირა წლიურად 800 მანეთს უდრიდა, 1904 წლისათვის კი 2 ათას მანეთამდე გაზრდილა.

იჯარით მიწას გასცემდნენ გლეხებიც, როგორც ჩანს, უფრო გლეხობის დაბალი ფენები, თუმცა ვგვხვდება მიწის იჯარით გაცემა გლეხთა ზედა ფენების მიერაც<sup>50</sup>.

საფიქრებელია, რომ გლეხთა ზედა ფენა თავისი მიწების ერთ ნაწილს იჯარით უფრო მაშინ გასცემდა, როცა ამ გზით აღწევდა მეტი ძალებისა და სახსრების განთავსუფლებას მეურნეობის უკეთ განვითარების მიზნით.

თუ რამდენი მიწა გაიცემოდა გლეხთა მიერ იჯარით, ამის შესახებ საერთო ხასიათის ცნობები გავაჩნია 1917 წლისათვის. ამ წლის საადგილმამულო აღწერამ უჩვენა, რომ საქართველოში (ბათუმის ოლქის გამოკლებით) გლეხურ კომლებს გააჩნდათ 746 538 დეს. ვარგისი მიწა. აქედან იჯარით იყო გაცემული 32 865 დეს. (32 671 დეს. კულტურული მიწა, 194 დეს. საძოვარი)<sup>51</sup>.

მოიჯარეთა შორის ყველაზე უფრო გლეხები გამოირჩევიან (იგულისხმება შათი ზედაფენა). 1917 წლის აღწერით გლეხებს იჯარით ჰქონიათ აღებული 171 389 დეს. მიწა, ხოლო კერძომფლობელ მეურნეობებს — 27 072 დეს<sup>52</sup>.

<sup>46</sup> სცსა, ფ. 351, ანაწერი 1, საქმე 136, 1906 წ., ფურც. 433.

<sup>47</sup> Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края. т. V, ч. II, з. 95, 223, 274—275.

<sup>48</sup> Центральный Государственный исторический архив СССР (в Ленинграде), ф. 515, опись 45, д. 55, л. I.

<sup>49</sup> სცსა, ფ. 351, ანაწერი 1, საქმე 137, 1906 წ., ფურც. 6—8.

<sup>50</sup> А. Аргутинский, Общинное землевладение в Борчалинском уезде, „Кавказское сельское хозяйство“, 1894, №43.

<sup>51</sup> 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის მაზრობრივი ჯამები, ტფალისი, 1922.

<sup>52</sup> იქვე.

საიჯარო ურთიერთობაში ვხვდებით სუბარენდას, განსაკუთრებით ხაზინის კუთვნილ, ე. წ. საღალო მუხლებს იჯარით გაცემისას. ასე ყოფილა, მაგალითად, თიანეთის მაზრაში, სადაც ვაჭრები საჯარო ვაჭრობისას ყოველ ღონეს ხმარობდნენ ხელში ჩაეგდოთ ეს მიწები, ხოლო შემდეგ წვრილი მწარმოებლებისაგან ჩვეულებრივზე უფრო მაღალი რენტა მიეღოთ<sup>53</sup>. ანალოგიური ვითარება იყო თელავის მაზრაში, სადაც გლეხთა ზედა ფენა იჯარით აღებულ მიწას თანასოფლელებზე გაცემდა, მხოლოდ უფრო მაღალ საიჯარო ქირას ახდევინებდა<sup>54</sup>.

იჯარით გაცემული მიწების რაოდენობის შესახებ ზემომოტანილი მონაცემები სხვადასხვა დროისაა და თანაც ყოველთვის არ გამოირჩევიან სისტემატულობით. რაკი ამაზე სისტემატური და უკეთესი მონაცემები არ გავაჩნია, ამიტომ შესაძლებლად ვთვლით მათ შეჯამებას, რათა ერთგვარი წარმოდგენა გვქონდეს საიჯარო მიწის ფონდის მოცულობაზე. ამ შეჯამების შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ხაზინის მიერ XIX ს-ის 80—90-იან წლებში იჯარით გაცემოდა 495 ათასი დეს. მიწა. ამას ემატება თბილისის გუბერნიის შემამულებების მიერ იჯარით გაცემული დაახლოებით 350—400 ათასი დეს. მიწა (85—100 ათასი დეს. კულტურული მიწა, 250—300 ათასი დეს. საძოვარი). ისე რომ XIX ს-ის დასასრულს საქართველოში (ბათუმის ოლქის გამოკლებით) იჯარით გაცემული მიწის რაოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ 830—895 ათასი დესეტინისა (130—145 ათასი დეს. კულტურული მიწები და 700—750 ათასი დეს. საძოვარი და საბალახო).

\* \* \*

XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის ვითარების ამსახველი ცნობების მიხედვით, ამიერკავკასიის გუბერნიებს შორის იჯარის ფულადი ფორმა განსაკუთრებით ხშირად გვხვდებოდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სადაც მოიჯარე გლეხები თვით მოუსავლიან წლებშიც ძალზე წესიერი გადახდევები ყოფილან<sup>55</sup>.

მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო იზრდება ფულადი რენტის ხვედრითი წონა. მაგალითად, კავკასიის სახაზინო პალატების მმართველთა 1910 წლის ნოემბრის თათბირის ცნობით, ქუთაისის გუბერნიაში შემამულებები შესაძლებლად უმთავრესად მამულების იჯარით გაცემის წესით იღებდნენ. „ამასთან, შეიმჩნევა ფულადი იჯარის დიდი უპირატესობა წილზე ქერასთან შედარებით. მაგალითად, კურიაში და ზოგიერთ მაზრაში ადგილი აქვს მხოლოდ ფულად იჯარას“<sup>56</sup>.

<sup>53</sup> სცსსა, ფ. 17, საქმე 3846, 1897 წ., ფურც. 94.

<sup>54</sup> Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказья, т. V, ч. I, № 90.

<sup>55</sup> „Особенно часто встречается денежная форма аренды в Тифлисской и Кутаисской губерниях, где арендаторы крестьяне... очень исправны в платежах по аренде, даже и в неурожайные годы“ (Материалы.... № 265).

<sup>56</sup> ქუთაისის გუბერნიაში „доход же от земли извлекается путем сдачи ее в аренду. В последнее пятилетие наблюдается при этом громадное преобладание денежной аренды над издольной, так что, например, в Гурии и в некоторых уездах практикуется уже только денежная аренда“ (სცსსა, ფ. 13, ანაწერი 23, საქმე 1938, 1911წ., ფურც. 25).

სიფრთხილისათვის დაევშვათ, რომ ფულად იჯარაზე გაიცემოდა მემამულეთა სახნავი მიწების მხოლოდ მესამედი და არა მეტი. ასეთი დაშვების შედეგად აღმოჩნდება, რომ XIX ს-ის დასასრულისათვის იჯარით გაცემული სახნავი მიწების საერთო ფართობიდან (85—100 ათასი დეს.) ფულზე გაიცემოდა დაახლოებით 25—30 ათასი დეს. მემამულეთა სახნავი მიწა. ფულზევე იყო გაცემული 45 ათასი დეს. სახაზინო საღალო შიწები და აგრეთვე საძოვრები (მემამულეების დაახლოებით 250—300 ათასი დეს., ხაზინისა—450 ათასი დეს.). ამგვარად, გამოდის, რომ იჯარით გაცემული მიწის საერთო ფართობიდან (830—895 ათასი დეს.) ფულზე იყო გაცემული დაახლოებით 750—800 ათასი დესეტინა, ანუ იჯარით გაცემული მიწების საერთო ფართობის დაახლოებით 90%.

რაკი ვიცით, რომ მომდევნო პერიოდში საიჯარო ურთიერთობებში საიჯარო ქირის ფულად ფორმას ზრდის ტენდენცია ახასიათებდა, ვფიქრობთ, 1917 წლისათვისაც ფულადი რენტის ხვედრითი წონა დასახელებულ 90%-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. მოუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ადგილი უნდა ჰქონოდა პროდუქტადი რენტის ხვედრითი წონის ერთგვარ ზრდას.

V. საიპოთეკო სესხის პროცენტები. იჯარისაგან განსხვავებით, როცა მიწის მესაკუთრისაგან მიწის გამოყოფის პროცესი ნათელია, იპოთეკის შემთხვევაში ეს გამოყოფა ბუნდოვანი და უფრო რთული სახისაა. „იპოთეკური სისტემის დროსაც, ისევე როგორც საიჯარო სისტემის დროს, რენტის მიმღებნი (=მიწათმფლობელები) გამოიყოფიან სამეწარმეო მოგების მიმღებთაგან (=სოფლის მეურნეთაგან, სოფლის მეწარმეთაგან)“<sup>57</sup>. ბანკიდან სესხის მიმღები მემამულე რჩება რამიწის ნომინალურ მესაკუთრედ, კი არ ჩამოსცილდება წარმოებას, არამედ მეურნეობას ხელმძღვანელობს. დაგირავებული მამულიდან რენტას იღებს მამულის ფაქტიური მესაკუთრე ბანკი და არა მემამულე, რომელიც იძულებულია, საშუალო მოგებით დაკმაყოფილდეს. თუ მიწას გლეხი აგირავებს, მაშინ ის კვლავ განაგრძობს მეურნეობრივ საქმიანობას, მაგრამ ფაქტურად მესაკუთრედ ითვლება უკვე კრედიტორი, რომელიც გლეხს პროცენტების სახით რენტას ახდევინებს.

ამგვარად, როგორც მიწის იჯარით გაცემისას იპოთეკის დროსაც არსებითად ერთსა და იმავე მოვლენასთან — მიწის ფაქტიური მეპატრონისაგან მიწის გამოყოფასთან — ვვაქვს საქმე. სესხის დაფარვის ვადის გადაცილების შემთხვევაში მამული ბანკის სრულ საკუთრებაში გადადის. იპოთეკის წყალობით, საბანკო კაპიტალი, მიწის ფონდის მნიშვნელოვან ნაწილზე თავის კონტროლს ამყარებს. ამავე დროს იპოთეკა სასოფლო სამეურნეო წარმოებაში კაპიტალდბანდების ერთ-ერთი ძირითადი არხია.

შესასწავლ პერიოდში საქართველოში იპოთეკის გავრცელება ასე წარმოგვიდგება: XIX ს-ის მიწურულისათვის საქართველოს მიწების საერთო ფართობი შეადგენდა 7 209 322 დეს. (თბილისის გუბ. — 3 815 261 დეს., ქუთაისის გუბერნია სოხუმისა და ბათუმის ოლქებით — 3 394 061 დეს.). აქედან კერძო საკუთრებაში ითვლებოდა 2 586 119 დეს. (თბილისის გუბ. — 1 413 535 დეს., ქუთაისის გუბ. — 1 172 584 დეს.).

რუსული საადგილმამულო კრედიტის დამაარსებელთა წარმომადგენლების ყრილობის კომიტეტის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ბანკებში 1898 წლის

<sup>57</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებები, ტ. 4, გვ. 131.

პირველი იანვრისათვის დაგირავებული ყოფილა კერძო მფლობელთა 2 529 მამული (თბილისის გუბ. — 827, ქუთაისის გუბ. — 1 702), რომელთა საერთო ფართობი 756 966 დეს. უდრიდა (თბილისის გუბ. — 710 099 დეს., ქუთაისის გუბ. — 46 867 დეს.). ეს დაგირავებული მიწები შეფასებული იყო 18 398 776 მანეთად, ხოლო დაგირავების გზით მიწის კერძო მფლობელებს მიღებული ჰქონდათ გრძელვადიანი სესხი 9 618 893 მანეთის ოდენობით<sup>58</sup>.

მასასაღამე, XIX ს-ის მიწურულისათვის საქართველოში კერძო მფლობელური მიწების (თავადაზნაურული მფლობელობა და არათავადაზნაურული მფლობელობა) საერთო ფართობის 29%-ის რენტა ბანკებს ხვდებოდათ წილად.

1913 წლის 1 იანვრისათვის დაგირავებული ყოფილა<sup>59</sup>:

თბილისის გუბერნიაში	სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკში	საკლესხო ბანკში	კერძო ბანკებში	სულ
ა) დაგირავებული მამულების რიცხვი	406	364	1 008	1 778
ბ) დაგირავებული მიწის ფართობი (დესტინა)	207600	79416	444 567	731 583
<b>ქუთაისის გუბერნიაში</b>				
ა) დაგირავებული მამულების რიცხვი	152	370	1 267	1 789
ბ) დაგირავებული მიწის ფართობი (დესტ.)	18406	1 276	34 383	54 065

ამგვარად, 1913 წლისათვის ორივე გუბერნიაში დაგირავებული ყოფილა 3 567 მამული, 785 648 დეს. ფართობით.

ამავე დროისათვის სახაზინო ბანკებს სესხად გაუციათ: — 9 245 246 მანეთი, კერძო ბანკებს — 5 679 588 მანეთი.

დაგირავებულ მამულთა შორის ფრიად მნიშვნელოვანი ყოფილა თავადაზნაურთა მამულების ხვედრითი წონა. მაგალითად, 1903 წლის 1 იანვრისათვის საადგილმამულო ბანკებში (სახელმწიფო სათავადაზნაურო და თბილისის სათავადაზნაურო) დაგირავებული იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის 1 004 მამული, რომელთა საერთო ფართობი უდრიდა 350 275 დეს. ვარვის მიწას (კულტურული მიწები 94 952 დეს., ტყე და საძოვარი — 255 323 დეს.). ეს მიწები შეფასებული იყო 14 483 122 მანეთად, ხოლო გაცემული სესხი 7 941 928 მან. შეადგენდა<sup>60</sup>. ისე რომ ნარტო ამ ბანკებში თავადაზნაურობას დაგირავებული ჰქონდა მამულების საერთო ფართობის 35%-ზე მეტი.

ამას გარდა, მთავარი ნოტარიალური არქივის მონაცემების თანახმად, 1904 წლამდე, აღმოსავლეთ საქართველოს კერძო მფლობელებს დაგირავებული ჰქონიათ კერძო პირებთან 370 847 დეს. მამულები (კულტურული მიწები 246 072 დეს., ტყე და საძოვარი — 124 775 დეს.). ამ დაგირავებული მიწებიდან თავადაზნაურობის ყოფილა 302 623 დეს., ხოლო სხვა კერძო მფლობელებისა — 68 224 დეს.<sup>61</sup>.

<sup>58</sup> Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под ред. Е. Кондратенко. Тифлис. 1902. გვ. 217-218.

<sup>59</sup> Сборник статистико-экономических сведений России и иностранных государств. 1914. გვ. 592.

<sup>60</sup> Сборник статистических сведений... გვ. 529.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 652.



აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მიერ დაგირავებული მიწების ხედრითი წონა კერძო მესაკუთრული მიწების საერთო ფართობის მიმართ განუწყვეტლივ იზრდებოდა და ის შეადგენდა: 1886 წელს — 45%-ს, 1899—წელს—50%-ს, 1901 წელს—53%-ს, 1912 წ.—54%-ს<sup>62</sup>.

კერძომფლობელური მიწების საერთო ფართობის მიმართ დაგირავებული მიწების შეფარდებითი ოდენობის მიხედვით, 1903 წლისათვის სტატისტიკა რუსეთის იმპერიის 68 გუბერნიას შვიდ ჯგუფად ყოფდა (I ჯგუფი—საერთო ფართობში დაგირავებული მიწის ოდენობა 70%-ს აღემატებოდა, II ჯგუფი—დაგირავებული იყო 50-70%, III ჯგუფი—40-50%, IV—30-40%, V—20-30%, VI—10-20%, VII—10% ნაკლები). თბილისის გუბერნია შედიოდა II ჯგუფში (54%), ხოლო ქუთაისის გუბერნია VII ჯგუფში (5%). აქვე აღვნიშნავთ, რომ ბაქოს გუბერნიაში დაგირავებული იყო 39%, ერევნის გუბერნიაში 20%, ელისავეტპოლის გუბერნიაში—5%<sup>63</sup>.

შედარებისათვის აგრეთვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ 1914 წლისათვის ევროპულ რუსეთში ბანკებში დაგირავებული იყო მემამულეთა მიწების დაახლოებით ნახევარი. ბანკებში მეტი მიწა ყოფილა დაგირავებული კაპიტალისტური მიწათმოქმედებით შედარებით განვითარებულ რაიონებში (ბალტიისპირეთი, სამხრეთი ველები, დნებრის მარჯვენა ნაპირის უკრაინა), ნაკლები—შრომამიგებითი მეურნეობის რაიონებში<sup>64</sup>.

ქუთაისის გუბერნიაში დაგირავებული მიწების პროცენტი, ვფიქრობთ, დაბალი იყო, უპირატესად აქაური თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობის მიწათმფლობელობის შედარებით სიწვრილის გამო.

VI. საადგილმამულო გადასახადი მიწის რენტის მითვისების ერთ-ერთ ფორმას და ეს მაშინ, როცა მიწის მესაკუთრე სახელმწიფოა<sup>65</sup>.

საქართველოში სახელმწიფო გადასახადს ყველა კატეგორიის გლეხი იხდიდა. ცნობილია, რომ სახელმწიფო გადასახადი სამი სახის შემოსავლისაგან იქმნება: პირდაპირი გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადი და ბაჟი<sup>66</sup>. ცხადია, სახელმწიფოს მიერ დაწესებული ყველა გადასახადი მიწის რენტა როდია, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენი დაკვირვების ობიექტს შეადგენს პირდაპირი გადასახადების ერთი სახეობა, ე. წ. საღალღო გამოსაღები (общественная подать), რომელსაც სახაზინო გლეხები იხდიდნენ სახელმწიფო სანაღლელო მიწებით სარგებლობისათვის.

საქართველოში მიწის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა (სახაზინო ტყეები, საძოვრები, სამხედრო უწყებებისა და

62 ს. ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში, ქუთაისი, 1920, გვ. 13.

63 Статистика долгосрочного кредита в России. 1903, вып. III, СПб., 1905, под ред. А. К. Голубева.

64 А. М. Анфимов. Крупное помещичье хозяйство Европейской России (конец XIX—начало XX века). Автореферат, М., 1966, გვ. 27.

65 ე. შარქი მიიჩნევს, რომ თუ გლეხს უპირისპირდება არა მიწის კერძო მესაკუთრე, არამედ სახელმწიფო, როგორც მიწის მესაკუთრე, მაშინ მიწის რენტა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვევა (ე. შარქისი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ., 2, გვ. 411).

66 მაგრამ არა უტყობოდან შემოტანილ, ან გატანილ საქონელზე დადებული ბაჟი, რომელიც არაპირდაპირ გადასახადთა ხაზით მიდის, არამედ, ვთქვათ, ბაჟი, რომელიც დადებულია ზომა-წონის ერთეულების შემოწმებისათვის, ბაჟი, რომელსაც სანოტარო კანტორა ახდევინებს საბუთების ასლების დამოწმებისათვის, მიწების გამიჭვანჭვ დადებული ბაჟი და ა. შ.

სხვა დაწესებულებებისათვის უფასო სარგებლობის წესით გადაცემული მიწები და სხვ.). სახელმწიფოს (ხაზინა) საკუთრებად აგრეთვე ითვლებოდა სახელმწიფო გლეხების სანადელო მიწები, რაც შეადგენდა 946 238 დეს. (თბილისის გუბ.—857 518,5 დეს, ქუთაისის გუბ.—88 719,4 დეს)<sup>67</sup>.

სახელმწიფო გლეხთა სახაზინო სანადელო მიწებში კულტურული მიწა იყო 417 399 დეს., ხოლო 528 839 დეს. დანარჩენი მიწა. ამ მიწებიდან სახელმწიფო იღებდა რენტას, რაც საადგილმამულო (საღალა) გამოსაღების სახით ხაზინაში შედიოდა.

ნ. ბეზაკის გამოანგარიშებით, 1842 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო გადასახადების 54,6% ნატურალური სახისა იყო, ხოლო 45,4%—ფულადი<sup>68</sup>. 1843—1845 წწ. საქართველოში გატარდა საგადასახადო სისტემის რეფორმა, — ამიერიდან ყველა სახელმწიფო გადასახადი ფულადი იყო<sup>69</sup>. სახელმწიფო (სახაზინო) მიწებით სარგებლობისათვის სახაზინო გლეხები რენტას, როგორც წესი, მხოლოდ ფულადი სახით იხდიდნენ. სახელმწიფო გლეხების მთელი გამოსაღები (მათ შორის მიწის რენტა) XIX ს-ის 80-იან წლებში შეადგენდა თბილისის გუბერნიაში — 791 393 მან<sup>70</sup>, ქუთაისის გუბერნიაში — 217 393 მანეთს<sup>71</sup>.

\* \* \*

განსახილველად აღებულ საკითხთა შორის ყველაზე ნაკლებად შესწავლილია რენტის ორი ძირითადი სახეობის — კაპიტალისტურისა და ფეოდალურის, ხვედრითი წონის საკითხი. უმთავრესი სიძნელე საერთო მასშტაბით განგარიშებისათვის საჭირო კონკრეტული მასალის უქმარობაში მდგომარეობს.

იმის შესახებ, თუ რენტის რომელ სპეციფიკურ ფორმასთან (კაპიტალისტურთან თუ კაპიტალიზმამდელთან) გვაქვს უპირატესად საქმე, პირველ რიგში, შეიძლება ვიმსჯელოთ მიწის საიჯარო ურთიერთობების ხასიათისა და სახელმწიფო გლეხთა ზედა ფენის ხელში სახაზინო სანადელო მიწების თავმოყრის ხარისხის მიხედვით.

1. მიწის იჯარის საკითხის განხილვისას საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მიწის იჯარა გულისხმობს ურთიერთობის ორ მკვეთრად განსხვავებულ ტიპს: ერთ შემთხვევაში მიწას იჯარით იღებენ იმისათვის, რომ ფული იშოვონ, ხოლო მეორე შემთხვევაში — გაჭირვების გამო<sup>72</sup>. პირველ შემთხვევაში მიწის იჯარა ატარებს სამრეწველო ხასიათს (მიწის ყიდვა პროდუქტის გასაყიდად)<sup>73</sup>. ეს არის კაპიტალისტური, მეწარმოებრივი იჯარა, რადგანაც დაქირავებული შრომის გამოყენებას ემყარება და მის მიზანს მოგების მიღება შეადგენს. მეორე შემთხვევაში იჯარა გაჭირვებით არის გამოწვეული. ეს არის ე. წ. სასურსათო, ანუ გლეხური იჯარა.

<sup>67</sup> Материалы..., გვ. 120-124.

<sup>68</sup> დ. გ. გოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

<sup>69</sup> ლ. გვახარია, სახელმწიფო ზეარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1960, გვ. 95; И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, I. Тб., 1969, гл. IV.

<sup>70</sup> Сборник статистических данных, Приложение I, გვ. 71.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 111.

<sup>72</sup> „В одном случае арендатор арендует, чтобы нажить деньги, в другом — из-за нужды“ (Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. XIII, 1555, გვ. 281).

<sup>73</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებები, ტ. 3, გვ. 143.

შესასწავლი პერიოდის საქართველოს სოფლის სინამდვილეში გვხვდებიან მოიჯარეებიც, რომლებიც მეურნეობას უპირატესად თავისი ოჯახის წევრთა შრომით წარმართავენ, ხოლო მიღებული პროდუქციის შედარებით მნიშვნელოვან ნაწილს ბაზრისათვის აწარმოებენ (ასე იყო, მაგალითად, მთამბაქოეობაში). გასაგებია, რომ ძალზე ძნელია ასეთი მეურნეობების ვამოყოფა მათგან, ვინც სასურსათო იჯარას მიმართავს, ან მათგან, ვისი იჯარაც კაპიტალისტურია. ამ წვრილ სასაქონლო მეურნეობას, იჯარას რომ მიმართავს, სასურსათო ხასიათის მეურნეობასთან საერთო ისა აქვს რომ ორივე შემთხვევაში მეურნე საქმეს თავისი შრომით წარმართავს. კაპიტალისტურ მეურნეობასთან მას საერთო ის აქვს, რომ პროდუქციას ბაზრისათვის აწარმოებს, თუმცა შედარებით ნაკლები მასშტაბით.

იჯარის ტიპის დასადგენად გასათვალისწინებელია არა მარტო იჯარით აღებული მიწის ფართობის სიდიდე, არამედ ისიც, თუ რა კულტურითა და კავებული ეს ფართობი. ისეთ სავარგულებზე, როგორცაა ვენახი, ხეხილის ბაღი, თამბაქოს ნათესი, საძოვარი — ძალზე ნაკლებად ვხვდებით სასურსათო იჯარას. მიწის ამ სავარგულებს იჯარით იღებდნენ იმისათვის, რომ მიწის გამოყენების შედეგად მიღებული პროდუქცია (მისი დიდი ნაწილი) სასაქონლოდ აქციონ. ესენი ან წვრილი სასაქონლო მეურნეობებია, ან სასაქონლო-კაპიტალისტური. ხელმოკლე გლეხს არ შეეძლო დასახელებული სავარგულების იჯარით აღება, რადგანაც ვაზის, ხეხილის, თამბაქოს პლანტაციების დამუშავება მნიშვნელოვანი თანხის დაბანდებს გულისხმობდა. საძოვრების იჯარას უპირატესად მსხვილი და საშუალო სიდიდის მესაქონლური მეურნეობები მიმართავდნენ.

მიწის დიდ ნაკვეთებს იჯარით იღებდნენ ეკონომიურად ძლიერი გლეხური კომლები და საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლები. მაგალითად, წარსული საუკუნის 80-იან წლებში ყვარლელ გლეხს ელროტე კუპრიაშვილს ყვარლის მთებში იჯარით ჰქონდა აღებული 1800 დეს. საძოვარი წელიწადში 267 მანეთად. გავაზის მთის საძოვარი 3 ათასი დეს. ფართობით, წელიწადში 663 მანეთად იჯარით აღებული ჰქონია თავად ალექსანდრე აბხაზს. ყვარელში მდებარე ვენახები იჯარით ჰქონიათ აღებული თელაველ მოქალაქეებს ბაღდასარ და მელქო აბრამოვებს<sup>74</sup>. დუშეთის მაზრის სოფ. ბატატიანთკარის. მცხოვრებ შიო ქავთარაძეს მცხეთელებისაგან იჯარით ჰქონია აღებული 70 დეს. საზამთრო საძოვარი 80 მანეთად, ხოლო სოფ. ზაქან მცხოვრებთაგან 70 დესეტინა საზაფხულო საძოვარი 60 მანეთად. სოფ. კობიანთკარის 3 კომლს აღებული ჰქონია 150 დეს. საზამთრო საძოვარი ხაზინისა 30 მანეთად, 150 დეს. საზაფხულო საძოვარი სოფ. ქოლოთის მცხოვრებთაგან 45 მანეთად<sup>75</sup>.

თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველის 1896 წლის აპრილის ცნობით, შირაქში მსხვილ მესაქონლეებს ხელში ჩაუგდიათ უზარმაზარი საძოვრები, რის გამოც წვრილი მესაქონლეები დიდად ზიანდებოდნენ<sup>76</sup>.

თუში, ფშაველი, მოხევე, მთიული და სხვა მესაქონლეები საძოვრების დიდ ფართობებს იღებდნენ იჯარით და მათი სამეურნეო საქმიანობა უმთავრესად ამ მიწებზე იყო გაშლილი. აღსანიშნავია, რომ კუჩინბახის კაპიტალის-

<sup>74</sup> Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказья. т. V, ч. I, 1887, გვ. 72-85.

<sup>75</sup> სცსსა, ფ. 414, საქმე 23, 1885—1887 წწ., ფურც. 78—85.

<sup>76</sup> სცსსა, ფ. 243, ანაწერი 6, საქმე 88, 1896წ., ფურც. 13, 18.

ტური მეურნეობა, XIX ს-ის 60-იან წლებში და შემდეგაც კარგა ხნის მანძილზე, იჯარით აღებულ მიწებზე იყო მოწყობილი.

ბორჩალოს მახრის სამი გლეხური კომლი 1905 წლისათვის იჯარით აღებულ მიწაზე აწყობს კაპიტალისტური ტიპის მეურნეობას. მათ ზუღადოვის ქვრივის ქვემო კარაბულახის მამული აუღიათ იჯარით. მოიჯარებენ განზრახული ჰქონდათ ამ მიწაზე აეგოთ ყველის ქარხანა, რისთვისაც ადგილზე მიუზიდიათ 2 ათასი მანეთის სამშენებლო მასალა. მათვე ნაყიდი ჰყოლიათ 400-ზე მეტი ძროხა, რაც 10 ათას მანეთზე მეტი დასჯდომიათ<sup>77</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ზვრებისა და ხეხილის ბაღების საზიარო წესით დამუშავება. საზიარო სისტემა, მართალია, მთლიანად არ თავსდება წმინდა საიჯარო ურთიერთობათა ჩარჩოებში, რამდენადაც მეურნეობის გაძლოლაში მამულის მეპატრონეც მონაწილეობდა, მაგრამ მამულის მოვლა-დამუშავების ეს სისტემა საიჯარო ურთიერთობის კაპიტალისტურ წესზეც მიგვანიშნებს. მოზიარე-მოიჯარეებს ამ გზით არც თუ ისე უმნიშვნელო თანხა რჩებოდათ. „ივერიის“ კორესპონდენტი 1901 წელს აღნიშნავდა, რომ რაჭველ მოზიარეთაგან კახეთში ზვრების დამუშავებით სახლში ზოგს 1 000 — 1 500 მანეთი მიუტანია<sup>78</sup>.

ანალოგიური მაგალითები შეიძლება გავამრავლოთ, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

საყურადღებოა ფ. მახარაძის დაკვირვება (1907 წ.), რომლის მიხედვითაც ჩვენში კაპიტალისტურ მეურნეობას და კაპიტალისტურ იჯარას მეღვინეობაში, მევენახეობაში, ხეხილის მოშენებაში, მესაქონლეობაში უკვე ჰყავდა „მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც ნამდვილ კაპიტალისტურ პირობებში აწარმოებდნენ თავიანთ საქმეებს“<sup>79</sup>.

ამასთან მარცვლეულის სასაქონლო წარმოების რაიონებშიც გლახთა ზედაფენა, მისი კაპიტალისტური ნაწილი, მნიშვნელოვანი მასშტაბით მიმართავდა იჯარას. ცნობილია, რომ ამ რაიონებში კულაკურ მეურნეობებს ათასობით ფუთი სასაქონლო მარცვლეული მოჰყავდათ როგორც სანადელო, ისე საკუთარ და იჯარით აღებულ მიწებზე. წყაროების განხილვას იმ დასკვნამდე მივყვართ, რომ მარცვლეულის მეურნეობაში მოიჯარეთა შორის რიცხობრივად სჭარბობდა წვრილი გლეხური მოიჯარეები, რომელთა მიზანს ოჯახისათვის საჭირო უშუალო მოხმარების პროდუქტების წარმოება შეადგენდა. წვრილი მოიჯარეები რომ ჩვენში რიცხობრივად სჭარბობდნენ, ამასი არაფერია გასაკვირი. ასე იყო თვით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში<sup>80</sup>.

არ მოიპოვება საერთო ხსიათის მონაცემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა ზუსტად დაგვედგინა სასურსათო და მეწარმობრივი იჯარის შეფარდებითი ოდენობა. მაგრამ იჯარის ამ ორი სახის შეფარდებაზე შეიძლება მაინც ვიჭონიოთ წარმოდგენა ზოგიერთი ლოკალური ხსიათის მონაცემის მიხედვით.

1901 წლის საბუთი ივეიჩვენებს, რომ კახეთის სოფ. მარილისის 11 გლეხურ კომლს გააჩნდა 52 დეს. სანადელო მიწა, 7,5 დეს. საკუთარი, ხოლო '88

77 სცსსა, ფ. 13, ანაწერი 7, საქმე 23, 1905—1907 წწ., ფურც. 3.

78 ვაზ. „ივერია“, 1901, № 235, გვ. 3.

79 ფ. მახარაძე, თხზ., ტ. VII, 1930, გვ. 35.

80 აშშ მოიჯარეთა შორის, 1950 წელს, წვრილი მოიჯარეები-კოოპერები 57%-ს შეადგენდნენ

დეს. იჯარით ჰქონდა აღებული. 11 კომლიდან მოიჯარე ყოფილა 9 კომლი. მაშ შორის 2 კულაქურ მეურნეობაზე მოდიოდა იჯარით აღებული მიწის დიდი ნაწილი — 52 დეს., ანუ იჯარით აღებული მიწის 59%<sup>81</sup>.

იმავე, 1901 წლისათვის ქართლის სოფ. ძალისის 27 გლეხური კომლის განკარგულებაში ყოფილა 156 დეს. სანადელო მიწა, 3,5 დეს. საკუთარი და 61 დეს. იჯარით აღებული მიწა (მასში 3 დეს. ბალ-ვენახი). მიწის მოიჯარე იყო 19 კომლი. გლეხთა ზედაფენას (5 კომლი) იჯარით აღებული ჰქონია მიწის 60%<sup>82</sup>.

ანალოგიურია სხვა მაჩვენებლებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ იჯარით აღებული მიწების კონცენტრაციას ახდენს გლეხთა ზედაფენა, რომლის ხელში იჯარას სამრეწველო, მეწარმოებრივი ხასიათი გააჩნია.

შესასწავლ პერიოდში მიწის საიჯარო ქირა მნიშვნელოვნად იზრდება. მაგალითად, საშემოდგომო ნათესებისათვის განკუთვნილი სარწყავი მიწის ერთ დესეტინაზე საიჯარო ქირა გაზრდილა 1900 წლიდან 1913 წლისათვის შემდეგი ოდენობით: თბილისის გუბერნიაში 9,5 მანეთიდან 16,9 მანეთამდე, ქუთაისის გუბერნიაში 17,3 მანეთიდან 39 მანეთამდე. საძოვრების საიჯარო ქირა, XIX ს-ის 80—90-იან წლებში, აღრინდელთან შედარებით, დაახლოებით ორჯერ გადიდებულა.

საიჯარო ფასების მკვეთრი ზრდა იმაზეც მიუთითებს, რომ სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების რამდენადმე მნიშვნელოვანი ფართობის იჯარით აღება, რომ არაფერი ვთქვათ ვენახებსა და ხეხილის ბაღებზე, შეეძლო მხოლოდ სოფლის ზედაფენას, სოფლის ბურჟუაზიას.

საერთოდ კი მიწის საიჯარო ურთიერთობაში კაპიტალისტური რენტის უპირატესობაზე მითითება, 1900-იანი წლების დასაწყისიდან მაინც, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია.

2. სახელმწიფო გლეხთა ზედა ფენის ხელში სანადელო მიწების თავმოყრის შესახებ.

ცნობილია, რომ რენტის ყოველი ფორმის წყაროა ზედმეტი შრომა. ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია იმის ჭარკვევა, თუ შესასწავლ პერიოდში ხაზინაში შესული რენტა ვისი ზედმეტი შრომით იქმნებოდა: კაპიტალისტურ საწყისებზე მოწყობილ მეურნეობებში დაქირავებული მუშების მიერ, თუ საკუთარ მეურნეობაში წვრილი გლეხის მიერ დახარჯული შრომის ნაწილი იყო. ამით შესაძლებლობა იქმნება დაზუსტდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რენტის რომელ სპეციფიკურ ფორმასთან გვაქვს საქმე: კაპიტალისტურთან თუ კაპიტალიზმამდელთან.

დასმულ კითხვაზე ყოველმხრივ დასაბუთებული პასუხის გაცემა ძნელია, თუმცა ზოგიერთი მონაცემების გათვალისწინებას ამ მხრივ მიახლოებითო წარმოდგენის შექმნა მაინც შეუძლია.

ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახაზინო სანადელო მიწები სახელმწიფო გლეხებს შორის ძალზე არათანაბრად იყო განაწილებული. ერთი და იმავე სოფლის სახელმწიფო გლეხებს შორის ვხვდებით მცირე მიწიანებსაც და სახაზინო ნადელების დიდი ფართობის მფლობელებსაც.

სანიმუშოდ ავიღოთ 1874 წლის ორი მონაცემი<sup>83</sup>. მაგალითად, სოფ. სა-

81 სცსა, ფ. 414, ანაწერი 2, საქმე 13, 1901, ფურც. 1—2.

82 იქვე, ფურც. 3—4.

83 სცსა, ფ. 26, ანაწერი 3, საქმე 1927, 1874—1880 წწ., ფურც. 23—35, 72—89.

გარეგნო სახელმწიფო გლეხთა შორის კომლზე 5 დესეტინამდე მიწის მფლობელი იყო ამ კატეგორიის გლეხურ კომლთა 21,8%, 20—30 დესეტინას ფლობდა 26,2%, 30 დესეტინაზე მეტს — 6,2%. ამ სოფელში იმ მიწის მფლობელთა ხელში, რომელთაც ათი დესეტინა მიწა ჰქონდათ დაახლოებით 1 250 დეს. მიწა ივარაუდება, ხოლო 20 დესეტინაზე მეტი მიწის მფლობელთა ხელში იყო დაახლოებით 3 ათასი დესეტინა მიწა. სოფ. მარტყოფში სახელმწიფო გლეხთა შორის სრულიად უმიწაწყო იყო კომლთა 5,3%, 5 დესეტინამდე ფლობდა — 15,5%, 20—30 დეს. — 10,2%, 30 დეს. მეტს — 3,4%. სოფ. მარტყოფის სახელმწიფო გლეხთა შორის, მათ ხელში, ვინც 10 დესეტინამდე მიწას ფლობდა, თავმოყრილი იყო დაახლოებით 1 160 დეს., ხოლო 20 დეს. მეტის მფლობელებს უნდა სჭეროდათ დაახლოებით 1 500 დეს. მიწა.

იმ გლეხებს, რომლებსაც შედარებით დიდი სახელმწიფო სანადელო მიწები ეკავათ, ვენახები და ბოსტნები საგრძნობ ფართობზე ჰქონდათ მოწყობილი. მაგალითად, მარტყოფელ ილარიონ შამაშვილს 40 დეს. სახნავ-სათესი სანადელო მიწა, 5 დეს. საკუთარი მიწა და 2,5 დეს. ვენახი და ბოსტანი ჰქონია. იაკობ ტაბლიაშვილს — 40 დეს. სანადელო სახნავი, 6 დეს. საკუთარი, 1,5 დეს. ვენახი და ბოსტანი. იოსებ სამჭკუაშვილს — 30 დეს. სანადელო სახნავი, 15 დეს. საკუთარი, 3 დეს. ვენახი და ბოსტანი გააჩნდა. საგარეგნო: ივანე მათიაშვილს ეკუთვნოდა 50 დეს. სანადელო სახნავ-სათესი, 1 დეს. ვენახი და ბოსტანი; გაბრიელ ყორღანაშვილს — 50 დეს. სანადელო სახნავ-სათესი, 2 დეს. ვენახი და ბოსტანი და ა. შ.

იგულისხმება, რომ სახელმწიფო გლეხთა ზედა ფენა დაქირავებული შრომის გამოყენებას სისტემატურად მიმართავს, რასაც მეურნეობის მოცულობა განაპირობებდა.

გავიხსენოთ ქიზიყის მაგალითი. აქ ძირითადად სახელმწიფო გლეხები ცხოვრობდნენ. სახელმწიფო მიწების ერთი ნაწილი გლეხურ კომლებსა ჰქონდათ „დაჩემებული“, ე. ი. მათ ფაქტიურ საკუთრებას შეადგენდა, მეორე ნაწილი კი სოფლებს საერთო სარგებლობაში ჰქონდათ დატოვებული. ამასთან, ამ მიწას ფაქტიურად სოფლის ზედა ფენა — კომლთა დაახლოებით მეხუთედლი ხმარობდა.

1900-იანი წლების დასაწყისში, ქიზიყელ გლეხთა ზედა ფენის ეკონომიური სიძლიერის შესახებ აღინიშნებოდა, რომ „ისეთი მდიდარი გლეხები, როგორც ქიზიყში მოიძებნებოდა, არა თუ საქართველოში, არც მთელ რუსეთში იქნებოდა სადმე“<sup>84</sup>.

პრესა აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო სანადელო მიწების თავმოყრა ცალკეულ გლეხთა ხელში“ ფართოდ ყოფილა გავრცელებული განსაკუთრებით ახალციხე-ახალქალაქის რაიონში, ეს პროცესი მნიშვნელოვნად გაძლიერებულა XIX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისისათვის, ხოლო — XX ს-ის დამდევისათვის „საშიში ხასიათი მიუღია“<sup>85</sup>.

სახელმწიფო სანადელო მიწის, განსაკუთრებით კულტურული მიწების ყიდვა-გაყიდვა სახელმწიფო გლეხთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული. XX ს-ის დასაწყისში სახელმწიფო გლეხებზე რიცხული სახელმწიფო სანადელო მიწები, როგორც მეურნეობის ობიექტი, უპირატესად გლეხთა ზედა ფენის ხელში იყო ყონცენტრირებული.

<sup>84</sup> „ივერია“, 1901, № 185, „ქიზიყის მატანე“, მიხეილ ნასიძე.

<sup>85</sup> Журн. Кавказский вестник, 1901, №9, გვ. 111.

ბარისა და შუა ზონის სახელმწიფო გლეხთა მიერ გაღებულ რენტაში XX ს-ის დასაწყისში, ჩვენი აზრით, ვლევხთა ზედა ფენის მიერ გაღებული რენტა, წერილ გლეხთა მიერ გაღებულ რენტასთან შედარებით, მიწის არასაკლები ფართობიდან მიიღებოდა.

თუ ზემო ნათქვამს გავითვალისწინებთ, შესაძლებელი ჩანს იმ ვარაუდის გაზიარება, რომლის მიხედვითაც კაპიტალისტური რენტული ურთიერთობანი საიჯარო და სახელმწიფო სანადელო მიწების ერთად აღებული ფართობის ნახევარზე მეტს მოიცავდა (ხოლო იპოთეკის დროს იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს კაპიტალისტურ რენტულ ურთიერთობასთან) და რომ საქართველოს სოფლის საადგილმამულო ურთიერთობაში 1900-იანი წლების დასაწყისისათვის, თუ უფრო ადრე არა, კაპიტალისტური რენტა ფეოდალურ რენტასთან შედარებით რენტის წამყვან, სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენდა.

ამ დროს ფეოდალური რენტა აღარ არის წამყვანი, რადგანაც მორღვეულია ის საყრდენები, რასაც ეს რენტა ემყარებოდა: გაუქმებულია უშუალო ბატონობაზე და მორჩილებაზე დამყარებული ურთიერთობა (და საერთოდ ფეოდალური რენტის წარმომშობი საზოგადოებრივი კავშირურთიერთობა. ფეოდალური რენტის არსებობა ბატონყმობის ნაშთების (დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი, მემამულური მიწათმფლობელობა...) შემორჩენთაა შეპირობებული.

\* \* \*

ზემონათქვამი შეჯამებისას შემდეგნაირად გვესახება.

რევოლუციამდელი საქართველოს სოფელში მიწის რენტის მითვისების ძირითადი ფორმებია: 1) შემოსავალი, რომელსაც უხდიდნენ მესაკუთრებს მათ მიწაზე მოსახლე სახელმწიფო გლეხები, დროებითვალდებული გლეხები, ხიზნები სანადელო მიწებით სარგებლობისას; 2) მიწის საიჯარო ქირა; 3) საიპოთეკო სესხის პროცენტები; 4) საადგილმამულო სახელმწიფო გადასახადი (სადალო გამოსაღები).

XIX ს-ის 70-იან წლებში და შემდეგაც (დროებით სავალდებულო ურთიერთობების გაუქმებამდე), ერთი მხრივ, მემამულეთა და, მეორე მხრივ, დროებითვალდებულ გლეხთა და ხიზანთა, ასევე კერძომფლობელთა მიწებზე მოსახლე სახელმწიფო გლეხებსა და მიწის მესაკუთრეთა შორის, რენტის გასატონელებული ფორმა რენტა პროდუქტებით; გავრცელებულია აგრეთვე ფულადი რენტა, რომელიც თანდათან ძლიერად იკიდებს ფეხს. შრომაშიგებითი რენტა თავიდანვე სუსტადაა წარმოდგენილი. ყველა ამ შემთხვევაში რენტა მიიღება სანადელო მიწებიდან, რომელთა საერთო ფართობია 416 846 დეს. (212 159 დეს. კულტურული მიწა, 204 687 დეს. დანარჩენი მიწა).

XIX ს-ის 40-იანი წლების შუახანებიდან სახელმწიფო სანადელო მიწებით მოსარგებლე სახელმწიფო გლეხები რენტას მხოლოდ ფულით იხდიდნენ. ასეთი მიწების ფართობი უდრიდა 946 237 დეს. (417 399 დეს. კულტურული მიწები, 528 838 დეს. დანარჩენი მიწები).

სახელმწიფო ფულად რენტას იღებდა აგრეთვე იჯარით გაცემული მიწებიდან, რომლის ფართობი შეადგენდა 495 ათას დესეტინას (44 900 დეს. კულტურული მიწა, 450 ათასი დეს. საძოვრები).

ამგვარად, მართო ამ სიდიდეების დაჯამების შედეგად აღმოჩნდება, რომ რენტა პროდუქტებით, აგრეთვე ფულადი და შრომამიგებითი რენტა მოიცავდა მიწებს, რომლის ფართობი იყო 416 846 კდეს. (212 159 დეს. კულტურული და 204 687 დეს. დანარჩენი მიწა), ხოლო ფულადი რენტა მიიღებოდა სულ ცოტა 1 441 137 დეს. მიწიდან (462 299 დეს. კულტურული და 978 838 დეს. დანარჩენი მიწა).

ასე, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ არა მართო შემამულებებისა და სხვა კეძო მფლობელთა მიწებს, არამედ სახელმწიფო მიწებსაც, აღმოჩნდება, რომ რენტული ურთიერთობების საერთო ჯამში ფულადი რენტა რენტის სხვა ფორმებს სჭარბობდა XIX ს-ის 70-იან წლებში.

ფულადი რენტა, რომელიც წარმოადგენს ფეოდალიზმის რღვევა-დაშლის თავისებურ ფაქტორს, თავის განვითარებაში ეყრდნობა სასაქონლო წარმოების წინსვლასა და, მაშასადამე, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების უფრო მეტად გაღრმავებას. ამას კი თანდათან მივყევართ წარმოების კაპიტალისტური წესის გამარჯვებამდე და იმ რენტამდე, რომელსაც კაპიტალისტური მოიჯარე იხდის.

1900-იანი წლების დასაწყისში, თუ უფრო ადრე არა, კაპიტალისტური რენტა, ფეოდალურ რენტასთან შედარებით, მიწების მეტ ფართობს მოიცავს, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალისტური რენტული ურთიერთობების უპირატეს ხვედრით წონაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

მიწის იჯარისა და აგრეთვე, იპოთეკის განვითარების შედეგად ხდება მიწის ფაქტიური მეპატრონისაგან მიწის, როგორც წარმოების პირობის ჩამოცილება. განვითარების ეს მიმართულება ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოებასა და ამცირებდა მიწაზე შემამულეთა კეძო საკუთრების მნიშვნელობას.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ





# საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნის რეფორმამდე პერიოდში

(წერილი პირველი)

უღარესად მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ვითარება, რაც საქართველოს XIII ს-ის მეორე მეოთხედიდან დაატყდა თავს და ასეული წლების მანძილზე გრძელდებოდა, უარყოფით გავლენას ახდენდა მოსახლეობის რიცხოვნებაზე. გარეშე მტრების გამანადგურებელი შემოსევები, ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება, ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი შინაომები, უამიანობა, სოციალური ჩაგვრისა და ძალადობის მრავალნაირი გამოვლინება და სხვა ანალოგიური მოვლენები დიდ მსხვერპლს იწვევდა მოსახლეობაში, კატასტროფულად ამცირებდა ერის ძირითად მწარმოებელურ ძალას და არაიშვიათად ყოფნა-არყოფნის საკითხს აყენებდა ქართველი ხალხის წინაშე. ყოველივე ამის შედეგად, ოდესღაც მილიონობით მცხოვრებიდან XVIII ს-ის ბოლოს უკვე ბევრად შევიწროებულ საზღვრებში მოქცეულ საქართველოს რამდენჯერმე ნაკლები მოსახლეობა შემორჩა.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს შეადგენს, თუ რამდენი იყო საქართველოს მოსახლეობა რუსეთთან შეერთების წინ, როგორი იყო მისი სტრუქტურა და ტერიტორიული განაწილება ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს შორის. სხვანაირად რომ ვთქვათ, შესასწავლია ის დემოგრაფიული სიტუაცია, რითაც ხვდებოდა საქართველო თავისი ისტორიის ახალ პერიოდს XIX ს-ის დასაწყისიდან.

რა თქმა უნდა, ქართული მეცნიერების წინაშე ეს საკითხი პირველად არ ისმის. ჩვენი ისტორიკოსების, ეკონომისტების, ეკონომისტ-გეოგრაფების არაერთი წარმომადგენელი შეხებიო ამ პრობლემას და სხვადასხვა ასპექტში განუხილავს იგი. მაგრამ ყველა ერთსულოვნად აღნიშნავს იმ სირთულეს, რაც დაკავშირებულია ამ საკითხის გადაჭრასთან. ამის შედეგია, რომ ჩვენ დღემდე არ გვაქვს გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილი დახასიათება, რაც საშუალებას მოგვცემდა მაქსიმალური მიახლოებით დაგვედგინა მოსახლეობის დინამიკისა და სტრუქტურის ძირითადი მაჩვენებლები.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს პირველწყაროების კრიტიკული განხილვის საფუძველზე XIX ს-ის რეფორმამდელი პერიოდის საქართველოს მოსახლეობის დინამიკისა და სტრუქტურის ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლის დადგენას.

მთავარი სიძნელე, რომელსაც მკვლევარი აწყდება აღნიშნული საკითხების შესწავლის დროს, იმაში მდგომარეობს, რომ დასახლებულ ეპოქაში ჯერ კიდევ არ წარმოებდა დემოგრაფიული პროცესების რამდენადმე დამაკმაყოფილებელი სტატისტიკური აღწერა, ამიტომ ის მონაცემები, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა საარქივო თუ გამოქვეყნებულ წყაროებში ყოველთვის არაა სანდო და კრიტიკულ ანალიზს მოითხოვს.

XIX ს-ის დასაწყისიდან მოსახლეობის დინამიკის შესასწავლად ძირითად წყაროდ დღემდე გამოყენებულია მამინდელი ადმინისტრაციის მიერ შესრულებული მოსახლეობის კამერალურ აღწერათა მონაცემები და ის შე-



ფასებანი, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლები აძლევენ მოსახლეობის რაოდენობას სხვადასხვა გარემოებებთან დაკავშირებით — ქვეყნის ცალკე რეგიონების მიხედვით. მაგრამ საქმე ისაა, რომ კამერალური აღწერები არ ხდებოდა რეგულარულად, არ მოიცავდა საქართველოს ყველა პროვინციას და აშკარად ნაკლები სისრულით აღნუსხავდა მოსახლეობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ კამერალური აღწერები ეხებოდა მხოლოდ მამრობითი სქესის გადასახადის გადახმდელ მოსახლეობას (უჩვენებდნენ კომლთა რაოდენობას, ზოგჯერ ეროვნულ კუთვნილებას და სოციალურ მდგომარეობას). გარდა ამისა, საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები კომლთა ან ოჯახის წევრთა გამოტოვებისა, რაც ბევრად ართულებს ამ მონაცემებით სარგებლობას. ყოველთვის სანდო არაა ის მონაცემები, რომლებსაც ასახელებენ რუსთა ჭელისუფლების სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელენი გასული საუკუნის პირველი ნახევრის სხვადასხვა თარიღისათვის საქართველოს ცალკეული პროვინციების მოსახლეობის შესახებ. ამ სახის ცნობები უფიქვენებენ უპირატესად კომლთა რაოდენობას. გარდა იმისა, რომ კომლთა რიცხვი ხშირად სცილდება სინამდვილეს, ან მეტისმეტად „დამრგვალებულია“, სადავოა თითოეული კომლის წევრთა საშუალო რიცხვი, რადგან სხვადასხვა წყაროში ეს მაჩვენებელი რჩევადობს ძალზე დიდ ფარგლებში — 4-დან 10-მდე.

აღნიშნული მონაცემებით სარგებლობისას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლებს, რომელთა დახმარებით შესაძლოა შემოწმდეს და დაზუსტდეს მოსახლეობის რაოდენობისა და სტრუქტურის ცვლილებანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მაჩვენებლებიც მეტად შეზღუდული ოდენობით მოგვეპოვება საკვლევი პერიოდისათვის (განსაკუთრებით ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები) და არაა ჯეროვნად გამოყენებული.

თუ ყოველივე აღნიშნულთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხშირად იცვლებოდა შამინდელი საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა და პროვინციების საზღვრები, მიზინარებოდა მიგრაციული პროცესები, გასაგებია ვახდებთ ის დიდი სხვაობანი, რაც შეიმჩნევა სხვადასხვა მკვლევრის მიერ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნებისა და სტრუქტურის დადგენის დროს XIX ს-ის პირველი ნახევრისათვის.

იმის საილუსტრაციოდ, რუ რამდენად დიდია აღნიშნული სხვაობანი, მოვიტანთ ცალკეულ მკვლევართა მიერ შემოთავაზებულ ციფრებს 1800 და 1832 წლებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ.

ავტორი	საქართველოს მოსახლეობა 1800წ.	საქართველოს მოსახლეობა 1832წ.
ს. კაკაბაძე <sup>1</sup>	675000	635000
ფ. მახარაძე <sup>2</sup>	413929	—
პ. გუგუშვილი <sup>3</sup>	675000	840000
კ. ანთაძე <sup>4</sup>	850000	951000

<sup>1</sup> Homo Noyns (ს. კაკაბაძე), ქართველთა რიცხვი ასის წლის წინათ, ვახეთი „ივერია“, 1902 წელი, 27 ნოემბერი, № 254.

<sup>2</sup> Ф. Махарадзе, Грузия в девятнадцатом столетии, Тифлис, 1933, გვ. 66.

<sup>3</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800—1959), „მოსახლეობის საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XII—XIII, 1963, გვ. 74.

<sup>4</sup> კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., 1973, ცხრ. 8.

უნდა შევნიშნოთ, რომ ს. კაკაბაძეს მოაქვს ცნობები მხოლოდ ქართველი მოსახლეობის შესახებ. ფ. მახარაძის ცნობაში შეტანილი არ არის მაშინდელი შესხეთ-ჯავახეთის, აფხაზეთის და აჭარის მოსახლეობა. თუ არსებული მიახლოებული ცნობებით აღნიშნულ პროვინციათა მოსახლეობასაც დაემატებოდა, მაშინ ფ. მახარაძის მიერ გამოთვლილი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (დღევანდელ საზღვრებში) XIX ს-ის დამდეგისათვის არ ასცილდება 570 ათასს, რაც მეტად შემცირებული ჩანს. პ. გუგუშვილის და კ. ანთაძის ცნობები შეეხება საქართველოს მთელ მოსახლეობას დღევანდელ საზღვრებში. პ. გუგუშვილის მიერ გამოთვლილი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1800 და 1832 წლებისათვის ადრე გამოქვეყნებულ შრომებში ჩვენ მივიჩინეთ უფრო ახლოს სინამდვილესთან<sup>5</sup>, ვიდრე სხვა ავტორების მიერ შემოთავაზებული ციფრები, მაგრამ კ. ანთაძის ნაშრომის გამოსვლასთან დაკავშირებით და რიგი ახალი საარქივო მასალის შესწავლის შედეგად საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი მაჩვენებლის დაზუსტება და აღნიშნული პერიოდის საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციის უფრო დეტალურად განხილვა.

ს. კაკაბაძე გასული საუკუნის დასაწყისში ქართველთა რაოდენობის განსაზღვრისას იყენებს სხვადასხვა წყაროებში არსებულ ცნობებს კომლთა რაოდენობის შესახებ და ინტუიციით ადგენს კომლის საშუალო სიდიდეს. კ. ანთაძე იყენებს უპირატესად შემდეგ მეთოდს: წინასწარ იღებს 1897 წ. საყოველთაო აღწერით დადგენილ მოსახლეობის რაოდენობას, აგრეთვე ბუნებრივი მატების საშუალო ემპირულ კოეფიციენტებს ცალ-ცალკე ქართველი და არაქართველი მოსახლეობისათვის და ეგრეთ წოდებული „უკუსვლით“ განსაზღვრავს მოსახლეობას ეროვნებათა მიხედვით 1832 და 1800 წლებისათვის. ასეთი მეთოდი საკმაოდ ეფექტური იქნებოდა, რომ ავტორს ჰქონოდა სანდო მონაცემები მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის შესახებ საუკუნის მთელ მანძილზე. სინამდვილეში კ. ანთაძე თავის გამოთვლებს საფუძვლად უდებს იმ მოსაზრებას, რომ XIX ს-ის პირველ მესამედში ქართველებს შორის ბუნებრივი მატება თითქმის ნულს უტოლდებოდა, ხოლო მეორე და მესამე მესამედებში 1%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დამუშავანი და მათ საფუძველზე მიღებული გამოთვლები ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად, უნდა აღინიშნოს, რომ ადრე ამ საკითხებზე შესრულებული გამოკვლევებისაგან განსხვავებით, კ. ანთაძის ნაშრომი გამოირჩევა პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომით და ძირითადი საკითხის დეტალური განხილვით<sup>6</sup>. ჭამწუხნაროდ, სხვა ავტორები არ მიუთითებენ, თუ რის საფუძველზე განსაზღვრეს მათ გასული საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა.

ს. კაკაბაძეს მოჰყავს ბუტკოვისა და ბურნაშოვის ცნობები იმის შესახებ, რომ 1783 წელს ქართლ-ჯავახეთში 42 ათასი კომლი ითვლებოდა. მარ-

<sup>5</sup> В. Джаошвили, Динамика численности населения Грузии, „მაცნე“, 1966, №1. გვ. 17; В. Джаошвили, Население Грузии, Экономико-географическое исследование, Тб., 1968, გვ. 8—9.

<sup>6</sup> კ. ანთაძე, დასახ. ნაშრომი, თავი II—IV.

თალია, ბურნაშოვის აზრით<sup>7</sup>, მოსახლეობის აღნიშნული რაოდენობა იყო ქართლ-კახეთში და ერთად აღებულ იმ აზერბაიჯანულ და სომხურ პროვინციებში, რომლებიც ან შემოდინდნენ ქართლ-კახეთის სამეფოში, ან მისგან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ს. კაკაბაძეს უფრო მართებულად მიაჩნია ბუტკოვის აზრი, რომ მოსახლეობის ეს რაოდენობა საკუთრივ ქართლ-კახეთში იყო. ამის შემდეგ დაუსაბუთებელი ჩანს ს. კაკაბაძის ცნობა იმის შესახებ, რომ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინ, ესე იგი 1795 წლისათვის ქართლ-კახეთის მოსახლეობა 60 ათას კომლს შეადგენდა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ 12 წლის მანძილზე (1783—1795 წწ.) ქართლ-კახეთის მოსახლეობა ერთსა და იმავე საზღვრებში 43%-ით გაზრდილიყო. 1795 წლისათვის ქართლ-კახეთში 60 ათასი კომლის არარეალობა იქიდანაც ჩანს, რომ ს. კაკაბაძისავე ცნობით 1798 წელს გიორგი XIII აღწერით სამეფოში ითვლებოდა 44 600 კომლი. რამდენიმე წლის მანძილზე მოსახლეობის ასეთ შემცირებას ს. კაკაბაძე ზსნის იმ დიდი მსხვერპლით, რაც ქართლ-კახეთმა განიცადა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად. როგორადაც დიდი არ უნდა ყოფილიყო ეს მსხვერპლი, წარმოუდგენელია, რომ მას შეემცირებინა მოსახლეობა 60 ათასი კომლიდან 44,6 ათას კომლამდე. ბევრად უფრო დამაჯერებლად უნდა მივიჩნიოთ 15 წლის მანძილზე (1783—1798 წწ.) საკუთრივ ქართლ-კახეთის მოსახლეობის გაზრდა 42 ათასი კომლიდან 44,6 ათას კომლამდე. ამ პერიოდში შესაძლოა უფრო მეტ ზრდასაც ჰქონოდა ადგილი, მაგრამ უთუოდ მნიშვნელოვნად შეაფერხა მოსახლეობის მატება ირანელების შემოსევამ, ლეკთა თარეშმა და რიგმა უარყოფითმა მოვლენამ. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, სინამდვილესთან ბევრად უფრო ახლოს ვიქნებით, თუ ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობას 1800 წლისათვის ვივარაუდებთ 45 ათასი კომლის რაოდენობით. მართალია, ქართლ-კახეთის სამეფოში მაშინ შედიოდა ყაზახის, შურაგელის და ბამბაკის პროვინციები, რომლებიც შემდგომში საქართველოს ჩამოსცილდნენ, მაგრამ მათი მოსახლეობა დაახლოებით უტოლდება იმათ რიცხვს, ვინც გამოტოვებული იქნებოდა აღმწერ მოხელეთა მიერ, ამიტომ ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის გადახრა დაახლოებით ერთმანეთს გადაფარავს და კომლთა მიღებული რაოდენობა სინამდვილესთან ახლოს რჩება.

ცალკე განხილვის სსგანს წარმოადგენს თითოეულ კომლში შემავალ ოჯახის წევრთა საშუალო რიცხვი, მაგრამ ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის განსაზღვრისას ს. კაკაბაძე და კ. ანთაძე ეყრდნობიან გენერალ ტორმასოვის მიერ შედგენილ უწყისს<sup>8</sup>, სადაც ნათქვამია, რომ 1810 წელს იმერეთში ცხოვრობდა 40 ათასი ოჯახი, სამეგრელოში — 12 ათასი და გურიაში — 5 ათასი. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ტორმასოვის მიერ მაშინდელი იმერეთის მოსახლეობის 40 ათასი კომლით განსაზღვრა აშკარად გადაჭარბებულია. რუსეთთან შეერთების წინ იმერეთის სამეფოში შედიოდა საკუთრივ იმერეთი და რაჭა,

<sup>7</sup> Картины Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанные полковником Бурнашевым в Тифлисе в 1786 году, Тифлис, 1896, гл. 1.

<sup>8</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. IV, № 37, гл. 39.

მათი ტერიტორია არ აღემატებოდა 8,6 ათას კვ. კმ-ს, ქართლ-კახეთის ტერიტორია (დღევანდელ საზღვრებში, ნებსხეთ-ჯავახეთის გამოკლებით) კი შეადგენდა 32,2 ათას კვ. კმ-ს. გამოდის, რომ იმერეთი ქართლ-კახეთზე 3,4-ჯერ უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული და თითქმის იმდენსავე მოსახლეობას აერთიანებდა, რამდენსაც საქართველოს ყველაზე დიდი სამეფო. ტორმასოვის ცნობის შეუსაბამობა იქიდანაც ჩანს, რომ იმერეთის (რაჭასთან ერთად) მოსახლეობა 3,3-ჯერ მეტი გამოყავს ვიდრე სამეგრელოსი და 8-ჯერ მეტი, ვიდრე გურჩისა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინდელი სამეგრელოს მათავრო, რომელიც ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთსაც მოიცავდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მდ. ლალიძგამდე ვრცელდებოდა, ბევრად როდი ჩამორჩებოდა თავისი ტერიტორიით იმერეთის სამეფოს. საყურადღებოა, რომ ტორმასოვის უწყისი სწორედ მაშინაა შედგენილი, როცა იმერეთის სამეფო იმის იყო რუსეთის მფლობელობაში მოექცა და ჯილდოების მოლოდინში მყოფი გენერალი რაც შეიძლება გაზვიადებულად უდგენდა ხელისუფლებას „ახლად შემოერთებულ მხარეებს“<sup>9</sup>.

1800 — 1810 წლებისათვის იმერეთის მოსახლეობის შესახებ უფრო ზუსტი პირდაპირი მითითება ჯერჯერობით მიკვლეული არ არის<sup>10</sup>, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს რაოდენობრივი მაჩვენებელი მაინც შეიძლება საკმაო მიახლოებით განისაზღვროს. ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივის ერთ დოკუმენტში, რომელიც 1819 წელს განეკუთვნება, დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ იმერეთის სამეფოში 1782 წელს ცხოვრობდა 18 980 კომლი<sup>11</sup>. იქვე მითითებულია, რომ ამჟამად (ე. ი. 1819 წ.) იმერეთის მოსახლეობა 12 730 კომლს შეადგენსო. როგორც ჩანს, ამ წყაროს ემყარება თ. ევეციკი, რომელსაც იგივე ციფრები მოაქვს 1782 და 1817 წლებისათვის<sup>12</sup>. საყურადღებოა, რომ ფრანგი ავტორებიც — გამბა და დიუბუა დე მონპერე — 1810-იანი წლების მიწურულისათვის იმერეთის მოსახლეობას იმავე რაოდენობით განსაზღვრავენ. უფრო ზუსტად, გამბა ასახელებს 12 994 კომლს 1921 წლისათვის<sup>13</sup>, დიუბუა დე მონპერე კი 12 730 კომლს 1817 წლისათვის<sup>14</sup>.

<sup>9</sup> საყურადღებოა, რომ არქივში შემონახულ ხელნაწერ უწყისში გენ. ტორმასოვი კიდევ უფრო ვაზვიადებულად წარმოადგენს იმერეთის და გურიის მოსახლეობას. პირველ მათგანში ის გულისხმობს 46 000 კომლს (276 ათასი მცხოვრებით) და მეორეში — 12000 კომლს. იხ.

Центральный Государственный Военно-исторический Архив, ф. Военно-ученого архива, дело № 18494 (შემდეგში: ЦГВИА, ф. ВУА, дело № 184 4).

<sup>10</sup> მართალია, 1858 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში „Статистическое описание Кутаисской губернии“ შტაბს-კაპიტანი ლაერენტიევი წერს, რომ 1804 წელს იმერეთის მოსახლეობა შეადგენდა 100400 სულს, მაგრამ 1804 წელი აქ შეცდომითაა მითითებული, რადგან მოსახლეობის ნაჩვენებები რაოდენობა ზუსტად ემთხვევა თ. ევეციკის მიერ 1834 წლისათვის მიღებულ იმერეთის მოსახლეობის რაოდენობას. როგორც ჩანს, ამ ცნობას ლაერენტიევი თ. ევეციკის დაესხა და 1834 წლის ნაცვლად წიგნში შეცდომითაა მითითებული 1804 წელი. ამისი გვარწმუნებს არა მარტო ზუსტი დამთხვევა მოსახლეობის რაოდენობის ნაჩვენებელი ციფრებისა, არამედ ის ფაქტიც, რომ ლაერენტიევი ასახელებს იმერეთის მოსახლეობას ოთხი ოკრუგის მიხედვით, 1804 წელს კი იმერეთი ჯერ კიდევ არ შედიოდა რუსეთის შეზღვევლობაში და ოკრუგებად დაყოფაც არ არსებობდა.

<sup>11</sup> ЦГВИА, ф. ВУА, д. №18499.

<sup>12</sup> О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, СПб., 1835, გვ. 157.

<sup>13</sup> Gamba, Voyage dans La Russie meridionale, Paris, v. I, გვ. 322.

<sup>14</sup> Dubois de Montpereux Frederic, Voyage autour du Caucase, Paris, 1839, v. II, გვ. 263—286.

ამავე დროს გამბა აღნიშნავს, რომ სულ იმერეთის ოთხსავე ოკრუგში ცხოვრობდა 44738 მამაკაცი და 36055 ქალი. აღნიშნული ციფრების რეალობა რომ შეეფასოს, აუცილებელია გავერკვეთ რამდენსამე საყითხში.

უპირველეს ყოვლისა დასადგენია, რამ გამოიწვია იმერეთის მოსახლეობის ერთი მესამედით შემცირება რუსეთთან შეერთების პირველ წლებში? ცნობილია, რომ 1811 და 1812 წლებში იმერეთში მიმდინარებდა შავი ჭირი. ამავე დროს ქვეყანას თავს დაატყდა წყალდიდობა და მოუსავლიანობა, რასაც თან მოჰყვა შიმშილობა და დიდი მსხვერპლი მოსახლეობაში. ამ გარემოებამ საბაზი მისცა ზემოთ დასახელებულ მკვლევარებს გადაჭარბებულად შეეფასებინათ მისი უარყოფითი გავლენა საქართველოს მთელი მოსახლეობის ზრდაზე XIX ს-ის პირველ მესამედში და ამის შედეგად მცხოვრებთა შემცირება (ს. კაკაბაძე) ან სრულიად უმნიშვნელო ზრდა (პ. გუგუშვილი, კ. ანთაძე) ეგულისხმათ. ებიდეშიამ და შიმშილმა მართლაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია იმერეთში, მაგრამ მას მაინც არ მოჰყოლია მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ზრდის შეჩერება ორი-სამი ათეული წლის მანძილზე. ყურადღებას იმსახურებს კავკასიის მთავარმართებლის გენერალ ერმოლოვის 1817 წ. 24 თებერვლის უქვეშემრდომილესი მოხსენება<sup>16</sup>, სადაც ნათქვამია, რომ 1811—1812 წლებში დაიღუპა იმერეთის მოსახლეობის ერთი მესამედი, ხოლო კიდევ ერთი მესამედი სხვაგან გადაიხვეწაო, მაგრამ ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი შემდეგ კვლავ დაბრუნებია თავის საცხოვრებელ ადგილებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი შედგენილია იმერეთის თავადაზნაურობის წერილობითი თხოვნის საფუძველზე და შეიცავს შუამდგომლობას — მოსახლეობისათვის გაწეული დახმარების პატიების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მოსალოდნელია, რომ აქ ცნობები მოსახლეობაში მსხვერპლის შესახებ რამდენადმე გაზვიადებულია.

ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ რუს მოხელეთა მტკიცებით 1811 წელს იმერეთის მოსახლეობაში მსხვერპლი შეადგენდა 32,7 ათასს, გარდა ამისა ორი ათასი ტყვედ ყოფილა გაყიდული და 7 ათასზე მეტი ახლომანლო პროვინციებში გადახვეწილა. ეს ცნობები შესაძლოა ახლოს იყოს სინამდვილესთან, მაგრამ სრულიად არაღამაჯერებელია მტკიცება, რომ 1812 წლის შემდეგ 1830 წლამდე იმერეთის მოსახლეობა 72 ათასიდან 147—150 ათასამდე გაიზარდაო. მაშინდელ პირობებში მოსახლეობის გაორკეცება 18 წლის მანძილზე ყოველად წარმოუდგენელია. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ სინამდვილეში იმერეთის სამეფოს მოსახლეობა რუსეთთან შეერთების წინ მნიშვნელოვნად სჭარბობდა 19 ათას კომლს. ასევე დიდად შემცირებულად ჩანს ზემოთ დასახელებული 1810-იანი წლების ცნობები. საკუთრივ იმერეთის (რაჭის გამოკლებით) მოსახლეობის რაოდენობა 1832 წლის კამერალური აღწერით შეადგენდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის 38%-ს, ხოლო მთლიანად იმერეთის ყოფილი სამეფოსი — 48,4%-ს. მაგრამ 1800 წელს ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა, რადგან XIX ს-ის პირველ მესამედში, როგორც ზემოთ დავინახეთ, იმერეთში უფრო ნაკლებად ხელსაყრელი პირობები იყო მოსახლეობის მატებისათვის, ვიდრე ქართლ-კახეთში. ამიტომ საუკუნის დასაწყისისათვის ჩვენ ვიღებთ საკუთრივ იმერეთის მოსახლეობის შეფარდებას ქართლ-კახეთის მოსახლეობასთან როგორც 41 : 100. ასე-

<sup>16</sup> Акты, собранные Кавказскою Археграфическою Комиссией, VI, №733, ст. 530.

თი შეფარდების დროს 1800 წელს საკუთრივ იმერეთის მოსახლეობა იქნებოდა 18,4 ათასი კომლი, რაჭასთან ერთად კი 22,8 ათასი კომლი.

მოსახლეობის რაოდენობის გამოთვლისათვის საჭიროა განისაზღვროს კომლის საშუალო სიდიდე, რადგან ადრე ჩატარებულ გამოკვლევებში არ ყოფილა დასაბუთებული თითოეული კომლის წევრთა საშუალო ოდენობა ცალკეული რეგიონების მიხედვით.

კომლის საშუალო სიდიდის შესახებ მაშინდელ წყაროებში სრულიად სხვადასხვაგვარი ცნობებია მოტანილი, რაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს მკვლევრისაგან. ასე მაგალითად, თავის ერთ-ერთ მოხსენებაში გენერალი ლაზარევი 1801 წელს იტყობინება, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში არის 40 ათასი კომლი, ხოლო თითოეულ კომლზე საშუალოდ 4 სულს ანგარიშობს<sup>16</sup>. 1804 წლის ერთ დოკუმენტში, სადაც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მოსახლეობის შესახებაა ცნობები მოტანილი, ერთ კომლზე საშუალოდ 5 სულია ნაანგარიშები<sup>17</sup>. 1821 წლისათვის გამბას მოტანილი ცნობების მიხედვით. იმერეთის მოსახლეობის ერთ კომლზე საშუალოდ შოდის 6,2 სული. თურქეთიდან საქართველოში ჩამოსახლებული სომხებისა და ბერძნების რაოდენობის უწყისში აღნიშნულია, რომ საშუალოდ ერთ ოჯახზე მოდიოდა 5 სული<sup>18</sup>. საკმაოდ დეტალური ცნობებია გამოქვეყნებული საქართველოს თითოეული პროვინციის მოსახლეობაზე 1832 წ. კამერალური აღწერის შედეგად<sup>19</sup>. ეს ცნობები ძირითადად შეეხება გადაამხდელი მოსახლეობის კომლთა რიცხვსა და მამაკაცებს, მაგრამ გზადაგზა მოტანილია ზოგიერთი მაჩვენებელი პრივილეგიური წოდების მოსახლეობაზე, აგრეთვე ეროვნულ და სოციალურ შემადგენლობაზე. აღნიშნული აღწერა არა მარტო 1832 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობისა და სტრუქტურის დადგენის ძირითადი წყაროა, არამედ მნიშვნელოვანია აგრეთვე XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების განსაზღვრისათვისაც. მაგრამ ჭერჭერობით ჩვენ გვინტერესებს თითოეული კომლის საშუალო სიდიდის დადგენა.

ცნობილია, რომ კომლის საშუალო სიდიდე ბევრად მეტი იყო ფეოდალურ ეპოქაში, ვიდრე მომდევნო სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციებში. ამ გარემოებას ადასტურებს სხვადასხვა წყარო, მათ შორის 1832 წლის კამერალური აღწერის შედეგებიც. XIX ს-ის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში რეფორმამდელ პერიოდში, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტრადიციული დიდი ოჯახი. ასეთ ოჯახში ძალიან ხშირად ცოლშვილიანი მამაკაცი თავის მშობლებთან ან ძმებთან ერთად ცხოვრობდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არაიშვიათად სხვადასხვა დაავადებათა შედეგად დიდი იყო გარდაცვლილთა რიცხვი და ეს შესამჩნევად ამცირებდა კომლის საშუალო სიდიდეს. მოგვყავს მამაკაცების საშუალო რიცხვი ერთ კომლზე საქართველოს ცალკე რეგიონებისათვის (გადახსნდელი მოსახლეობა) 1832 წლის კამერალური აღწერის მიხედვით<sup>20</sup>.

<sup>16</sup> Акты..., т. I, №129, გვ. 186.

<sup>17</sup> Акты..., т. IV, №1447, გვ. 953.

<sup>18</sup> Акты..., т. VIII, გვ. 834.

<sup>19</sup> Обзорение Российских владений за Кавказом, СПб., 1836, ч. IV, Таблица народонаселения Грузии.

<sup>20</sup> დასახელებული ცხრილი.

ქალაქი თბილისი . . . . .	2,35	ქალაქი ქუთაისი . . . . .	2,48
თბილისის მაზრა . . . . .	3,64	ქუთაისის ოკრუგი . . . . .	3,39
გორის " . . . . .	4,11	ვაკის " . . . . .	3,80
ღუშეთის " . . . . .	4,04	შორაპნის " . . . . .	3,80
თელავის " . . . . .	4,00	რაჭის " . . . . .	4,10
სიღნაღის " . . . . .	4,53	თუშეთი " . . . . .	2,40
ბორჩალოს " . . . . .	3,36	ფშავი " . . . . .	3,20
ქალაქი თელავი . . . . .	3,11	ხევსურეთი " . . . . .	2,20
ქალაქი სიღნაღი . . . . .	2,97	მთიულეთი " . . . . .	4,00

იმავე წყაროში აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთ მთიან რაიონებში, რომლებიც გორის მაზრაში შედიოდნენ, ცხოვრობდა ოსების 2600 ოჯახი და თითოეულ ოჯახზე 10 სულს ანგარიშობენ. როგორც ირკვევა, მთიან რაიონებში დიდ ფარგლებში ცვალებადობდა კომლის საშუალო სიდიდე. შესაძლოა ოსებში უფრო დიდი ოჯახები იყო შემორჩენილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მაინც გადაჭარბებულადაა აღებული 10 სული თითოეულ კომლზე. მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ქალაქებში ბევრად ნაკლები ყოფილა თითოეული ოჯახის საშუალო სიდიდე, მაგრამ გასული საუკუნის დასაწყისში იმდენად უმნიშვნელო იყო ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა (არ აღემატებოდა 5%-ს), რომ ეს ფაქტი შესამჩნევ გავლენას ვერ მოახდენდა მთლიანად კომლთა საშუალო სიდიდეზე. აღსანიშნავია ის ვარემოებაც, რომ დასავლეთ საქართველოს ბარში უფრო ნაკლები იყო კომლის საშუალო სიდიდე, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, მთიან ზონაში კი პირიქით. ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე შესრულებული გაანგარიშებით მამაკაცების რიცხვი საშუალოდ ერთ კომლზე XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოში იქნებოდა:

ქალაქები . . . . .	2,52
აღმ. საქართველოს ბარის რაიონები . . . . .	4,01
აღმ. საქართველოს ჩრდილოეთი მთიან რაიონები . . . . .	3,64
დას. საქართველოს ბარის " . . . . .	3,65
დას. საქართველოს მთიანი " . . . . .	4,11

ეს მონაცემები შეიძლება მივიღოთ როგორც 1800, ისე 1832 წლის საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთ დემოგრაფიულ მაჩვენებლად.

კომლის საშუალო სიდიდის განსაზღვრისათვის საჭიროა დადგინდეს მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებული რაოდენობრივი შეთანაწყობა. შეტად საყურადღებოა ის ვარემოება, რომ თუ ინდუსტრიულად დაწინაურებულ სახელმწიფოებში, როგორც წესი, მამაკაცების რიცხვი ჩამორჩება ქალების რაოდენობას, სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებსათვისაც დამახასიათებელია ურბანიზაციის დაბალი დონე, ქალები მამაკაცებზე შესამჩნევად ნაკლებია<sup>21</sup>. ასევე იყო ფეოდალური ეპოქისა და შემდგომი პერიოდის საქართველოშიც, თითქმის ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებამდე, რასაც გვიჩვენებს საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდეგი მონაცემები<sup>22</sup>:

21 Население мира, Справочник, М., 1965, стр. 113—119.  
 22 В. Ш. Джаошвили, Население Грузии, Экон. геогр. исследование, Т5, 1968, стр. 39.



აღწერის წელი	მამაკაცები (%)	ქალები (%)
1897	53,4	46,6
1926	50,5	49,5
1939	49,8	50,2
1959	46,1	53,9
1970	47,0	53,0 <sup>ა</sup>

მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებანი იმის შედეგია, რომ წინათ ბევრად უფრო მაღალი იყო სიკვდილიანობა ქალებს შორის, ვიდრე მამაკაცებს შორის, ამჟამად კი შებრუნებული მდგომარეობაა. ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ XIX ს-ის პირველი ნახევრისწყაროებში მამაკაცების რიცხვი უფრო სრულადაა წარმოდგენილი, ვიდრე ქალებისა. საქმე ისაა, რომ აღწერის დროს ყველაზე მეტი რაოდენობით სწორედ ქალები იყო გამოტოვებული, რაზედაც არაერთი მითითება გვხვდება მაშინდელ წყაროებში<sup>24</sup>.

1806 წელს შედგენილი გენერალური უწყისის მიხედვით, რომელიც ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოში მოსახლეობის პირველი კამერალური აღწერის შედეგებს წარმოადგენს<sup>25</sup>, მამაკაცებზე მოდის მოსახლეობის 54,5%, ქალებზე კი შესაბამისად 45,5%. რამდენადმე ნაკლები იყო ეს სხვაობა ქალაქ თბილისის მოსახლეობაში. გამბას მონაცემებით, 1821 წელს იმერეთის მოსახლეობის 55,4% მოდიოდა მამაკაცებზე, 44,6% — ქალებზე<sup>26</sup>. 1832 წლის კამერალური აღწერით სიღნაღის მაზრის მოსახლეობაში მამაკაცები შეადგენდნენ 55,3%-ს, ქალები — 44,7%<sup>27</sup>-ს. გასული საუკუნის შუა წლების მონაცემებით, ქუთაისის გუბერნიაში მთელი მოსახლეობის 53,6%-ს შეადგენდნენ მამაკაცები და 46,4%-ს ქალები. ანალოგიური მაჩვენებლები თბილისის გუბერნიაში იყო 51,4% და 48,6%<sup>28</sup>. ვფიქრობთ, რომ 1806, 1821 და 1832 წლებისათვის აქ მოტანილ მონაცემებში რამდენადმე გადიდებულია აღებული მამაკაცების ხვედრითი წონა, რადგან არ ხდებოდა ქალების მთლიანი აღრიცხვა, განსაკუთრებით — მომთაბარე მუსლიმანურ მოსახლეობაში. ამიტომ სინამდვილესთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ მამაკაცების ხვედრით წონას 53%-ს და ქალებისას კი 47%-ს ავიღებთ. ასეთი შეთანაწყობის მიღების შემდეგ კომლის საშუალო სიდიდე 1800—1830-იანი წლების საქართველოს ცალკე რეგიონებში იქნება:

რეგიონები	მამაკაცი	ქალი	კომლის საშუალო სულაობა
აღმ. საქართველოს ბარის რაიონები	4,01	3,56	7,57
აღმ. საქართველოს მთის რაიონები	3,64	3,23	6,87
დას. საქართველოს ბარის რაიონები	3,65	3,24	6,89
დას. საქართველოს მთის რაიონები	4,11	3,64	7,75
საქართველოს ქალაქები	2,52	2,23	4,75

<sup>23</sup> Итоги всеобщей переписи населения 1970 г., т. II, М., 1972, გვ. 36—37.

<sup>24</sup> Акты..., т. XII, გვ. 1321; т. IV, № 37, გვ. 39.

<sup>25</sup> Акты..., т. III, № 1194, გვ. 714.

<sup>26</sup> Гапба, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.

<sup>27</sup> Обзорение Российских владений за Кавказом, СПб, 1836, часть I, გვ. 318—351.

<sup>28</sup> Акты..., т. XII, გვ. 1321.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ გამოთვლილი კომლთა საშუალო სულადობა მიახლოებითა და მათი სიზუსტის ხარისხი შეიძლება დაადასტუროს მოსახლეობის გამოთვლის საბოლოო შედეგებში.

არსებული წყაროების საფუძველზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე რეალურად მიგვაჩნია XIX ს-ის დასაწყისისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი მოსახლეობის განსაზღვრა 45 ათასი კომლით და იმერეთის სამეფოსი 22,8 ათასი კომლით. ქართლ-კახეთის სამეფოს ამ შემთხვევაში ვიღებთ იმ ტერიტორიის ფარგლებში, რაც საქართველოს დღევანდელ საზღვრებს შეიგნითაა მოქცეული. 1832 წლის კამერალური აღწერის შედეგებში საკმაოდ დეტალურადაა მოცემული მოსახლეობის განაწილება აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს შორის, რაც საშუალებას გვაძლევს 1832 წლის რეგიონალური პროპორციები გავავრცელოთ XIX ს-ის დასაწყისზეც და ამ გზით ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ქალაქისა და სოფლის, აგრეთვე მთისა და ბარის მოსახლეობა. ასეთი გამიჯვნა არა მარტო მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე მოგვცემს წარმოდგენას, არამედ საჭიროა აგრეთვე იმიტომაც, რომ კომლის საშუალო სულადობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ცალკეულ რეგიონებში საკმაოდ განსხვავებულია, ეს კი აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული მოსახლეობის რიცხოვნების გამოთვლის დროს; ამის გარეშე სწორ წარმოდგენას ვერ მივიღებთ მთლიანად საქართველოს მოსახლეობაზე. ამრიგად, თუ მიღებულ განაგარიშებათა შედეგებს ერთ ცხრილში მოვაქვევთ, მივიღებთ შემდეგ სურათს.

ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების მოსახლეობა რუსეთთან შეერთების წინ

რეგიონები	კომლთა რაოდენობა	კომლის საშუალო სულადობა	მოსახლეობის რაოდენობა
საქართველოს ქალაქები	4480	4,75	21300
მათ შორის: თბილისი	3244	4,75	15400
ქუთაისი	180	4,75	850
ქართლ-კახეთის ბარი	29800	7,57	225600
ქართლ-კახეთის ჩრდილოეთი მთიანეთი	19000	6,87	74900
იმერეთი (ქუთაისის გამოკლებით)	18250	6,89	125740
რაჭა	4370	7,75	33900
<b>ს უ ლ</b>	<b>67800</b>	<b>7,10</b>	<b>481440</b>

მოტანილ გამოთვლებში შესული არაა საქართველოს ის პროვინციები, რომელთა მოსახლეობაზე არ ყოფილა გამოქვეყნებული 1832 წლის კამერალური აღწერის შედეგები. ესენია: სამეგრელო, გურია, სამცხე-ჯავახეთი, აფხაზეთი, აჭარა და სვანეთი. ამ პროვინციების მოსახლეობის შესახებ (გარდა აფხაზეთისა და აჭარისა) შედარებით სანდო ცნობებია 1858 წელს პეტერბურგში გამოცემულ ქუთაისის გუბერნიის სტატისტიკურ აღწერაში<sup>29</sup>, რომლის ავტორს ლავრენტიევს საკმაოდ საინტერესო მონაცემები მოჰყავს მოსახლეობის შესახებ. რამდენადმე „დამრგვალებულია“ ცნობები სამეგრელოს და

<sup>29</sup> Статистическое описание губерний и областей Российской империи, т. XVI, Статистическое описание Кутаисской губернии, СПб., 1858.

სვანეთის მოსახლეობაზე, რადგან ამ პროვინციებში ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული რუსული მმართველობა. დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთი მაშინ ახალციხის მაზრის სახელწოდებით ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა. ვფიქრობთ, რომ დიდი შეცდომა არ იქნება დაშვებული, თუ ქუთაისის გუბერნიის მაშინდელი მაზრების მოსახლეობას შორის დამყარებულ პროპორციებს გავაგრძელებთ 1832 და 1800 წლებზე. ამის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება მაშინ არ იყო მნიშვნელოვნად განსხვავებული გუბერნიის შიგა ნაწილებში. რაც შეეხება მოსახლეობის მექანიკურ მოძრაობას, მისი გავლენის გათვალისწინებით ჩვენ შევიტანთ ზოგიერთ კორექტივს იმ პროვინციების მოსახლეობის გაანგარიშებაში, სადაც ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესებს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX ს-ის დასაწყისში არ შეიძლებოდა იმერეთის სამეფოში ყოფილიყო 3,3-ჯერ მეტი მოსახლეობა, ვიდრე სამეგრელოს სამთავროში. ამ მოსაზრებას ნათლად ადასტურებს 1855 წლის სტატისტიკური მონაცემები. სამეგრელოს მოსახლეობა მაშინ შეადგენდა 155 ათასს, ხოლო იმერეთის ყოფილი სამეფოსი 213,6 ათასს<sup>30</sup>, ანუ მათ შორის შეფარდება იქნება 72,5 : 100. შემდგომი პერიოდის მონაცემებში მნიშვნელოვნად შემცირებულია სამეგრელოს ზვედრითი წონა. თუ XIX ს-ის მეორე ნახევრის მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ სამეგრელოს (ლეჩხუმთან ერთად) მოსახლეობა შეგვიძლია შევუფარდოთ იმერეთის ყოფილი სამეფოს მოსახლეობას როგორც 66,3 : 100. ანალოგიური შეფარდება გურიისა და იმერეთის მოსახლეობისათვის კი შეადგენს 19,3 : 100. ამ პროპორციების საფუძველზე სამეგრელოს მოსახლეობას 1800 წლისათვის ჩვენ ვიღებთ 106,4 ათასს, გურიისას — 31 ათასს.

რაც შეეხება სვანეთის მოსახლეობას, მისი განსაზღვრა XIX ს-ის დასაწყისისათვის 1855 წლის შესაბამისი პროპორციით არ იქნება მართებული. მაშინდელი ქვემო სვანეთი შედიოდა სამეგრელოს სამთავროში და, როგორც ჩანს, მეტად სუსტად იყო დასახლებული. შედარებით კარგად დასახლებულ მხარეს წარმოადგენდა ენგურისა და მისი შენაკადების ხეობებში განლაგებული ე. წ. „საბატონო“ და „თავისუფალი“ სვანეთი ანუ დღევანდელი ზემო სვანეთი (მესტიის რაიონი). ს. კაკაბაძე ზემოთ დასახლებულ სტატიში აღნიშნავს, რომ 1830-იან წლებში სვანეთის მოსახლეობა 30 ათას კაცს შეადგენდა. ეს ცნობა აშკარად გადაჭარბებულია. რადგან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც კი — 1926 წ. სვანეთის მთელი მოსახლეობა არ აღემატებოდა 18,8 ათასს, ხოლო 1886 წლისათვის — 15 ათასს<sup>31</sup>. უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან 1855 წ. სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც სვანეთის მოსახლეობა შეადგენდა 12 ათასს (აქედან ქვემო სვანეთში მხოლოდ 1000 კაცი). სვანეთის მაშინდელი მდგომარეობა ნაკლებად ხელსაყრელი იყო მოსახლეობის მატებისათვის, ამიტომ 1800 წლისთვისაც იმავე 12 ათასის რაოდენობით უნდა ვივარაუდოთ მოსახლეობა სვანეთში.

საკნაოდ რთულია აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობის დადგენა საკვლევი პერიოდისათვის. ცნობილია, რომ აფხაზეთში რუსული მმართველობა

<sup>30</sup> Статистическое описание губерний..., გვ. 76.

<sup>31</sup> Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков в 1886 г., Тифлиси, 1893.

დამკვიდრდა 1864 წელს, ამიტომ იქ XIX ს-ის რეფორმამდელ პერიოდში კამერალური აღწერები არ განხორციელებულა. ამ პერიოდისათვის რუს მოხელეებს აფხაზეთის მოსახლეობაზე ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები მოჰყავთ. ასე მაგალითად, ერთ ცნობაში, რომელიც 1809 წელს განეკუთვნება, ნათქვამია, რომ აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენს 5 ათას კომლს<sup>32</sup>, ხოლო 1811 წელს გენერალ ტორმასოვის უწყისში ამ მხარის მოსახლეობა 15 ათასი კომლითაა განსაზღვრული<sup>33</sup>. კ. ანთაძე გასული საუკუნის დასაწყისისათვის აფხაზეთის მოსახლეობას 90 ათასს ანგარიშობს, ს. კაკაბაძე კი 85 ათასს. ეს ცნობები მოითხოვს დაზუსტებას. თუ პირველი მათგანი მეტად შემცირებულად გვიჩვენებს აფხაზეთის მოსახლეობას, დანარჩენი სამი ცნობა გადაჭარბებულია. არ შეიძლება კ. ანთაძეს დავეთანხმოთ იმაში, რომ XIX ს-ის პირველი ორი მესამედის მანძილზე, ე. ი. 1866 წლამდე აფხაზეთის მოსახლეობა თითქმის არ მრავლდებოდა ბუნებრივი გზით<sup>34</sup>. უფრო დასაბუთებული ჩანს არქივის ერთი ცნობა, რომელიც 1819 წელს განეკუთვნება და აფხაზეთის მოსახლეობას 7—8 ათასი კომლით განსაზღვრავს<sup>35</sup>. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში კამერალური აღწერა 1830-იანი წლების დასაწყისში არ ჩატარებულა, საკმაოდ რეალური უნდა იყოს კავკასიონის აქეთ რუსეთის სამფლობელოების მიმართულაში მოტანილი ციფრები აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის შესახებ<sup>36</sup>. პირველ მათგანში მამაკაცების რაოდენობა ნაჩვენებია 45,1 ათასი, მერაზე კი 61,6 ათასი. ასე რომ, შეფარდება აფხაზეთის და სამეგრელოს მოსახლეობას შორის შეადგენს 73,2 : 100. ამ პროპორციის მიხედვით აფხაზეთის მოსახლეობა 1800 წლისათვის იქნება 77,8 ათასი. ინტერესმოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ აქ მოტანილი ცნობა სამეგრელოში მამაკაცთა საერთო რაოდენობის შესახებ კარგად შეესატყვისება ჩვენ მიერ სხვა მეთოდით გამოთვლილ სამეგრელოს მოსახლეობის რაოდენობას 1800 და 1832 წლებისათვის, რაც ნათლად გამოჩნდება ცოტა ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

კიდევ უფრო ნაკლებადაა ცნობები აჭარის მოსახლეობაზე, რადგან საქართველოს ეს პროვინცია თურქთა ბატონობისაგან მხოლოდ 1878 წ. განთავისუფლდა. 1829 წლამდე, ვიდრე მესხეთ-ჯავახეთი რუსეთს შეუერთდებოდა, შიდა აჭარა ახალციხის საფაშოს შემადგენლობაში შედიოდა. მაშინდელ მიმომხილველს თუ დაუფერებებ<sup>37</sup>, ზემო და ქვემო აჭარა (ხულო და ქედა) დიდი სანჯაყების რიცხვს ეკუთვნოდნენ და თითოეულ მათგანში 15—16 ათასი კაცი ცხოვრობდა. თუ ამავე დროს მაჭახელის სანჯაყისა და ზღვისპირა აჭარის მოსახლეობასაც გავითვალისწინებთ, თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე 1800 წლისათვის მოსახლეობა არ იქნებოდა 40 ათასზე ნაკლები. გ. ყაზბეგმა 1874 წელს იმოგზაურა აჭარაში და გამოსცა ამ მხარის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევი<sup>38</sup>. აჭარის 6 ოკრუგის მოსახლეობა,

პოლიციის მხარდაჭერით აღვირაშვებულმა მებატონე ჯორჯაძეებმა თვითნებური მოქმედება უფრო გააძლიერეს. ჯორჯაძეების მიმართ გლეხები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. სამოქალაქო გუბერნატორი იუწყება: ფრიდონ ველიაშვილმა სახაზინო გლეხის ყურუღი იაშვილის ქალწული ერთი წელია რაც შეირთო, მას ჯვარი უნდა დაეწერა, მაგრამ თავად ჯორჯაძის ნებართვის გარეშე მღვდელი არ აქორწინებს, სანამ ველიაშვილები მემამულეს საფსებით არ დაემორჩილებიან და ფულად გადასახადს არ გადაიხდიან, ვინაიდან ისინი თავიანთ თავს ჯორჯაძის ნამდვილ ყმებად არ თვლიან. აღნიშნულის გამო მათი ნათესავი ფ. ველიაშვილი დაუქორწინებელი დარჩა, რასაც გლეხები უკიდურეს შეურაცხყოფად თვლიან<sup>5</sup>.

თელავის მეურვეობის გამგეობის დავალებით თავადი ს. ჯორჯაძე 1841 წლიდან შეუდგა გადასახადების აკრფვას, რაც წელიწადში 222 მანეთისაგან შედგებოდა, მაგრამ გლეხებმა გადახდაზე უარი განაცხადეს.

თავადი ს. ჯორჯაძე უბნის მსაჯულის თანხლებით სოფელში ჩავიდა და ველიაშვილებისაგან კატეგორიულად მოითხოვა ვალის დასაფარავად გადასახადის გადახდა. თავადის მიერ მიღებულმა საეგზეკუციო ზომებმა გლეხების სიმტკიცე ვერ გატეხა. პოლიციური ხელისუფლებისა და მემამულეების წინააღმდეგ ველიაშვილების შეუბოვრობამ მეტად სერიოზული ხასიათი მი-

<sup>2</sup> სცსა, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 8916, ფურც. 16—20.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 2, აღწ. 1, ს. 8916, ფურც. 16.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 2, აღწ. 1, ს. 8916, ფურც. 17—24.

<sup>5</sup> იქვე, ფურც. 7—8.

ილო. თელავის მაზრის მეურვეობამ არაერთხელ დაავალა მაზრის უფროსს, ყვარლის უბნის მსაჯულს, რომ ყმები ველიაშვილები მეურვეებისათვის დაემორჩილებინა, რათა გადასახადები აეკრიფათ, რომ ენისეღელთა უდრეკობას სასწრაფოდ ბოლო მოეღებოდა. უწინარეს ყოვლისა ჯორჯაძის გლეხებს უნდა გადაეხადათ: 1841, 1842, 1843 წწ. „ნედოიმკები“ — გადუხდელი ფული, სულ 666 მანეთის რაოდენობით.

„ნედოიმკების“ ასაკრფად მიღებულ იქნა უფრო რადიკალური ზომები. ყვარლის უბნის მსაჯულმა მიიღო მკაცრი განკარგულება, თავად ივანე ჯორჯაძის მამულის მეურვეების ზურაბ ჭავჭავაძესა და სერგო ჯორჯაძესთან ერთად ერთდროულად აეკრიფათ გლეხებში 1841, 1842 და 1843 წლების „ნედოიმკები“, არ მიეღოთ მხედველობაში არავითარი მომიზეზება. 1844 წ. 8 აპრილს უბნის უფროსმა წერილობითი ბრძანება მისცა გზირ ბაბუხაძეს, რომ მას გლეხებში დაუყოვნებლივ აეკრიფა გადასახადები, მაგრამ ბაბუხაძემ მიზანს ვერ მიაღწია. ის ხელცარიელი დაბრუნდა.

ამის შესახებ წერილობითი ცნობის მიღებისთანავე ყვარლის უბნის მსაჯული კაპიტანი ნემიროვიჩი-დანჩენკო ზომების მისაღებად დაუყოვნებლივ თვითონ დაიძრა სოფელ ენისეღლისაკენ. მსაჯულის განკარგულებით, აქ თავი მოუყარეს მემამბოხე გლეხებს, რომელთაც მან სიტყვიერ მიმართა და დაუწყო დაჯერება და შთაგონება, თქვენს სამწლიან შეუპოვრობას არ შეუძლია თქვენი ხსნა „ნედოიმკების“ გადახდევინებისაგანო. უნდა იცოდეთ, გადასახადების გადახდის შეყოვნება მას მხოლოდ გაადიდებს და ხელისუფალთა იძულებს თქვენს მიმართ მკაცრი ზომების მიღებასო. მაგრამ გლეხები მაინც არ ცხრებოდნენ. მაშინ მსაჯულმა მათ უფრო ლმობიერი წინადადებით მიმართა — „ნედოიმკები“ ნაწილ-ნაწილად გადაეხადო.

ყოველივე ამანვე გლეხებმა უბნის მსაჯულს უპასუხეს: ჯორჯაძეს გადასახადს ნებაყოფლობით არ მივცემით<sup>6</sup>. ამგვარად, ენისეღელი ჯორჯაძის გლეხებმა — ველიაშვილებმა დიდი დარაზმულობა გამოიჩინეს და მათ დასამორჩილებლად სოფელში ჩასულ პოლიციის მესვეურს „ნედოიმკების“ გადხდაზე გადაჭრით უარი უთხრეს.

1844 წ. 15 აპრილს მეურვე ს. ჯორჯაძე „ნედოიმკების“ ასაკრფად სოფელში კვლავ გაემართა და თან იახლა გზირი ბაბუხაძე, მაგრამ, როგორც მასალებიდან ჩანს, ველიაშვილებს ახლაც წინააღმდეგობა გაუწევიათ. ამჯერად უკვე მიღებულ იქნა რეპრესიული ზომები. ყვარლის უბნის მსაჯულის განკარგულებით შეუპყრიათ ორი მოთავე გლეხი ივანე და სიმონ ველიაშვილები და ორივე გაუროზგავთ, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. ადგილობრივი ხელისუფლებმა იძულებული გახდა ჯორჯაძის გლეხების დასამორჩილებლად და „ნარჩენის“ ასაკრფად სამხედრო ნაწილი გამოეთხოვა.

თელავის მაზრის მმართველისადმი ყვარლის უბნის მსაჯულის 1844 წ. 22 აპრილით დათარიღებულ პატაკში ვკითხულობთ: ველიაშვილების დაუმორჩილებლობას და შეუპოვრობის შედეგად დიდძალი „ნედოიმკები“ დაგროვდა. ივანე ჯორჯაძის სხვა გლეხებთან შედარებით ისინი შეძლებული გლეხები არიან და მისი ერთბაშად გადახდაც კი შეუძლიათ, მაგრამ ამისათვის საჭიროა გაძლიერებული საშუალება, ვინაიდან შთაგონება და რჩევა მათ-

<sup>6</sup> სცსა, ფონდი 2, საქმე 8916, ფურც. 10.

<sup>7</sup> იქვე, ფურც. 45.

ზე არ მოქმედებსო. უბნის მსაჯულმა ნემიროვიჩი-დანჩენკომ მოითხოვა, ივანე ჯორჯაძის გლეხებისათვის ხარკი გადაეხდევინებინათ სამხედრო რაზმის მეშვეობით, რომელიც სოფელ ენისელს იდგა. ამის გარეშე შეუძლებელია ვიქონიოთ იმედი, რომ გლეხები—ველიაშვილები ნებაყოფლობით, ანდა მცირე პოლიციური საშუალებით იმდენად დაიმორჩილო, რომ ხარკი წესიერად გადაიხადონ. დანჩენკო აქვე დასძენდა, რომ სოფელ შაკრიანში მისი ბრძანებით როზგით ნამდვილად დასაჯეს თავად ჯორჯაძის გლეხები ივანე და სიმონ ველიაშვილები „ნედოიმკების“ აკრფისას შეუპოვარი წინააღმდეგობისა და შეურვე ს. ჯორჯაძის შეურაცხყოფისათვის. მიუხედავად ამისა, გლეხები არ ცხრებიან და ურჩობას მაინც აგრძელებენ. დასასრულ, დანჩენკო ითხოვდა სოფელ ენისელში სამხედრო რაზმის ჩაყენების ნებართვას.

გლეხების შეუპოვრობით გამძვინვარებული თავადი ს. ჯორჯაძე 1844 წ. 25 აპრილს პოლიციის თანხლებით ენისელში ჩავიდა და, ძალით შეუდგა გადასახადის კულუხის აღებას; გლეხი ველიაშვილები შეიარაღდნენ ხელკეტებით და არ მისცეს ეგზეკუტორებს ქვევრიდან ღვინის ამოდების შესაძლებლობა, რამაც მათ შორის შეიარაღებული შეტაკება გამოიწვია. ამრიგად, ხანგრძლივი ურჩობა უკვე შეიარაღებულ ამბოხებაში გადაიზარდა. მეამბოხე გლეხებმა ხელკეტებით სცემეს თავად ჯორჯაძეს, მის კაცებსა და ენისელის ნაცვალს. ეგზეკუტორებმა თავი გაქცევით იხსნეს. მეამბოხეების მიმართ პოლიციამ მიიღო მკაცრი რეპრესიული ზომები, მოჯანყე გლეხები კი კონდახებით დაფანტეს, ხოლო ივანე და სიმონ ველიაშვილები შეიპყრეს და, როგორც მოთავეები, როზგით სასტიკად დასაჯეს, მერე თავად ჯორჯაძის თხოვნით ისინი სატუსალოში ჩასვეს. მემამულე ფიქრობდა, როცა ისინი სოფელში არ იქნებიან, „ნედოიმკების“ აკრფისას წინააღმდეგობაც არ იქნებაო, მაგრამ შეცდა. მებატონესა და პოლიციურ ხელისუფლებასთან ესოდენ გააფთრებული შერკინების შემდეგ ამბოხების მონაწილე დანარჩენმა გლეხობამ სახლ-კარი დატოვა და ტყეში მიიმაღა<sup>8</sup>. ამით ველიაშვილებმა პროტესტი გამოხატეს და მჩაგვრელების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა გააჩაღეს.

კაპიტანმა დანჩენკომ გადასახადის აკრეფა შეაჩერა, რომ ამბოხებულთათვის საშუალება არ მიეცა ეჩივლათ, ძალადობას იჩენენ, „ნედოიმკების“ წაღებით ზარალი მოგვაყენესო. სინამდვილეში მამინ პოლიციამ გადასახადის აკრეფა ამბოხებისა და პარტიზანული ბრძოლის გავრცელების შიშით ვერ გაბედა<sup>9</sup>.

გლეხების მღელვარების ჩასაქრობად მიღებულ იქნა მკაცრი ზომები. სასტიკად დატუქსვის შემდეგ პოლიციამ ველიაშვილებს ჩამოართვა ხელწერილი, რომ ამიერიდან ისინი მორჩილი იქნებიან. ამრიგად, ძალამ თავისი გაიტანა.

მაგრამ ივანე ჯორჯაძის გლეხებს ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ. როგორც მასალებიდან ჩანს, მათ სოციალური პროტესტის გამოხატველი საჩივარი შეუტანიათ საქართველოს სისხლის სამართლისა და საშოქაქაელო პალატაში და მოუთხოვიათ თავად ჯორჯაძის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება, მაგრამ 1845 წ. 5 მაისს პალატამ მიიღო გადაწყვეტილება თავად ივანე ჯორჯაძის მფლობელობაში ველიაშვილების დატოვების შესახებ.

8 სცსა, ფონდი 2; აღწ. I, საქმე 8916, ფურც. 48.

9 იქვე, ფურც. 33.

პალატის თავმჯდომარემ დუდინმა თელავის მაზრის სასამართლოს დაავალა, რომ ჯორჯაძის მფლობელობაში ველიაშვილების დატოვების თაობაზე გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მოეყვანა სისრულეში.

მიუხედავად ამისა, მემამულეებთან ამ ყოველდღიური შერყინებით ვლახებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მათი გამოსვლები ბატონყმური სისტემის კრიზისის კონკრეტული გამოვლინება იყო, რასაც უთუოდ უნდა მოჰყოლოდა რადიკალური ცვლილებები ფეოდალურ წყობილებაში.

სწორედ ეს კანონზომიერება აქვთ მხედველობაში მარქსიზმის ფუძემდებლებს, როდესაც აღნიშნავენ: „მჩაგვრელი და ჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდნენ შეუწყვეტელ — ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, — ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდება მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით“<sup>10</sup>.

<sup>10</sup> კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1954, გვ. 36—37.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ძიძარია

დავით ქვანთი

შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხისათვის XVII ს-ის 60—70-  
იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში

ფეოდალური წყობილების დროს შინაკლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობს ფეოდალური კლასის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის მიწისა და პოლიტიკური ძალაუფლებისათვის. ბრძოლა მეფესა და დიდ ფეოდალებს შორის წარმოებს ძირითადად სამამულე იმუნიტეტისათვის; მეფეს სურს ფეოდალთა იმუნიტეტის შეზღუდვა, ფეოდალებს — მისი გაფართოება; ბრძოლა ცალკეულ დიდ ფეოდალებს შორის მიმდინარეობს მიწისათვის; ეკლესია, როგორც ფეოდალური ორგანიზაცია, მონაწილეობს ამ ბრძოლაში და, ერთი მხრივ, სხვა დიდი ფეოდალების მსგავსად, ებრძვის ცენტრალურ ხელისუფლებას თავისი სამამულე იმუნიტეტის გასაფართოებლად, მეორე მხრივ, დიდ ფეოდალებს — ყმა-მამულისათვის.

XVII ს-ის 60—70-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გამსაკუთრებით ამწვევად ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალურ ოპოზიციას შორის, რაც გამოწვეული იყო ვახტანგის (შაჰნავაზის) შტკიცე ცენტრალისტური პოლიტიკით და ამ პოლიტიკის გარკვეული წარმატებით. ეს ბრძოლა გადახლართული იყო საგარეო ფაქტორებთან: ვახტანგ V, როგორც როსტომის ხაზის გამგრძელებელი საგარეო პოლიტიკაში, ირანული ორიენტაციის გამტარებელი იყო. ამდენად, ფეოდალური ოპოზიციის ქმნიდა ანტიირანული ორიენტაციის დაჯგუფებას და უკავშირდებოდა ამ ორიენტაციის მქონე ტახტის პრეტენდენტს, თეიმურაზის შვილის შვილს, მისი პოლიტიკური ხაზის გამგრძელებელს ერეკლე I-ს. მაგრამ, მოწინააღმდეგე ძალები ზოგჯერ იცვლიდნენ საგარეო ორიენტაციას, თუკი ამას მათი პირადი წოდებრივი ინტერესები მოითხოვდა; ფეოდალური ოპოზიციის წარმომადგენლები უკავშირდებოდნენ ირანს მეფის წინააღმდეგ, მეფე კი ზოგჯერ ფარულად ანტიირანულ დონისძიებებს უჭერდა მხარს. ეს შინაფეოდალური ბრძოლა, გახვეული საგარეო ორიენტაციებს შორის ბრძოლის სამოსელში, ერთი მხრივ, აიძულებდა ირანის შაჰს წასულიყო გარკვეულ დათმობებზე ირანული ორიენტაციის ძალების მიმართ, მეორე მხრივ, საშუალებას აძლევდა მას ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა ცალკეული დაჯგუფებები საქართველოში და გამოეყენებინა ეს დაპირისპირება თავის სასარგებლოდ.

ვახტანგ V, თავის მხრივ, ფეოდალურ ოპოზიციასთან ბრძოლაში იყენებდა წინააღმდეგობებს თვით თავადთა სახლებს შიგნით: სათავადო სახლის ერთ ოჯახს უპირისპირებდა მეორეს, ართმევდა სახლის უფროსობას თავის მოწინააღმდეგე თავადს და აძლევდა იმავე სახლის სხვა წევრს, სხვა ოჯახს, რომელსაც ამ გზით სათავადოში (დროებით მაინც) აქცევდა თავის ერთგულ დასაყრდენად. ქართული ნარატიული საისტორიო წყაროებისა და საბუთების ცნობათა საფუძველზე ირკვევა, რომ შინაკლასობრივი ბრძოლაში ვახტანგ



V-ის წინააღმდეგ სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიუღიათ არაგვისა და ქსნის ერისთავების, ციციშვილების, ჯავახიშვილების, ბარათაშვილ-ორბელი-შვილებისა და სხვა სათავადო სახელებს. ქვემოთ განხილულია რამდენიმე ეპიზოდი ამ ბრძოლებიდან.

XVII—XVIII სს. ქართულ ნარატიულ წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული შინაკლასობრივი ბრძოლის შესახებ, რომელიც წარმოებდა ვახტანგ V-სა და არაგვის საერისთაოს შორის. არაგვის ერისთავი ვახტანგ V-ს ჯერ კიდევ მის გამეფებამდე დაუპირისპირდა. როსტომმა თავისი მეფობის დასაწყისში მოაკლევინა მეფის ურჩი დათუნა არაგვის ერისთავი, მაგრამ საერისთაოს გაუქმება ვერ შეძლო და ერისთავად დაჯდა დათუნას ძმა ზაალი, რომელიც როსტომის საწინააღმდეგოდ დაუკავშირდა თეიმურაზ I-ს. როდესაც უშვილო როსტომმა თავის მემკვიდრედ ვახტანგ მუხრანბატონი გამოაცხადა, ამას წინ აღუდგა ზაალი, რომელიც თავისი ფეოდალურ-სეპარატისტული ინტერესების შესაბამისად მომხრე იყო მეფობის სრული გაუქმებისა და თავისი საერისთაოს ირანის შაჰისადმი უშუალოდ დამორჩილებისა. ამრიგად, ფეოდალთა საგარეო ორიენტაცია იცვლება მისი ვიწრო-ფეოდალური ინტერესების შესაბამისად. ზაალმა შეიარაღებული ძალით სცადა ხელი შეეშალა ვახტანგის გამეფებისათვის, მაგრამ ვერ შეძლო<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ზაალ არაგვის ერისთავი ირანის წინააღმდეგ კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე გახდა. 1661 წელს (ვახუშტით 1660 წელს) ზაალი, ვახტანგის წაქეზებით მისმა ძმისწულებმა მოკლეს დუშეთში<sup>2</sup>. ზაალის შვილები შალვა, ზურაბი და მისი ცოლისძმა — გიორგი ჩხეიძე მკვლელებს გაექცნენ. გაქცეულებს ვახტანგმა ჯარი დაადევნა. ისინი შეიპყრეს ტბისყორს. შეპყრობის დროს გიორგი ჩხეიძე მოკლეს, ხოლო ზაალის შვილები „მეფესთან მიასხეს“. ვახტანგმა ისინი ირანში, შაჰ-აბას II-თან გაგზავნა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „ყაენმან უმცროსი ძმა შეინახა და უფროსი ქირმანს გაგზავნეს და იქ თავის დროით მიცვალებულიყო“<sup>3</sup>.

ვახტანგ V დააწინაურა ზაალის მკვლელები: არაგვის ერისთავობა მისცა ბიძის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილეს ოთარს. ედიშერს უწყალობა მსაჯულთ-უხუცესობა, ხოლო იასონს — დედოფლის სახლთუხუცესობა<sup>4</sup>. ოთარს არაგვის ერისთავობა შაჰმაც დაუმტკიცა.

ოთარ არაგვის ერისთავი უპირისპირდება კახეთში 1664 წელს გამეფებულ ვახტანგის ვაჟს არჩილს. არჩილს სურდა არაგვის ერისთავი დამორჩილებინა თავისი ხელისუფლებისათვის, მაგრამ ოთარიც ისეთსავე დეცენტრალისტურ მიდრეკილებებს იჩენდა, როგორც მისი წინამორბედი ზაალ ერისთავი. ოთარი არჩილისა და ვახტანგის საპირისპიროდ დაუკავშირდა ერეკლე ბატონიშვილს (ისევე როგორც ადრე ზაალ ერისთავი დაუკავშირდა როსტომის წინააღმდეგ თეიმურაზ I-ს). ვახუშტის ცნობით, „სცნა არჩილ, რამეთუ ოთარ არაგვის ერისთავი და ძმანი მისნი ეზრახვიან გამეფებად ერეკლეს“. ამის საპასუხოდ არჩილმა დაიკავა ერწო-თიანეთი, მაგრამ არაგვის მფლობე-

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 447.

2 იქვე, გვ. 448.

3 ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, II, 1925, გვ. 270.

4 ვახუშტი, დასახ. ნაწილი, გვ. 448.

ლებმა შეჰფიცეს „სამსჭულასა ზედა“ ერთგულება არჩილს და მან კვლავ დაუბრუნა ერწო-თიანეთი არაგვის ერისთავს<sup>5</sup>. ბოლოს, მეფის წინააღმდეგ ოთარ არაგვის ერისთავი ირანს დაუყავშირდა. ირანის შაჰმაც არ დააყოვნა გამოეყენებინა ეს ძლიერი ფეოდალი, თავისი ხელქვეითი, მაგრამ მაინც არც-თუ ისე საიმედო ვახტანგ მეფისა და მისი ვაჟის არჩილის წინააღმდეგ. ვახუშტის ცნობით, „ყაენმა, ვინაფთვან ვახტანგ განდილდა ფრიად, ჰგონა ამითი დაკნინება მეფისა და მიუწოდა ოთარს თავის წინაშე“<sup>6</sup>. ოთარის ირანში გამგზავრების შემდეგ ვახტანგ V და არჩილმა ილაშქრეს არაგვის საერისთაოში. დღემთში მათ შეიპყრეს ოთარის ძმა ჰაპუა. მეორე ძმა ედიშერ მღვიანზეგი გაიქცა. რაც არაგვის ერისთავს საკახეთო მამულები ექცია, არჩილმა და შაჰნავაზმა თავისთვის დაიპირეს<sup>7</sup>. ირანიდან ყაენის მიერ შეწყალებული ოთარის დაბრუნების შემდეგ შაჰნავაზმა დაუმტკიცა მას ერისთაობა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ძმები გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალნენ. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „მოწამელა იქვეა მათი“<sup>8</sup>. ზოლო ვახუშტის მიხედვით, „იტყოდნენ სამსჭულაის ტყუილად ფუცვისათვის“<sup>9</sup>.

ოთარის შემდეგ შაჰნავაზმა არაგვის ერისთავად დასვა მათი ბიძა რევანზი, რომლის ქალიც ცოლად შერთო თავის შვილს ლუარსაბს<sup>10</sup>.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ნარატიული ძეგლები ვახტანგ V-ისა და ქსნის საერისთაოს შორის არსებულ შინაქლასობრივ ბრძოლაზე: კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო შალვა ქსნის ერისთავი. აჯანყების შემდეგ შალვა, მისი ძმა ელიზბარი და ბიძინა ჩოლოყაშვილი, ბერი ვგნატაშვილის ცნობით, „არა მოვიდეს მეფესა შაჰნავაზთანა, არამედ წარვიდეს ყარაღაჯში მურათუხალიყულიხანთანა. მან შეიპყრო და ყაენს ვაუგზავნა“<sup>11</sup>. ყაენმა, იმავე წყაროს ცნობით, „ვითარცა წესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მკულელსა ხელში მისცემენ მოსისხართა“, ისინი გადასცა 1659 წ. აჯანყების დროს დახოცილთა თანამეტომეებს, რომლებმაც 1661 წელს სამივე წამებით მოკლეს.

შალვა ქსნის ერისთავის დასჯის შემდეგ, ვახტანგმა, ვახუშტის ცნობით, ქსნის ერისთაობა მისცა იესეს<sup>12</sup>. შალვას შვილს დათუნას თავი შეუფარებია თუშეთისათვის, სადაც ის, როგორც ჩანს. შაჰნავაზის წინააღმდეგ დაკავშირებული ყოფილა თეიმურაზ I-თან და ერეკლე ბატონიშვილთან.

იესე ქსნის ერისთავი ვახტანგის მეფობის ბოლო პერიოდში ფეოდალური სეპარატიზმის ვაზზე დამდგარა — გასდგომია მეფეს. ვახუშტის ცნობით, იესე ერისთავი იყო „უკუმდგარი“<sup>13</sup>. სწორედ ამ პერიოდში მიემგზავრებოდა ვახტანგი ირანში, რათა თავი ემართლებინა შაჰის წინაშე თავის ვაჟების არჩილისა და ლუარსაბის იმერეთში გამეფების მცდელობისათვის. წასვლის წინ,

5 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 452.

6 იქვე.

7 იქვე.

8 ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

9 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 453.

10 იქვე, გვ. 454—455.

11 ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 439.

12 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 448.

13 იქვე, გვ. 456.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, შაჰნავაზს „ბატონიშვილების გიორგისა და ლევანისათვის დაებარებინა: მე რომ ყაენის წინაშე წავიდეო, თქვენ იასე ერისთავს მიუვლითო და რაც ავი იყოს, ის უყავითო. იმათაც მაშის ბძანება გაათავეს. უწინ ყმანი ვარდმოზირეს, გაუორგულეს, დიდის ლაშქრით შესივნეს წინილამ საქართველოს ლაშქარმა და უკანიდამენ თავისამან თოფი დააყარეს და ცოტას კაცით ველარ გაუძლო და ჯალაბები გაუშვა და ხუთის კაცით კახეთზედ ჩაიარა და ყაენის კარს ჩავიდა და სახლკარი აუკლეს და დედა და ცოლი და მკვლელები დაუცარცვეს. შაჰნავაზ მეფე ყაზმინს ჩასულყო. იქ მოახსენეს ქსნის ერისთავს იესეს ჩაუვლიაო და ყაენთან წასულყო. თავად ავად იყო და მერმე ეს ანბავი დიად ეწყინა. ყაზმინით ავადმყოფი წავიდა და ხოშკარუს ქარვანსრაში ძლივას ჩაწივა“<sup>15</sup>.

გიორგი ბატონიშვილს ქსნის საერისთაოში გაუგზავნია თავისი ძე ლევანი, რომელსაც გაუძევებია იესე და ერისთავად დაუსვამს თუშეთიდან მოყვანილი დათუნა შალვას ძე.

ამრიგად, მეფემ ჯერ ერისთაობა ჩამოართვა შალვას ოჯახს და გადასცა იესეს, შემდეგ ჩამოართვა იესეს და დაუბრუნა შალვას ძეს დათუნას. თავადის განდგომის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფე თავადის სახლის ერთ წევრს იყენებს მეორის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ღონისძიება დროებითია, პალიატური: მეფის მიერ დასმული თავადი მხოლოდ დროებით რჩება მისი ერთგული და ბოლოს ისიც, მისი წინამორბედის მსგავსად, განდგომის გზას ადგება, უკავშირდება მეფის წინააღმდეგ ან ტახტის მეტოქე პრეტენდენტს, ან საგარეო ძალას (ამ შემთხვევაში ირანს). მეფე თავის პოლიტიკაში თავადებისადმი ამოსავლად არ იღებს ამ ფეოდალის საგარეო ორიენტაციას: ირანის მომხრეა ის თუ მოწინააღმდეგე, ხშირად ის თავადად სვამს ირანის წინააღმდეგ განწყობილ პირებსაც, თუ ისინი მისადმი ერთგულებას გამოიჩენენ. ზემოთ განხილულ ეპიზოდში ჩანს აგრეთვე შინაკლასობრივი ბრძოლის სხვა მეთოდები: გიორგი და ლევან ბატონიშვილებმა ჯერ ვადმოზირეს იესე ერისთავის ყმები და შემდეგ მათივე დახმარებით დაიკავეს საერისთაოს ტერიტორია.

მეფესთან ფეოდალურ შინაკლასობრივ ბრძოლაში ბარათაშვილების მონაწილეობას ნათელს ხდის რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი:

1659 წელს მეფეს პაპუნა ბარათაშვილ-გოშტაშაბისშვილისათვის დაუბრუნებია გურგენ ყორხმაზასშვილის მიერ დაპყრილი პაპუნას სოფელი ალგეთზე — ლოლოვნა, იმის გამო, რომ გურგენს მეფისთვის უორგულია:

ლოლოვნის ნახვარი ყორხმაზასშვილს გურგენს დაეჭირა და გურგენ ჩუენს ორგულთაში ვაგრივა. გაუწყობით და წავახდინეთ. თქუენი სამკვიდრო ლოლოვნა ისრევ თქუენ დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ<sup>16</sup>.

ვახტანგ V 1663 წლის 22 აპრილის წყალობის წიგნი ხოსია ბარათაშვილისადმი გვამცნობს მეფისაგან ერთ-ერთი ბარათაშვილის განდგომის შესახებ თორღის ციხეზე ლაშქრობისას<sup>17</sup>. როდესაც თუშეთში გამაგრებულმა ერეკლე I დაიწყო ბრძოლა კახეთის დასაპყრობად, ვახტანგმა გაილაშქრა კახეთში ერეკლეს წინააღმდეგ და დაამარცხა იგი ურიათუბანში. ერეკლემ თორღას ციხეს შეაფარა თავი. მეციხოვნეებს ალყაში გაუჭირდათ და, ვა-

15 ფ. გორგიჯანიძე, გვ. 475.

16 ხელნაწერთა ინსტ., Hd 4168.

17 სცია, 1450, დ. 11, ს. 75.



ხუშტის ცნობით, ერეკლეს დედის თხოვნით ვახტანგმა ერეკლე და მისი დედა უვნებლად გაუშვა<sup>18</sup>. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით კი შაჰნავაზის მიერ თორღის ციხის აღებას სხვა ვითარებაში მოხდა.

როგორც ცნობილია, არჩილი 1664 წლამდე იმერეთში მეფობდა. მისმა მოწინააღმდეგე იმერელმა თავადებმა იგი ახალციხის ფაშის მეშვეობით სულთანთან დაასმინეს. სულთანმაც არ დააყოვნა და ომის მუქარით ირანთან არსებულ შეთანხმების (ამასიის 1555 წ. ზავი) თანახმად შაჰისგან მოითხოვა არჩილი უკანვე გაეწვია დასავლეთ საქართველოდან. ასეც მოხდა. არჩილი ირანში გაიხმეს. ვახტანგ V მას გივი ამილახვარი გააყოლა. იქ ორივენი გამაჰმადიანდნენ. ყაენმა „კახეთი არჩილს უბოძა, შანაზარ ხან დაარქვა და ყოველი სამეფო იარაღი და ქარხნები უბოძა და კახეთს გაგზავნა“<sup>19</sup>. ამის შემდეგ, გორგიჯანიძისავე ცნობით, „ქართლში მამა მეფობდა და კახეთში შვილი“<sup>20</sup>. ერეკლე ღამით თავს დაესხა ვახტანგსა და არჩილს, ბრძოლის დროს შაჰნავაზ-არჩილის ბევრი მომხრე დაიღუპა, მაგრამ „მეფე ადგილთ ვერ დასძრეს“. მეორე დღეს მეფემ დაფანტული ლაშქარი მოაგროვა, თუშებს გაედევნა ნადავლი წაართვა, მაგრამ ერეკლე ხელში ვერ ჩაიგდო. თბილისში მიმავალ ვახტანგს და არჩილს ერეკლე ახლა მარტყოფში დაესხა თავს. ვახტანგმა ჯარი შეყარა და ერეკლე „უჯარმის ბოლოს“ დაამარცხა. ერეკლე თუშეთში გაიქცა, ხოლო დედამისი, ელენე დედოფალი ჩაიკეტა თორღას ციხეში. ვახუშტის მიერ გადმოცემული ვერსიის საწინააღმდეგოდ, დედოფალმა ვახტანგს უვნებლად გაშვება კი არ სთხოვა, არამედ თუშურ ტანსაცმელში გამოწყობილი ღამით ციხიდან გადმოეშვა, ვახტანგის ჯარში შეერია და იქედან თავის შვილთან გაიპარა თუშეთში. შემდგომ ამისა, წყართა ცნობით, ვახტანგმა თორღას ციხე აიღო და არჩილმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი კახეთში.

ვახტანგის ზემოაღნიშნული წყალობის წიგნი ხოსია ბარათაშვილისადმი გვამცნობს:

...ოდეს ბედნიერმა ყაენმან კახეთი ჩუენ გვიბოძა და კახთ დატბაი სელთ თორღის ციხე ვაგუი მაგრეს და შეყრილნი ჩუენ იმის ასალეხად მივიოდით და თქუენი განაყოფი თურზაშვილი ვიორგი ალავერდიდამე დაგუიბრუნდა და იმას თქუენი სამკვიდრო მამული ეპირა, თქუენ იმის წყალობას დაგუეაჯენით. ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ...<sup>21</sup>.

ვახტანგ V, 1664 წლის წყალობის წიგნით, ავთანდილ ბარათაშვილს უბრუნებს სოფელ ქციას, რომელიც „დაუწაშავებლად გამორთმევია“ მას („...ცოტა ხანსა დაუწაშავებლად გამორთმეოდათ ანუ ისევ შეგიწყალეთ და გიბოძეთ სოფელი ქცია...“)<sup>22</sup>. 1672 წ. წყალობის წიგნით, მეფე უბრუნებს პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბისშვილს ერთ კომლ გლეხს, რომელიც ასევე „ცოტა ხანს გამორთმევია“ მას „უამთა ვითარებისაგან“ და სახასო აზნაურს თურქისტანიშვილს „მისცემია“. ამას მეფე უმატებს თავის სახასო ზვარსუნაგეთში<sup>23</sup>.

18 ვახუშტი, გვ. 451.

19 ფ. გორგიჯანიძე, გვ. 272.

20 იქვე.

21 სცია, 1450, დ. 11, ს. 75.

22 ხელნაწერთა ინსტ., Sd 1.

23 იქვე, Hd 4169.

1658/1662 წლის წყალობის წიგნიდან ნათელი ხდება, თუ როგორ იყენებს ციციშვილებს სათავადო სახლის შიგნით არსებულ წინააღმდეგობას მეფე თავის სასარგებლოდ. კონფლიქტი მომხდარა ციცი ციციშვილსა და სარდალ . . ? ციციშვილს შორის, მეფის სარდლისათვის დაუჭერია მხარი და, როგორც ჩანს, ციციშვილის მამული ჩამოურთმევია. ციცი იმერეთში გაქცეულა. ამის შემდეგ შაჰნავაზი შეთანხმებია ციცი და გამოუყენებია იგი თავის აგენტად იმერეთში, სადაც ციცი ცდილობს საქმის ისე მოგვარებას, რომ ხელი შეუწყოს ვახტანგს ამ მხარის „დასაქერად“. ამის სამაგიეროდ შაჰნავაზი აძლევს ციციის პირობის წიგნს რომლის ძალით, თუ ციცი მას უერთგულებს და იმერეთს „დააქერინებს“, უკლებლად უბოძებს მის ნაქონ მამულს, მიანიჭებს ახალ წყალობას, დაივიწყებს მასთან უთანხმოებას და შეარიგებს სარდალთან:

ცოჭა რამე საქმე მოხდა და შემოგვწყვირით და იმერეთს წახველ და მანდიდაზე ჩვენსა ერთგულობას ვცადა და იმერეთის დაჭერას ვცადა და თუ ჩვენ დავიჭიროთ იმერეთი შენის საქმითა, ჩვენცა ეს პირობა და საფიცარი გავითათო: ასრე რომე, რისაც შეონებელი ამ ქვეყანას იყვ და ან მანდ ახლა მამული გაქვს, ყოვლითურთ უკლებლად დავიმტკიცოთ. კელშეუალად გიბოძოთ შენი სამკვიდრო მამული: წყნეთი, კუშისი... (მოსდევს ნუსხა ყმა-მამულისა. — დ. ყ.) ესეები ვველა უკლებლად გვიბოძებია და თუ შენ ის პირობა გავუთათო და ჩვენ იმერეთი დავიჭიროთ, ესეებიც გვიბოძებია და სხვა წყალობაც ბევრი გიყოთ... კელიცა ასრე ჩავიბოძოთ, რომე. სხვა გულში არა აღვიაროთ-რა. სარდალსა და შენ სამართალი გიყოთ და სამართლით შეგარიგოთ 24.

როგორც ცნობილია, ვახტანგ V მართლაც დაიჭირა იმერეთი და ამის შემდეგ, საფიქრებელია, მან შეუსრულა ციცი ციციშვილს მიცემული პირობა. ამას მოწმობს შაჰნავაზის ხელრთვით გაცემული ციციის ყმა-მამულის ნუსხა. მათი კოდისპურისაგან თარიღის ბრძანებით<sup>25</sup>.

იმერელ ფეოდალთა გადმობირების პოლიტიკაზე მიუთითებს ვახტანგ V ორი წყალობის წიგნი წერეთლებისადმი. ერთი 1660 წელსაა გაცემული ქაიხოსრო და პაატა წერეთლებისადმი, რომლებსაც მეფე უწყალობებს ყმა-მამულს:

...შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქავთარაძე გიორგი და იონათამ, მათის ცოლშვილითა და მამულითა... სამკვიდროდ თქვენთვის გუიბოძებია და ამას გარეთ კიდევუ შეგიწყალეთ და გიბოძეთ საყელოდ ორი კვამლი: სეხნია მწყურისშვილი და კაცია ისპანისშვილი — გუიბოძებია. გქონდეს და ვიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგან. ასრე, რამეთუ თქუნ ჩუენი ერდგული და ჩუენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმანი იყოთ, ესე ჩუენგან ბოძებული წიგნი და სიგელი აღარასოდეს აღარ მოგიშალოთ<sup>26</sup>.

ამრიგად, ვახტანგ V თავის ყმად და მსახურად მიიჩნევს იმერეთის თავადს წერეთელს და უწყალობებს მას ყმა-მამულს. წერეთლები ვახტანგ V მომხრეები რჩებიან შემდეგშიც, რასაც მოწმობს წყალობის წიგნი ზაალ წერეთლისადმი, დაწერილი, როგორც ჩანს, ვახტანგის მიერ იმერეთის დაკავების შემდეგ (საბუთი უთარილოა). ამ წიგნით, მეფე უწყალობებს ზაალ წერეთელს ბუჯის წყალს ზევით ლიხის მთამდე მხარის (ჩრეთიანად) სარდრობას:

...მეფეთ-მეფე შაჰნავაზ უნუშთა მოვასხენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ ერთობილო ბუჯას წყალს შედათანა, ხრეთიანათ, ლიხის მთამდი: მერმე თქუენი სარდრობა

24 სცია, ფ. 1449, ს. 328.

25 ხელნაწერთა ინსტ., Hd 14534<sup>ა</sup>.

26 იქვე, Hd 2457.

ზაალ წერეთლისთვის გვიბოძებია და რომელიც ჩვენი სამსახური, ან ლაშქრობა, ან ნადრობა და ან სხვა რამე დაგვატოვოს, ყულაზედ მიუდევით და ნურას საქმეზედ ნუ დაეურჩებით. თუ რამ ვინც დაგუფრჩებით და ან ამის სამართალს არ გაიგონებთ, გაგიწყრებით და რაც ავია, იმას ვიწამთ<sup>27</sup>.

ამრიგად, შაჰნავაზი იმერეთის შემოსამტკიცებლად თავის მომხრე და ერთგულ თავადებს აჯილდოებს და აწინაურებს, ცხადია, მოწინააღმდეგე და ოპოზიციაში მდგარი თავადების საწინააღმდეგოდ.

ჯავახიშვილებთან ვახტანგ V ბტრობა წყაროებში არ ჩანს. პირიქით, ჯავახიშვილები ისევე როგორც მათი მეზობელი თავადები — მოურავიშვილები (სააკაძეები), მეფის ერთგულები ყოფილან და, ამის გამო, მეფე ცდილობს ამ სთავადო სახლების ერთმანეთთან მორიგებასა და შეკავშირებას<sup>28</sup>. ასევე ცდილობს ვახტანგი ჯავახიშვილთა სახლის განაყოფებს შორის დროდადრო ამტყდარი დავის მოგვარებას და მათ შერიგებას. ასე მაგალითად, მეფის ბრძანებით, სახლთუხუცესმა ედიშერ ციციშვილმა გაარიგა გოშპარ და ქიხოსრო ჯავახიშვილების დავა მათ განაყოფ როინ ფარემუზაშვილთან, რასაც აღსატურებს გოშპარ ჯავახიშვილის ფიცისა და პირის წიგნი როინისადმი<sup>29</sup>.

შინაქალაქობრივი ბრძოლაში შაჰნავაზის ერთგულებას იჩენენ თუმანიშვილებიც. ვახტანგ V 1664 წლის წყალობის წიგნი მანუჩარ თუმანიშვილისადმი გვამცნობს, რომ კახეთში ერეკლე ბატონიშვილსა და შაჰნავაზ — არჩილს შორის გამართულ ბრძოლაში თუმანიშვილებს მეფისათვის უერთგულადად და თავდადებით უბრძოლიათ მის მხარეზე, რისთვისაც მას მანუჩარისათვის ყმა-მამული უბოძებია:

...მას ვაშა, ოდეს კახეთს ჩუენს საბატონოში ვიყუენით, თუშეთიდან კახის ბატონის-შვილი მოვიდა და დიდის ჯარით ღამით თავს დაგვესხა. ილამ ჩუენს წინ გაუყარად იყუენით და იომეთ. მანუჩარ დაიჭრა და ჯიშშიტა მოკლეს. გაგვემარჯვა, შურაბ და სულხან ორთავ თუშის თავი მოგვართუა. ამისად სამუქობდ და საჯილდოდ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ტინის კიდს...<sup>30</sup>.

სამამულე ბრძოლა წარმოებს ფეოდალებსა და ეკლესიას შორის. ფეოდალები (როგორც თავადები, ისე აზნაურები) ითვისებენ საეპისკოპოსო საყდრების, მონასტრების, მცხეთის სვეტიცხოვლის მიწებს და ეკლესიას უხდებან ხანგრძლივი ბრძოლა ამ მიწების დასაბრუნებლად. ეკლესია მიწის დაბრუნებას ახერხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეფე, ან მეფის სახელით მისი დიდი მოხელე (მდივანბეგი, ბოქალთუხუცესი, ზოგჯერ მდივანი) განიხილავს ეკლესიის საჩივარს და საკითხს სწყვეტს მის სასარგებლოდ. ვახტანგის მეფობის ხანაში ამ ბრძოლაში მეფე ეკლესიის მხარეზეა. შესაძლოა ამაში გარკვეული როლი ითამაშა კათალიკოსმა დომენტიმ, რომელიც სამეფო საგვარეულოდან იყო. კათალიკოსი დომენტი აქტიურად მონაწილეობს ფეოდალებსა და ეკლესიას შორის სამამულე დავის გადაჭრაში და იცავს ეკლესიის ინტერესებს. შაჰნავაზი და დომენტი ერთმანეთის მხარდამხარ გამოდიან ფეოდალთა წინააღმდეგ სამამულე ბრძოლაში. ქართული ისტორიული დოკუმ-

27 ხელნაწერთა ინსტ., Hd 9467.  
28 სტია, 1450, დ. 27, ს. 160.  
29 ხელნაწერთა ინსტ., Qd 8631.  
30 ხელნაწერთა ინსტ., Hd 14538.

მენტები ასახვენ ამ ბრძოლის ეპიზოდებს, გვაწვდიან ცნობებს ეკლესიისა და ფეოდალთა შორის სამამულე ბრძოლის შესახებ.

1669 წლის შეწირულების წიგნი გვამცნობს, რომ როინ ჯავახიშვილს მანგლისის საყდრისთვის წაუერთმევია მამული. მეფეს ეს ყმა-მამული გამოუერთმევია ჯავახიშვილისათვის და კვლავ მანგლისის საყდრისთვის დაუბრუნებია:

...ჟამთა ვითარებისაგან დრო შემოვდებით ჯავახიშვილს მდივანბევს როინს უშონა. და ვითაც რომე მანგლისისა მშობელიდან კელმწიფეთაგან შეწირული მამული არავის ეკლესიოფა მამულად, ჩვენ გამოვართეთ ჯავახიშვილსა და ისრევ კელახლად შევსწირეთ და დაუმტკიცეთ და მივართეთ მანგლისისა ღმრთის მშობელსა, მისი ძველიდან შეწირული მამული...<sup>31</sup>.

იმავე საბუთში მოცემულია ნუსხა იმ ყმა-მამულისა, რომელსაც ვახტანგი უბრუნებს მანგლისის საყდარს. საბუთს ერთვის რევან ჯავახიშვილის მინაწერი, რომლის მიხედვითაც, მეფის ბრძანებით, ჯავახიშვილი მანგლისის საყდარს აძლევს მისი აზნაურის, სეხნია მახვილადის მიერ მითვისებულ ცამეტი დღის მიწის სანაცვლოდ მიწას თავის ზოდაბუნში. აგრეთვე უბრუნებს თავისი ყმის კორდიგლეჯიასშვილის მიერ წართმეულ 6 დღის მიწას.

...ბრძანებით, მეფისა შანავაზისათა ესე წიგნი და პირი მოვართეთ ჩვენ, ჯავახიშვილმა რევან და ძმამან ჩემმან ფარემუზ თქვენ, ყოვლად უხრწნელსა და უმეტესად კურთხეულსა დედოფალსა მსითმშობელსა მანგლისისასა, ასრე რომე: სიონთ ცამეტის დღის მიწა, თქვენი შემოწირული, ჩემს აზნაურიშვილს მახვილადეს სეხნიას ჰქონდა და შეგვიხეწუნით და მისი სანაცლო ჩვენს ზოდაბუნში აზნაურში მოვართეთ. კიდევ ექვსის დღის მიწა თქვენივე შემოწირული მიწა კორდიგლეჯიასშვილის შვილს შოშიტას ჰქონდა და ისიც მოვართეთ...<sup>32</sup>.

საქართველოში ფეოდალები მიწებს ეცილებიან უცხოეთის ქართულ მონასტრებსაც. 1666 წ. საბუთის ცნობით, სინას მონასტრის მამული მეღურეკისში გორჯასპი კახაბრიშვილს მიუთვისებია და მიუყიდა ფავლენიშვილენისათვის. ვახტანგს ფავლენიშვილისაგან უყიდა და ისევ სინის მონასტრისათვის შეუწირავს:

ესე წიგნი მოვართეთ ჩვენ, სინის მთავარეპისკოპოსმან ანანია და სინის მონასტრის კრებულმან ბერმან, ქართლის კელმწიფეს პატრონს შანავაზს, ძეთა თქვენთა... კახთა მეფეს არჩილს, ვიორგის, ლევანს, ლუარსაზს და სულეიმანს, ასე რომე სინის მონასტრის მამული მეღურეკისს ცოტას ხანს კახაბრიშვილს გორჯასპის ჰქონებოდა და იმ მონასტრის მამულისაგან იქ მიწები მიყიდა ფავლენიშვილის რევანისა და პაპუნისათვის... ჩვენ ჩუენის მონასტრიდამ მოვედით თქუნს საბატონოშია და შემოგვხეწუნით... დახსნასა... თქუნ იყიდეთ და ისევ ჩუენს მონასტერს შემოსწირეთ...<sup>33</sup>.

1667 წ. საბუთიდან ნათელი ხდება, რომ ბოლნისის საყდრის მიწა ხურდაყულაშვილებს „დაუქერიათ“. მდივანბეგის სასამართლოს ეს მიწა ისევ ბოლნისის საყდრისათვის დაუბრუნებია:

ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცილებელი წიგნი და სიგელი მოვართეთ ჩვენ, ხურდაყულაშვილებმა შერამაზან და შიოშ შვილთა და მომავალთა სასლისა ჩუენისათა თქვენ, ბოვნელ ეფისკოპოსს პატრონს იოსებს ასრე და ამა პირსა ზედა. რომე თალას პირდაპირ ზოდაბუნს სიონთა ღმრთისმშობლის მამული ყოფიდიეთ და ჟამთა ვითარებაში ჩვენ დაგვეჭირა და იმაზედ შევისარჩუნეთ და სამდიუნთ

31 სცია, ფ. 1449, ს. 1825.

32 იქვე.

33 სსკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება, E 73, № 15, ფურც. 37—38.

და საბატონოთ გაეკადეთ და მდივანბეგმა მოფიცრები შემოგვაგდო და ვეღარ დავიფიცეთ, საყდრის სამკვიდრო მამული ისრევა თქვენ დაგანებეთ<sup>34</sup>.

1668 წ. საბუთი გვამცნობს, რომ მთაწმინდის მონასტრის მამული მღებრიშვილს დაუჭერია. მონასტრის წინამძღვარსა და კრებულს მეფესთან და კათალიკოსთან უჩივლიათ და სადაო მამული მღებრიშვილისათვის უკანვე წაუბრუნებიათ<sup>35</sup>.

ზოგჯერ ეკლესია ერევა ფეოდალური სახლის შიგნით მიმდინარე სამამულე დავაში, დგება ერთ-ერთი ოჯახის მხარეზე. ასე მაგალითად, დომენტი კათალიკოსის 1671 წ. წიგნიდან ვგებულობთ, რომ კათალიკოსის დისწულეებს ზაზა და ზაალ ციციშვილებს სამამულე დავა ჰქონდათ მათ განაყოფ ციცი ციციშვილთან. დომენტი ერევა ამ დავაში ზაზასა და ზაალის მხარეზე:

...ესე წიგნი მოგვცით ჩუენ, ბატონისშვილმა ბატონმა კათალიკოსმა დომენტი თქუენ, ციციშვილს, ჩემს დისწულს ზაზასა და ზაალსა... როდესაც კურთხეული ჩემი და, დედათქუენი დედისიმედი მიიცვალა... ჩუენ ეს მოვიდომეთ. რომ ნინოხის თქუენის სასახლის სი-ახლეს აგეშენებინათ საყდარი და იქ მიველოთ მიწათ... მას უკან შენებას რომ მოგაყოფინეთ კელი.... თქუენი განაყოფი ციცი წამოგვედავა, რომ ჩემი ყმის მიწაში აშენებო. ჩუენ მოკითხული ვქენით და ის მიწა ციციის ყმისა არ იყო. ის საყდარი სადაც დაიდვა, შენის ყმისა იყო. ამის სამართალი ჩუენ გავსინჯეთ და არას გემართლებოდა და არცა რა კელი ჰქონდა<sup>36</sup>.

შინაკლასობრივი ბრძოლა ეკლესიასა და ფეოდალებს შორის გადახლართული იყო კლასობრივ ბრძოლასთან გლახებასა და ფეოდალებს შორის. ბატონისაგან გაქცევა გლახთა კლასობრივი ბრძოლის პასიური ფორმა იყო. გლახი ხშირად გარბოდა ერთი ბატონისაგან მეორესთან, რადგან ეგონა, რომ იქ უკეთეს პირობებში იქნებოდა. გლახები უმთავრესად თავს აფარებდნენ საეკლესიო მამულებს, რადგანაც საეკლესიო გლახები შედარებით ნაკლებ ექსპლუატაციას განიცდიდნენ. ამ ნიადაგზე ხშირად ხდებოდა დავა ეკლესიასა და ფეოდალებს შორის, სწორედ ამ თვალსაზრისით იყო შინაკლასობრივი ბრძოლა გადახლართული კლასობრივ ბრძოლასთან.

ამის შესახებ ცნობებს გვაწოდის XVII ს-ის რამდენიმე საბუთი: 1664 წლის უდაბობის წიგნი თავად პაპუნა ფავენლიშვილისა თბილელ იოსებ სააკაძისადმი გვამცნობს, რომ მისი მკვიდრი ყმა გაქცეულა და დასახლებულა თბილისის სიონის სასაყდრო მამულზე. ფავენლიშვილი შედავებია საყდარს, შემდგარა სამდივანბეგო სასამართლო, რომელსაც შეუთანხმებია მოდავებები და გაქცეული ყმა დაუბრუნებია საყდრის მამულზე (ალბათ, გარკვეული კომპენსაციის პირობით სიონის საყდრისაგან):

...ესე წიგნი მოგართვი მე, ფავენლიშვილმა პაპუნამ თქუენ, სიონთა ღმრთისმშობლისა და თბილელ უფისკოპოზს იოსებს ასრე. რომე ჩემი მემკვიდრე ყმა ესახლა მარტყოფს თქუენ მამულზედა და წამოგვაგვენით და დივანბეგთან ვილაპარაკეთ და მოჰხდა აგრე საქმე, რომ დაგანებეთ<sup>37</sup>.

1665 წლის როინ კეცხოველის ნასყიდობის წიგნიდან კათალიკოს დონენტისადმი ვგებულობთ, რომ კეცხოველების ყმები აყრილან და საეკლესიო

34 სცია, ფ. 1449, ს. 1805.

35 სცია, ფ. 1450, დ. 6, ს. 42.

36 ხელნაწერთა ინსტიტ., Ad 1337.

37 სცია, ფ. 1449, ს. 1810.



მამულში შეხიზნულან. ამტყდარა დავა. კათალიკოსს კეცხოველებისათვის დაუბრუნებია გაქცეული ყმები, მაგრამ ისინი მეორედაც აყრილან და საეკლესიო მამულში გაქცეულან. მაშინ კათალიკოსს უყვირია ეს ყმები კეცხოველებისაგან:

...ესე... წიგნი მოგართვით ჩვენ, კეცხოველმან როინ და ძმამან ჩემმან თამაზმა... თქვენ, ბატონის შვილსა ქართლისა კათალიკოსსა პატრონსა დომენტის და თქვენსა სვეტსა ცხოველსა, ღმრთივ აღმართებულსა, ასრე და ამა პირსა ზედა: ჩვენი ყმა მიქუტაშვილი თანდილა და მისი შვილები აგვეყარნეს და თქვენს მამულში მოვიდნენ და შემოგეხვეწენ და თქვენც კიდევ ვიბოძეთ და შეორედ კიდევ აგვეყარნენ და ჩვენი ყმობა აღარა ქენს. მერმე უასი გუიბოძეთ, რითაც ჩვენი გული შესჯავრდებოდა, მოგვირთმევი...<sup>38</sup>.

ცხადია, დავა ეკლესიასა და ფეოდალებს შორის, წარმოშობილი კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე (გლეხების აყრა-გაქცევა), ყოველთვის ასე მშვიდობიანად არ თავდებოდა და ხშირად დებულობდა მწვევე შინაკლასობრივი ბრძოლის ხასიათს ეკლესიასა და საერო ფეოდალებს შორის.

ამრიგად, XVII ს-ის 60—70-იან წლებში (ვახტანგ V—შაჰნავაზის მეფობა) მეფეს, დიდ ფეოდალებსა და ეკლესიას შორის მიმდინარეობს დაძაბული შინაკლასობრივი ბრძოლა: მეფის პოლიტიკა მიმართულია ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების, მმართველობის ცენტრალიზაციის გაძლიერების, ქვეყნის გაერთიანების, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღდგენისაკენ. ამდენად, ეს პოლიტიკა პროგრესულია. თავის მხრივ, დიდ ფეოდალთა (თავად-მთავართა) პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ფეოდალური დაშლილობის გაძლიერების, სათავადო-სამთავროებისათვის დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ. ამდენად, თავადთა და მთავართა პოლიტიკა რეგრესულია.

თავადები მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ როგორც საგარეო ძალას, ისე ტახტის მეტოქე პრეტენდენტებს. მეფეც იყენებს საგარეო ძალას და ფეოდალთა ერთ დაჯგუფებას მეორის წინააღმდეგ, აგრეთვე, თითოეული თავადის სახლში არსებულ წინააღმდეგობებს: სათავადო სახლის ერთ ოჯახს უპირისპირებს მეორეს.

მეფე დაუნდობლად სჯის მოწინააღმდეგე თავადებს და აჯილდოებს თავის მომხრეებს.

აღსანიშნავია, რომ მეფე არ იბრძვის სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ, არ შლის სათავადო სახლებს, პირიქით, ცდილობს თავისი მომხრე სათავადო სახლების განმტკიცებას, გაუყრელობას, განაყოფების ერთმანეთთან მორიგებას, ცალკეული სახლების შეკავშირება-შეთანხმებას.

ვახტანგ V შინაკლასობრივ ბრძოლაში თავადებთან მიაღწია გარკვეულ წარმატებებს, მაგრამ თავისი მიზნები სრულად მაინც ვერ განახორციელა: ვერ აღადგინა ქვეყნის ერთიანობა, ვერ მოსპო ფეოდალური სეპარატიზმი, რადგანაც ამ მიზნის განხორციელებას ხელს უშლიდა არახელსაყრელი საგარეო და საშინაო ვითარება.

<sup>38</sup> ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. IV, გვ. 42—43.

ზაზა ალავერდი

არსენი საფარელის ტრაქტატის—„განყოფისათვის ქართლისა  
და სომხეთისა“ — თარიღისათვის

(„ნერსე ვინმე“)

ერთადერთი ცნობა არსენი საფარელის შესახებ დაცულია მისივე ტრაქტატის სათაურში: „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისი, მცხეთელ კათალიკოსისაჲ, რომელი იყო სანახებთვან სამცხისაჲთა, საფარით“<sup>1</sup>.

არც ერთი სხვა წყაროთი ამ ცნობის კრიტიკის საშუალება არა გვაქვს. არ ვიცით, იგი ავტორს ეკუთვნის თუ შემდეგ, კრებულში შეტანისას დაურთავთ რედაქტორ-გადამწერებს. ასეთ პირობებში თხზულების თარიღის გასარკვევად მკვლევრებმა ტრაქტატის შინაარსს მიმართეს.

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიასა და ფილოლოგიაში ქრესტომათიულ ქეშმარიტებად ითვლება ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ დასაბუთებული იდენტიფიკაცია არსენი საფარელისა IX ს-ის II ნახევრის მოღვაწე არსენი დიდ კათალიკოსთან<sup>2</sup>. გამართქვა ამ შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრებებიც. ს. კაკაბაძემ სცადა დაესაბუთებინა, რომ არსენი საფარელის თხზულება დაწერილია 685—700 ან 690—700 წლებში, ხოლო პ. ინგოროყვამ იგი 726—736 წლებით დაათარიღა<sup>3</sup>.

„განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“-ს დათარიღებაში ყველა მკვლევრისათვის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი იყო ქრონოლოგიურად ის ბოლო მოვლენა, რომელიც თხზულებაში არის აღწერილი. სხვა სპეციალისტებისაგან განსხვავებით, ს. კაკაბაძე თვლიდა, რომ არსენის მიერ დასახელებული მანაზკერტის კრება და მისი მეთაური იოანე კათალიკოსი არიან არა 726 წლის კრება და იოანე ოძუნელი (718—729), არამედ კათალიკოსი იოანე გაბელენელი (557—574) და მის მიერ VI ს-ის 60-იან წლებში მოწვეული სომხური ადგილობრივი საეკლესიო კრება.

ს. კაკაბაძის დათარიღების მოსახსნელად საჭირო იყო მისი ამგვარი იდენტიფიკაციის უარყოფა, რაც არავის უცდია არც მაშინ, პოლემიკისას, და არც შემდეგ.

<sup>1</sup> არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა, გამოსცა ზ. ალექსიძემ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1973, გვ. 127.

<sup>2</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 83—86; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 136—140; **ლ. მსქიპაძე-ჩხიკიძე**, **ძიგო ოქციონსჳერ ჯაჳათოანისი ს ნაჳიქისი მათჳინ**, I, მსქ. 1934.

<sup>3</sup> ს. კაკაბაძე, როლის არის დაწერილი ტრაქტატი — „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, საისტორიო ძიგბანი, თბ., 1924, გვ. 38—55; მისივე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტოპები, ტფ., 1928, გვ. 11—15; პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 10—11.

არსენი საფარელი წერს: „ქმნა კრებად სომეხთა კათალიკოსმან იოანე მანაჭკერტს და წყლისა რთვად და პურისა ცომი განაშორა წმიდასა საიდუმლოსა, და ბალარჯი და ურწყომ დაამტკიცა“<sup>4</sup>.

თუ ამოვალთ არსენის მიერ მოცემული ინფორმაციიდან, შეგვეძლება ვთქვათ შემდეგი: 1. კრება შედგა მანაჭკერტში; 2. კრება მოიწვია იოანე კათალიკოსმა; 3. კრების მიზანი იყო მონოფიზიტური დოგმატის შესატყვისი ზიარების საიდუმლოს დამტკიცება. აი, ამ მასალის მიხედვით უნდა ვეძებოთ აღნიშნული მოვლენის თარიღიც.

ჩვენამდე მოღწეული წყაროები სომხური ადგილობრივი კრებების ისტორიის შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანია. შემოგვენახა, აგრეთვე, თითქმის ყველა კრების კანონები. მაგრამ ვერსად ვერა ვხვდებით რაიმე ცნობას VI ს-ის II ნახევრის მანძილზე მანაჭკერტში მოწვეული კრების შესახებ. უკვე ეს გარემოება სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს ს. კაკაბაძის ვარაუდს.

მაგრამ შესაძლოა იოანე გაბელენელის დროს შედგა ასეთი კრება და ცნობა მხოლოდ არსენი საფარელმა შემოგვენახა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „განყოფისათჳს“ მანაჭკერტის კრების დღის წესრიგსაც ასახელებს: ზიარებისას წყალგარეული ღვინისა და საფუარიანი პურის მიღების აკრძალვის დამტკიცება.

სომხური წყაროები წმიდა საიდუმლოს ასეთი წესით მიღებას მიაწერენ მხოლოდ მანაჭკერტის 726 წლის კრებას, თუმცა სომხური ეკლესიის საწესო პრაქტიკაში იგი უფრო ადრე უნდა იყოს შემოღებული, ვინაიდან VI მსოფლიო საეკლესიო კრების კანონების 32-ე მუხლი უკვე ამ პრაქტიკის წინააღმდეგ არის მიმართული. სავარაუდოა, რომ წყალგარეული ღვინო და უცომო პური სომხურმა ეკლესიამ ნერსე მეორის დროს (548—557) შემოიღო ღვინის 551 წლის კრებაზე, როდესაც დაამტკიცა ძირითადი მონოფიზიტური თეზისი „ხაჩეცარის“ სახით. თუ ასეა, მაშინ ს. კაკაბაძის ვარაუდს კიდევ ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება გადაეღობება წინ: რატომ უნდა დასჭირებოდა ნერსე მეორის მომდევნო კათალიკოსს იოანე გაბელენელს ხელახლა კრების მოწვევა იმავე წესის დასამტკიცებლად, როცა სომხური ეკლესიის ისტორიაში არაფერი ცვლილება არ მომხდარა?

ენახთ, რას მოგვეთხრობს მანაჭკერტის 726 წლის კრების შესახებ თვითონ კრების მეთაური იოანე ოძუნიელი თავის ნაშრომში — „კრებების შესახებ, რომლებიც შედგა სომხეთში“:

[ჭერაკლე კეისარმა თავისი მეფობიდან] 18 წლის შემდეგ მოიწვია კრება კარნუქალაქში, დასწრო მრავალი ბერძენი ბრძენი, მოიწვია, აგრეთვე, მრავალი სომეხთა მამანთავართაგან, რომ დასთანხმებოდნენ მათ ორბუნებანიობას. დაამტკიცეს კათალიკოსად ეზრა და ღვინის წმიდა კრებას წყველით განეშორნენ, მოცილეს შობისა და ნათლიების ერთობა, ხაჩეცარი სამშვიდობაში და დაეთანხმნენ ეზრა კათალიკოსს (ახლადმიღებული უფლებისა და სამამთავრო საყდრის დამკვიდრების გამო) ელიამდე, რომელიც 14 წელს იყო [კათალიკოსად]. ესენი დაემორჩილნენ ქალკედონის წყვეულ კრებას და არ შეიწყინარეს ღვინის წმიდა კრება, გარდამოცემული უფალ ნერსესა და პეტრე ქერდოლის, სივნიელი ეპისკოპოსის მიერ...

ამ ეზრამ მამამთავრობა ჭერაკლე ბერძენთა მეფის ბრძანებით მიიღო და წინაღუდგა სომხეთის კრებებს, რადგან ერწმუნა ქალკედონის კრებას და გაჰყო ერთმანეთისაგან ერ-

თიანი შობა და ნათლისღება, მოიშორა ხანყცარი სამწმიდაობაში და მის შემდეგ კიდევ ექვსმა კათალიკოსმა, განწესებულმა ელიამდე, რომელიც მათი გარდამოცემისა იყო...

ხოლო მისმა დამტკიცებულმა უზრას სამამამთავრო საყდარმა სომხეთი ქალკედონურად აქცია, ვინაიდან უზრას შემდეგ რომ კათალიკოსები ისხდნენ დღემდე, იმავე ქალკედონური აღსარებით მართავდნენ. რის გამოც ვებრძანეთ კრების მოწვევა ქალკედონის წვალების დასაქცევად და მოსასპობად, ღვინის კრების ხელახლა დასამტკიცებლად.

როგორც ვხედავთ, იოანე ოძუნელის მიხედვით, მთელი VII ს-ის მანძილზე სომხეთში უბირატესად ქალკედონიტი კათალიკოსები სხედან. ეს მდგომარეობა საბოლოოდ გასწორდა იოანე ოძუნელის დროს მანაზკერტის 726 წ. კრებაზე, როდესაც სომხურმა ეკლესიამ უკვე სამუდამოდ მიიღო მონოფიზიტური დოგმატიკა და ლიტურგიკა. კრებამ რომ წყალაუბრეველი ღვინისა და უცომო პურის მიღება დაამტკიცა, ამას ნათლად მოწმობს მანაზკერტის კრების კანონების VIII მუხლი<sup>5</sup>.

ყოველივე ზემოთქმული სომხური საისტორიო თხზულებებიდან ზუსტად აისახა მხოლოდ სტეფანე ტარონელის (ასოლიკის) „მსოფლიო ისტორიამი“:

მან (იოანე ოძუნელმა.—ზ. ა.) კრება მოიწვია ქალაქ მანაზკერტში, პარქის საზღვარზე, მთელი სომხეთის ეპისკოპოსებითურთ (რომელთა შორისაც იყვნენ არშარუნთა ქორეპისკოპოსი გრიგორის ფილოსოფოსი და ასურთა ექვსი იაკობიტი ეპისკოპოსი მათი პატრიარქის ბრძანებით) სმბატის მთავრობის დროს, რომ გაეწმინდათ ჩვენი ქვეყანა ორბუნებიან ქალკედონიტთა აღთქმისა და გარდამოცემისაგან, რომელიც ცომითა და წყლით ბილწავდა წმიდა საიდუმლოს, ხოლო თევზით, ზეთითა და ღვინით—დიდმარხვას და სხვა დაკანონებულ დღეებს, რაც უზრადან აქამდე დარჩენილიყო სომეხთა ქვეყანაში, ბერძენთა ნაწილში. ეს ყველაფერი მოიშორეს როგორც ძველი ცომი და განსაზღვრეს სარწმუნოების აღსარება: ერთი ბუნება განსორციელებული სიტყვა-ღმრთისა, წმიდა საიდუმლოს აღსრულება ცომისა და წყლის გარეშე, მარხვის დღეების წმიდად შესრულება.

ამრიგად, მანაზკერტის კრების გადაწყვეტილებების შესახებ ცნობას არსენი საფარელი ან უშუალოდ იოანე ოძუნელის თხზულებებიდან იღებს, ან ასოლიკის „მსოფლიო ისტორიას“ ეყრდნობა. ვინც იოანე ოძუნელის თხზულებას იცნობს, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ „კრებების ისტორიის“ საგმოდ ვრცელი მოთხრობიდან ასე ზუსტად ინფორმაციის ამოღება, როგორც არსენიმ გააკეთა, ძნელია. ვ ფ ი ქ რ ო ბ თ, ა ლ ბ ა თ ო ბ ა ა ს ო ლ ი კ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ მ ე ტ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს.

არსენის ტრაქტატში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის წინადადება, რომელიც უშუალოდ უძღვის წინ მანაზკერტის კრების შესახებ ცნობას. არსენი წერს:

არამცირედი აღთქუმაა ყო ხუასრო მეფემან ნ ერ ს ე კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს ა მომართ, რომელსა ეწოდა „შუაა“ (ესე არს სომხურად „მიჯინ“), რომლითა შეარყია უგულის-კმობა გუმისი, ქმნა კრებაჲ პირველი ღვინს და განშორნეს სჯულითა ბერძენთა და იერუსალიმს, ხოლო ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისაჲ განეყენეს კელ-დასხმასა მდღღობისასა სომეხთაგან, არამედ ჰერნი და სიენელნი ჟამ ერთ განეყენეს და კულად შეერინნეს ნ ერ ს ე ს ვ ი ს მ ე, რომელი წუერთა ოქრო-ცხებულ ჰყოფდა.

<sup>5</sup> მ ი ძ ი ნ ა ნ ი ლ ზ ი ა ს ო თ ა ხ ი რ ჯ ა უ ი ე კ ა რ ი დ ი ჯ ი ს ი ხ მ ა ს კ ა ძ ი ძ ი ე ი რ ლ ხ ნ ჯ ჯ ა უ რ : ზ ი ჯ რ ი ჯ ი ე გ, წიქ., 1901, გვ. 221—243.

<sup>6</sup> ყ ა ნ ი ნ ა ძ ი ჯ რ ჯ ა უ ი ე, მ, სერ., 1961, გვ. 519.

<sup>7</sup> შ ო ნ ქ ა ნ ი ს ი ხ ჯ ა რ ი ს ხ ე ლ ი ე მ ა თ ი ჯ ა ნ ო ა მ ო რ ი ძ ი ნ ო ხ ი ხ ე რ ა ხ ა ნ, მ. შ. მ. ს., 1885, გვ. 102—103.

ჩვენთვის ცნობილია სომხური წყარო<sup>8</sup>, საიდანაც თითქმის სიტყვასიტყვით იწერს ტექსტს არსენი საფარელი, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი პერეზის (ალბანელების) და სივნიელების სომხურ ეკლესიასთან კვლავ შეერთების შესახებ „ვინმე ნერსეს“ დროს. ვინ უნდა იყოს ეს „ნერსე ვინმე“? რომ იგი სომეხთა კათალიკოსია, ცხადია, მაგრამ რომელი?

სომხეთის ისტორიამ სულ ოთხი ნერსე კათალიკოსი იცის: ნერსე I (348—352), ნერსე II (548—557), ნერსე III (641—661), ნერსე IV (1166—1173). საესებით აშკარაა, რომ პირველი და მეოთხე ნერსე კათალიკოსები აქ არაფერ შუაშია. გამორიცხულია, აგრეთვე მესამე ნერსე, რომელიც ისტორიაში ცნობილია „იზხნელისა“ და „აღმაშენებლის“ სახელებით, ვინაიდან იგი ქალკედონიტია, „განყოფისათჳს“ მას „ღირსსა და მართლმორწმუნეს“ უწოდებს, ხოლო „ნერსე ვინმე“ აშკარად მონოფიზიტია. დავგრჩა ისევ ნერსე მეორე „მიჯინი“. მაგრამ მაშინ სრულიად გაუგებარი ხდება არსენის აზრი: გამოდის, რომ ალბანელები და სივნიელები სომხურ ეკლესიას დაცილდნენ ნერსე მეორის დროს და კვლავ შეუერთდნენ ისევ ნერსე მეორის დროს, რომელსაც ახლა უკვე „ვინმეს“ უწოდებს ავტორი, თითქოს მას პირველად ახსენებდეს. სინამდვილეში მას ნერსე მეორის შესახებ უკვე ბევრჯერ ჰქონდა ლაპარაკი და იმავე წინადადებაში ზედწოდებითაც კი მოიხსენია.

ვნახოთ, სხვა დროს რა შემთხვევებში იყენებს არსენი საფარელი განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს „ვინმე“:

და მამა გეგუემელი ვინმე, დაწყებული იოჰანე, რომელსა ეწოდა რეცამოდღარ, აღჭურა წიგნითა წინა-აღსადგომელთა კრებისათჳს წმიდისა ქალკედონისაჲსა<sup>9</sup>.

არამედ ქრისტოფოროვეინმე დაჯდა, რომელი იყო მტერ მამრეგუმელისაჲსა<sup>10</sup>. ვარდან მამკუნმან... და ნათესავთა მისთა, აზნაურთა შერაცხილთა, მოკლეს სურენ ვინმე, მარზაპანი სპარსი<sup>11</sup>.

როგორც ვხედავთ, არსენი „ვინმე“ ნაცვალსახელს დანიშნულებიდან მებრ იყენებს: როდესაც პირველად ახსენებს ამა თუ იმ მოღვაწეს ან კიდევ მისი ვინაობის შესახებ ბუნდოვანი ცნობები აქვს. რადგან ასეა, „ნერსეს ვისმეს“ არ შეიძლება გულისხმობდეს ნერსე მეორე კათალიკოსს, რომელსაც არსენი არც პირველად ასახელებს და მის შესახებ ბევრიც იცის.

მაშასადამე, ერთი, რაც უკვე ვიცით „ნერსე ვინმეს“ შესახებ არის ის, რომ იგი პირველად უნდა იყოს დასახელებული თხზულებაში არსენის მიერ. მაგრამ რა ნიშნით გავარჩიოთ იგი თხზულებაში ჩვენთვის საინტერესო ციტატის შემდეგ პირველად მოხსენიებული მრავალი პერსონაჟისაგან? პირველ ყოვლისა, უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „ნერსე ვინმეში“ იგულისხმება ის პირი, რომლის შესახებ ცნობაც უშუალოდ მოსდევს ამ ციტატას. ეს პირი კი არის ის იოანე, რომელმაც მანაზკერტის კრება მოიწვია და რომლის შესახებაც არსენი ისე ლაპარაკობს, თითქოს იგი მანამდე უკვე ჰყავდა მოხსენიებული („ქმნა კრებაჲ სომეხთა კათალიკოზმან იოანე“).

<sup>8</sup> იხ. ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 1, გვ. 105—106.

<sup>9</sup> არსენი საფარელი, § VI.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იქვე, § XII.

გვაქვს კიდევ ერთი საშუალება „ნერსე ვინმეს“ იდენტიფიკაციისათვის. არსენის ცნობით, ჩვენი საძიებელი პირი თურმე წვერს ოქროთი იღებავდა („წუერთა ოქრო-ცხებულ ჰყოფდა“). ძველი სომხური მწერლობა ასეთი ჩვეულების მქონედ მიიჩნევს მხოლოდ იოანე ოძუნელს. ამის შესახებ ცნობები დაცული აქვთ იოანე დრასხანაკერტელსა და ასოლიკს. მართალია, ასოლიკი იოანე დრასხანაკერტელის თხზულებით სარგებლობს ამ ნაწილში, მაგრამ მასთან თხრობა უფრო ნათელი და ლაკონურია, ამიტომ ცნობას იოანე ოძუნელის მიერ წვერის შეღებვის შესახებ მისი „ისტორიიდან“ მოვიტანთ:

თვითონ იოანე შესახედაობით ძალიან ღამაში იყო. სავსე ყოველგვარი სიკეთით. ემოსა თხის ტყავის სამოსელი, [მაგრამ] ზევიდან [წამოსმული] ჰქონდა ბრწყინვალედ შემკული ტანსამოსი. იგი წვრილად დაფხვნილ ოქროს სურნელოვან შეთში ურევდა და ქალარა წვერს შებერვით იღებავდა<sup>12</sup>.

იოანე დრასხანაკერტელი და ასოლიკი ოძუნელის შემკულობის აღწერას შემთხვევით არ იძლევიან. ამის შემდეგ მათ მოსაყოლი აქვთ მისი შეხვედრა არაბთა ამირთან, რომელიც გაოცებულია ქრისტეს მსახურის ასეთი ბრწყინვალე მორთულობით და შემდეგ არანაკლებ გაოცებული რჩება მისი მოსწრებული პასუხით ამის თაობაზე, რის გამოც უხვად ასაჩუქრებს სომეხთა კათალიკოსს. ამრიგად, ოქროთი წვერის შეღებვა იოანე კათალიკოსის ინდივიდუალური ჩვეულება იყო, მაგრამ ქალკედონიტმა პოლემიკოსმა მწერლებმა განაზოგადეს და მიაწერეს პეტრე ანტიოქელს (მკაწვრალს) და ნერსე მეორეს.

პეტრე ანტიოქელი, ნერსე მეორე და იოანე ოძუნელი ქალკედონიტების წარმოდგენით ის მონოფიზიტი მოღვაწეები არიან, რომელთაც ეტაპები შექმნეს სომხური ეკლესიის ისტორიაში და დააცილეს იგი მსოფლიო ეკლესიას: პეტრე ანტიოქელისგან იღებს სათავეს საერთოდ მონოფიზიტობა; ნერსე მეორე იყო პირველი სომეხი კათალიკოსი, რომელმაც პეტრეს მოძღვრება შეიწყინარა და სომხური ეკლესია მონოფიზიტური გახდა; იოანე ოძუნელმა თითქმის ერთსაუკუნოიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ დაუბრუნა სომხური ეკლესია მონოფიზიტობის წიალს. ამიტომ სამართლიანი ჩანს ლეონ მელიქსეთ-ბეგის მოსაზრება, რომ ქართველებმა იოანე ოძუნელის ჩვევა, რომელსაც თავისთავად დოგმატიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს, საერთოდ მონოფიზიტი ერესიარქების შესახებ ცნობად მიიღეს<sup>13</sup>.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ „ნერსე ვინმე“ არ შეიძლება იყოს ნერსე მეორე. მით უფრო არ შეიძლება იყოს იგი პეტრე ანტიოქელი, რომელიც გაცილებით ადრე მოღვაწეობდა და არც ყოფილა როდისმე სომეხთა პატრიარქი. დარჩა ისევ იოანე ოძუნელი. არსენი საფარელი, რომელიც კარგად იცნობს სომხურ წყაროებს და სრულიად არ აქცევს ყურადღებას მონოფიზიტების შესახებ საქართველოში გავრცელებულ ლეგენდებს, მიჰყვება სომხური საისტორიო წყაროების ჩვენებას. ტექსტში ცვლილება კი შეტანილია ისეთი გადამწერის მიერ, რომელიც ქართული ტრადიციის გავლენის ქვეშ იმყოფება.

<sup>12</sup> Պատմութիւն օրհնագրական. გვ. 103.

<sup>13</sup> Л. Меликсет-Беков, Грузинский извод сказания о poste «араджаво», «Христианский Восток», V. вып. II, Петроград, 1917, гв. 93, 102; მისივე, «კრთაი სკოლის სურათი ლაქათანის ქსი ნაქიხი მათსი», გვ. 57—58, შენ. 40.

ამრიგად, ვფიქრობთ საეჭვო არ უნდა იყოს, რომ არსენი საფარელის ტრაქტატში მოხსენიებულია იოანე ოძუნელიც და მანაზკერტის კრებაც. ვადამწერის შეცდომა კი ვააიოლა ქარაგმით დაწერილი 1671 (იწე) და 671 (ნე) სახელების მსგავსებამ. მაშასადამე, „გ ა ნ ყ ო ფ ი ს ა თ უ ს ქ ა რ თ ლ ი ს ა და ს ო მ ხ ი თ ი ს ა“ დაწერილია 726 წლის შემდეგ. მაგრამ აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მასში ჩანს, აგრეთვე, იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიისა“ (დაიწერა X ს-ის 20-იან წლებში) და, უფრო კი, სტეფანე ტარონელის (ასოლიკის) „მსოფლიო ისტორიის“ (დამთავრდა 1004 წლის ახლოს) გავლენის კვალი<sup>14</sup>.

14 წყაროებისა და თარიღისათვის იხ. აგრეთვე ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათს ქართლისა და სომხეთისა“ — დათარიღებისათვის, კ. კეკელიძის სახ. ზელნაწერთა ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1966, გვ. 10; მისივე, „ნაწილი სომხეთისა“ არსენი საფარელის თხზულებაში „განყოფისათს ქართლისა და სომხეთისა“, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1972; მისივე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათს ქართლისა და სომხეთისა“ — კრიტიკისათვის (i. d. ანაქრონიზმები), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1972, № 4.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

კვლევილი გონივრული

ამირბარი<sup>1</sup>

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ტერმინი **ამირბარი**. ეს სიტყვა დასტურდება მომდევნო საუკუნეების ქართულ ძეგლებსა და დოკუმენტებშიც. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტერმინის სამნაირი გაგებაა წარმოდგენილი: 1. არ. 'amīr („გამგებელი, ამირა“) + არ. barr („მიწა, ხმელეთი“), ე. ი. **ამირბარი** — „მთავარი გმელისა“<sup>2</sup>; 2. არ. 'amīr + არ. al-bāhr („ზღვა“) || სპარს. amīri bahr > amīrbahr > mīrbahr, ე. ი. **ამირბარი** — „ზღვათასარდალი, აღმირალი“<sup>3</sup>; დაბოლოს 3. არ. 'amīr + სპარს. bār („ნებართვა“<sup>4</sup>, აუდიენცია“; „სასახლე, კარი“<sup>5</sup>), ე. ი. **ამირბარი** — „სახლთუხუცესი, oberhofmeister; სარდალი“<sup>6</sup>. განვიხილოთ ცალ-ცალკე თითოეული შესაძლებლობა.

I 'amīr + barr (امير). ჩვენთვის ხელმისაწვდომ აღმოსავლურ მხატვრულ, დოკუმენტურ და ნარატიულ ძეგლებსა და მასალებში ეს სიტყვა არ დასტურდება. არ არის ეს სიტყვა აღმოსავლურ თარგმნით და განმარტებით ლექსიკონებშიც. მაშასადამე, ამ ფორმას ვერ მივიჩნევთ ქართ. **ამირბარის** ამოსავალ სიტყვად.

1 წერილი წარმოადგენს იმ მოხსენების ტექსტს, რომელიც წაითხულ იქნა ავტორის მიერ აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1974 წ. 29 ოქტომბერს. სესია მიეძღვნა აკად. გ. წერეთლის დაბადების 70 წლისთავს.

2 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, თბ., 1960, გვ. 45.

3 Д. Чубинов, Грузинско-русский словарь, СПб., 1887, გვ. 26; დ. კარიკაშვილი, ლექსიკონი (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტფილისი, 1903), გვ. 294; იუსტი. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტფილისი, 1926), გვ. 242, 301; კ. კეკელიძე, ლექსიკონი (შვიდი მთები, თბ., 1930), გვ. 228; ს. იორდანიშვილი, ლექსიკონი (შაჰნავაზიანი, თბ., 1935), გვ. 204; ივ. გიგინეიშვილი, ლექსიკონი (დავითიანი, თბ., 1955), გვ. 324; თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება..., გვ. 45; ა. შანიძე, სახლთუხუცესი თუ ზღვათა ვაზირი?, ვეფხისტყაოსნის საკითხები, II, თბ., 1966, გვ. 179; იუსტი. აბულაძე, რუსთაველილოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 287, 345.

4 ონსორისთან ვკითხვლობთ بدان پرده اندر ما باریست اگر چند بیچم باریک و هم محمد معین فرهنگ فارسی I 445

5 გვ. 272-273 ده خندا لغت نامه 445

6 Д. Чубинов, Грузинско-русско-французский словарь, СПб., 1840, გვ. 15; მცირე ლექსიკონი (ვეფხისტყაოსანი ახლად დაბეჭდილი შეერთებული დეაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა საწკეტ-პეტერბურღს, 1841), გვ. 225; Н. Марр, Тексты и разыскания по армяно-груз. филологии кн. XII, გვ. XI, სქოლო 4; იუსტი. აბულაძე, ვეფხისტყაოსანი, 1914 წლის გამოცემა (ა. შანიძის აღნიშნული შრ. მიხედვით); ს. კაკაბაძე, ლექსიკონი (ვეფხისტყაოსანი, ტფილისი, 1927), გვ. 191; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961, გვ. 136; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, თბ. 1963, გვ. 53; ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 755.



Il 'amir+al-bahr (أمير البحر). არაბულ ქვეყნებში ამირ ალ-ბაჰრი ასლა იხმარება ადმირალის მნიშვნელობით<sup>7</sup>, ხოლო ირანში XX ს-ის 30-იან წლებში ამირბაჰრის ნაცვლად შემოიღეს სპარს. daryā-ālār (daryā — „ზღვა“ + sālār — „სარდალი, სალარი“), ასე რომ, ამჟამად ამირბაჰრი იქ არქაიზმად ითვლება<sup>8</sup>. მაგრამ IX-XII სს. აღმოსავლურ წყაროებსა და წერილობით ძეგლებში ტერმინი ამირ ალ-ბაჰრი (ამირბაჰრი) — „ადმირალი“ არ დასტურდება.

ცნობილია, რომ მუსლიმანური ქვეყნების ნაოსნობა მოიცავდა ორ გეოგრაფიულ არეალს: ინდოეთის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვას. ეს დაყოფა არა მარტო გეოგრაფიულ ხასიათს ატარებდა, არამედ ეხებოდა აგრეთვე გემთმშენებლობის ტექნიკასა და სანაოსნო ტერმინოლოგიის საკითხებს. ამ ორ რაიონში განსხვავებული იყო გემების ტიპები და მათი მშენებლობის ტექნოლოგია<sup>9</sup>. მოუხედავად იმისა, რომ არაბი ვაჭრები ზღვით ჩინეთსაც კი აღწევდნენ, მათი გემები ხასიათდებოდნენ შედარებით დაბალი ტექნიკური მაჩვენებლებით<sup>10</sup>. მდგომარეობა არსებითად იგივე დარჩა XIV—XV საუკუნეებშიც<sup>11</sup>. ინდოეთის ოკეანეში ხმარებული სანაოსნო ლექსიკა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ხმელთაშუა ზღვის არეალში გავრცელებული ტერმინოლოგიისაგან<sup>12</sup>. აქ ძირითადად ჭარბობს სპარსული (და რამდენადმე ინდური) ლექსიკა<sup>13</sup>.

ხელმისაწვდომი წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის შესწავლა ვკადრებს საფუძველს ვანვაცხადოთ, რომ IX-XII სს. მეწამული ზღვისა და ინდოეთის ოკეანეს ზონაში არ იხმარებოდა ტერმინი ამირ ალ-ბაჰრ. არ გვხვდება ეს სიტყვა ვასკო დე გამას ლოცმანის იბნ მაჯიდის თხზულებაშიც<sup>14</sup>. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ მეწამულ ზღვაში, სპარსეთის უბესა და ინდოეთის ოკეანეში IX-XII საუკუნეებში არაბებს არ ჩაუტარებიათ რაიმე სერიოზული სამხედრო-საზღვაო ოპერაცია და არ ჰქონდათ სამხედრო ხომალდების მნიშვნელოვანი შენაერთები.

რაც შეეხება ხმელთაშუა ზღვას, აქ შენდებოდა დიდი ხომალდები. ერთი ჩინელი მოხელე ვვამცნობს, რომ ზოგიერთი მათგანი იტევდა რამდენიმე ათას კაცს<sup>15</sup>. X ს-ის პირველ ნახევარში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ეს-

<sup>7</sup> H. Wehr, Arabisches Wörterbuch, Leipzig, 1956, 33. 23 ; X. K. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1957, 33. 50; 33. 31. 1961 — المعجم العسكري افرنسى عربى، دمشق

<sup>8</sup> A. Arganpur, J. Saleh, The New Unabridged English-Persian Dictionary, I, Tehran, 1963, 33. 78; Персидско-русский словарь, I, М., 1970, 33. 127; 33. 28—29 IV محمد معين فرهنگ فارسى

<sup>9</sup> Maçoudi, Les Prairies d'or. Texte et traduction par C. Barbier de Meynard et Pavet de Courteille, t I, Paris, 1861, 33. 365.

<sup>10</sup> A. Мец, Мусульманский Ренессанс, М., 1966, 33. 350.

<sup>11</sup> об. W. Moreland, The Ships of the Arabian Sea about a. d. 1500, JRAS, № 2, 1939, 33. 173.

<sup>12</sup> об. S. Nadvi, Arab Navigation, Islamic Culture, XV, № 4, 1941, 33. 439.

<sup>13</sup> об. G. Ferrand, L'Élement persan dans les textes nautiques arabes des XV<sup>e</sup> et XVI<sup>e</sup> siècles, JA, 1924; S. Nadvi, Arab Navigation, 33. 437—438.

<sup>14</sup> T. A. Шумовский, Три неизвестные лощи Ахмеда ибн-Маджида, М.-Л., 1957.

<sup>15</sup> об. A. Мец, Мусульманский Ренессанс, 33. 391.

პანეთის მბრძანებლის აბდურაჰმან III და სირიელთა სამხედრო-საზღვაო ფლოტები, ხოლო ნავსადგურებიდან აღსანიშნავია ქ. ტრაბოლი, რომელიც იტევდა 1000-მდე ხომალდს<sup>16</sup>. სამხედრო-საზღვაო საქმის განვითარებას ამ რაიონში განსაკუთრებით ხელი შეუწყო გვაროსნულმა ომებმა<sup>17</sup>.

როდესაც სელჩუკების იმპერია გაიშალა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე, სათანადო უწყებებში ჩამოყალიბდა სამხედრო-საზღვაო ძალების მწყობრი სისტემა შესაფერისი თანამდებობებითა და ტიტულატურით: ra'is al-bahr — „ზღვის უფროსი“; 'amir al-savāhil — „ზღვის პირის ამირი“; malik al-savā'il — „ზღვის პირის მფლობელი“<sup>18</sup>. მაგრამ აქაც არ გვხვდება ამირ ალ-ბაჰრ.

ტერმინი ამირ ალ-ბაჰრ პირველად დასტურდება არაბი ისტორიკოსის აბუ ალ-მაჰასინ თაღრიბირდის (XV ს.) „ეგვიპტის ისტორიაში“<sup>19</sup> შემდეგი მნიშვნელობით — „ნავსადგურის ინტენდანტი, უფროსი, კაპიტანი“<sup>20</sup>. მირ-ბაჰრს (<ამირე ბაჰრ) ამავე მნიშვნელობით ხმარობს შაჰ-აბას პირველის (XVI—XVII სს.) ცნობილი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში<sup>21</sup>. ამრიგად, XV-XVII სს. მანძილზე ამირ ალ-ბაჰრ აღმოსავლურ წყაროებში დასტურდება „ნავსადგურის უფროსის“ მნიშვნელობით<sup>22</sup>. თუნდაც დავუშვათ, რომ ეს ტერ-

<sup>16</sup> იხ. P. Альтамира-и-Кревеа, История Испании, I, М., 1951, გვ. 94; А. Мец, Мусульманский Ренессанс, გვ. 392. აბდურაჰმან III ფლოტში ესკადრის უფროსი უწოდებდნენ „გემთა კიდს“ (alcaide de las naves) იხ. История Испании, გვ. 106—107.

<sup>17</sup> იხ. А. Н. Шеглов, История военно-морского искусства, СПб., 1908, გვ. 5.

<sup>18</sup> Вл. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, М.—Л., 1941, გვ. 141. ფ. ქოფრულუს აზრით, რაიის ალ-ბაჰრი განაგებდა შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალებს (იქვე).

<sup>19</sup> გვ. 109. النجوم الزاهرة في ملوك مصر و قاهرة تأليف جمال الدين أبي المحاسن يوسف بن تغرى بردى الأنابكي الجزء الثالث، قاهره تاღრიბირდის შესახებ იხ. C. Brockelmann, Geschichte der arabischen Litteratur, II, Leiden, 1949, გვ. 51—52.

<sup>20</sup> R. Dozy, Supplément aux dictionnaires arabes, I, Leide—Paris, 1927, გვ. 37. იხ. აგრეთვე: „امير البحر“ 2. (mod.) Intendant du port. — A. De Biberstein Kazimirski, Dictionnaire Arabe-Français, I, Paris, MCMLX, გვ. 54.

<sup>21</sup> გვ. 863. اسکندر مشی تاریخ عالم آرای عباسی جلد دوم تهران ۱۳۳۵

<sup>22</sup> აქ შეიძლება წიადსულის წესით ზოგად ხაზებში შევვხვით ტერმინ ადმირალის წარმომავლობის საკითხს (პროვანს. amirau, amirar, amiralh, amiratz; ესპ. almirante; იტალ. ammiraglio; ფრანგ. amiral; ინგ. ammiral || admirall). ზოგიერთა მკვლევარი ტერმინ ადმირალის ამოსავალ სიტყვად თვლის არაბ. ამირ ალ-ბაჰრს (É. Littré, Dictionnaire de la langue française, I, Paris, 1863, გვ. 131; A. Scheler, Dictionnaire d'etymologie française, Bruxelles, 1873, გვ. 19; F. Kluge, Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache, Berlin, 1943, გვ. 6; А. Г. Преображенский, Этимологический словарь русского языка, I, М., 1953, გვ. 2; Grand Larousse encyclopédique en dix volumes, I, Paris, 1960, გვ. 350; М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, I, 1964, გვ. 62). ზოგი უკავშირებს მას არ. ამირ ალ-ბაჰრს — „მგზავრობის, ბარკის ამირა“ (S. Nadví, Arab Navigation გვ. 440). ზოგი კი არაბ. ამირ ალ-მ'ას-„წყლის ამირა“ (Энциклопедический словарь, СПб., 1890, I, გვ. 184; გვ. 398 I على أكبر نفیسی فر نواد سار). ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინ ადმირალის ამოსავალი არის ამირ + არტიკლი ალ — „Commander of the“ (The Encyclopedia Americana, I New-York—Chicago, 1949, გვ. 144; The Reader's Digest Great Encyclopedic Dictionary, New-York, 1966, გვ. 7. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 4.

მინი XV ს-ის წინა პერიოდშიც იყო ხმარებაში, ცხადია, რუსთველი არ უბოძებდა ასეთ დაბალ თანამდებობას პოემის წამყვან პერსონაჟს — სპასალარს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში არსად დასტურდება მინიშნება იმაზე, რომ ამირბარი და ამირბარობა თავისი მნიშვნელობით უკავშირდებოდა წყალს, ზღვას:

(ინდოეთის ექვსი სამეფოს მბრძანებელმა ფარსადანმა მეშვიდე სამეფოს მეფეს-სარიდანს, ე. ი. ტარიელის მამას)

ერთი სამეფო საკარგვეთ, უბოძა ამირბარობა,  
თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა. (316<sub>1,2</sub>)

თვით მეფემან მამა ჩემი დაიჭირა სწორად თავსა.  
თქვა: „ჩემებრი ამირბარი, ნაძღვეი ვარ, ვისცა ჰყავსა!“  
ლაშქრობდის და ნადირობდის, აძღვედიან მტერნი ზავსა. (317<sub>1-3</sub>)

ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა შშისა დაბსა,  
ჭმუნვა ჰქონდა, ყამი იყო, მით აეხუნეს სპანი ზარსა.  
ვა, კრულია დღემცა იგი. მე მივეცი ამირბარსა!  
მეფემ ბრძანა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვაბი არსა“. (318).

(როცა სარიდანი გარდაიცვალა, მეფემ ტარიელს უთხრა)  
„შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა“. (336<sub>4</sub>)

არ მომეშენეს, დავპმორჩილდი, თავყანი-ვეც ამირბარად. (338<sub>4</sub>)

(ტარიელის გამიჯნულების ეპიზოდში ვკითხულობთ)  
ასმათს უბრძანა გამოხმა დურაჯთა ამირბარისა (343<sub>4</sub>)

ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონობენ. (365<sub>2</sub>)

ქალი ვინმე გიკითხავსო: „ინახვისა ამირბარი“. (370<sub>2</sub>)

(ტარიელი დავმორჩილა ავთანდილს)

დაპმორჩილდა, გავმართნეს ავთანდილ და ამირბარი. (901<sub>1</sub>)

პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებშიც ამირბარი (>ამილბარი) ყველგან ისეთ კონტექსტშია, რომ მისი დაკავშირება ზღვასთან ძალზე ძნელია:

19; The Random House Dictionary of the English Language, New-York, 1966, გვ. 19) ან ამირბარი ლათ. -alis (Энциклопедический словарь Гранат, VII изд., გვ. 458).

დაბოლოს, ზოგი მკვლევარი მხოლოდ სიტყვა ამირს მიიჩნევს აღმირალი ს ამოსავალ ფორმად (A. von Kremer, Cul urgeschich e des Oriens unter den Chalifen, Bd. I, Wien.,— 1875, გვ. 251—ეგრძნობა: A mari, Storia dei Musulmani della Sicilia, III, გვ. 351, 352; Cl. Cahen. JESHO, 1971, XIV, III, გვ. 311—ეგრძნობა: S. M. Stern, Studi Medievali, 1970). აქ უნდა გავიხსენოთ, რომ 1142 წლიდან სიცილიაში იხმარებოდა ტერმინი აღმირალი, ხოლო XIII ს. პირველ ნახევარში ეს ტერმინი დამკვიდრებული იყო ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების რიგებში (L. Guerin, Histoire maritime de France depuis les temps anciens, t. I, Paris, 1844—თავი პირველი; N. Nicolas, A History of the Royal Navy, I, 1847—თავი პირველი; E. Littré, Dictionnaire de la langue française, I, გვ. 131; Энциклопедический словарь Гранат, I, გვ. 458).

აქ ჩვენ დავაკმაყოფილებთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არაბულ წყაროებში ტერმინი ამირბარი დასტურდება მხოლოდ XV საუკუნიდან, მაშინ მას ვერ მივიჩნევთ აღმირალის ამოსავალ ფორმად, რომელიც XII ს. უკვე ხმარებაში იყო.

## (XIV ს-ის მეორე ნახევრის საბუთიდან)

„...სხეანო სახლისა ჩუენისა დარბაისელნო, ამირეჯიბო, ერისთავთ ერისთავო, ამილბარო, ამირამო, ამილასორო, ცხის თაო, სასახლის უხუცესო... თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ“<sup>23</sup>.

(ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში ვკითხულობთ)

„მეფე ქართველთა, საფადართ უთავადესი და ამილბარ უწარინებულესი, სრულიად კრანელთა სპასპეტად დადგინებული...“<sup>24</sup>.

(ბატონიშვილი ვახტანგის სამართლის შესავალში ვკითხულობთ)

„...ძისა მისისა, სრულიად ქება-შემსგავსებით ძნიად მისათრობლისა ქართველთა მეფისა და კრანელთა სფადარ-სპასალარისა, ამილბარ-სპარსეთისა, უთვალავისა და უამრავის სპისა და ლაშქრის მეწინავედ ჩენილსა, უვნებლად და მტერზე ძლევიტ მარსებლისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირიშქისა და პაილათის მჭირავისა, ძლიერისა და უძლეველისა, პირველ გიორგი წოდებულისა და აწ მალლის კელმწიფისაგან წყალობით მეორე შაჰნავაზობით კმობილსა...“<sup>25</sup>.

(„შვიდ მთიებში“<sup>26</sup> ვკითხულობთ)

აწ მე სამუქუოდ დას მივეცემ და ჩემსა ვაზირობასა, მას ჰფერობს ამილბარობა, თუმცა იქთ ჩემსა თნობასა. (531<sub>1-2</sub>)

(„შაჰნავაზიანში“<sup>27</sup> შაჰ შარეერმა ვახტანგს)

ისპაან შარი საქელოდ უბოძა, ამილბარობით. (101<sub>1</sub>)

(„დავითიანში“<sup>28</sup> ვკითხულობთ)

მივეცემ ყველას ბრძანებასა ჩემთა სპათა, სპის მთავართა, ამირათა და ამილბარათა, ათასის-თავთ, ასის-თავთა. (484<sub>1-2</sub>)

(XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს-ის დასაწყისის საბუთში ვკითხულობთ)

„ქ. ჩუენ. ბატონის-შვილმან კათოლიკოზმან დომენტიმ და სრულობით მცხეთელთა, მალალაძე სალთხუცესი ამილბარ და სოლომონ და სარიდან და პაპუა გაყარეთ“<sup>29</sup>.

მასალა ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ რუსთველის დროიდან მოყოლებული XVIII საუკუნემდე ქართულ წერილობით წყაროებში დადასტურებული ტერმინი **ამირბარი** (>ამილბარი) კონტექსტის მიხედვით არ უკავშირდება ზღვას, ზოგ შემთხვევაში კი აშკარა მითითებაა სახმელეთო საქმიანობაზე. სახელმწიფო საქმეებში ჩახედული საბაჯ გამორიცხავს ზღვას: „**ამირბარი** — სპასპეტი, სპასალარი, ტრიბონი, სტრატილატი, მკედართ მყუანებელი, მკედართ მოძღუარი, მკედართ მთავარი ლაშქართ თავნი არიან, რომელიმე უმაღლესი და რომელიმე შემდგომი“<sup>30</sup>. სეროიოზული ანგარიში უნდა

23 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 13—14.

24 ქართული სამართლის ძეგლები, I, ტექსტები გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი აღურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 99.

25 იქვე, გვ. 478.

26 ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, თბ., 1930.

27 ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბ., 1935.

28 დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955. იხ. აგრეთვე 510, 513, 514.

29 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 17, აქ **ამილბარ** შეიძლება საკუთარ სახელს ნიშნავდეს.

30 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 25.

გაეწიოს ვახტანგ VI განმარტებას: „ამილბარობა — უფროსობა“<sup>31</sup>. ვახტანგი ზომ თვითონვე იყო „ამილბარ უწარჩინებულესი“<sup>32</sup>.

III 'amīr + bār (امیربار). IX—XII საუკუნეებში ამირბარი, ანუ დიდი ჰაჯიბი, ანუ ჰაჯიბსალარი, ანუ ამირჰაჯიბი, ანუ ჰაჯიბთ ჰაჯიბი (მისი თურქული ეკვივალენტი — ულუღბარბეგი<sup>33</sup>) მეფის კარზე უზენაეს თანამდებობად ითვლებოდა. იმდროინდელ მაჰმადიანურ სამყაროს სახელმწიფო სამმართველო ორგანოები იყოფოდა ორ კატეგორიად: კარი (dargāh) და კანცელარია (dīvān). მეფის კარის მთელი შტატის სათავეში იდგა დიდი ჰაჯიბი ანუ ამირბარი. სამანიანთა დროს (IX-X სს.) ამირბარი იყო „დიდებულთაგან უპირველესი“<sup>34</sup>, ზოლო ღაზნევიანთა (X-XI სს.) კარზე „უძლიერესი და დიდი გავლენის მქონე ფიგურა“<sup>35</sup>. დიდი ჰაჯიბი ანუ ამირბარი განაგებდა კარის შინაგანაწესს, იგი იყო შუამავალი მეფესა და ვეზირებს შორის<sup>36</sup>, იგი თვალყურს ადევნებდა აგრეთვე ჯარის დადინანსებისა და მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს<sup>37</sup>. ზშირად ჯარის სარდლობისა და ამირბარის თანამდებობები ერთ პიროვნებას ეკავა<sup>38</sup>, ე. ი. რუსთველის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „თვით ამირბარსა [...ჰქონდა] ამირ-სპასალარობა“.

ღაზნევიანთა იმპერიაში დიდ ჰაჯიბს ანუ ამირბარს ექვემდებარებოდნენ ინდოეთში განწესებული ჯარის მეთაურები<sup>39</sup>. ვ. ბარტოლდის აზრით, შიიტური ერესით შეპყრობილი ნასრ სამანელის (X ს.) წინააღმდეგ შეთქმულებას ხელმძღვანელობდა დიდი ჰაჯიბი, რომელიც იმავე დროს სპასალარიც იყო<sup>40</sup>. ცნობილია, როცა გარდაიცვალა მაჰმუდ ღაზნელი, დიდმა ჰაჯიბმა ალი იბნ ყარბიზმა ტახტზე დასვა მაჰმუდის შვირეწლოვანი შვილი. როდესაც 1030 წელს მას'უდ ღაზნევიმ (მაჰმუდის უფროსმა ვაჟმა) ხელთ იგდო ძალაუფლება, მან დიდი ჰაჯიბი და მისი ძმა ჰაჯიბი მინქითრაქი შეიპყრო და ციხეში ჩასვა<sup>41</sup>. მას'უდ ღაზნელმა ჰაჯიბ ბექთევისს სპასალარობაც უბოძა<sup>42</sup>. როგორც სამხედრო პირი დიდი ჰაჯიბი, ანუ ამირბარი შეიძლება ერთდროულად

<sup>31</sup> ვახტანგის თარგმანი 312 (ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, II, გვ. 33).

<sup>32</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 99.

<sup>33</sup> გვ. 560, ۱۳۳۵ فرهنگ آندراج جلد اول تهران; შ. შონის კომენტარი წიგნში,

გვ. 121 ۱۳۳۵ سيد الدين محمد عوفي، جوامع الحكايات و نوامع الروايات، تهران

<sup>34</sup> B. V. Бартольд. Сочинения, I, М., 1963, გვ. 286.

<sup>35</sup> The Encyclopaedia of Islam, III, fasc. 41—42, Leiden, 1965, გვ. 47.

<sup>36</sup> Būndārī, Zubdat al-nuṣra wa nukhbat al-'uṣra, Recueil de Textes Relatifs à l'Histoire des Seljoucides, II, Leiden, 1889, გვ. 107; გვ. 426. تاريخ العلامة ابن خلدون المجلد ۱۹۶۷ الاول بيروت A. Lambton, The internal Structure of the Saljuq Empire, The Cambridge History of Iran, V, 1968, გვ. 226. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულმა ბუნდარიმ პირველმა იხმარა ნესტანდარეჯანის (نیست اندرجهان) როგორც საკუთარი სახელი (Būndārī, II, გვ. 172).

<sup>37</sup> გვ. 59 مجلد نخست تاريخ بيهقي ერცლად იბ. Дж. Гиунашвили, К толкованию термина „bis'gani“. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, 1971, გვ. 111.

<sup>38</sup> C. E. Bosworth, The Ghaznavids, their Empire in Afghanistan and Eastern Iran, Edinburgh, 1963, გვ. 101.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>40</sup> B. V. Бартольд, Сочинения, I, გვ. 303.

<sup>41</sup> გვ. 19. I تاريخ بيهقي

<sup>42</sup> გვ. 17 دهخدا لغت نامه — (ح-حامل) ۱۳۳۰

ყოფილიყო მეფის ნაცვალი ან რომელიმე დიდი პროვინციის მმართველი<sup>43</sup>. ასე მაგალითად, მაჰმუდ ლახნელმა დიდი ჰაჯიბი ალთუნთაში მიაგვლინა ხვარაზმში<sup>44</sup>. რავენდის ცნობით (XII-XIII სს.), თურქულ ბენ არსლან სელჩუკელის დროს ულულ ბარბეგი ანუ **ამირბარი** აფებე, რომელიც იყო „ამირთა მელიქი“ და „დიდი ათაბეგი“, ფრიად განათლებული პიროვნება ყოფილა და მფარველობას უწევდა მეცნიერებსა და მწიგნობრებს. რავენდი **ამირბარის** მიერ ქ. ჰამადანში აშენებულ მედრესეში ასწავლიდა და 10 წლის მანძილზე მის სამსახურში იმყოფებოდა<sup>45</sup>.

რასაკვირველია, მეფის, **ამირბარის**, ვეზირების და სხვა წარჩინებულ პირთა ურთიერთობა და მათ შორის ფუნქციების განაწილება და ძალთა შეფარდება მყარი და მტკიცედ დადგენილი არ ყოფილა და ხშირად ყველაფერი ეს დამოკიდებული იყო ამა თუ იმ პირის ინდივიდუალურ მონაცემებზე<sup>46</sup>. მაგალითად, ვეზირი ნიზამ ალ-მულქი (XI ს.) თავის დროზე „სახელმწიფო მართველობის ნამდვილი მეთაური იყო“<sup>47</sup>. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა თანამდებობისა და ტიტულის შინაარსი განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს. მაგრამ ერთი რამ შეიძლება დაბეჭითებით ითქვას: რუსთველის თანადროულ აღმოსავლეთში **ამირბარი** წამყვანი ფიგურა იყო მეფის კარზე და „ამირთა შორის უძლიერეს ამირად ითვლებოდა“<sup>48</sup>. რუსთველის დროინდელი **ამირბარის** ფუნქციები და მოვალეობანი გაცილებით უფრო ფართო და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეს ნ. მარსა და ვლ. გორდლევისკის აქვთ განსაზღვრული<sup>49</sup>.

<sup>43</sup> Б. Н. Заходер, Примечания (Сиасет-наме, М.-Л., 1949), გვ. 321

<sup>44</sup> გვ. 299, ۱۳۴۰ خواجه نظام الملک سیرالملوک (سیاستنامه) تهران

<sup>45</sup> გვ. 40, ۱۳۳۳ محمد بن علی بن سلیمان الراوندی، راحة الصدور آية السرور تهران

<sup>46</sup> გვ. 23, ۱۳۳۸ عباس اقبال وزارت درعهد سلاطين بزرگ سلجوقی تهران  
В. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, გვ. 143, 159.

<sup>47</sup> Б. Н. Заходер, История восточного средневековья, М., 1944, გვ. 94.

<sup>48</sup> A. Lambton, The internal Structure of the Saljuq Empire, გვ. 226. პ. ინგოროყვას აზრით, „ამ სავაზირო თანამდებობის აღსანიშნავად ძველ საქართველოში სამი ტერმინი არსებულა. აღრინდელ ხანაში უფრო გავრცელებული იყო ტერმინი „მანდატურთ-უხუცესი“. მაგრამ ამის გვერდით მიღებული ყოფილა პარალელურად „ამირბარა“ და „სახლთ-უხუცესი“. უფრო გვიან ხანაში ტერმინმა „სახლთ-უხუცესი“ შეცვალა ტერმინები „მანდატურთ-უხუცესი“ და „ამირბარი“ (პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963, გვ. 53).

<sup>49</sup> ნ. მარსის მიხედვით—„Oberhofmeister“ (Тексты и разыскания, XII, გვ. XI); ვლ. გორდლევისკის მიხედვით—„Во главе двора находился „эмир двора“ امیربار، он расаживал на пиру гостей“ (Государство Сельджукидов Малой Азии, გვ. 159).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტმა ვ. გაბაშვილმა



დელი მემატთანე, ჰაბუკი მეფის თანამოაზრე და მაქებელი, მის მცირეწლოვან ძეს არ იხსენიებს, დავითის ტახტის მემკვიდრედ დატოვების შესახებაც არაფერს ამბობს და მხოლოდ რუსუდანზე ამყარებს საქართველოს სახელმწიფოს მთელ იმედებს: „ბ. ჯერ კიდევ 1246—47 წ. დავით ლაშას ძისა და დავით რუსუდანის ძის მომხრე, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული წრეებისაგან პლანო კარპინის მხოლოდ ის შეუტყვია, რომ ლაშას თავისი უკანონო შვილისათვის სამეფოს ერთი ნაწილი დაუტოვებია“.

უნდა აღინიშნოს, რომ პლანო კარპინის ცნობებში, საქართველოს სამეფო ტახტის ორ მამიებელს შორის დავას რომ შეეხება, ივ. ჯავახიშვილს მრავალი უზუსტობა და ბუნდოვანება აქვს შენიშნული<sup>8</sup>. ჩვენ ამ უზუსტობებს აღარ ჩამოვთვლით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ ერთ შემთხვევაში სამეფოს მხოლოდ ნაწილის მფლობელად თვლის დავით ლაშას ძეს პლანო კარპინი, სხვაგან, როდესაც ამბობს დავით რუსუდანის ძე ლაშას ძეს „დაუმორჩილეს, როგორც უფროსს, რომელსაც უბრძანეს წყნარად და მშვიდობიანად დაუფლებოდა მამის მიერ დატოვებულ სამეფიდროსო“<sup>9</sup>, ლაშას ძეს უნდა გულისხმობდეს მამამისის, ვითარცა „ყოველი საქართველოს“ მეფის მემკვიდრედ. თუ ეს ასეა, მაშინ ლაშას ანდერძის უარსაყოფად პლანო კარპინის ცნობის გამოყენება გაძნელებია.

ივ. ჯავახიშვილის მიერ მოტანილი პირველი არგუმენტი კი მეტად დამაფიქრებელია. ლაშა გიორგის დროინდელი მემატთანე, როგორც ჩანს, სამეფო ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ, მართლაც, რუსუდანს და მის შთამომავლობას მიიჩნევს და მათ კეთილდღეობას უკავშირებს ქვეყნის ბედს: „ღმერთმან ყოვლისა სახიერებისამან, რომელი არა განსწირავს მოშიშთა მისთა, და იცავნ სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღმერთი გვირგვინოსანი რუსუდან, და ყავნ ნაყოფი მისი ჩუენდა სალხინებლად თესლითი თესლადმდე, და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა“<sup>10</sup>.

ლაშა გიორგის დროინდელი მემატთანის ცნობათა ხასიათის შესახებ ჩვენ ქვემოთ აღვნიშნავთ, აქ კი მოვიტანთ 1232 წ. გადაწერილი ერთი სომხური სახარების ანდერძ-მინაწერის ცნობას, რომელშიც, ჩვენი აზრით, რუსუდანი მეფედ არაა მიჩნეული: „...დაიწერა ეს [სახარება] სომეხთა წელთაღრიცხვის „ომბ“-ს (1232 წ.) კაიენის მხარეში, სახელგანთქმულ გეტაკის წმიდა მონასტერში, წმიდა ღვთისმშობლისა და წმიდა გრიგორ განმანათლებლის შეწევნით, ცოდვილი სტეფანოსის ხელით. ერისთავთ-ერისთავის ათაბაგ ივანესა“<sup>11</sup>

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38;

<sup>8</sup> იქვე, გვ. 109, 113, 132—33;

<sup>9</sup> პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, „მასალეი საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. II, 1942, გვ. 37;

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 371 (ხაზი ჩვენი. — ა. ა.);

<sup>11</sup> მართალია, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ივანე ათაბაგის გარდაცვალების თარიღად ხვდებით 1227 (იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56) და 1225 წელსაც (იხ. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, 1961, გვ. 173), მაგრამ თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ივანე მხარგრძელი გარდაიცვალა არა უადრეს 1233 წლისა (წ. ლიქსიქანი, ხაფასკანე კამ შიიუკანე ნაიკე ყათომიკან მხე, ქაიარკაყათო, 1928, გვ. 99—101; ლ. შანსიქანი, ჭინსაკან ახსიკიონ ჯაი ძიიქიქი ყათომიკან, წ. სეხან, 1952, გვ. 159).



და მისი ძის ავაგის მთავრობის ჟამს და რადგან ქართველებს მეფე არ ჰყავდათ, მეფის მაგივრობას თამარის ასული ასრულებდა<sup>12</sup>...

სომხური — *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»* — ჩვენ ვითარგმნით ასე: „მეფის მაგივრობას თამარის ასული ასრულებდა“. ამგვარად თარგმნის უფლებას გვაძლევდა ისიც, რომ ანდერძის ავტორი სტეფანოსი მკაფიოდ ამბობს, ქართველებს მეფე არ ჰყავდათო (*«ყრავ შაყალირ იჯ ვიჯრ»*). შესაძლოა ვიფიქროთ, სტეფანოსი გულისხმობს, რომ ქართველებს იმ დროს არა ჰყავთ კაცი მეფე (*«შაყალირ»*) და ეს ცნობა არ გამორიცხავს, რომ მათ ჰყავთ ქალი მეფე, დედოფალი (*«შაყოსჩი»*). მაგრამ არა ერთი და ორი მაგალითი გვაქვს ისეთი, როდესაც სომხურ წყაროებში ჩვენი მეფე ქალები, თამარი და თვით რუსუდანიც იხსენიებიან, როგორც *«შაყალირ»* (მეფე) და არა როგორც *«შაყოსჩი»* (დედოფალი)<sup>13</sup>. ამის გამო, ვფიქრობთ. ანდერძ-მინაწერის ავტორი არ იტყუოდა: *«ყრავ შაყალირ იჯ ვიჯრ»* („ქართველებს მეფე არ ჰყავდათ“). სომხურ მწერლობაში ჩვენ არ გვეგულება არც ერთი ისეთი მაგალითი, სადაც თამარი ან რუსუდანი მეფედ ითვლებოდეს და თანაც იქვე ეწეროს *«ყრავ შაყალირ იჯ ვიჯრ»*.

საზოგადოდ, სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ავტორები, ამ ხანისა მაინც, თანადროული პოლიტიკური ვითარების აღწერისას, კერძოდ, საქართველოს მეფეთა მოხსენიებისას, მეტად სიტყვაძუნწნი არიან და, ამის გამოც, ჩვენი ანდერძ-მინაწერის ავტორი სტეფანოსი რუსუდანს მეფედ რომ თვლიდეს, მაშინ მოსალოდნელი იყო მას უბრალოდ ეთქვა, სახარება დაიწერა თამარის ასულის მეფობის ჟამსო, როგორც ეს 1224 წ. ანდერძშია<sup>14</sup>.

„მწერალი“ სტეფანოსი რუსუდანის შესახებ ამბობს, რომ მას ეპყრა *«აჭითასკალოქჩინ»* („ათორაკალუთიუნ“). ლექსიკონებში არაა აღნიშნული, რომ ეს სიტყვა სამეფო ხელისუფლების ფლობის გამოსახატავად გვხვდებოდეს. ვერც ჩვენ დავძებნეთ ასეთი მაგალითი წყაროებში. არც *«აჭითასკალოქჩინ»* („ათორაკალ“;) საიდანაც ნაწარმოებია *«აჭითასკალოქჩინ»*, იხმარება *«შაყალირ»*, *«არქაქ»* („მეფე“) -ის, ან *«ქაყოსჩი»* („დედოფალი“) -ის სინონიმად. ჩვეულებრივ *«აჭითასკალოქჩინ»*, ისევე როგორც *«სიყაყან»* ან *«სიყაყაქ»* ეწოდებოდა სავათალიკოსო ტახტის დროებით მპყრობელებს, რომლებიც კათალიკოსის მაგივრობას სწევდნენ მაშინ, როდესაც კათალიკოსი არ იმყოფებოდა ადგილზე, ანდა ერთი კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ სხვა ჯერ არ აერჩიათ. თვით კათალიკოსებსაც ეძახდნენ გრიგოლ განმანათლებლის „ათორაკალებს“, როგორც მის მოადგილეებს<sup>15</sup>. ზოგიერთ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ „ათორაკალ“ ზოგჯერ, საზოგადოდაც ნიშნავს „მოადგილეს“, „შემცვლელს“, ხოლო „ათორაკალუთიუნ“ — „მოადგილეობას“<sup>16</sup>.

<sup>12</sup> *«ყრავ შაყალირ იჯ ვიჯრ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1951, გვ. 881—84.

<sup>13</sup> იხ. ზგ. *«ყრავ შაყალირ იჯ ვიჯრ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1951, გვ. 215, 224, 315; ლაპინინ *«ყრავ შაყალირ იჯ ვიჯრ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1862, გვ. 139; *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1910, გვ. 342; *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1914, გვ. 50, 64; *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1881, გვ. 6. „გეგმულად მხოლოდ ვარაუდობთ, რომელსაც გოში ეწოდებოდა“, იხ. *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1928, გვ. 240, 242.

<sup>14</sup> *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, გვ. 837—39.

<sup>15</sup> *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1.

<sup>16</sup> *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, *«ონქრ ვაჭითასკალოქჩინ ვოთარ შამარქინ»*, 1, 1844.

როგორც ჩანს, არ უნდა დაგვაფიქროს იმან, რომ *«აქთიაკლქან»* („ათორაკალუთიუნ“) სიტყვასიტყვით „ტახტის ქონას“, „ტახტის პურობას“ ნიშნავს. ტახტი მეფის ვარდა, დროებით, შეიძლება სხვასაც დაეპირა. ასე მაგ., მათეოს ურჰაეცის მიხედვით, როდესაც 1067 წ. გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი დუკა, მისი შვილის მცირეწლოვანების გამო „სამეფო ტახტი ერთი წელიწადი მეფის გარეშე დარჩა, ეპყრა სამეფო ტახტი დედოფალს, რომელსაც ევდოკიას ეძახდნენ“<sup>17</sup>. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალ ევდოკიას ტახტი უპირავს, მათეოსი მას ქვეყნის მხოლოდ დროებით გამგებლად თვლის<sup>18</sup>. საზოგადოდაც ცნობილია, რომ ევდოკია ერთი წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას, ვითარცა რეგენტი<sup>19</sup>.

საყურადღებო უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ *«ახყაყან»*, რომელიც ხშირად იხმარება *«აქთიაკლ»* („ათორაკალ“)–ის სინონიმად, ხანდახან აღნიშნავს „მეფის შემცვლელს“, „მეფის მოვალეობათა დროებით აღმასრულებელს“, ხოლო *«ახყაყანაქჩან»* „მეფის შეცვლას“, დროებით მეფის მოვალეობების შესრულებას<sup>20</sup>.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზაქარია მხარგრძელის შესახებ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის სიტყვები „...მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა“, აკად. ა. ჰოვანისიანს ასე უთარგმნია: *«...Հայոց թագաւորի ակտიაკლ»* (სომეხთა მეფის „ათორაკალი“)<sup>21</sup>. ალბათ, ა. ჰოვანისიანმა ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობა იგულისხმა, თორემ თანამედროვე სომეხურ ენაში იგი ასეთი მნიშვნელობით არ უნდა იხმარებოდეს<sup>22</sup>. მაშასადამე, სომეხთა მეფის ადგილზე მჯდომი ამ მეფის „ათორაკალი“ ყოფილა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვასკვნით, რომ ანდერძ–მინაწერის ავტორი სტეფანოსი რუსუდანს მეფედ არა თვლის. იგი მას მეფის შემცვლელად მიაჩნია.

ამრიგად, აზრი რუსუდანის მეფობის უკანონობის შესახებ წარმოქმნილი ჩანს უკვე 1232 წლისათვის და არა 1246—47 წლის შემდგომ.

საზოგადოდ, გიორგი IV–ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი არსებული მასალების საფუძველზე ჩვენ ასე წარმოგვიდგება: ლაშა გიორგის მეფობის ქაშს და შემდგომაც საქართველოს წარჩინებულთა შორის არსებობდა ორი, ერთმანეთისაღმი დაპირისპირებული დაჯგუფება. ერთ მათგანში ძირითადად იყვნენ მეფის თანამოაზრენი, „თანამოასაკენი“, ხოლო მეორეში მის დროს შევიწროებული, თამარის ქამინდელი დიდებულები. მეორე დაჯგუფების მეთაური ივანე ათაბაგი ჩანს. ლაშას დროს შევიწროებულმა ივანე ათაბაგმა არნახული გავლენა მოიპოვა სახელმწიფოში რუსუდანის მეფობის პირველსავე წლებში; როგორც ჩანს, მას დი-

<sup>17</sup> Մ ա տ ի լ յ ա Ռ ի ճ ո ս յ Ե Յ Ի, ժամանակագրություն, Վարդաշատ, 1898, გვ. 189—  
„Կայեալ արդ թագաւորութեան անբազար գամ մի, բողոսինն ինչով զարդ թագաւորութեանն“.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> S. Runciman, Byzantine civilization, London, 1945, გვ. 304;

<sup>20</sup> Մ ա տ ի լ յ ա Ռ ի ճ ո ս յ Ե Յ Ի, ժամանակագրություն, გვ. 340;

<sup>21</sup> Խ. Հովհաննիսյան, Գրվածքներ նա պատմագրական մտքի պատմության. Նրևան, I, 1957, გვ. 156—157; ՄժԸ. I, Մ Ե Լ Ի Կ Ե Ի - Բ Ե Կ. Վրաց տղայունքը Հայաստանի յև հայերի մասին, հատ. Բ, Ներքվան, 1936, გვ. 14.

<sup>22</sup> ժամանակակից հայոց լեզվի բացատրական բաբարան, I. Ներքվան, 1969.

დი წვლილი მიუძღოდა რუსუდანის გამეფებაში. ამის გამო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლაშას თანამოაზრეთა დაჯგუფება წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო რუსუდანის გამეფებისა, მიუხედავად იმისა, მართლაც დატოვა თუ არა ლაშამ ჟამთააღმწერელთან შემონახული ანდერძი. ეტყობა, რუსუდანის მომხრეთა წრეებმა თავისი გაიტანეს, ტახტის ერთადერთ, კანონიერ მემკვიდრედ რუსუდანი და მისი შთამომავლობა გამოაცხადეს. ეს ვითარება უნდა იყოს ასახული ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანესთან. როდესაც მემატიანე წერს, მაშინ ქვეყნის საგარეო მდგომარეობა უკვე რამდენადმე აწეწილია და ასეთ პირობებში, ბუნებრივია, სამეფო ტახტზე მეფის უკანონო შვილის აყვანის მოთხოვნა ისტორიკოსს დიდ მკრეხელობად მოეჩვენებოდა. შემდგომ, ეტყობა, საპირისპირო დაჯგუფება გაძლიერებულა<sup>23</sup>, როგორც ჩანს, რუსუდანის მმართველობის დროს სამეფოს მთელი რიგი წარუმატებლობის გამო; ეს გარემოება გამოიწვევდა ამ დაჯგუფების შეხედულებათა, კერძოდ, ტახტის მემკვიდრის საკითხის შესახებ, ფართოდ გავრცელებას და ამის გამო არ უნდა თვლიდეს 1232 წ. ანდერძ-მინაწერის ავტორი რუსუდანს მეფედ.

<sup>23</sup> ალბათ, ძირითადად ამ დაჯგუფების წევრები არიან, დავით ლაშას ძის გამეფებისათვის რომ იბრძვიან მონღოლთა ხანის კარზე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

დიბო პოროლიეხვილო

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორიიდან

(XIII ს-ის 70-იანი წლები)

იერუსალიმის ქართული კოლონია საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა იყო უცხოეთში. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის ზრდასა და განვითარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იერუსალიმის ჯვარის მონასტერს, რომელიც „წმინდა“ ადგილებში არსებული ყველა ქართული ეკლესია-მონასტრის ადმინისტრაციული და კულტურის ცენტრი იყო. ეს გარემოება განაპირობებს მკვლევართა ინტერესს ჯვარის მონასტრის მიმართ. ა. ცაგარელის, ე. მეტრეველის, პ. ინგოროყვას, გ. ფერაძის და სხვ. შრომებში ჯვარის მონასტრის ისტორიის არა ერთი საკითხია შესწავლილი<sup>1</sup>.

ამჟამად გვსურს ყურადღება შევაჩეროთ ჯვარის მონასტრის ისტორიის ერთ მძიმე პერიოდზე, მამლუქი სულტნების მიერ მონასტრის დარბევაზე და შეჩეთად გადაქცევის ფაქტზე, რაც ჯვარის მონასტრის „დატყვევების“ სახელით არის ცნობილი.

ეგვიპტესა და სირია-პალესტინაში ბაპრელი მამლუქების გაბატონებამდე (XIII ს-ის 50—60-იანი წლები) ქართული ეკლესია-მონასტრები პალესტინაში დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. ქართველებმა ეს პრივილეგიები ეგვიპტის აიუბიანი სულტნებისაგან მიიღეს. საყოველთაოდ ცნობილია ქართველთა უფლება გაშლილი დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. ისინი არ უხდიდნენ ხაკს აიუბიანებს არც იერუსალიმში და არც სხვა ქალაქებში<sup>2</sup>.

ვითარება იცვლება მონღოლთა დაპყრობითი ომებისა და ეგვიპტეში ბაპრელ მამლუქთა გაბატონების შემდეგ.

1258 წ. მონღოლებმა ხელთ იგდეს ბაღდადი და ბოლო მოუღეს აბასელთა სახალიფოს. ამავე დროს ბაპრელმა მამლუქებმა შეძლეს სირიაში აიუბიანთა ბატონობის ლიკვიდაცია და ქვეყნის დამორჩილება.

<sup>1</sup> А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае. СПб., 1888, გვ. 54—55; ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 9—68, 115—179; პ. ინგოროყვა, რუსთველიანის ეპილოგი, თბ. ტ. 1, თბ., 1963, გვ. 697—744; G. Peradze, An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine, Georgia (A Journal of Georgian and Caucasian Studies), No. 4 and 5, 1937, გვ. 181—247.

<sup>2</sup> Jacques de Vitry. History of the Jerusalem. translated from the original latin by Aubrey Stewart, Palestine Pilgrims' Texts Society, vol. XI. London, 1896, გვ. 84—85; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 303; თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 2, გვ. 178; А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

XIII ს-ის 60-იანი წლების დასაწყისიდან მონღოლები იწყებენ საომარ ოპერაციებს მამლუქთა წინააღმდეგ. საომარი ასპარეზი იყოსირია. ამ ბრძოლებში მონღოლთა მხარეზე, სხვა დაპყრობილ ხალხებთან ერთად, იბრძოდნენ ქართველებიც.

ბუნებრივია, რომ ქართველთა მონაწილეობა ეგვიპტის წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქრობებში სავსებით საკმარისი მიზეზი იქნებოდა იმისათვის, რომ ეგვიპტე-საქართველოს შორის არსებული კეთილშეგობრული დამოკიდებულება დიამეტრალურად შეცვლილიყო. 1260 წ. შემდგომ ქართველთა პრივილეგიებს „წმინდა“ მიწაზე ბოლო უნდა მოღებოდა და ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო სწორედ ჭვარის მონასტრის დარბევა, ჩამორთმევა და მისი გადაკეთება მეჩეთად.

ალ. ცაგარელმა პირველად მიაქცია ყურადღება იმას, რომ „მუსლიმანი ავტორების თანახმად XIII ს-ის დასასრულს, ზოგის მიხედვით სულთან ბეიბარსის (1260—1277) ზეობის დროს, მეორეთა მიხედვით კალაუნის შვილის ნასირ მუჰამედის დროს (1277—1279) წაართვეს ქართველებს ჭვარის მონასტერი, იერუსალიმის ახლოს და მოაწყვეს იქ მეჩეთი მუეზინითურთ“<sup>3</sup>.

უფრო საფუძვლიანად განიხილა ეს საკითხი დ. ყიფშიძემ. მკვლევარმა უარყო არაბი ავტორის მუჰირ ალ-დინის (გარდ. 1521 წ.) ცნობა, რომლის თანახმადაც ჭვარის მონასტრის ჩამორთმევა ალ-მალიქ ან-ნასირ მუჰამედ იბნ კალაუნის (1279—1290 წწ.) დროს მოხდა. მან გამოაქვეყნა XIII ს-ის ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლი „წმ. ლუკას წამება“, სადაც აღწერილია სულთან ფუნდუხტის ზეობის წლებში შეიხ ჯიდარის მიერ ჭვარის მონასტრის წინამძღვრის ლუკა მუხახსიდის მოკვდინება და მონასტრის დარბევა<sup>4</sup>.

სულთან ფუნდუხტის ვინაობის დადგენა დ. ყიფშიძეს არ გასჭირვებია. — ეს არის სულტანი ბაიბარს ალ-ბუნდუქდარი. დ. ყიფშიძემ ამასთან ერთად, არაბ ისტორიკოს იბნ ქასირის (გარდ. 1373 წ.) ცნობაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ შეიხი ჯიდარი იყო ბაიბარსის თანამედროვე<sup>5</sup>.

ქართული წყაროს საფუძველზე დ. ყიფშიძემ ჭვარის მონასტრის დარბევის თარიღი ბაიბარსის ზეობის წლებით (1260—1277) შემოფარგლა.

ეს თარიღი კიდევ უფრო დააკონკრეტა ელ. მეტრეველმა. მან ყურადღება მიაქცია ჭვარის მონასტრის „დატყვევების“ დროინდელ ერთ აღაპს, რომელიც გაჩენილია მეფეთა მეფე ვახტანგისა და მისი მეუღლე რიფსიმესათვის. აღაპში ნათქვამია: „მას უამსა ოდეს ჭუარის მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაელო, მაშინ რჯაჲ თავი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სვიმონ მოვახმარეთ მონასტერსა“<sup>6</sup>.

ელ. მეტრეველს გარკვეული აქვს, რომ აღაპში მოხსენიებული მეფე ვახტანგი არის ვახტანგ III (1298—1308), რომელმაც მონაწილეობა მიიღო ეგვიპტის წინააღმდეგ მონღოლების მიერ მოწყობილ 1299 წ. ნოემბრის

<sup>3</sup> А. Цагарели, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 55.

<sup>4</sup> Д. А. Кипшидзе, *Житие Прохора, муч. Луки и муч. Николая Двали: «История Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе»*, т. II, Ленинград, 1927, გვ. 60—61.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>6</sup> ელ. მეტრეველი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 164, აღაპი 206 (M—203), ტაბულა XLVIII.

ლაშქრობაში. ამ ლაშქრობის დროს მონღოლ-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა შეძლო ჰიმსისა და იერუსალიმის აღება. მკვლევრის აზრით, ვახტანგ მეფემ სწორედ იერუსალიმში ყოფნის დროს გაიღო ჯვარის მონასტრისათვის „რვათე თვი ლაპრი და ათასი თეთრი“. ვინაიდან ეს მოხდა მაშინ „ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაეღო“, ელ. მეტრეველი ჯვარის მონასტრის ჩამორთმევის თარიღად (1299—26) 1273 წ. მიიჩნევს<sup>7</sup>.

ამავე აღაპის საფუძველზე ახდენს ჯვარის მონასტრის ჩამორთმევის თარიღის დადგენა-დაკონკრეტებას პ. ინგოროყვაძე, მაგრამ, მისი აზრით, ვახტანგ III იერუსალიმში მხოლოდ 1300 წ. უნდა შესულიყო. აქედან გამომდინარე, ჯვარის მონასტრის წართმევის თარიღად (1300—26) იგი 1274 წ. ასახელებს<sup>8</sup>.

ეს საკითხი შეიძლება განვიხილოთ არაბული წყაროების მონაცემების შუქზეც.

ჯვარის მონასტრის დარბევა-ჩამორთმევის ფაქტი XIV—XV სს. ბევრ არაბ ისტორიკოსს აქვს მოხსენიებული. ესენია: ალ-აჟინინი<sup>9</sup> მუფადლალ იბნ აბშლ-ფა-და' ილი<sup>10</sup>, იბნ ად-დავადრ<sup>11</sup> იბნ ქასრ<sup>12</sup>, ალ-მაკრინ<sup>13</sup>, მუჯირ ად-დინი<sup>14</sup>. ამ უკანასკნელის გარდა, დასახელებული ავტორები ჯვარის მონასტრის განადგურებას ბაიბარს ალ-ბუნდუქდარის ზეობის წლებში ათავსებენ. ე. ი. არა უადრეს 1260 წლისა და არ უგვიანეს 1277 წლისა. როგორც აღინიშნა, ამასვე ეთანხმება ქართული წყარო — „წმ. ლუკას წამებაც“.

არაბმა ისტორიკოსებმა კარგად იციან ჯვარის მონასტრის როლი და მნიშვნელობა; ასე, მაგალითად, ალ-აჟინინის და აბშლ-ფადა'ილის თანახმად ის არის „ქრისტიანთა სახელოვანი და დიდებული ეკლესია“<sup>15</sup>.

არაბული წყაროები იცნობენ შეიხ კიდარს. მისი სრული სახელია შეიხ ხიდრ იბნ აბშ ბაქრ იბნ მუსა ალ-მიპრანნ ალ-ადლუგვბ, რომელიც იყო ბაიბარის თანამედროვე, მეტად გავლენიანი პიროვნება<sup>16</sup>.

<sup>7</sup> ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42. ამ თარიღს იზიარებენ სხვა მკვლევრებიც: ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 167; იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის შეგლეძი, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები XI—XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1968, გვ. 115.

<sup>8</sup> პ. ინგოროყვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 750.

<sup>9</sup> al-Yūnīnī, Mūsā b. Muhammad, Dhayl mir'āt al-zamān, III vols, 1960, გვ. 268.

<sup>10</sup> Moufazzal Ibn Abīl-Faza'il, Histoire des Sultans Mamlouks, texte Arabe. publie'e et traduit en Français par E. Blochet. Patrologia Orientalis, t. XIV, Paris, 1920, გვ. 459.

<sup>11</sup> Die Chronik des Ibn ad-Dawādārī, achter Teil, Der Bericht über die Frühen Mamluken, hrsg. von Ulrich Haarmann, Kairo, 1971, გვ. 222.

<sup>12</sup> В. Тизенгаузен, Заметка Элькалкашанди о Грузинах, «Записки Восточн. отд. имп. русск. археологич. общества», СПб., 1886, т. I, вып. III, გვ. 212. Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

<sup>13</sup> أحمد بن علي المقرئ، كتاب السلوك لمعرفة دول الملوك، الجزء الأول، القسم الثاني، أثاره «١٩٥٧، ص. ٦٥٧

<sup>14</sup> В. Тизенгаузен, დასახ. ნაშრომი, გვ. 212. აგრეთვე, Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

<sup>15</sup> ალ-აჟინინი, გვ. 6, მუფადლალ იბნ აბშლ-ფადა'ილი, გვ. 459.

<sup>16</sup> al-Kutubī, Muḥammad b. Shākir, Fawāt al-wafayāt, Cairo, 1951, გვ. 299.

მუფადღალ იბნ აბშულ-ფადალის თანახმად, შეიხი ხიდრი „იქცეოდა აზ-ზაპირის მთელს სამფლობელოში, როგორც მას მოესურვებოდა და ინებებდა, რადგან იგი იყო ისეთი პიროვნება, რომელიც ბატონობდა სხვებზე“<sup>17</sup>. ალ-აჟინნიცი შენიშნავს, რომ ის „აკეთებდა იმას, რასაც მოესურვებდა და არავის შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მისთვის“<sup>18</sup>.

არაბული წყაროებით, მას თითქოსდა „წინასწარგანკურების უნარი გააჩნდა“<sup>19</sup>. სხვათა შორის ქართული წყაროც მიუთითებს, რომ „გრძნეულებისა მისისათვის ფრიადი კადნიერება ჰქონდა სურტანსა წინაშე ფუნდუხტს“<sup>20</sup>.

არაბული წყაროების თანახმად შეიხი ხიდრი არამარტო თანამედროვეა ბაიბარსის, იგი სწორედ ის პიროვნებაა, რომელმაც დაანგრია ქრისტიანთა კუთვნილი იერუსალიმის ჯვარის მონასტერი, გადააკეთა იგი მეჩეთად და თვითონ თავისი ხელით მოკლა მისი წინამძღვარი (قسيس)<sup>21</sup>.

ეს წინამძღვარი, როგორც ქართული წყარო მიგვიჩივებს, არის ლუკა მუხაისძე<sup>22</sup>. ირკვევა, რომ ჯვარის მონასტრის დარბევის შემდეგ, ლუკა მუხაისძე სულთან ბაიბარსის წინაშე „საურვედ წარსრულ იყო მონასტრისა“ და უკანმობრუნებული მოუკლავს შეიხ ხიდრის ბრძანებით მის მონასტ<sup>23</sup>.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯვარის მონასტრის „დატყვევების“ თარიღის (1273 თუ 1274 წ. წ.) დადგენისას ჩვეულებრივ გამოდიან იქიდან, რომ ვახტანგ III-ის იერუსალიმში ყოფნის დროს (1299 თუ 1300 წწ.) ჯვარის მონასტერი 26 წელი იყო ტყვეობაში. ჯვარის მონასტრის დარბევის თარიღი არაბულ წყაროებში სამწუხაროდ მოცემული არ არის, მაგრამ ქართული და არაბული წყაროების შეჯერება საშუალებას იძლევა ეს თარიღი რამდენადმე წინ გადაიწიოს.

საქმე ის არის, რომ ჰიჯრის 671 წ. შავვალის თვეში ე. ი. 1273 წ. აპრილში სულტანმა ბაიბარსმა დააპატიმრა შეიხი ხიდრი და ის საპყრობილედან ცოცხალი ადარ გამოსულა<sup>24</sup>. ამის გამო 1274 წელი ჯვარის მონასტრის დარბევის თარიღად გამოირიცხულია. ასევე მიუღებელია 1273 წელიც იმიტომ, რომ, ქართული წყაროს მიხედვით, ლუკა მუხაისძე მოკლა შეიხმა ხიდრმა 27 ივნისს<sup>25</sup>, ხოლო არაბული წყაროებით ხიდრი 1273 წ. აპრილიდან საპყრობილედშია.

ზემოხსენებული ადაპი ჯვარის მონასტრის „დატყვევებიდან“ საქმაოდ დიდი ხნის, ვახტანგ III-ის გარდაცვალების (1308 წ.) ან ჯვარის მონასტრის გათავისუფლების შემდეგ დაიწერა. ამდენად მის შემდგენელს შეიძლება მოსვლოდა შეცდომა თარიღში, მაგრამ ცდომილება არ შეიძლება დიდი იყოს.

<sup>17</sup> მუფადღალ იბნ აბშულ-ფადალი, გვ. 459.

<sup>18</sup> ალ-აჟინნიცი, გვ. 6.

<sup>19</sup> ალ-ქუთუბნი, გვ. 299.

<sup>20</sup> Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

<sup>21</sup> ხიდრი, საერთოდ, რელიგიური ფანატიზმით გამოირჩეოდა. მას ჯვარის მონასტრის გარდა დაუნგრევია დამასკოში ებრაელთა სინაგოგა, ხოლო ალექსანდრიაში — ბერძენთა ეკლესია; ალ-აჟინნიცი, გვ. 5—6, მუფადღალ იბნ აბშულ-ფადალი, გვ. 459; იბნ ად-დავადარნი, გვ. 222; ალ-მაკრისნი, გვ. 608, ალ-ქუთუბნი, გვ. 300.

<sup>22</sup> Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ალ-აჟინნიცი, გვ. 267; მუფადღალ იბნ აბშულ-ფადალი, გვ. 381; იბნ ად-დავადარნი, გვ. 171, ალ-ქუთუბნი, გვ. 299.

<sup>25</sup> „იწამა მამაა ჩუენი ლუკაა თუესა ივნისს: კზ: სურტნობასა ფუნდრუხტანისა“, Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

ჯვარის მონასტრის დარბევა, ლუკა მუნხაისის მოკვლა და მონასტრის მე-  
ჩეთად გადაკეთება, ვფიქრობთ, XIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში მოხ-  
და და არ უნდა ცილდებოდეს 1272 წლის 27 ივნისს.

არაბული წყაროები მოგვითხრობენ, რომ ჰიჯრით 672 წ. ე. ი. 1273 —  
74 წ. ერთი ქართველი მეფე საიდუმლოდ გაემართა იერუსალიმის მოსანახუ-  
ლებლად. მაგრამ ის გზაში დააპატიმრეს და სულტან ბაიბარსს მიგვარეს<sup>26</sup>.  
სამწუხაროდ, მეფის სახელი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი და იდენ-  
ტიფიკაცია არ ხერხდება, მით უმეტეს, რომ ქართული წყაროებისათვის  
მსგავსი რამ უცნობია.

არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს სამეფო კარმა რომელიმე  
გავლენიანი დიდებული მართლაც გაგზავნა საიდუმლოდ პალესტინაში, რა-  
თა შექმნილი ვითარება დაეხვერა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა  
სწორედ ის ფაქტი, რომ „ქართველი მეფის“ იერუსალიმში გამგზავრება  
სწორედ ჯვარის მონასტრის დარბევის შემდეგ ხდება.

ჯვარის მონასტრის „დატყვევებამ“ რამდენიმე ათეული წელი გასტანა.  
ქართველების მიერ მისი უკან დაბრუნების თარიღი ქართულ ისტორიოგრა-  
ფიაში 1305 წლით არის განსაზღვრული, მაგრამ ისევ არაბული წყაროების  
საფუძველზე შესაძლებელია ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება, რის შე-  
სახებაც სხვაგან გვექნება საუბარი.

<sup>26</sup> ალ-აჟუნან, გვ. 32, აღნიშნული ცნობა ალ-აჟუნანს თხზულებიდან გამოაქვეყნა  
ზ. ბუნიატოვმა, იხ. З. Бунятов, Материалы по истории Грузии в сочинении  
Кутб ад-Дина ал-Йюнини. „Зайл „Мирдат аз-Заман“. „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), № 4 1972, გვ. 130, 132; შტრ. В. Тизен-  
гаузен, დასახ. ნაშრომი, გვ. 213, სქოლიო 2.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-  
კორესპონდენტმა ვ. გაბაშვილმა



კითხვან პასხისხვილი

პართული საბეჭდავი ურბნისიდან

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ ურბნისის ნაქალაქარზე წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი გლიბტიკური ძეგლები<sup>1</sup>, რომლებიც საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთზე ვრცელდებიან — ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე<sup>2</sup>. რამდენადაც ამ ძეგლებს შორის არის როგორც ადგილობრივი, ისე, ძირითადად რომაული სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ცენტრებიდან შემოტანილი ნაწარმი<sup>3</sup>, ამდენად მათ შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქართლის სამეფოს მოსახლეობის არა მხოლოდ კულტურული და მატერიალური დონის განსაზღვრისათვის, არამედ გარე სამყაროსთან მისი სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვისაც.

ურბნისში აღმოჩენილი გლიბტიკური ძეგლების უმრავლესობა არ განსხვავდება რომაულ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთში ამავე ხანაში მასობრივად გავრცელებული ნიმუშებისაგან<sup>4</sup>, მაგრამ მათ შორის არის გემების ზოგიერთი ჯგუფი<sup>5</sup> ან ცალკეული ერთეულები<sup>6</sup>, რომლებიც საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშს წარმოადგენს ურბნისის ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში გათხრილ სამაროვანზე (XV უბ.) აღმოჩენილი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი<sup>7</sup> (ტაბ. 1, 1).

საბეჭდავი მოყვითალო-თეთრი გამჭვირვალე მინისაგან არის დამზადებული, ათწახნაგაა. მისი ფუძე პარალელებიპიედს წარმოადგენს, ზურგი — წაკვეთილ პირამიდას; ბრტყელი პირი სწორკუთხედის მოყვანილობისაა. საბეჭდავი სიგრძეზე გახვრეტილია.

საბეჭდავის პირზე წარმოდგენილია ინვესტიტურის სტენა (ტაბ. I, 2, 3). მარცხნივ გამოსახულია სწორკუთხედსაჯდომიანი ტახტი, მრგვალი ნაჭდევე-

1 დ. ქორიძე, ურბნისის სამაროვანზე (XV უბ.) აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციის საკითხისათვის (ხელნაწერი); ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიბტიკური ძეგლები, თბ., 1972

2 ქ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

3 იქვე, გვ. 20.

4 იქვე, გვ. 8.

5 მხედველობაშია ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები (იხ. ქ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11, №№ 129, 130), ბეჭდის თვლებად გამოყენებული ინტალიოები, რომლებზედაც მხედრები არიან გამოსახული (იქვე, გვ. 12, 13, №№ 131—135) და ზოგი სხვა.

6 ქ. ჯავახიშვილი, კარაკალას პორტრეტი ურბნისიდან, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1968, № 11, გვ. 57—61.

7 ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიბტიკური ძეგლები, გვ. 11, 12, № 141. საბეჭდავი გაურკვეველი წარმომობის ჯგუფშია მოთავსებული და გამოთქმულია მხოლოდ ვარაუდი მისი პართულობის შესახებ (საბეჭდავი ინახება საქ. სახ. მუზ. გლიბტიკის ფონდში, ინვ. № 1033).

ბით შემკული მალალი ზურგითა და, როგორც ჩანს, ასევე დაქდევებული ფეხებით. სცენის ერთი პერსონაჟი ტახტზე ზის, თითქოს ფეხი ფეხზე აქვს გადადებული; მის წინ დგას მეორე პერსონაჟი, რომელსაც ორივე ხელი წინ აქვს გაწვდილი. ტახტზე მჯდომი მას ბაფთიან გვირგვინს — ძალაუფლების ნიშანს — აწვდის. ორივე პერსონაჟი პროფილში არის წარმოდგენილი.

საბეჭდავი ჩამოსხმულია. დედანი, როგორც ჩანს, საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ იყო ნაკვეთი, მაგრამ ამჟამად მინის ირიზაციის გამო საბეჭდავის გამოსახულებას სიმკვეთრე ნაწილობრივ დაკარგული აქვს და ზოგიერთი დეტალის გარჩევა ძნელდება. ამასთანავე, ყველა დეტალი დედანზედაც არ უნდა ყოფილიყო კარგად დამუშავებული — გამოსახულება საკმაოდ ტლანჩია და ფორმები მოცემულია ძირითადად ზოგადი მონახაზებით. ტახტი, მისი მალალი ზურგი დაქდევებული ბურცობებით საკმაოდ მკაფიოდ არის გამოსახული. რაც შეეხება ფეხების შემკულობას, ის ისე გარკვეულად არა ჩანს, მაგრამ ფეხების გამსხვილებულ შუა ნაწილში თითქოს მაინც შემიმჩნევა დეკორირების რაღაც ნიშნები.

ტახტზე მჯდომი ადამიანის ფიგურა საკმაოდ უფორმოა და არაპროპორციული. ტანის ზედა ნაწილი ქვედასთან შედარებით მეტისმეტად მოკლეა; სხეულის ცალკეული ნაწილები ან სუსტად, ან სრულიად არ არის გამოყოფილი: უსწორმასწორო ოვალი თავს გამოხატავს; სახის ნაკვეთები საერთოდ არა ჩანს; სხეული ერთიან დაუნაწევრებელ მასას წარმოადგენს და მხოლოდ ფეხების ფორმა არის მკაფიოდ მოხაზული; ტერფები საერთოდ არ არის გამოსახული; მკლავების მოხაზულობაც საესებით გარკვეული არ არის; მხოლოდ საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ხელის თითები, რომლითაც ადამიანს გვირგვინი უჭირავს. ამ ადამიანს თავი შემკული აქვს მალალი წოპიანი თავსაბურავით, ტანისამოსის შესახებ კი ძნელია გარკვეულად რისიმე თქმა, თუმცა ის მაინც აშკარაა, რომ მას აცვია ან ძალიან მოკლე კაბა, რომელიც ფეხებს არ უფარავს, ან შარვალი.

ფეხზე მდგომი ადამიანი უფრო მკაფიოდ არის გამოსახული. ფიგურა შედარებით პროპორციულია და გამოხატულია საკმაოდ რეალისტურად, თუმცა განსაკუთრებული დეტალიზაციის გარეშე. მთლიანად თავი საკმაოდ ღრმა ნახევარსფეროთა გადმოცემული, მხოლოდ სახის ნაწილი უფრო დაბალი რელიეფითაა შესრულებული; ამდენად, სახე თმისაგან საკმაოდ მკვეთრი ხაზით არის გამოყოფილი. სახის ნაკვეთები არც აქა ალნიშნული. ადამიანის ტანი ღრმა რელიეფით არის შესრულებული, ხელები კი, რომლებიც ორი პარალელური ღარითაა აღნიშნული — უფრო ზედაპირულად.

შედარებით კარგად არის გადმოცემული ადამიანის სამოსი. იგი გრძელია, ზემო ნაწილში სადა, წელში გადაჭრილი და ნაოჭსხმული, ქვემოთ ოდნავ გაფართოებული. როგორც ჩანს, გრძელი სახელოები აქვს — მკლავებზე, ხელის მტევნებთან წვრილი ხაზები სახელოების ნაპირს უნდა აღნიშნავდეს.

გვირგვინი, რომელსაც ერთი პერსონაჟი მეორეს გადასცემს, წარმოადგენს მსხვილ რგოლს, რომელზედაც მარჯვნივ და მარცხნივ, საკმაოდ მკაფიოდ, აღბეჭდილია ორივე ადამიანის ხელის თითები. გვირგვინიდან ძირს ეშვება ბაფთის ბოლოები, რომლებიც ორი პატარა ნახევარმთვარის მოყვანილობის რკალით არის გამოსახული.

ურბნისის საბეჭდავის რამდენადმე ზუსტი ანალოგია ჩვენთვის ცნობილი არ არის. მრავალწახნაგა ფორმა საბეჭდავებისა ცნობილია მხოლოდ

მცირე აზიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე V—IV საუკუნეებში — ე. წ. „ბერძნულ-სპარსული“ მრავალწახნაგა საბეჭდავები<sup>8</sup> და ძველ იბერიაში ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები<sup>9</sup> და პრეტენზიულად აღმოჩენილი აქატის მრავალწახნაგა საბეჭდავი<sup>10</sup>. მ. მაქსიმოვა ვარაუდობს, რომ ეს ფორმა საბეჭდავების მცირეაზიური წარმოშობისა უნდა იყოს. მის წინამორბედებად შეიძლება ჩაითვალოს მცირე აზიაში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში გავრცელებული ხეთური და კაპადოკიური საბეჭდავების ფორმები, რომლებიც აქემენიდურ ხანაში აითვისეს მცირე აზიაში მომუშავე ბერძენმა და სპარსელმა ოსტატებმა<sup>11</sup>. მკვლევართა ერთ ნაწილს (ა. ფურტვენგლერი, ჯ. რიხტერი, დ. ოსბორნი, ჰ. ვუოლტერსი და სხვები) მიაჩნია, რომ „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავებს ამზადებდნენ მცირე აზიაში სპარსელების სამსახურში მყოფი ბერძენი ოსტატები, სპარსელი მომხმარებლის გემოვნების გათვალისწინებით; მეორე ნაწილი (ე. ფოვილი, ა. მოორტგატი, ტ. კნაოვიჩი, მ. მაქსიმოვა, ა. სერიგი და სხვები) კი თვლის, რომ ისინი წარმოადგენენ სპარსელი ოსტატების ნამუშევრებს, მაგრამ განიცდიან ბერძნული ხელოვნების გარკვეულ გავლენას<sup>12</sup>. მ. მაქსიმოვა, რომელმაც ყველაზე უფრო საფუძვლიანად ჩამოაყალიბა ეს უკანასკნელი მოსაზრება, თვლის რომ „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავების ხელოვნება შერეულ ხასიათს ატარებს, რომ მასში შეერთებულია ბერძნული და სპარსული საწყისები, მაგრამ საფუძველი სტილისა მაინც სპარსულია<sup>13</sup>. ნ. ნიკულინას მიაჩნია, რომ ე. წ. „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავები არ შეიძლება ჩაითვალოს არც ბერძენი და არც სპარსელი ოსტატების ნაწარმოებებად, რადგან ამ საბეჭდავების ხელოვნება შერეულ ხასიათს ატარებს. ის წარმოიშვა ადგილობრივი მცირეაზიელი ხალხების ხელოვნების საფუძველზე, რომელმაც ერთდროულად განიცადა როგორც ბერძნული, ისე სპარსული ხელოვნების გავლენა<sup>14</sup>. ეს საბეჭდავები წარმოადგენენ სპარსული პროვინციული ხელოვნების ნიმუშებს (ცნობილია, რომ გვიანაქემენიდურ ხანაში მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსეთის პროვინციას შეადგენდა), მაგრამ ამავე დროს სრული უფლებით შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საკუთრივ მცირეაზიური ხელოვნების ნაწარმოებებიც<sup>15</sup>.

<sup>8</sup> М. И. Максимова, Стеклённые многогранные печати, найденные на территории Грузии, *ენიქის მოამბე*, თბ., 1941, X, გვ. 75.

<sup>9</sup> М. И. Максимова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 91; მ. ლორთქიფანიძე, გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერიული პირები—ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, *საზ. მეცნ. განყ. მოამბე*, თბ., 1963, №6, გვ. 150; მ. სისივე, ძველი საქართველოს გლობალური გეგმების კორპუსი, I, თბ., 1969, გვ. 48—52.

<sup>10</sup> ს. ბარნაველი, ორი გემისათვის (გოქჩისა და პრტენის გემები), *საქ. მეცნ. აკად. მოამბე*, 1945, ტ. VI, №7, გვ. 579.

<sup>11</sup> М. И. Максимова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 89.

<sup>12</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრების შესახებ იხ. Н. М. Никулина, Малоазийская глиптика второй половины V—IV вв. до н. э. и проблема восточно-греческого и „греко-персидского“ искусства, *Автореферат*, М., 1966, გვ. 4—9.

<sup>13</sup> М. Maximowa, Griechisch-persische Kleinkunst in Kleinasien nach den Perserkeriegen, *Jahrbuch des Deutschen Archäologischen Instituts*, 1928, *Archäologischer Anzeiger*, Berlin, 1928, გვ. 653, 661, 663, 667.

<sup>14</sup> Н. М. Никулина, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 20.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 19.

ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდოებს მკვლევართა ნაწილი ადგილობრივი მცირეაზიული საბეჭდოების<sup>16</sup> იბერიულ პირებად მიიჩნევს<sup>17</sup>; ს. ბარნაველი კი ვარაუდობს, რომ ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდოების დედნები თავის ხელოვნებით უკავშირდებიან მცირე აზიის ადგილობრივი ოსტატების ხელოვნებას. მაგრამ შესაძლოა ისინიც თვით იბერიაში მზადდებოდნენ<sup>18</sup>. ერთ-ერთ ასეთ დედნად მკვლევარი ს. პრტენში აღმოჩენილ აქატის მრავალწახნაგა საბეჭდოს თვლის<sup>19</sup>. ნ. ნიკულინას აზრით იბერიული საბეჭდოების დედნებად მიჩნეული მცირეაზიული საბეჭდოებისა და თვით იბერიული საბეჭდოების ხელოვნება „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდოებისაგან განსხვავდება სავსებით თავისებური ხასიათის სტილით, რომელშიც შეერთებულია სპარსული და ადგილობრივი — (აღმოსავლური) სტილის ელემენტები, ყოველგვარი ბერძნული გავლენის გარეშე<sup>20</sup>.

ამრიგად ყველა მკვლევარი, რომელიც სპეციალურად შეეხო მცირე აზიისა და იბერიის გლიპტიკის საკითხებს, როგორც „ბერძნულ-სპარსული“, ისე იბერიული მრავალწახნაგა საბეჭდოების საწყისებს მცირე აზიაში ხედავს და მათ მეტად თუ ნაკლებად ძველ სპარსულ ხელოვნებას უკავშირებს.

ლურჯი მინის საბეჭდოების პირველმა მკვლევარმა მ. მაქსიმოვამ ეს საბეჭდოები ჩვენს წელთაღრიცხვამდე V—IV საუკუნეებით დაათარიღა<sup>21</sup>, თუმცა შემდეგში მანვე სამთავროში აღმოჩენილი ორი მრავალწახნაგა ზოგადად ელინისტურ ხანას მიაკუთვნა<sup>22</sup>. ელინისტური ხანით ათარიღებს ს. ბარნაველი ს. პრტენში აღმოჩენილ აქატის მრავალწახნაგა საბეჭდოს, რომელიც მას ლურჯი მინის საბეჭდოების ერთ-ერთ დედნად მიაჩნია<sup>23</sup>. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდოების წარმოება ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში იწყება, დიდხანს არსებობს, ხოლო მოხმარება ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნემდე გრძელდება<sup>24</sup>. საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსში საბეჭდოების IV ჯგუფს, რომელშიც ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდოები

16 მ. მაქსიმოვა აღნიშნავს, რომ გვიანაქემენიდურ ხანაში მცირე აზიაში გარდა ორი ძირითადი მიმართულების — აღმოსავლურ-იონური და „ბერძნულ-სპარსული“ — საბეჭდოებისა კიდევ მზადდებოდა საბეჭდოები, რომლებიც თავისი ფორმითა და გამოსახულებების სიუფეტებით ძირითადად ბაძედნენ აღმოსავლურ-იონურს, განსაკუთრებით კი „ბერძნულ-სპარსულ“ საბეჭდოებს, მაგრამ ბევრად უფრო ჩამორჩებოდნენ მათ დამუშავების ტექნიკითა და მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით. ასეთი საბეჭდოები მ. მაქსიმოვას მცირე აზიის ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსულ ოსტატთა ნამუშევრებად მიაჩნია (М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 78).

17 М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; მ. ლორთქიფანიძე, გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიული საბეჭდოების იბერიული პირები; მისივე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, I, გვ. 48—52; И. А. Бабаев, О трех стеклянных многогранных печатах, найденных в Мингечауре. Археологические исследования в Азербайджане (сборник статей), Баку, 1965, გვ. 133.

18 ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 578—579.

19 იქვე, გვ. 579.

20 Н. Никулина, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

21 М. И. Максимова, Стеклянные многогранные печати..., გვ. 77—79.

22 М. И. Максимова, Геммы из некрополя Мичхеты-Самтавро, საქ. სახ. მუხ. მოამბე, XVI—B, 1950, გვ. 263—264, №№ 64, 65.

23 ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 579.

24 მ. ლორთქიფანიძე, გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიული საბეჭდოების იბერიული პირები..., გვ. 136; მისივე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, გვ. 49.

ვალწახნაგა საბეჭდავებიც შედის მ. ლორთქიფანიძე ზოგადად ჩვენს წელთაღრიცხვამდე V—II საუკუნეებით ათარიღებს<sup>25</sup>. ამავე დროს სამთავროში აღმოჩენილ ერთ-ერთ მრავალწახნაგა საბეჭდავს, რომელსაც „გვიანდელ ჯგუფს“ მიაწერს, მკვლევარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეს აკუთვნებს<sup>26</sup>. აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ მ. ლორთქიფანიძე ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების წარმოების არსებობას ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნის ჩათვლით ვარაუდობს (თუმცა გარკვევით ამის შესახებ არ ამბობს).

საყურადღებოა, რომ ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩენილია ისეთ არქეოლოგიურ კომპლექსებში, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II—I საუკუნეებით ანდა ჩვენი წელთაღრიცხვის I და II საუკუნეებით არის დათარიღებული. ასეთებია სამარხები ერთი არკნეთიდან<sup>27</sup>, ერთი კლდეეთიდან<sup>28</sup>, სამი სამთავროდან<sup>29</sup>, ერთი უფლისციხიდან<sup>30</sup>, ორი ურბნისიდან<sup>31</sup>, ერთი დიღომიდან<sup>32</sup>, სამი მინგეჩაურტიდან<sup>33</sup> და ერთი გარნსიდან<sup>34</sup> (ამასთანავე ზოგიერთ შემთხვევაში გვიანდელ თარიღს სამარხში აღმოჩენილი მონეტები ადასტურებს<sup>35</sup>). ამათვან, ურბნისის № 208 სამარხი სამთავროს № 211 კრამიტსამარხი და გარნისის სამარხი ჩვე-

<sup>25</sup> მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლობტიკური ძეგლების კორპუსი, I, გვ. 104.

<sup>26</sup> მისივე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, 1954, გვ. 29, № 25; მისივე, ძველი საქართველოს გლობტიკური ძეგლების კორპუსი, I, გვ. 117, № 100, სქოლიო № 125.

<sup>27</sup> ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 198—205.

<sup>28</sup> გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 58, 171.

<sup>29</sup> ე. თოლორაძე, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—I სს., მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, თბ., 1963, გვ. 150, 151; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, გვ. 29, № 25, 26.

<sup>30</sup> დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბ., 1964, გვ. 77, 78.

<sup>31</sup> დ. ქორიძე, ელინისტური ხანის (ძვ. წ. III—I სს.) არქეოლოგიური ძეგლები ურბნისის სამაროვნიდან (X XV უბანი), ხელნაწერი; მისივე, ურბნისის სამაროვანზე (X XV უბანი) აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციის საკითხისათვის; ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლობტიკური ძეგლები, გვ. 80, 81, № № 129, 130.

<sup>32</sup> ვ. ნიკოლაიშვილი, ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან (ხელნაწერი).

<sup>33</sup> Т. И. Голубкина, Четыре кувшинных погребений из Мингечаура (раскопки 1950 г.), Изв. АН Азерб. ССР, Баку, 1956, № 3, გვ. 82, 83; С. М. Газиев, Археологические раскопки в Мингечауре, Альбом кувшинных погребений, Баку, 1963, გვ. 26. ტაბ. XLIV, 4,5;

<sup>34</sup> Б. Аракелян, Гарни I, Результаты раскопок 1949—1950 гг., Ереван, 1951, გვ. 51.

<sup>35</sup> სამთავროში, 5 უბ. № 110 ქვევრსამარხში აღმოჩნდა ფრაგტ III (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 70—57 წ. წ.) ვერცხლის დრაქმა (იხ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Мшхеты-Самтавро, გვ. 263, 264, № 65); ურბნისში X XV უბანზე № 208 სამარხში—ავეუსტუსის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 27—ჩვენი წელთაღრიცხვის 14 წწ.) დენარი (დ. ქორიძე, ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციის საკითხისათვის; ქ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80, 81, № 130); და დიღომში № 1 სამარხის ნაშთში (სამარხი № 8) ავეუსტუსის დენარი და გოტარზის (ჩვენი წელთაღრიცხვის 40—51 წწ.). დრაქმა (ვ. ნიკოლაიშვილი, დასახ. ნაშრომი).

ნი წელთაღრიცხვის I საუკუნით თარიღდება, დიდმის სამარხი ზოგადად — ჩვენი წელთაღრიცხვის I—III საუკუნეებით; ხოლო კლდეეთისა ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნით. საერთოდ, ცნობილია შემთხვევები, როდესაც ცალკეული ნივთები, მით უმეტეს საბეჭდავები, დიდი ხნის განმავლობაში რჩება მოსახლეობაში, მაგრამ როდესაც ერთიანი ნივთების აღმოჩენა ერთი და იმავე ხანის არქეოლოგიურ კომპლექსში სისტემატურ ხასიათს იღებს სავარაუდოა, რომ ეს ნივთები თანმხლები კომპლექსების თანადროული უნდა იყოს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ლურჯი მინის მრავალწახანაგა საბეჭდავების არა მხოლოდ „ხმარება“ უნდა ვივარაუდოთ, არამედ წარმოების არსებობაც<sup>36</sup>. ეს წარმოება შეწყდა, როგორც ჩანს, სადაც ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის პირველ ნახევარში, ალბათ იბერიაში რომაული გლობტიკის ნაწარმის მოზღვაგებასთან დაკავშირებით (რომაული გემების დენა იბერიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნის შუა წლებიდან შეიმჩნევა<sup>37</sup>, განსაკუთრებით ინტენსიური კი ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის მეორე ნახევარში ხდება). ვფიქრობთ, არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილი ლურჯი მინის საბეჭდავების დათარიღება შესაბამისი სამარხეული კომპლექსების მიხედვით — ერთისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნით, მეორისა — ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნით<sup>38</sup>.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენთვის საყურადღებოა შემდეგი: 1. ურბნისში აღმოჩენილი თეთრი მინის მრავალწახანაგა საბეჭდავის ფორმის საბეჭდავები არ იყო უცხო სპარსული წრის გლობტიკისათვის; 2. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში მახლობელ აღმოსავლეთში მრავალწახანაგა ფორმის საბეჭდავების წარმოება კიდევ არსებობდა.

რაც შეეხება ურბნისის საბეჭდავის გამოსახულებას, ის შინაარსითაც და სტილითაც სავსებით განსხვავდება როგორც „ბერძნულ-სპარსული“, ისე იბერიული საბეჭდავების გამოსახულებებისაგან. მასზე ასახული სიუჟეტი ინვესტიტურა — ძალაუფლების მინიჭების სცენა — საბეჭდავებზე გვხვდება იშვიათად (სასანურ ხანაში), მაგრამ სხვადასხვა ვარიანტებით ფართოდ არის წარმოდგენილი, როგორც ძველი სპარსეთის მონეტებზე (სასანური ხანისა), ისე ხელოვნების ძეგლებზე — ამოკაწრულ ნახატებზე (გრაფიტი) და ძირითადად რელიეფებზე (პართული და სასანური ხანისა).

ძველი სპარსული რელიეფები განსაკუთრებული სახის ძეგლებს წარმოადგენდნენ. ისინი თავისი შინაარსით უშუალოდ იყენენ დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკასა და იდეოლოგიასთან და პროკლამაციურ ხასიათს ატარებდნენ<sup>39</sup>. აქემენიდური ხანის რელიეფები აღიღებდნენ მეფის ხელი-

<sup>36</sup> აქვე გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: ლურჯი მინის საბეჭდავების გამოსახულებები მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით იმდენად ერთგვაროვანია, რომ ვფიქრობთ მათი წარმოება დროის გარკვეულ, ვიწროდ შემოფარგლულ მონაკვეთში უნდა ვივარაუდოთ, ვინაიდან შეუძლებელია 5 ან თუნდაც 4 საუკუნის განმავლობაში გამოსახულებების მხატვრული სტილი სავსებით უცვლელი დარჩენილიყო. ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ საბეჭდავების დასამზადებლად ერთი და იგივე ყალიბები ყოფილიყო გამოყენებული.

<sup>37</sup> М. И. Максимова, Теммы из некрополя Мцхеты—Самтавро, გვ. 225.

<sup>38</sup> ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლობტიკური ძეგლები, გვ. 80, 81 №№ 129, 130.

<sup>39</sup> В. Г. Луконин. Культура сасанидского Ирана, М., 1969, გვ. 20.

სუფლებას, აქემენიანთა იმპერიას და მის რელიგიას<sup>40</sup>. ინვესტიტურა მისი პირდაპირი გავებით აქემენიდურ რელიეფებზე არა გვხვდება, მაგრამ ზრუნვა ღვთაების მიერ მეფის ხელისუფლების განმტკიცებასა და მფარველობაზე აქ ერთგვარად მაინც არის ასახული<sup>41</sup>. რ. გირშმანი ასახელებს ორ რელიეფს — ერთს ნაყში-რუსტამისას და მეორეს პერსეპოლისისას — და ვარაუდობს, რომ ამ ძეგლებზე ასახული სცენები „ნამდვილი ინვესტიტურის სცენების“ წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს<sup>42</sup>.

პართული ხანის რელიეფებზე და ამოკაწრულ ნახატებზე<sup>43</sup> ასახული ინვესტიტურა ძირითადად წარმოადგენდა პართის მეფეთ მეფის მიერ სხვადასხვა ოლქებისა და ქალაქების მმართველობისადმი ძალაუფლების მინიჭების სცენებს. ისინი შესრულებული იყო ამ მმართველების დაკვეთით, პროკლამაციას უწევდნენ მათი ხელისუფლების ლეგიტიმიზმსა და ამდენად, გამოხატავდნენ სახელმწიფოს პოლიტიკასა და იდეოლოგიას<sup>44</sup>. სასანური ხანის რელიეფები მოწოდებულნი იყვნენ ემცნოთ ყველა ქვეშევრდომებისათვის მეფეთ მეფის დიდების, გამარჯვებებისა და საგმირო საქმიების შესახებ, მისი ძალაუფლების ღვთაებრიობის შესახებ<sup>45</sup>. ინვესტიტურა როგორც სასანურ რელიეფებზე<sup>46</sup>, ისე მონეტებზე არის მხოლოდ და მხოლოდ ღვთაებრივი<sup>47</sup> — იგი ასახავს ღვთაების მიერ მეფეთ მეფისადმი ძალაუფლების მინიჭებას. ურბნისის საბეჭდავზე ასახული სცენის არა მხოლოდ შინაარსი, არამედ გამოსახულების ცალკეული დეტალიც ძველი სპარსული ხელოვნების ამ ძეგლებში და მონეტებში პოულობს ანალოგიებს. მრგვალი ბურცობებით დაჭდევებული მაღალზურგისანი ტახტი სწორკუთხედი საჯდომით, დამახასიათებელი იყო ძველი ირანისათვის<sup>48</sup>. ის არაერთხელ გვხვდება პერსეპოლისის აქემენიდური ხანის რელიეფებზე<sup>49</sup> და აგრეთვე პართულ მონეტებზე<sup>50</sup>. ასეთი ტახტების ფეხები ხშირად დაჭდევებული არის ან წარმოადგენს რომელიმე ცხოველის, ან ფრინველის კიდურებს<sup>51</sup>. როგორც ვთქვით, ურბნისის საბეჭდავებზე ეს ფეხები მკაფიოდ არ არის გამოსახული, მაგრამ მაინც ემჩნევა,

<sup>40</sup> В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, М., გვ. 20.

<sup>41</sup> R. Ghirshman, Iran, Parthes et Sassanides, Paris, 1962, გვ. 261—262.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 261.

<sup>43</sup> ინვესტიტურის სცენების ამსახველი პართული ხანის ამოკაწრული ნახატების არსებობის შესახებ ვეყრდნობით ვ. ლუკონინის ცნობას. იხ. В. Г. Луконин, Искусство древнего Ирана (Основные этапы), История иранского государства и культуры, К 2500-летию иранского государства, М., 1971, გვ. 115.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>45</sup> В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, გვ. 20.

<sup>46</sup> В. Г. Луконин, Искусство древнего Ирана, გვ. 115.

<sup>47</sup> გამოხატვის შეადგენს პერსეპოლისის ამოკაწრული ნახატი, იხ. В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, გვ. 30, ნახ. 25 (1,2).

<sup>48</sup> Г. Вейс, Внешний быт народов, т. I, ч. I-я, Восточные народы, М., 1873, გვ. 227; Ф. Готтенрот, История внешней культуры, т. I, С-Петербург—Москва, 1885, გვ. 41.

<sup>49</sup> L. Vanden Berghe, Archéologie de L'Iran ancien, Leiden, 1959, გვ. 33, ტაბ. 39; გვ. 35, 36, ტაბ. 42.


<sup>50</sup> W. Wroth, Catalogue of the coins of Partia, London, 1903, ტაბ. XIV, 1; ტაბ. XVII, 15—17; ტაბ. XIX, 1—9 და სხვა; G. Rider, Suse sous les Séleucides et les Parthes, Paris, 1965, ტაბ. XXXIII, 340,1; 340,2; 346; ტაბ. LXXII, 1, 3, 4 და სხვა.

<sup>51</sup> Г. Вейс, დასახ. ნაშრომი, გვ. 227; Ф. Готтенрот, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

რომ სადა არ უნდა იყოს. რაც შეეხება სცენის პერსონაჟების სამოსს, ისიც ძველი სპარსული ყაიდისა არის: მაღალი თავსაბურავი, წელში ქაპრით გადაჭერილი, გრძელსახელოებიანი კაბა და შარვალი<sup>52</sup>.

ამრიგად ურბნისის საბეჭდავი, როგორც თავისი ფორმით, ისე მასზე გამოსახული სცენის შინაარსითა და გამოსახულების დეტალებით ძველი სპარსეთის ხელოვნების ძეგლებს უკავშირდება და ამ წრის ხელოვნებას უნდა მიეკუთვნოს. რაც შეეხება თარიღს, მისი დადგენის საშუალებას გვაძლევს როგორც სცენის კომპოზიცია, ისე ის სამარხეული კომპლექსი, რომელშიც საბეჭდავი არის აღმოჩენილი.

კომპოზიციურად საბეჭდავზე ასახული სცენა ყველაზე ახლო ანალოგიებს პართული ხანის ხელოვნების ძეგლებში პოულობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქემენიდური ხანის ხელოვნების ძეგლებზე ინვესტიტურა ჯერ კიდევ სავსებით ჩამოყალიბებული არა ჩანს. „ნამდვილი ინვესტიტურა“ მხოლოდ პართული და სასანური ხანის ხელოვნების ძეგლებზე და სასანურ მონეტებზე გვხვდება. სასანური ხანის გემებზე, რელიეფებზე და მონეტებზე ამ სცენის მთავარი პერსონაჟები ყოველთვის ან ფეხზე დგანან, ან ცხენებზე ამხედრებულები არიან<sup>53</sup>; პართულ ხანაში კი ცნობილია რელიეფები, რომლებზედაც ინვესტიტურის სცენის მთავარ პერსონაჟთან ერთ-ერთი წამოწოლილია ტახტზე<sup>54</sup>, ან ზის<sup>55</sup>, ისე როგორც ეს ურბნისის საბეჭდავებზეა გამოსახული.



სურ. 1

პართულ ხანას ეკუთვნის ის სამარხეული კომპლექსიც (№ 172, ტაბ. II), რომელშიც საბეჭდავია აღმოჩენილი. ამ სამარხიდან მომდინარე მინის ჭურჭელი (ტაბ. II, 25—27) ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნით თარიღდება<sup>56</sup>, ხოლო გემიანი ბეჭდები (ტაბ. I, 4—10; ტაბ. II, 10—15) ჩვენი წელთაღრიცხვის I ს-ით და II საუკუნის დამდეგით<sup>7</sup>. ამასთანავე ამ სამარხის თავზე აღმოჩენილია სხვა სამარხი (№ 157), რომელიც გემიანი ბეჭდის (სურ. 1) მიხედ-

<sup>52</sup> Г. Вейс, დასახ. ნაშრომი, გვ. 192; Ф. Готтенрот, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

<sup>53</sup> R. Girschman, დასახ. ნაშრომი, გვ. 242, გამ. 295. B. C. L. Delaporte, Catalogue des Cylindres, Cachets et Pierres gravées de Style oriental, I, Fouilles et missions, Paris, 1920, გვ. 225, ტაბ. III, 22 (1432); В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, გვ. 186; იხ. ზორჩილ არდაშირის (272 წ.) და ვარახრან II (276—283 წწ.) მონეტები (В. Г. Луконин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. V, 1, 697, 698; ტაბ. VII, 4; ტაბ. VIII, 956, 965 და სხვა).

<sup>54</sup> L. Vanden Berghe, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, ტაბ. 88a; R. Ghirshman, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, 55, გამ. 67.

<sup>55</sup> L. Vanden Berghe, დასახ. ნაშრომი, გვ. 82, ტაბ. 106c; R. Ghirshman, დასახ. ნაშრომი, გვ. 56, გამ. 70.

<sup>56</sup> შ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის სამარხის მინის ჭურჭელი, თბ., 1970, გვ. 20, 57, №№ 42, 43, გვ. 71, №№ 117, 118.

<sup>57</sup> ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ურბნისის ნაქალაქარის გემები, გვ. 26—30, №№ 10—17;



ვით ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის დასასრულით და III საუკუნის დამდეგით თარიღდება<sup>58</sup>.

ამდენად სამარხი, რომელშიც მრავალწახანაგა საბეჭდავია აღმოჩენილი ჩვენი წელთაღრიცხვის II ს-ის პირველ ნახევარზე უფრო გვიანდელი არ შეიძლება იყოს და ის ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნით და II საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს. ამავე ხანას ეკუთვნის თეთრი მინის მრავალწახანაგა საბეჭდავიც.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ურბნისის საბეჭდავს პართული გლიბტიკის ნაწარმად მივიჩნევთ.

პართულ ხანაში უკვე ჩამოყალიბებულია ირანის მეფისა და დიდგვარიანთა კანონიზირებული სახე, მათი ხელისუფლების ინსიგნიებით, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ერთმანეთისაგან მხოლოდ მცირე სპეციფიკური თავისებურებებით განსხვავდებოდნენ<sup>59</sup>. სპარსეთის მეფეთ მეფეს რელიეფებზე ისეთივე ტანისამოსი, სამკაული და თავსაბურავი აქვს, როგორც პართულ მონეტებზე. განსხვავება რელიეფებზე გამოსახული პერსონაჟების რანგს შორის განისაზღვრება არა მხოლოდ კომპოზიციით, არამედ ტანისამოსით, სამკაულითა და თავსაბურავით. ასე მაგალითად, სუზის რელიეფზე მეფეთ მეფეს თავზე კულახი ახურავს, მაშინ როდესაც სუზის სატრაპს არ ეკუთვნის თავსაბურავის ტარება<sup>60</sup>. თუმცა ურბნისის საბეჭდავზე გაურკვეველად არის ან სრულიად არ არის გამოსახული ყველა დეტალი, რომლის საშუალებითაც შეგვეძლო ზუსტად დაგვედგინა სცენის პერსონაჟების სოციალური ვინაობა, მაგრამ ამ საკითხის შესახებ ერთგვარი ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებელი ხდება. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს თვით სცენის კომპოზიცია. უდავოა, რომ ტახტზე მჯდომი პერსონაჟი უფრო მაღალი რანგის წარმომადგენელი უნდა იყოს, ფეხზე მდგომი კი მისი ქვეშევრდომი<sup>61</sup>. ის ფაქტიც, რომ ტახტზე მჯდომს მაღალი თავსაბურავი (კულახი?) ახურავს, ფეხზე მდგომი კი თავშეუმოსავია, მათ შორის უფლებრივ განსხვავებაზე უნდა მიუთითებდეს<sup>62</sup>. როგორც ჩანს, ურბნისის საბეჭდავზე გამოსახულია პართისის მეფეთ მეფე, რომელიც ძალაუფლებას ანიჭებს თავის ქვეშევრდომს — რომელიმე სატრაპს ან ოლქისა თუ ქალაქის მმართველს<sup>63</sup>. ისევე როგორც მსგავსი შინაარსის პართული რელიეფები და ამოკაწრული ნახატები ამ საბეჭდავზე ასახული სცენაც ხელისუფლების ლეგიტიმიზმის იდეას ატარებს და ამდენად, სახელმწიფოს მმართველი წრის პოლიტიკისა და იდეოლოგიის გამომხატველად გვევლინება.

ცნობილია, რომ პართული ხელოვნება, შექმნილი სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მქონე ხალხების მიერ. არ იყო ერთგვაროვანი. კულტურ-

<sup>58</sup> იქვე, გვ. 61, 62, № 92.


<sup>59</sup> В. Г. Луконин, Иран в эпоху первых сасанидов, Л., 1961, гв. 31—33; მისივე, Искусство древнего Ирана, гв. 118.

<sup>60</sup> В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, гв. 30.

<sup>61</sup> შეად. აქემენიდური ხანის პერსეპოლისის რელიეფები და პართული ხანის სუზისა და ტანგ-ი-სარავის რელიეფები.

<sup>62</sup> В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, гв. 30.

<sup>63</sup> ვ. ლუკონინი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პართულ ხანაში ინვესტიტურის ამსახველ სცენებში ძალაუფლებას ანიჭებს მეფეთ მეფე და არა ღვთაება. იხ. В. Г. Луконин, Искусство древнего Ирана, гв. 115.



1



2



3



4



5



6



7




8



9



10



$\frac{1}{2}$

რულად განსაკუთრებით მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან სამეფოს ორი დიდი ნაწილი — მესოპოტამია, სადაც მოსახლეობის ძირითად მასას სემიტური მოდგმის ხალხები შეადგენდნენ, და ირანული ტომებით დასახლებული აღმოსავლეთი რაიონები. გარკვეულ როლს აქ თამაშობდა სოციალური მომენტიც: ამ დროისათვის მესოპოტამიის საზოგადოება უკვე დიდი ხანია კლასობრივი განვითარების გზას დაადგა, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც ეს პროცესი გაცილებით უფრო გვიან დაიწყო, ჯერ კიდევ ძლიერი იყო პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონამოები, რაც ცალკეული ეთნოკულტურული ოლქების ძლიერ განკერძოებულებას იწვევდა<sup>64</sup>. ამასთანავე ელინისტური კულტურა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთზე, ყველგან თანაბარი ძალით არ გავრცელებულა. ეს გავლენა ძლიერი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ სავაჭრო ტრასების გაყოლებაზე, მაშინ როდესაც სამეფოს ჩრდილო და სამხრეთი რაიონები, რომლებსაც ის ნაკლებად შეეხო, აგრძელებდნენ ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ტრადიციებს<sup>65</sup>. ამრიგად, პართულ ხელოვნებაში გარკვეული ერთიანობასთან ერთად, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ლოკალური ჯგუფები არსებობდა<sup>66</sup>. უკანასკნელ ხანებში კი გამოითქვა მოსაზრება, რომ ასეთი ჯგუფები არსებობდა კერძოდ პართულ გლობტიკაშიც<sup>67</sup>. ვინაიდან ამჟამად პართული გლობტიკის ყველა ჯგუფი სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი<sup>68</sup>, ამასთანავე ურბნისის საბეჭდავის პირდაპირი ანალოგიები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, ძნელია მისი ვიწრო ლოკალური წარმოშობის დადგენა. ვფიქრობთ, ეს საბეჭდავი ეკუთვნის პართული გლობტიკის აქამდე უცნობ ჯგუფს, რომელსაც ნაკლებად შეეხო ელინიზმის გავლენა და ძველადმოსავლურ-ირანულ ტრადიციებს აგრძელებს.

К. А. ДЖАВАХИШВИЛИ

## ПАРФЯНСКАЯ ПЕЧАТЬ ИЗ УРБНИСИ

Резюме

В одном из погребений некрополя городища Урбниси (Восточная Грузия) была обнаружена десятигранная печать из желтовато-белого прозрачного стекла. Печать отлита. На ее плоской нижней поверхности изображена сцена инвеституры: один из персонажей сцены, в заостренном головном уборе, сидит на троне с высокой резной спинкой и резными (?) ножками, и вручает венюк с костью стоящему перед ним другому персонажу; последний, по-видимому, с непокрытой головой, облачен в длинное одеяние с длинными рукавами, перехваченное поясом и ниспадающее широкими складками.

Более или менее близкие аналогии урбнисской печати нам не известны. Многогранная форма печатей не была чужда глиптике персид-

64 Г. А. Кош с е н к о, Культура Парфии, М., 1966, зб. 7, 8.

65 В. Г. Л у к о н и н, Искусство древнего Ирана, зб. 111.

66 Р. К и н ж а л о в, Парфянская туалетная ложечка из слоновой кости, Сообщ. Гос. Эрмитажа, Л., 1957, № XI, зб. 53, 54; მ ი ს ი ვ ე, Серебряная пластина с изображением парфянского царя, Советская археология, 1959, № 2, зб. 73—86.

67 А. Я. Б о р и с о в, В. Г. Л у к о н и н, Сасанидские геммы, Л., 1963, зб. 28.

68 ი ჯ ვ .

ского круга. Печати этой формы на Ближнем Востоке производились с позднеахеменидской эпохи до I века н. э. Что же касается сцены, изображенной на урбнисской печати, она широко представлена на монетах и памятниках изобразительного искусства древней Персии. Отдельные детали изображения печати (форма и украшение трона, одеяние персонажей, венки с кистой) также встречаются на монетах и памятниках древнеперсидского искусства.

Таким образом, урбнисская печать как своей формой, так и сюжетом и отдельными деталями изображения находит аналогии в кругу памятников древнеперсидского искусства, и по-видимому, должна быть причислена к этому искусству.

По композиции изображения и дате погребального комплекса печать датируется парфянской эпохой, точнее I в. — началом II в. н. э. В настоящее время за неимением аналогий трудно определить локальное происхождение урбнисской печати. По всей вероятности она принадлежит к доселе неизвестной группе парфянских печатей, которая не затронута эллинистическим влиянием и продолжает древние иранские традиции.

წარმოადგინა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებამ

სასანური და ბიზანტიური მონეტების განძი სოფელ  
მაგრანეთიდან (ქრწო)

1967—69 წლებში, თიანეთის რაიონის სოფ. მაგრანეთში, მდ. თრანულას ნარჩვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, ოდნავ შემალღებულ ვაკობზე გაითხარა საკმაოდ მოზრდილი ნამოსახლარი, რომელშიც მოექცა ერთი სამოსახლოს სრული კომპლექსი. სწორედ აქ, პირველ სათავსში გადამწვარი ფენის ქვეშ, თითქმის იატაკის დონეზე, ჭურჭლის ნატეხებს შორის, 1968 წ. აღმოჩნდა მონეტების პატარა განძი (15 ცალი)¹, რომელიც შეიცავს 11 სასანურსა და 4 ბიზანტიურ ვერცხლის მონეტას².

ბიზანტიის კეისარ ირაკლის (610—641 წწ.) სამხედრო წარმატებებს ამიერკავკასიაში, აქ მისი ვერცხლის მონეტების ნაკადიც მოჰყვა. VII ს-ის დასაწყისიდან უკვე შეიძლება ლაპარაკი სასანური და ბიზანტიური ვერცხლის მონეტის ერთობლივ მიმოქცევაზე, რაც უფრო ადრეულ ხანებში არ შეიძინებოდა. თავის დროზე, პროფ. ე. პახომოვი ამ მოვლენას სასანური და ბიზანტიური ვერცხლის ფულის სისტემათა სხვაობით ხსნიდა³. ჩვენი აზრით, მიზეზი უფრო მარტივია. საქმე ისაა, რომ ვერცხლის ბიზანტიური მონეტები, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მასობრივად მხოლოდ ირაკლი კეისრის (610—641 წწ.) დროიდან ჩანს⁴, და არა IV ს-ის დასასრულიდან, როგორც ამას ადრე ე. პახომოვი ვარაუდობდა⁵. საქართველოსა⁶ და სომხეთის ტერიტორიაზე (დვინი, ლენინაკანი)⁷ აღმოჩენილი განძების ანალიზი მოწ-

1 დაწვრილებითი ცნობები განძის აღმოჩენის ადგილისა და ვარემოებათა შესახებ მოგვაწვოდა ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ისტ. მეცნ. კანდიდატმა რ. რამიშვილმა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

2 საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების „განძებისა და ცალკეული აღმოჩენების ფონდი“ №№ 12149—12163; ამავე განძს უნდა ეკუთვნოდეს, აქვე 1967 წ. ცალკე ნაპოვნი ერთი სასანური დრამაც—ხოსრო II. „ა“ № 12212.

3 E. A. Пахомов. Монетные клады Азербайджана I, (труды о-ва обследования и изучения Азербайджана, вып. 3), Баку, 1926, გვ. 19—20.

4 თაბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965, გვ. 125—126; განცალკევებით დგას, ამ მხრივ, ლეონ I (457—474 წწ.) ვერცხლის მონეტის 4 უხეში მინაბაძი, ნაპოვნი მცხეთაში, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

5 E. A. Пахомов. Клады..., გვ. 19.

6 ვარდა სოფ. მაგრანეთისა, სასანურ-ბიზანტიური მონეტების განძი აღმოჩენილია 1904 წ. თბილისის ძველ ნაწილში, მანათაშვილის ქარვასლის აშენებისას წარმოებულ მიწის სამუშაოების დროს. იგი 800-ოდე სასანურსა და ბიზანტიურ მონეტას შეიცავდა, და იქვე განაწილდა მპოვნელთა შორის. ე. პახომოვს იქიდან 200-მდე მონეტა უნახავს. ეს იყო ხოსრო I! (590—628 წწ.) მეფობის 20-იან წლებამდე მოჭრილი დრამები, პორმიზდ IV (579—590 წწ.) მონეტების უმნიშვნელო მინარევით და ბიზანტიური ჰექსაგრამები მოჭრილი კეისარ ირაკლის (610—641 წწ.) მიერ ან მის შვილ ირაკლი-კონსტანტინესთან ერთად. განძის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 579—641 წწ. (E. A. Пахомов, Клады..., I, № 59, მისივე, Монеты Грузии, ч. I, СПб., 1910, გვ. 30).

7 X. A. Мушегян. Денежное обращение Двина по пумизматическим данным, Ереван, 1962; M. И. Камера, К. В. Голенко, Ленинанканский клад сасанидских и византийских монет (1956). «Византийский временник», т. XIX, М., 1961, გვ. 172—193; B. B. Кропоткин. Клады византийских монет на территории СССР, М., 1960, გვ. 42.

მობს, რომ VII ს-ის დასაწყისიდან, ბიზანტიური ჰექსაგრამი განძებში უერთდება ვერცხლის სასანურ მონეტას, ურთიერთშეფარდებითი კურსით 2:3. თუ VII ს-ის ვერცხლის ბიზანტიური მონეტა აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ მიმოიქცევა<sup>8</sup>, სასანურ-ბიზანტიური მონეტების განძები, ჯერჯერობით საკმაო იშვიათობაა და ამდენად ს. მავრანეთის განძი განსაკუთრებით საინტერესოა. როგორც აღვნიშნეთ, განძი შერეული ხასიათისაა, მასში უადრერესია ხოსრო I (531—579 წწ.) სასანიანის მეფობის 47-ე წელს მოჭრილი დრამა, უგვიანესი—ბიზანტიის კეისარ ირაკლის და მისი შვილის ირაკლი-კონსტანტინეს სახელით 615—638 წწ. შორის მოჭრილი ჰექსაგრამი. ამგვარად, განძში მოქცეული მონეტები გამოშვებულია 60 წლის განმავლობაში.

ა) სასანური დრამები

ხოსრო I (531—579 წწ.)

1. 47 (578—79 წ.) ქ. ზარანჯი

შუბლი: *𐭮𐭮𐭥𐭭𐭥*

მეფის ბიუსტი მარჯვნივ, თავზე სამკბილა გვირგვინი, მის წინ ნახევარმთვარე ზევით მიმართული რქებით. ექვსქიმიანი ვარსკვლავები მოთავსებულია ნახევარმთვარის შიგნით და გვირგვინის კბილის უკან. ვერტიკალურ ღეროზე — ნახევარმთვარე შიგ მოთავსებული სფეროთი, რომელიც შედგება ცეცხლის ენებისაგან. უკანასკნელი დეტალი გარშემორტყმულ რკალს გარეთ გადის. მეფის კეფაზე — ბურთად შეკრული თმები. ბიუსტის მხრების თავზე — ნახევარმთვარეები. რკალს გარეთ, სიმეტრიულად ორ მხარეს და ქვეშ — ნახევარმთვარეებია გამოსახული. ზედწერილი — გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ, რკალს გასწვრივ. რკალი ერთმაგი, შერწყმულწერტილოვანია.

ზურგი: *𐭮𐭮𐭥𐭭𐭥*

საკურთხეველი (ათაშდანი), რომელიც შუა ადგილას შევიწროებულია, ხოლო ზევით და ქვევით განიერდება და სამ-სამი საფეხური აქვს ზედ გამოსახული. ცეცხლის მარცხნივ — ექვსქიმიანი ვარსკვლავი, მარჯვნივ — ნახევარმთვარე. საკურთხეველის შევიწროვებულ ნაწილზე შებმულია ბაფთა, რომლის ბოლოები აწეულია და მოჩანს მცველთა მხრებთან. მახვილებზე დაყრდნობილი მცველები პირისახით მყურებლისკენ არიან მიქცეული.

მონეტის არე გარშემოვლებულია შერწყმულწერტილოვანი რკალით. ზედწერილი მოთავსებულია მარჯვნივ და მარცხნივ, რკალსა და მცველებს შორის.

წ-3,93 გრ. ზ-29/33 „გ“ № 12157<sup>9</sup>

2. 48 (578—579 წწ.) ქ. ისტახრი

შუბლი: როგორც № 1

<sup>8</sup> თ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125—127.

<sup>9</sup> R. Göbl, Sasanidische Numismatik, Braunschweig, 1968, tabelle XVI, № 73; Paruck, Sasanian Coins, Bombay, 1924, გვ. 383, № 430. ტაბ. XIX.

ზ უ რ გ ი: **ს ს რ ყ - ბ ა**

როგორც № 1

წ-4,00 გრ. ზ-29/31 „გ“ № 12151<sup>10</sup>

ჰორმიზდ IV (579—590 წწ.)

3. 2 (580—581 წწ.) ქ. ზარანჯი.

შ უ ბ ლ ი: **ჩ ა ა - რ ა ნ კ ა**

როგორც № 1, მხოლოდ რკალსგარეთ გამოსახულ ნახევარმთვარეებში — ექვსკიმიანი ვარსკვლავებია მოთავსებული.

ზ უ რ გ ი: **ჩ ს ხ - ვ ა**

როგორც № 1

წ-3,84 გრ. ზ-29/31 „გ“ № 12149<sup>11</sup>

4. 3 (581—582 წწ.) ქ. რაი (რეი)

შ უ ბ ლ ი: **ქ ა ა - რ ა ნ კ ა**

როგორც № 3, მხოლოდ ბიუსტის მარცხენა მხართან — ნახევარმთვარე.

ზ უ რ გ ი: **ს ს რ ყ - ვ ა**

როგორც № 3<sup>12</sup>

წ-3,77; ზ-30/31 „გ“ № 12155<sup>13</sup>

5. 6 (584—585 წწ.) ქ. არღაშირ-ხურრა.

შ უ ბ ლ ი:

ძალიან გაცვეთილი, გარკვევით მხოლოდ ბიუსტი ჩანს.

ზ უ რ გ ი: **ქ ა ა - ა ა**

როგორც № 3

წ.-3,95; ზ-29/32 „გ“ № 12154<sup>14</sup>

6. 9 (587—588 წწ.) ქ. ზარანჯი.

შ უ ბ ლ ი: **ა ა - ... რ ა**

როგორც № 3

ზ უ რ გ ი: **ა ა ა - ვ ა**

როგორც № 3

<sup>10</sup> Göbl, Tabelle XVI, № 69, ტაბ. 12, № 198.

<sup>11</sup> Göbl, Tabelle XVI, № 73, ტაბ. 12, № 200; Paruck, გვ. 384, ტაბ. XX, № 436.

<sup>12</sup> იხ. Камера, Голенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 175, № 13, სადაც საგანგებოდ აღნიშნულია თარიღის უჩვეულო დაწერილობა. შესაძლოა ჩვენა ევზეკვლარაც იმ შტამით იყოს მოჭრილი.

<sup>13</sup> Göbl, Tabelle XVI, № 59, ტაბ. 12, № 198; Paruck, გვ. 384, № 434, ტაბ. XX.

<sup>14</sup> Göbl, Tabelle XVI, № 14; Paruck, გვ. 384, № 436, ტაბ. XX.



წ.-3,88 გრ. ზ-29/30 „გ“ № 12153<sup>15</sup>

7. 10 (588—589 წწ.) ქ. სირაიანი

შუბლი: *ქა-არსა*  
 როგორც № 3

ზურგი: *არსა-არსა*  
 როგორც № 3

წ.-3,95 გრ. ზ-30/31 მმ „გ“ № 12158<sup>16</sup>

8. 10 (588—589 წწ.) ქ. ზარანჯი

შუბლი: *ქა-არსა*  
 როგორც № 3

ზურგი: *არსა-არსა*  
 როგორც № 3

წ.-3,74 გრ. ზ-29/32 მმ „გ“ № 12159<sup>17</sup>

9. 11 (589—590 წწ.) ქ. ზარანჯი

შუბლი: *ქა-....*  
 როგორც № 3

ზურგი: *არსა-არსა*  
 როგორც № 3

წ.-4,14 გრ. ზ-29/32 მმ „გ“ № 12156<sup>18</sup>

ზოსრო II (591—628 წწ.)

10. 3 (592—593 წწ.) ქ. ზარანჯი

შუბლი: *ქა-არსა*

როგორც № 3, მხოლოდ ვერტიკალურ ღეროზე დამაგრებულ ნახევარმთვარეში მოთავსებულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი; გარდა ამისა, ღეროდან გამოდის ორი ფრთა, რომელიც გარშემორტყმულ რკალეებს გარეთ გადის; გამოსახულებას გარს აარტყია ორმაგი შერწყმულწერტილოვანი რკალი, რომლის გარეთ, მონეტის კიდეზე სიმეტრიულად განლაგებულია სამი ნახევარმთვარე, შიგ მოთავსებული ვარსკვლავებით.

ზურგი: *არსა-არსა*

<sup>15</sup> G ö b l, Tabelle XVI, № 73, ტაბ. 12, № 200; Paruck, გვ. 385, № 437, ტაბ. XX.

<sup>16</sup> G ö b l, Tabelle XVI, № 64; Paruck, გვ. 385, ტაბ. XX, № 440.

<sup>17</sup> G ö b l, Tabelle XVI, № 73.

<sup>18</sup> G ö b l, Tabelle XVI, № 73; Paruck, გვ. 385, № 438, ტაბ. XX.

როგორც № 3, მხოლოდ აქ სამი შერწყმულწერტილოვანი რკალია და მის გარეთ, სიმეტრიულად — ოთხი ნახევარმთვარე შიგ. მოთავსებული ვარსკვლავით.

წ-3,8 გრ. ზ-29/31 მმ „გ“ 12159<sup>19</sup>.

11. თარიღი არ იკითხება, ქ. მერვი (მონეტა ჩამოტეხილია).

შუბლი: როგორც № 10

ზურგი: ...-16

როგორც № 10

წ-3,7 გრ. ზ-28/31 მმ „გ“ № 12152<sup>20</sup>

განძის შედგენილობის სისრულისათვის აღწერთ კიდევ ერთ მონეტას, ცალკე ნაპოვნს № 1 სათავსის გათხრის დროს, 1967 წ., რომელიც უთუოთ ამ განძს ეკუთვნის.

თარიღი არ იკითხება — ქ. სირაიანი (1/3 მონეტისა).

შუბლი:

როგორც № 10

ზურგი: ...-17

როგორც № 10

წ-2,38 გრ „გ“ 12212<sup>21</sup>

ზევითმოყვანილი ცნობების მიხედვით, განძის სასანური მონეტები, მმართველობის მიხედვით, შემდგენიარად ნაწილდება:

ხოსრო I (531—579 წწ)—2 ცალი

ჰორამიზდ IV (579—590 წწ)—7 ცალი

ხოსრო II (590—628 წწ.)—2 ცალი (+1 ცალი. ცალკე ნაპოვნი).

ამგვარად, განძში თავმოყრილი სასანური მონეტები მოჭრილია 578—592 წწ შორის და მოიცავს 15 წელს. უმეტესი მათგანი ჰორამიზდ IV ეკუთვნის, რაც ამიერკავკასიის განძებისათვის ჩვეული მოვლენაა.

ქვევით, ტაბულის სახით მოცემულია მონეტებზე მოთავსებული ზარაფხანების აღმნიშვნელი მონგრამები და მათი ახსნა უახლესი გამოკვლევების საფუძველზე<sup>22</sup>.







განძის მეორე ნაწილი 4 ბიზანტიურ მონეტას შეიცავს. ეს არის კეისარიაკლის და მისი შვილის ირაკლი-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ჰექსაგრამები. ეს მონეტები უთარიღოა, მაგრამ ცნობილია, რომ ისინი 615—638 წწ. შორის იჭრებოდნენ.

<sup>19</sup> Göbl, Tabelle XVI, № 73.

<sup>20</sup> Göbl, Tabelle XVI, № 47, ტაბ. XIII, № 209—210.

<sup>21</sup> Göbl, Tabelle XVI, № 64.

<sup>22</sup> J. Walker, A Catalogue of the Arab-Sassanian Coins, L., 1940, გვ. cii—cv.; R. Göbl, Sasanidische Numismatik, B., 1968, Tabelle XVI და მისი ახსნა.

№№ რიგ.	მონოგრამა	ზარაფხანა	ცალთა რაოდ.	მმართველი	მეფობის წელი	მონეტის საინვ. №№
1.		ზარანჯი	6	ხოსრო I, ჰორმიზდ IV, ხოსრო II	47,2 9,10 11,9	12157, 12149 12053, 12159 12056, 12150 12151
2.		ისტახრი	1	ხოსრო I	48	12151
3.		რეა	1	ჰორმიზდ IV	3	12155
4.		არღაშირჰურ- რა	1	ჰორმიზდ IV	6	12154
5.		სირაიანი	1+1	ჰორმიზდ IV ხოსრო II	10	12158+12220
6.		მერვი	1	ჰორმიზდ IV	—	12152

### ბ. ბიზანტიური ჰემსაზრამები

#### 12. შუბლი: ....NHĒRACIIERA

ტახტზე მჯდომარე, მოსასხამიანი ორი ფიგურა; მარცხნივ — წვე-  
რებიანი ირაკლი, მარჯვნივ — უწვერული ირაკლი-კონსტანტინე;  
თავზე ორივეს ჯვრით შემკული გვირგვინი ადგია და მარჯვენა  
ხელში თითოეულს ჯვრით შემკული სფერო უჭყრია. თავებს შო-  
რის — ჯვარი.

#### ზ უ რ გ ი: ΔΕΥΣΑΘΙΥΖ

ჯვარი სფეროზე, რომელიც სამსაფეხურიან გოლგოთაზეა მოთავ-  
სებული.

წ-6,6 გრ. ზ-24/26 „გ“ № 12161<sup>23</sup>

#### 13. შუბლი: ΔNNĒR....

როგორც № 12

#### ზ უ რ გ ი: ΔΕΥΣΑΘΙΥΖΑΡΟΜΑΝΙΣ....

როგორც № 12

წ-6,59 ზ-24/26 „გ“ № 12162<sup>24</sup>

<sup>23</sup> W. Wroth, Catalogue of the Imperial Byzantine Coins in the British Museum, vol. I, L., 1908 გვ. 195, № 102. ტაბ. XXIII, № 19,20; P. Grierson, Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection, vol. II. p. I, Washington, 1968, გვ. 270—71, Pl. X, № 61—67; მისივე, Coinage and Money in the Byzantine Empire, Spoleto, 1961, გვ. 424—25.

<sup>24</sup> იქვე.



1



2



3



4



5



6



7



8





9



10



11



12



13



14



15



14. შუბლი: **HERACII...**

როგორც № 12

ზურგი: **ΕΥΣΑ...**

როგორც № 12, მხოლოდ გოლგოთის ბოლო საფეხურთან, მარჯვნივ—ჰ (ირაკლის სახელის მონოგრამა)  
 წ-6,64 გრ. ზ-23/25 „გ“ № 12163<sup>25</sup>

15. შუბლი: **... HER...**

როგორც № 12

ზურგი: **...ΕΥΣΑΘΙΥ....**

როგორც № 12  
 წ-6,4 გრ. ზ-21/27 ცგრ. „გ“ № 12160.

\* \* \*

ვერცხლის სასანური მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფიის შესწავლამ თვალნათლივ დაგვანახა მისი გავრცელების რამდენიმე ლოკალური რაიონის არსებობის ფაქტი. ერთ-ერთი ამგვარი საყურადღებო კუთხეთაგანია ერწოს მხარე, სადაც ადრე ნაპოვნია სასანური მონეტები, როგორც ცალკეულ ცალეზად, ასევე დიდ განძებად<sup>26</sup>.

1924 წ. თიანეთის რაიონის სოფ. სიმონიანთხევში აღმოჩენილა ვერცხლის მონეტებით სავსე ქილა, რომელიც მპოვნელებმა დაირიგეს და მხოლოდ მცირე ნაწილი (14 ცალი) მოხვდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში<sup>27</sup>. განძი შეიცავს ფეროზ I (459—484 წწ), კავად I (488—531 წწ.) და ხოსრო I (531—579 წწ.) მონეტებს; აქ თავმოყრილია ქირმანის, ზარანჯის, ჰერათის, ისტახრის, რეის, ბიშაპურისა და სხვ. ზარაფხანათა პროდუქცია.

კიდევ უფრო საყურადღებოა, 1923 წ. თიანეთის რაიონის სოფ. თოლენჯის (ერწო) მიდამოებში ნაპოვნი სასანური ფულების მოზრდილი განძი, რომლის მხოლოდ ნაწილი (71 ცალი) მოხვდა მუზეუმში<sup>28</sup>. ეს ნაწილი შედგება ფეროზ I (457—483 წწ), ვოლოგეზის (484—488 წწ), კავად I (488—497 წწ), ჯამასპის (497—499 წწ), კავად I (499—531 წწ II მეფობა) და ხოსრო I (531—579 წწ) მონეტებისაგან. ისევე როგორც სიმონიანთხევის განძში, აქაც ქრონოლოგიურად უადრესია ფეროზ I (459—489 წწ) მონეტა და შემჩნევა ზარაფხანათა მრავალფეროვნება — ჰამადანი, სირიანი, ისტახრი, რეფ, აბერშეჰრი, ისპანი, მერვი, ხურა-შაბური, ნიშაპური და სხვა<sup>29</sup>.

<sup>25</sup> Wroth, გვ. 194, № 96—98.<sup>26</sup> თიანეთის რაიონის სოფლები — ღუღელები, სიმონიანთხევი, თოლენჯი.<sup>27</sup> „გ“ № 3062, 5254—5266; Е. Пахомов, Клады..., VIII, № 1945.<sup>28</sup> „გ“ № 656—726; Е. Пахомов, Клады..., II, № 367.<sup>29</sup> ამ წერილის ავტორი ამზადებს სოფლების სიმონიანთხევისა და თოლენჯის განძების სრულ პუბლიკაციას.

9. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 4

ცნობილია, რომ ეკონომიკისა და პოლიტიკის ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამონეტო განძის ჩამარხვის დროის, ადგილისა და შემადგენლობის დაზუსტებას. ამავე დროს ქვეყნისათუ მხარის ეკონომიური ვითარებისა და ფულადი მიმოქცევის ხასიათის დადგენისათვის განძების მასალა საჭიროა შეივსოს ერთეული აღმოჩენებით, არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი მასალით და, რასაკვირველია, წერილობითი წყაროებით<sup>30</sup>.

ერწო-თიანეთის განძების, ცალკეული აღმოჩენების და არქეოლოგიური თხრის შედეგად ნაპოვნი სასაწერი მონეტების ერთობლივმა განხილვამ დაგვანახვა, რომ ამ მხარეში მათი ფართო მიმოქცევა V ს-ის მეორე ნახევრიდან შეიძლება ვივარაუდოთ; ხოლო VII საუკუნეში მათ ბიზანტიური ვერცხლიც ემატება (ირაკლი, კონსტანტინე II და კონსტანტინე IV პოგონატი).

ზევითგანხილული ნუმიზმატიკური მასალა, ვფიქრობთ, საეხებით ასაბუთებს დებულებას (დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი), რომ სავაჭრო გზა ძველი ალბანეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ცენტრებიდან მცხეთისაკენ, V ს-ის მეორე ნახევარში, ერწოზე გადიოდა<sup>31</sup>.

ИР. ДЖАЛАГАНИЯ

## МАГРАНЕТСКИЙ КЛАД САСАНИДСКИХ И ВИЗАНТИЙСКИХ МОНЕТ

Резюме

В 1968 г. в с. Магранети, Тшанетского района, Грузин. ССР, на правом берегу р. Транулы, при планомерных археологических раскопках проводимых Институтом истории, археологии и этнографии им. акад. И. А. Джавахишвили, АН Груз. ССР (руковод. канд. исторических наук Р. Рамишвили), в одном из помещений, на уровне пола, под сожженным слоем, среди разбитых черепков был найден клад сасанидских и византийских монет (15 экз.).

Одна часть его, это монеты:

Хосроя I (531—579 гг) — 47 и 48 гг. царствования, чеканенные в гг. Зарандже и Истахре — (всего 2 экз.).

Хормизда IV (579—590 гг) — 2, 3, 6, 9, 10(2) и 11 годов царствования, чеканенные в Зарандже (4), Рее, Ардешир-Хурра и Сираиане (всего 7 экз.).

Хосроя II (590—628 гг) — 3 г. царствования и две с непрочитанными датами чеканенные в гг. Зарандже, Мерве и Сираиане (2 экз. из основного состава, 1 экз. найден там-же в 1967 году (видимо также относится к этому кладу)).

<sup>30</sup> В. Соколова, Клады византийских монет как источник для истории Византии VIII—XI вв., «Византийский, Временник», т. XV, М., 1957, გვ. 50—63.

<sup>31</sup> დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 53—54; რ. რამიშვილი, მოხსენება წაკითხული ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, არქეოლოგიის სექტორის სემინარზე, 1970 წ. ამ დებულებას მხარს უჭერს ერწოში და ძვ. ალბანეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი სასაწერი მონეტების განძების შედგენილობათა მსგავსებაც, იხ. Е. Пахомов, Клады..., вып. I—VIII.



Вторая — же часть клада, это четыре византийские гексограммы, чеканенные от имени императора Ираклия (610—641 гг) и его сына Ираклия-Константина между 615—638 годами.

Таким образом, хронологические рамки клада 578—638 годы.

При изучении топографии находок сасанидских монет в Восточной Грузии, нами выделено несколько локальных районов их распространения, одним из коих является Эрцо-Тианети; здесь имеются как единичные, так и клаловые находки (села Гулелеби, Симониантхеви, Толенджи, Магранети).

Комплексное изучение вышеперечисленных материалов привело нас к выводу, что датой повсеместного распространения сасанидской серебряной монеты в Эрцо-Тианети можно считать вторую половину V века, а первую четверть VII века — временем присоединения к ней в обращении византийского серебра.

Изученный материал подтверждает ранее высказанное предположение (Д. Мухелишвили, Р. Рамишвили), что торговый путь, связывавший политико-экономические центры древней Албании с Мухета, во второй половине V века, пролегал через Эрцо-Тианети.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუასაუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებამ



ზამილ ხაჯიაშვილი

რუსულან დედოფლის მონეტების უცნობი პრაფიკული პარიაციები

დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, მონეტათა დადამღვა ჩვენში თამარის დროს დაუწყიათ და განსაკუთრებით რუსუდანის ზეობისას გავრცელებულა. იმ ხანების დამლათა თერთმეტი სახეობიდან<sup>1</sup> ორია განსაზღვრული და ორივე რუსუდანს ეკუთვნის<sup>2</sup>. ჩვენ ორ განუსაზღვრელ სახეობას განვიხილავთ. ერთ-ერთი მათგანით (ნახ. 1) დადამღულია რუსუდანის სპილენძისა და ვერცხლის<sup>3</sup>, დავით ნარინის სპილენძის (ძალიან იშვიათად)<sup>4</sup> და, აგრეთვე, XII—XIII სს. სელჩუკური, შარვანული, ელდიგუზური და ბიზანტიური მონეტები<sup>5</sup>.

ეს დამლა (ნახ. 1) ე. პახომოვმა ბერძნულ Φ-ილ განმარტა<sup>6</sup>. მასვე თ. აბრამიშვილმა ასომთავრული „ფარი“ უწოდა<sup>7</sup>, დ. კაპანაძემ კი მისი ქართულობა ზოგადად აღნიშნა<sup>8</sup>.



ნახ. 1

საკითხავია, რატომ უნდა განიმარტოს დამლის ნიშანი მაინც და მაინც როგორც ბერძნული „ფ“ მაშინ, როცა ქართულ ასომთავრულშიც გვხვდება მისი მსგავსი გრაფემა „ფარის“ სახით? მაგრამ თუ იგი მხოლოდ „ფარია“, რაღას წარმოადგენს მისი ასწვრივი ხაზის რგოლს ზემოთა ნაწილი (ნახ. 2), რომელიც, როგორც ცნობილია, „ფარს“ საერთოდ არ გააჩნია?

საკვლევი გამოსახულება ერთი გრაფიკული ერთეულია. იგი შინაარსის რაღაც, მაგრამ აუცილებლად მთელ რაოდენობას მოიცავს. „ფარი“, როგორც მთელი გამოსახულების მხოლოდ შესაძლო ნაწილი ამ მთელში ჩატეული შინაარსის მხოლოდ ნაწილს შეიძლება გამოხატავდეს.

თუ გამოსახულებაში „ფარის“ არსებობა შესაძლებელია, მაშინ მასში სხვა და, სახელობრ, **ჟ, ნ, ძ, ჯ, ს, ყ, შ, ხ, ც** ასოთა არსებობაც ასევე შესაძ-

1 თ. აბრამიშვილი, ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამლები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XXII B., 1961; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 83—86.

2 დ. კაპანაძე, მ. ბარათაიისა და გ. ლანგლუას ზოგიერთი განსაზღვრის შესახებ, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XVIII, № 4, 1957, გვ. 491—494.

3 თ. აბრამიშვილი; დასახ. ნაშრომი, გვ. 109, ტაბ. 1 № 11; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 84—85, № 11.

4 თ. აბრამიშვილი; დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

5 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 85.

6 E. A. Пахомов, Монеты Грузии. Тб., 1970, გვ. 116, №№ 8, 9.

7 თ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

8 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 85.

ლებლად მიგვაჩნია (არაფერს ვამბობთ სტილიზებული ასოების მოსალოდნელობაზე). მათგან თითოეულმა, „ფარის“ მსგავსად, გამოსახულების ნაწილი შეიძლება დაიკავოს და მით უმეტეს, როცა გამოსახულებაში მოსალოდნელი შინაარსის მთელამდე დასრულება მათგან ზოგიერთის მიერ თავის მოხაზულო-



ნახ. 2


ბაში სწორედ „ფარისათვის“ ზედმეტი დეტალის — ასწვრივი ხაზის რგოლს ზემოთა ნაწილის — მოქცევის წყალობით შეიძლება.

ამრიგად საკვლევ გამოსახულებაში ერთი რომელიმე ასო-ნიშანი კი არა, არამედ ასო-ნიშანთა ჯგუფი უნდა იგულისხმებოდეს.

თუ გამოსახულების გაშიფვრა აღნიშნულ ასო-ნიშანთა კომბინაციების ხარჯზე მოხდება, მაშინ მოსალოდნელ კომბინაციათა და მათგან გამომდინარე მოსალოდნელ შიფრთა დიდ სიმრავლეს მივიღებთ. ცხადია, გამოსახულებაში ნაგულისხმევია ასო-ნიშანთა ერთადერთი კომბინაცია და მისგან გამომდინარე ერთადერთი შიფრი, დანარჩენ შიფრთა თითოეული ნაირსახეობის პოტენციური ჭეშმარიტება კი ნულიდან ერთამდეა.

გამოსახულებაში მოსალოდნელ შიფრთა სიმრავლიდან ჭეშმარიტის გამოყოფა, ალბათ, მეტად სათუო საქმეა, ამიტომ მის საძიებლად სხვა გზას მივმართავთ.

საკვლევ გამოსახულებასთან გარკვეულ გრაფიკულ სიახლოვეს ამჟღავნებს თამარის, ლაშა გიორგის, შარვანულისა და ელდიგუზურ მონეტებზე გავრცელებული ქართული დამღები (ნახ. 3, ა, ბ, გ); აგრეთვე 1230 წლის ვერ-



ნახ. 3


ცხლის უნიკალურ დრამაზე გამოსახული რუსუდან დედოფლის მონოგრამა (ნახ. 3, დ)<sup>10</sup>. აღსანიშნავია, რომ დასახელებული დამღებიდან ერთ-ერთი (ნახ. 3ა). გამოსახულება ზოგიერთი წვრილმანი დეტალის დამატებით რუსუდანის 1227 წლის სპილენძის მონეტის შუბლზეც მეორდება (ნახ. 4)<sup>11</sup>.

მათი საერთო ნიშნები ძირითადი გრაფიკული კომპონენტები — რგოლი, (ნახ. 5) და ასწვრივი ხაზი მარცხნივ მიბრუნებული კიდურით (ნახ. 6). ფაქტიურად ამ კომპონენტთა ერთობლიობაა საკვლევი გამოსახულება.


<sup>9</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 81.

<sup>10</sup> იქვე; თ. ბარნაველი, ფიგურული ნიშნები განვითარებული შუასაუკუნეების ქართულ მონეტებზე, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 3, გვ. 97, სურ. 17.

<sup>11</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 81.



ნახ. 4



ნახ. 5

ჯგუფში გაერთიანებულ გამოსახულებათა გრაფიკული ნათესაობა თვალსაჩინოა (ნახ. 7). გამოსახულებათა ჯგუფში თავმოყრის საფუძველი განსაზღვრული წესრიგით განლაგებული და ურთიერთდაკავშირებული ზემოაღნიშნული ძირითადი გრაფიკული კომპონენტებია. მათი ჯამი ქმნის ისეთ გრაფიკულ ბირთვს (თითოეულ გამოსახულებაში მოდიფიკაციით), რომელმაც შეიძლება რედუცირებულიყო ჯგუფის თითოეული წევრი, მაგრამ, მაინც შეცნობადი



ნახ. 6

ნახ. 7

დარჩენილიყო (ნახ. 7). ამდენად, მიუხედავად ბირთვის სტრუქტურული სიმარტივისა, რის თავი და თავი ძირითად გრაფიკულ კომპონენტთა მკაცრად შეზღუდული რაოდენობაა, მასში მაინც შენარჩუნებული უნდა იყოს თითოეული წევრის შეცნობისათვის საკმარისი შინაარსის მინიმუმი, სახელდობრ, საწყის გამოსახულებაში მოცემული და დანარჩენებში განმეორებადი შინაარსის ის ძირითადი და უცვლელი ნაწილი, რომელსაც თითოეულში გრაფიკულ მთელამდე მისი არსის ვერმცვლელი განსაზღვრული (დანარჩენებში ცვლადი) რაოდენობისა და აღნაგობის დამატებითი გრაფიკული კომპონენტები ასრულებს. აქედან გამომდინარე საწყის გამოსახულებაში მოცემული და დანარჩენებში განმეორებადი შინაარსის ძირითადი და უცვლელი ნაწილი საკვლევ გამოსახულებამდე უნდა აღწევდეს.

ჯგუფის წევრთა შორის საწყის გამოსახულებას დანარჩენებში ქრობადი ან გარდასახვადი პირველადი გრაფიკული მონაცემები უნდა გააჩნდეს.


ამ პირობებს ყველაზე უკეთ ა. გამოსახულება (ნახ. 3) აკმაყოფილებს. მის ცენტრალურ ნაწილს დ. კაპანაძე რუსუდანის ფაქსიმილედ თვლის და მასში ასომთავრულად რუსუდან-ს კითხულობს<sup>12</sup>. 1. იგი შესრულებულია ხელის ერთი მოსმით, როცა დანარჩენების (ნახ. 3, გ. დ. ე.) ასეთნაირად გამოყვანა შეუძლებელია. 2. ის შესრულებულია მარჯვნიდან მარცხნივ (ასეთნაირადვე გამოიყვანება ნახ. 3, ბ გამოსახულებაც, მაგრამ იგი მისი ცენტრალური ნაწილის ვარიანტია). დანარჩენები კი პირიქით, ე. ი. ასომთავრულში მიღებული წერის მიმართულების შესაბამისად. 3. მას აქვს რიგი სპეციფიკური ნაკვთები (მაგ.: ორნამენტული ჩარჩო, ხვეულები), რომლებიც დანარჩენ გამოსახულებებში დაუდასტურებელია და სხვ.

ჯგუფის საწყისად ნახ. 3. ა. გამოსახულებას ვთვლით. მართალია, იგი 1227 წლის (ნახ. 4) მონეტაზე რამდენადმე გართულებულია რგოლური ნაკ-

<sup>12</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, გვ. 81.


ვთების დამატებით, მაგრამ ისინი მეორეული წარმოშობისაა და ამდენად ამ მონეტაზე აღბეჭდილი ეს გამოსახულება საწყისად ვერ ჩაითვლება. მით უმეტეს, როცა იგი პირველზე ქრონოლოგიურადაც გვიანდელია.

ჯგუფის წევრების ვარიანტების გამოყენებით ასეთი გრაფიკული სისტემა შეიქმნება შევადგინოთ (ნახ. 8).



ნახ. 8

პირველ ქვეჯგუფში სისტემის ყველაზე რთული ფორმები—რუსულანის ორნამენტულჩარჩოიანი ხელრთვის ვარიანტები გაეერთიანეთ (ნახ. 8—I); მეორეში პირველთან შედარებითმარტივი და პირველი ქვეჯგუფის ცენტრალური ნაწილიდან გამომდინარე გამოსახულებები განლაგდნენ (ნახ. 8—II), ხოლო მესამეში—სისტემის ყველაზე მარტივი აღნაგობის გამოსახულებები (ნახ. 8—III).



ნახ. 9

პირველი ქვეჯგუფის გრაფიკული ხასიათი თვალსაჩინოა. ქვეჯგუფს ისეთი გამოსახულება ვუთავავეთ (ასეთი განლაგება პირობითია), რომლის ცენტრალური ნაწილი დანარჩენებთან შედარებით დეტალიზაციას ამჟღავნებს. მართალია, მასში სიტყვა „რუსულან“-ის გადმოსაცემად საჭირო თითქმის ყველა გრაფიკული მონაცემი არსებობს, მაგრამ მასში უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენებში დარღვეულია ასოთა მორფოლოგიური არქიტექტონიკა.

პირველის მომდევნო გამოსახულებაში კი ჩანს ამ სიტყვაში შემავალ ასო-ნიშანთა გრაფიკული მონაცემების მოწესრიგება—დახვეწისადმი მისწრაფება და ეს პროცესი თანდათან გამოსახულებიდან გამოსახულებაში საფეხურებად ხორციელდება. (ზემოთქმული დაახლოებით ვრცელდება სისტემის მეორე ქვეჯგუფზეც).

ასეთნაირად მიმდინარეობს მაგალითად, **შ** და **Q** რგოლური ნაკვეთების თანდათანობითი სრულყოფა. სისტემის პირველი და მეორე ქვეჯგუფების რიგით პირველ გამოსახულებებში რგოლის ნაცვლად რკალი გვაქვს (ნახ.

9, ა), რაც მთლიანად არღვევს დასახელებული ასო-ნიშნების რგოლური ნაკვეთების გრაფიკას. ამავე ქვეჯგუფების (ნახ. 8— $I_2$  და  $II_{2,3,4}$ ) გამოსახულებებში ეს ხარვეზი ნაწილობრივ დაძლეულია — რკალი პირს იკრავს და დაწვენილ ოვალად იქცევა (ნახ. 9, ბ), ხოლო დანარჩენებში (ნახ. 8— $I_3$  და  $II_{5,6}$ , აგრეთვე,  $III_{1,2}$ ). იგი წრეხაზს უახლოვდება (ნახ. 9, გ). უდავოა, ეს წრეხაზი „დონისა“ და „უნის“ რგოლური ნაკვეთების გრაფიკულ მონაცემებს გაცილებით უკეთ პასუხობს, ვიდრე დანარჩენები (ნახ. 9, ა. ბ.).

თანდათანვე ყალიბდება მარჯვენა კიდურიც. მისი საწყისი (ნახ. 10) მოხაზულობა რგოლის — ფარგლებგაუცილებელია (ნახ. 8—I და  $II_{1,2}$ ), ხოლო I და II ქვეჯგუფის დანარჩენ გამოსახულებებში იგი უკვე რგოლს კვეთს და მარცხენა კიდურის (ნახ. 10) ტოლია, მესამე ქვეჯგუფის გამოსახულებებში კი იგი გამჭრალია.



ნახ. 10

ასომთავრული ანბანის ზოგადი პრინციპებია ასო-ნიშნათა გეომეტრიული მოხაზულობა, თანაზომიერი სიმაღლე, სიმეტრიულობა, პროპორციულობა<sup>13</sup>... შეინიშნება თუ არა ამ პრინციპების ნაწილობრივ მიინც განხორციელება კიდურთა და განსაკუთრებით მარჯვენა კიდურის ჩამონაკეთის პროცესში? ვფიქრობთ, რომ უთუოდ ნახ. 8— $II_{3,4,5,6}$  გამოსახულებებში მარჯვენა კიდურის მარცხენის ანტიფორმად ჩამოყალიბება ამ უკანასკნელის გრაფიკული სრულყოფის პარალელურად მოხდა და დამთავრდა (ნახ. 10). რის შედეგადაც უკვე თანაზომიერი სიმაღლის, გეომეტრიული მოხაზულობისა და ერთმანეთისადმი სიმეტრიულად განლაგებულმა, ამ ორმა კიდურმა ერთად ნატიფი გრაფიკული ჰარმონია შექმნა. მაგრამ კიდურთა ევოლუცია ამით არ ამოიწურება.


ნახ. 8—I და  $II_{1,2}$  გამოსახულებებში საკმაოდ მკვეთრად შეიმჩნევა მარცხენა კიდურის რგოლიდან გამოსვლის პოტენციური ნიშნები, მაგრამ ამ კიდურის ასეთი მიმართულებით განვითარების პროცესი მეორე ქვეჯგუფის 3, 4, 5, 6 გამოსახულებებში მარჯვენა კიდურის მის პროპორციულ ანტიფორმად ჩამონაკეთისა და მათ შორის გრაფიკული წონასწორობის დაცვის საჭიროების მიზეზით შეფერხდა.

მარცხენა კიდურის გრაფიკული ევოლუციის ეს მეორე შესაძლებლობა განხორციელდა — მესამე ქვეჯგუფის პირველ გამოსახულებაში, რომელშიც მისი რგოლიდან გამოსვლის პროცესი დასრულდა, ამოიწურა (ნახ. 11).

ამ უკანასკნელში მარცხენა კიდურს რგოლს გარეთ ასწვრივი ხაზის ნაწილიც გამოჰყვა, რომელმაც შევეულად გადაკვეთა რა რგოლის ქვემორკალი, მასთან უკვე ახალი, დანარჩენ გამოსახულებებში უანალოგო გრაფიკული მიმართება დაამყარა. ამის გამო, გამოსახულების ამ უბანში, ტრადიციულთან

<sup>13</sup> რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, ჟურ. „მნათობი“, 1972, № 3, გვ. 160—166.

ერთად, მარჯვენა კიდურის მოთავსების ახალი შესაძლებლობაც უნდა წარმო-  
შობილიყო.




ნახ. 11

კერძოდ, იგი შეიძლება დარჩენილიყო „ძველ ადგილზე“ (ნახ. 12, ა) ან ჩა-  
მონაცვლებულიყო ქვემოთ და რგოლს შეთხზვოდა (ნახ. 12, ბ) ორივე შემ-  
თხვევაში მარჯვენა კიდურის მიერ შესასრულებელი „სანისა“ და „ანის“ გრა-  
ფიკული ფუნქცია არ დაირღვეოდა (ნახ. 13). რადგან მარჯვენა კიდურის  
დანიშნულება რგოლის მარჯვენა ქვემო რკალსაც შეეძლო შეესრულებინა  
(ნახ. 12, ბ). ამიტომ კიდურის მეორე შესაძლო პოზიცია (ნახ. 12, ა) უარყო-  
ფილა.



ნახ. 12

როგორც ცნობილია, ასომთავრულში „სანისა“ და „ანის“ კიდურები  
სხვადასხვა სიდიდის რკალებს შემოწერენ. ჩვენი სისტემის (ნახ. 8) ყველა  
გამოსახულებაში მათ ერთი რკალი ეფარდება. რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ  
გამოსახულებების სინამდვილეში დაშვებულია გრაფიკული კომპრომისი.



ნახ. 13

რადგან ჩვენს გამოსახულებებში „სანისა“ და „ანის“ კიდურები ერთი  
რკალით გამოიხატება, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ იგი მათ გრაფიკულ  
ფუნქციას მეტ-ნაკლებად საშუალებდო უნდა აკმაყოფილებდეს, თორემ მათ  
გამოსახატავად ორი სხვადასხვა სიდიდის რკალი იქნებოდა საჭირო, რაც და-  
უდასტურებელია. აქედან გამომდინარე, საკვლევე გამოსახულებათა მარჯვენა  
კიდურს „სანისა“ და „ანის“ — კიდურთა ფუნქციის შემსრულებელი საშუა-  
ლებდო გაშლილობის რკალი შეიძლება ვუწოდოთ.

მარჯვენა კიდური (საშუალებდო რკალი), როგორც სისტემიდანაც კარგად  
ჩანს, ერთი მუდმივი სიდიდისა არაა. იგი ქმნის გადახრებს, რის შედეგიცაა  
მისი ვარიაციები. მისი ასეთი ვარიაციული „რხევა“ გვაფიქრებინებს, რომ  
მას თავისი გადახრების უკიდურესი საზღვრებიც უნდა გაჩნდეს, რომლის შიგ-  
ნითაც იგი შეინარჩუნებდა და რომლის გარეთაც იგი თავის ფუნქციას დაკარ-

გავდა. ამ საზღვრებშივე უნდა არსებულიყო საშუალებო რკალის ისეთი იდეალური ვარიანტიც, რომელიც „სანისა“ და „ანის“ კიდურთა შესატყვისი რკალის ფუნქციას მაქსიმალურად დააკმაყოფილებდა.

მსჯელობის სრულყოფისათვის ასეთი სიმბოლური მოდელი დაგვიჭირდება (ნახ. 14), რომლის თანახმად, ერთი ძირითადი მიმართულების „სანისა“ და „ანის“ კიდურთა გამომხატველი საშუალებო რკალი (შემდეგში მას მრუდს ვუწოდებთ) ასწვრივ ხაზთან ცვლადსა და ჩვენი ევარუდით უკიდურესი კოორდინატების მქონე კუთხეს უნდა ადგენდეს. რადგან მრუდი ასწვრივ ხაზთან ცვლად კუთხეს ადგენს, ამიტომ პირობითად ვუშვებთ, რომ იგი მოძრავია.



ნახ. 14

დაშვების თანახმად, ერთი ძირითადი მიმართულების მქონე მრუდი ასწვრივ ხაზთან ადგენს კუთხეს ცვლადი კოორდინატით, რომელიც იზრდება (კლებულობს) მისი მოძრაობის ყოველ მომდევნო საფეხურზე კუთხის საწყისს და დასკვნით კოორდინატთა საზღვრებში. ამ საზღვრებში მრუდის მიერ შესრულებული მოძრაობის ნებისმიერ საფეხურზე შემოწერილი რკალი „სანისა“ და „ანის“ კიდურთა საშუალებო რკალად ვარგისი იქნება.

მრუდის მოძრაობის ყოველი საფეხური ინვარიანტულია, რადგან იგი დანარჩენებისაგან თავისი კოორდინატით განსხვავდება. საფეხურთა რიცხვი სასრულია, რადგან კუთხის უკიდურესი კოორდინატები არსებობს.

ამრიგად, არსებობს ასწვრივი ხაზითა და მრუდით შედგენილი, საშუალებო რკალის შეცნობის ზედა და ქვედა ზღვრებთან შემხები ორი დასკვნითი კოორდინატით შემოსაზღვრული სივრცე, რომელშიც მოქცეული მრუდის მიერ შესრულებული მოძრაობის ინვარიანტულ საფეხურთა სასრული ერთობლიობა „სანისა და „ანის“ კიდურთა შესატყვის საშუალებო რკალთა რაოდენობის მაქსიმუმს ქმნის.

თუ ამ სივრცეში მრუდი მზარდი (კლებადი) კუთხით იმოძრაავებს, რომლის საწყისი კოორდინატი საშუალოდ რკალის შეცნობის ზედა (ქვედა) ზღვარია, მაშინ იგი მოძრაობის ყოველი მომდევნო საფეხურით თანდათან მიუახლოვდება „სანისა“ და „ანის“ კიდურთა შესატყვის იდეალურად საშუალებო რკალის კოორდინატს, რომლის გადალახვის შემდეგ თანდათან დაშორდება მას და მიაღწევს საშუალებო რკალის ქვედა (ზედა) ზღვარის კოორდინატს.

ამ სივრცეში იდეალურად საშუალებო რკალის კოორდინატი ცენტრალურია.


თუ დაუშვებთ, რომ სივრცის საზღვრებთან ახლოს მდებარე რკალთა რაღაც რაოდენობის ვარიანტები საშუალებო რკალის გრაფიკულ ფუნქციას მინიმალურად აკმაყოფილებენ, მაშინ ამ ფუნქციას მაქსიმალურად მხოლოდ იდეალურად საშუალებო პოზიციის რკალი დააკმაყოფილებს. და ამგვარად, მრუდის მოძრაობის შედეგად მიღებული საშუალებო რკალის იდეალურად

საშუალებდო რკალის ფუნქციასთან მიანსობება-დაშორების პროცესი ასეთ პერიოდებად შეიძლება დაიყოს: მინიმალური (ზღვრებთან ახლოს მდებარე ვარიანტები)—ობტიმალური—მაქსიმალური (იდეალურად საშუალებდო რკალი)—ობტიმალური—მინიმალური.

შეიძლება ითქვას, რომ სისტემის ნებისმიერ გამოსახულებაში „სანისა“ და „ანის“ კიდურთა გამომხატავი საშუალებდო რკალი იდეალურად საშუალებდო რკალთან მეტ-ნაკლები მიანსობებითაა შექმნილი.

სისტემის (ნახ. 8) ყველა გამოსახულებაში „სანისა“ და „ანის“ სხვადასხვა სიდიდის, მაგრამ მსგავსი მოხაზულობის ნაკვთების გრაფიკულად ერთი საშუალებდო პოზიციის დეტალით გამოსახვა გამოხატვის სულაც არაა.

თვალსაჩინოებისათვის დაგვირდება სისტემის საწყისი გამოსახულების დ. კაპანაძისეული გამოფერის<sup>14</sup> დამოწმება (ნახ. 15). აღვნიშნავთ, რომ გამოფერის ეს სქემა სისტემის გამოსახულებებისათვის საერთოა.



ნახ. 15

მეთოთხმეტე ნახატის ანალიზი ასეთ შედეგს იძლევა:

1. გამოსახულების შვეული ნაკვთი ერთდროულად **ა, ს, უ, ნ** ასოთა ასწვრივი ხაზების ფუნქციას ასრულებს. მასშივე სტილიზდება „ან“ გრაფემის რკალის შუაწელი; 2. მონუმენტურ ასომთავრულში „დონისა“ და „უნის“ რგოლური ნაკვთები სხვადასხვა სიდიდისაა, მაშინ როცა საკვლევ გამოსახულებებში მათ ერთი რგოლი ეფარდებათ; 3. ასომთავრულში „რაე“ და „ნარ“ ასონიშნების მარჯვენა კიდურები პოზიციურად და სიდიდითაც განსხვავებულ რკალებს შემოწერენ, მაშინ, როცა საკვლევ გამოსახულებებში მათ ფუნქციას რგოლის ერთი რკალი ასრულებს; 4. გასწვრივი ხაზი (იხ. ნახ. 8), რომელიც სისტემის ზოგიერთ გამოსახულებაში მთლიანად, ან ნაწილობრივ ატროფირებულია ერთდროულად **უ, უ, ნ** ასოთა სარქველის ფუნქციას ასრულებს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სისტემის ყველა გამოსახულებაში გატარებულია შიფრში შემავალ ასოთა მსგავსი მოხაზულობის ნაკვთების გრაფიკულად შორისული პოზიციების მქონე და რიცხვით მინიმალური დეტალებით ცვლის ზოგადი პრინციპი. რის საფუძველზეც მიღწეულია გამოსახულებათა გრაფიკული სტრუქტურის მინიმალური დეტალიზება, რომლის დროსაც დეტალთა უმრავლესობა კომპლექსური ფუნქციის მქონეა.

ყოველივე უკვე თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. სისტემის (ნახ. 8) პირველ და უფრო კი მეორე ქვეჯგუფში დასრულდა „დონისა“ და „უნის“ რგოლური ნაკვთის წრეხაზად გაფორმება (ნახ. 9); 2. მეორე ქვეჯგუფში დამთავრდა კიდურების სიმეტრიულ ანტიფორმებად

<sup>14</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, გვ. 81; თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95, სურ. 15.



ჩამოყალიბება (ნახ. 10); 3. მესამე ქვეჯგუფის პირველ გამოსახულებაში დამთავრდა პირველი (ყველა) და მეორე ქვეჯგუფების 1, 2 გამოსახულებებში შენიშნული მარცხენა კიდურის რგოლიდან გამოსვლის პროცესი (ნახ. 11); 4. მესამე ქვეჯგუფის პირველ გამოსახულებაში მარჯვენა კიდური გაქრა, მისი ფუნქციის რგოლის მარჯვენა ქვემო რკალში ჩამონაცვლების გამო (ნახ. 12, ბ); 5. რუსუდანის ხელრთვის ორნამენტულჩარჩოიან ფორმებს (ნახ. 8—I<sub>1</sub>) რომელიც საფეხურზე ჩამოშორდა ჩარჩო და დამოუკიდებელ გრაფიკულ ერთეულად ქცეული მათი ცენტრალური ნაწილი საფუძვლად დაედო მეორე ქვეჯგუფს (ნახ. 8—II). თავის მხრივ, მეორე ქვეჯგუფის გამოსახულებათა შემდგომი გამარტივების გამო თითო კიდური დაუკარგავთ და ამ კენტკიდურიანი ვარიანტებიდან წარმოშობილა მესამე ქვეჯგუფი (ნახ. 8—III).

ამრიგად, სისტემაში მუდამდებდა გამოსახულებათა გრაფიკული მონაცემების მოწესრიგება, დახვეწა, გამარტივებისაქენ მიმართული და ციკლება დანხორციელებადი ევოლუციის პროცესი.



ნახ. 16

მესამე ქვეჯგუფის მეორე გამოსახულება, წინმდგომის მსგავსად, დამლა და მისი მონეტებზე გავრცელების არე ძირითადად პირველისას ემთხვევა, თუმცა არის განსხვავებაც: ზოგჯერ იგი რუსუდანის 1230 წლის ვერცხლის მონეტების სიქაზე დანარჩენ დეტალებთან ერთადაა ხოლმე ამოჭრილი<sup>15</sup>; თამარისა და დავითის მონეტაზე კი იგი მხოლოდ ერთხელაა შენიშნული<sup>16</sup>.

ამ ქვეჯგუფის გამოსახულებები ურთიერთშებრუნებული ფორმებია. ზემოთ ითქვა, რომ პირველი მათგანის გრაფიკული ამოსავალი პირველი ქვეჯგუფის ყველა და მეორის საწყისი ორი გამოსახულებაა (შდრ. ნახ. 8) მეორეს (ნახ. 8—III<sub>2</sub>) კი ასეთი ნიშანდობლივობა ვერ ექებნება. ამდენად იგი პირველთან მიმართებაში მეორეული წარმოშობისაა და მისი ანტიფორმა ვარიანტია.

ეხსნით მესამე ქვეჯგუფის პირველი გამოსახულების შინაარსს (ნახ. 16). როგორც ჩანს, იგი რუსუდანის ასომთავრული მონოგრამის ერთ-ერთი ვარიანტია: მეორე საკვლევი გამოსახულება (ნახ. 8—III<sub>2</sub>) კი პირველის ანტიფორმა ვარიანტია.

<sup>15</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 85.

<sup>16</sup> იქვე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებამ.

ალექსანდრე რამიშვილი

მვინანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ფიჭვნარში

დასავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკა ნაკლებადაა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია ცნობილია აღნიშნული პერიოდის არა ერთი ნამოსახლარი<sup>1</sup>, ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენი ცოდნა ამ მხარის ბრინჯაოს ხანის კერამიკის შესახებ ძირითადად დიხა გუძუბასა და ნაოხვამუს არქეოლოგიური მასალით ამოიწურებოდა<sup>2</sup>. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების, კერძოდ, ნამოსახლარების გამოვლენისა და შესწავლისათვის ფართო დახვეწრვითი და გათხრითი სამუშაოები ფაქტიურად მხოლოდ ბოლო წლებში გაიშალა. ჯერ-ჯერობით უმთავრესად გამოქვეყნებულია ჩატარებულ სამუშაოთა მოკლე ანგარიშები, ისიც ილუსტრაციების გარეშე<sup>3</sup>. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ის სამუშაოები, რომლებიც ჭალადიდის ზურგაზე<sup>4</sup> და ნოსირის ბორცვზე<sup>5</sup> ტარდება. თ. მიქელაძემ სპეციალურად შეისწავლა ჭალადიდის ზურგაზე მის მიერ მოპოვებული და დასავლეთ საქართველოში მანამდე გამოვლენილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე II—I ათასწლეულების კოლხური კერამიკა, მაგრამ დღესდღეობით არც ეს ნაშრომიც გამოქვეყნებულ

<sup>1</sup> В. М. Гоголишвили, Проблема изучения древних памятников Колхидской низменности, Бюллетень Комиссии по изучению четвертичного периода, № 6-7, М., 1911, стр. 109, 110.

<sup>2</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. II., Тб., 1950, стр. 149, და შებდ.

<sup>3</sup> რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური მუშაობის ანგარიში, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1963, გვ. 5, 6; მისივე, არგვეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში, XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 40; გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 17, 18.

<sup>4</sup> თ. მიქელაძე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1962 წ. მუშაობის შედეგები, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, გვ. 48—50; მისივე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1963 წ. ჩატარებული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგები, XII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 23.

<sup>5</sup> დ. ქორიძე, ე. გოგაძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის შედეგები, XVIII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1968 წ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1969, გვ. 17, 18; მათივე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. საველე მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ., თბ., 1971, გვ. 20—26; მათივე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1967 წ. ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არ-

ლი მთლიანად. ყოველივე აღნიშნული მოწმობს, რომ ამჟამად ჯერ კიდევ მიმდინარეობს არქეოლოგიური მასალის დაგროვების პროცესი დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოსა და აღრე რკინის ხანის კერამიკის შემდგომი შესწავლისათვის. ცხადია, ასეთ ვითარებაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ყოველ ახლად მოპოვებულ მასალას.

წინამდებარე სტატიის მიზანია 1965 წ. ქობულეთში, ფიჭვნარის ე. წ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩატარებული მცირე მასშტაბის, ფაქტიურად დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის პუბლიკაცია. აღნიშნული მასალა მოპოვებულია ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომებზე 1960—67 წ. შესწავლილი ფართობის ჩრდილო-აღმოსავლეთით 300—400 მ-ზე. ჩაის პლანტაციაში მდებარე ოღნავ შემადგენელ ბორცვზე. აქ, წინა წლებში ზედაპირული დაზვერვების დროს, ანტიკური ხანის მასალასთან ერთად, შეგვრიბეთ გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კერამიკის ნიმუშებიც.

1965 წ. გათხარა დაახლოებით 80 მ<sup>2</sup> ფართობი. გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა შედარებით უკეთ აღმოჩნდა დაცული მხოლოდ ორ პატარა მონაკვეთზე. მათგან ერთის ფართობი 4, ხოლო მეორისა 2 მ<sup>2</sup> იყო. დანარჩენ ფართობზე კი ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ფენა დაზიანებულა ელინისტური ხანის სამარხებისათვის<sup>7</sup> ორმოების გაჭრისას. ჩატარებული მუშაობის შედეგად მოპოვებულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა<sup>8</sup>. აქედან თითქმის ნახევარი შედარებით უძრავად დაცული ფენიდან არის, ხოლო დანარჩენი — სამარხების ჩაშვებისას გადაადგილებულა და სხვადასხვა დონეზე განლაგებულა<sup>9</sup>. არქეოლოგიური მასალის აბსოლუტურ უმრავლესობას კერამიკა შეადგენს. გარდა ამისა, აღმოჩნდა თევზსაჭერი ბადის რიყის ქვისაგან დამზადებული 3 საწაფი, საჭყლეთ-საბეგვი 10 ქვა, 2 სალესი, 5 კვირისტავი, თუ ურმის თელის მოდელი და ზღვის კენჭისაგან გაკეთებული პატარა საკიდი, ამულეტი (?). (სურ. 1).

ქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 35—39; მათივე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971, გვ. 31—48; მათივე, Краткий отчет работы Носирской археологической экспедиции за 1970 г., Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 г. в СССР, Тб., 1971, გვ. 73—75.


<sup>6</sup> Т. К. Микеладзе, Исследования по истории древнейшего населения Колхиды и Юго-Восточного Причерноморья (XV—IV вв до н. э.), Автореферат, Тб., 1969, გვ. 18—21; მისივე, Колхская керамика II—I тысячелетий до н. э., Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 г. в СССР, გვ. 82.

<sup>7</sup> შესწავლილ ფართობზე გათხარა ელინისტური ხანის 22 სამარხი, რომლებიც მრავალმხრივ მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ. ამ სამარხების მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რომ ეს პირველი შემთხვევაა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღნიშნული პერიოდის სამარხების აღმოჩენისა. ელინისტური ხანის სამარხებში მოპოვებული კამერალურად დამუშავებული მასალა მთლიანად გადაეცით ა. კახიძეს, რომელიც სპეციალურად იკვლევს ფიჭვნარის ანტიკურ ნაქალაქარს.

<sup>8</sup> სულ საველე დავთარში გატარებულია 600 ერთეულზე მეტი. მათგან 200-მდე ერთეული ჩასატულია და ფოტოგრაფირებული.

<sup>9</sup> ელინისტური ხანის სამარხების გაჭრისას დაძრული მასალა საველე დავთარში გატარებულია 1—232 ნომრით, ხოლო 232-ზე მეტი ნომრის მქონე მასალა აღმოჩენილია უძრავ ფენაში.

კვირისტავეებიდან ერთი (289<sub>1</sub>) ქვიშაქვისაა, ხოლო დანარჩენები თიხის. 4 კვირისტავეი ერთად აღმოჩნდა, ხოლო მეხუთე (263) — რამდენადმე მოშორებით. ორი კვირისტავეი (289<sub>1,2</sub>) ბრტყელია, ორი 289<sub>3</sub>, 263) — კონუსის ფორმისაა და ერთიც (289<sub>4</sub>) რამდენადმე ბიკონუსური. მსგავსი კვირისტავეები ცნობილია დაბლა გომის, ნაციხვარის დასავლეთის ფერდისა და თხემის ზედა ფენებიდან<sup>10</sup>. სხვათა შორის, ბ. კუფტინი დასაშვებად მიიჩნევს, რომ დაბლა გომში ნაპოვნი კვირისტავეების ნაწილი ბავშვის სათამაშოს — ბორბლის, ან ბზრიას ფუნქციას ასრულებდა და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენებოდა კვირისტავეად<sup>11</sup>. ჩვენ ანალოგიური მოსაზრება დაგვებადა ერთად აღმოჩენილი ოთხი კვირისტავეის მიმართ. ისინი განლაგებულნი იყვნენ წყვილ-წყვილად და ტოვებდნენ ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს დაოჩნენ ურდის პატარა მოდელის ხის ნაწილებს დაშლის შემდეგ. შესაძლებელია, ასეთ ვარაუდს ერთგვარად მხარს უჭერდეს იქვე, კენჭისაგან ვაკეთებული პატარა საკიდის (სურ. I—290) აღმოჩენაც. მეორე მხრივ ცოტა უხუტრული იქნებოდა კონუსური (289<sub>3</sub>) კვირისტავეის გამოყენება ურდის თვლად. ამიტომ, თავდაპირველად მაინც, ეს და, ალბათ, ზოგიერთი სხვა მსგავსი საგნებიც გამოიყენებული უნდა ყოფილიყვნენ კვირისტავეებად. ხოლო ძველ კოლხეთში რომ სადეიქრო ხელოსნობა საკმაოდ დაწინაურებული დარგი იყო, ამას მოწმობს როგორც ანტიკური დროის ისტორიკოსთა ცნობები<sup>12</sup>, ასევე შავიზღვისპირეთში, კერძოდ, მათ შორის ფიჭვნარშიც, აღრე რკინის ხანის დროებით სადგომებზე აღმოჩენილი ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკის დიდძალი ნიმუში<sup>13</sup>.



სურ. 1. კვირისტავეები (289<sub>1-4</sub>, 263) და ამულეტი (290)

<sup>10</sup> Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 111, ტაბ. 35<sub>12-19</sub>.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 111.

<sup>12</sup> ვეროლოტე, 2, 105; თ. ყაუხჩიშვილი, *პეროლოტეს ცნობები საქართველოს შესახებ*, თბ., 1960, გვ. 73.

<sup>13</sup> Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 290—296; А. Т. Рамишвили, *Юго-Восточное Причерноморье в эпоху поздней бронзы и раннего железа*, Автореферат, Тб., 1971, გვ. 21, 22, 30.

ფიჭვნარის გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკულ მასალაში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია (მთელი მოპოვებული მასალის ორ მესამედზე მეტი) საყოფაცხოვრებო თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. თითქმის თანაბარი რაოდენობით არის თიხის რქისებრი სადგარებისა და მრავალგანყოფილებიანი თეფშების ნატეხები.

რქისებრი სადგარები. მიუხედავად შესწავლილი ფართობის სიმცირისა და ცუდი დაცულობისა, ფიჭვნარის გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა რქისებრი სადგარი<sup>14</sup> (ტაბ. 1). სადგარები, როგორც წესი, დამზადებულია უხვად ქვიშანარევი თიხისაგან. აქვს წითელი, მეტწილად არათანაბრად გამომწვარი კეცი. მათი დაჯგუფება შეიძლება როგორც ზედა და ქვედა ნაწილების ფორმის, ასევე განივკვეთის მიხედვითაც.

ფიჭვნარის ნამოსახლარზე სადგარებს აქვთ რგვალი, ოვალური, ოთხწახნაგა ან მრავალწახნაგა განივკვეთი. ზედა ნაწილის მიხედვით მათში გამოირჩევა ერთი, ორი და სამრქიანი სადგარები, ხოლო ქვედა ნაწილის მიხედვით — სწორი, გაფართოებული ან სოლურძირიანები. ამასთან, სწორ და გაფართოებულძირიან სადგარებს აქვთ როგორც ბრტყელი, ასევე გულამოდებული ძირი. ძირითადი, წამყვანი ტიპი ჩანს ორრქიანი სადგარი.

ორ და სამრქიან სადგარებს ცილინდრული ან პრიზმული ტანი აქვთ, ცალრქიანებს კი — კონუსური. ერთ და ორრქიანი სადგარები შედარებით მაღალი და ვიწროა (ამჯერად ცნობილი მასალის მიხედვით, მათი სიმაღლე მერყეობს 6,0—11,5 სმ, სიგანე კი — 3,0—5,5 სმ შორის). სამრქიანი სადგარები დაბალი და ფართოა (რქების გარეშე მათი სიმაღლე 3,5—7,5 სმ, ხოლო სიგანე 10—12 სმ-ია).

ერთრქიანი სადგარები სადაა, ორი და სამრქიანები — ხშირად შემკულია პატარა ფოსოებით. ორ შემთხვევაში, მრავალწახნაგა განივკვეთის მქონე სადგარებზე (ტაბ. I—91, 181) ეს ფოსოები ქცეულა გამჭოლ ხვრელებად. ერთ-ერთ სადგარს (ტაბ. I—340) ორივე მხარეს ჩასდევს ამოღარული ზოლი.

დაბოლოს, ცალკე უნდა შეეჩერდეთ კიდევ ერთ სადგარზე (ტაბ. I—343), რომელიც თითქმის მთლიანად არის შემორჩენილი. იგი პატარა ზომისაა (სიმაღლე რქებიანად 7,5 სმ-ია). აქვს მცირედ განზე გაშლილი წვერებ-მორგვალეებული დაბალი რქები, ოდნავ რკალისებურად ჩაზნექილი ქედი და ბრტყელი, მცირედ გაფართოებული ძირი. ალბათ, წინა მხარეს, სადგარს ზედა ნაწილში ჩასდევს მოკლე რელიეფური ზოლი. მის ორივე მხარეს განლაგებულია თითო პატარა ფოსო. ყოველივე ეს ტოვებს თვალებისა და ცხვირის იმიტაციის შთაბეჭდილებას. ამ საგნის შორეულ ანალოგიად შეიძლება გამოდგეს ახალციხის ამირანის გორის ნალისებური ზესადგარების ანტროპომორფული ცენტრალური ნაწილები<sup>15</sup>.


ჯერჯერობით ძალიან ძნელია რაიმე ვთქვათ ამ სადგარების დანიშნულების შესახებ. მათი ანალოგიები ცნობილია მხოლოდ შავი ზღვის საქართველოს სანაპიროდან და ისიც, ძირითადად ზღვისპირა ქვიშნარ დიუნებზე განლაგე-

<sup>14</sup> საველე დავთარში გატარებულია 100-მდე სადგარი თუ მისი ნატეხი.

<sup>15</sup> ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 65, სურ. 62, ტაბ. X და სუპერი.



տեղեկ հիշեցնող նշաններ




თიხის პერკელის ყურეები



ბული დროებითი სადგომებიდან<sup>16</sup>. მართალია, სინქრონული ნამოსახლარები დასავლეთ საქართველოში არ არის აქამდე სათანადოდ შესწავლილი, მაგრამ უთუოდ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ დღემდის ცნობილი მასალის მიხედვით, სადგარები არ ჩანან ზღვის სანაპიროს რამდენადმე მნიშვნელოვნად დაცილებულ ძეგლებზე (ნახვამუ, დაბლა გომი<sup>17</sup>, ნოსირი<sup>18</sup> და სხვა). სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი საგნები მიჩნეულია როგორც საკულტო, ასევე პრაქტიკული დანიშნულების მატარებლად<sup>19</sup>.

მ რ ა ვ ა ლ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ა ნ ი თ ე ფ შ ე ბ ი, მხოლოდ ნატეხების სახით არის ჩვენამდე მოღწეული (სურ. 2). ამგვარი ჭურჭელი დღეისათვის



სურ. 2. მრავალგანყოფილებიანი თეფშების ნატეხები

ცნობილია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან, უფრო ზუსტად კი, დღევანდელი აჭარის ტერიტორიიდან და ისიც ნამოსახლარებიდან (რამდენიმე ცალი აღმოჩენილია ბათუმის ციხესა და მახვილაურის ბორცვ-

<sup>16</sup> Л. Н. Соловьев, Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми и г. Очамчире, Труды Абхазского государственного музея, вып. 1, Сухуми, 1947, მისივე, Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии, Советская археология, XIV, М.-Л., 1950; Н. В. Хоштария, Археологические исследования Уреки, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ. 1955; А. Т. Рамишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 23.

<sup>17</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 113, 161.

<sup>18</sup> დ. ქორიძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1967 წ. ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში; დ. ქორიძე, ე. გოგაძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები.

<sup>19</sup> Н. В. Хоштария, დასახ. ნაშრომი, გვ. 34—37; Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 283; А. Т. Рамишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 23.



ზე, შედარებით მეტი კი ფიქვნარის სხვადასხვა ნამოსახლარზე<sup>20</sup>. იგი არ შეგვხვედრია იქვე მდებარე ფიქვნარის ზღვისპირა დროებით სადგომებზე. ძნელი სათქმელია რით არის ეს გარემოება გამოწვეული — ამ ძეგლების ქრონოლოგიური სხვაობით, თუ სხვადასხვა ხასიათით.

მრავალგანყოფილებიანი თეფშები დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან და უმეტესად არათანაბრად გამომწვარია. ძირითადად გვხვდება წითელკეციანი ნატეხები, მაგრამ საკმაოდ ხშირია ლეგა და შავკეციანებიც. ეს ჭურჭელი 3 სმ-მდე სისქის მქონე თიხის ფილებია. ზედაპირზე მათ აქვთ რამდენიმე თეფშისებური ჩაღრმავება. ჩვენ მიერ მოპოვებულ ნიმუშებს შემორჩენილი აქვთ სამი განყოფილების ნაშთი (სურ. 2—288<sub>1</sub>, 183<sub>2</sub>), ხოლო ა. კახიძის მიერ შეკრებილ ნიმუშებში ოთხგანყოფილებიანი ჭურჭლის ნატეხებიც არის<sup>21</sup>.

ხელთარსებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ ზოგიერთი მრავალგანყოფილებიანი თეფში შემკული ყოფილა. ორნამენტი, როგორც წესი, დატანილია თეფშების გამყოფ ქედებზე. ზოგ შემთხვევაში ეს მხოლოდ ერთი პატარა ფოსოა (სურ. 2—288<sub>1</sub>), ზოგჯერ ფოსოების (25) თუ ირიბი ნაჭდევების მწკრივი.

ამ ჭურჭლის ერთგვარი ანალოგია შეიძლება დავინახოთ კარმირ-ბლურზე აღმოჩენილ შედარებით დიდი ზომის თიხის სამგანყოფილებიან სამსხვერპლოში<sup>22</sup>. ალბათ, ფიქვნარის მრავალგანყოფილებიან თიხის თეფშებსაც საკულტო დანიშნულება ჰქონდათ. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისინი საოჯახო სამსხვერპლოებს წარმოადგენდნენ<sup>23</sup>.

ს ა ყ ო ფ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ო კ ე რ ა მ ი კ ა. სამწუხაროდ არ მოხერხდა არც ერთი ჭურჭლის თუნდაც მთლიანი პროფილის აღდგენა, რადგანაც საყოფაცხოვრებო კერამიკამ ჩვენამდე მოაღწია მეტად ფრაგმენტული სახით. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ნატეხებიც იძლევა საშუალებას გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ჭურჭლის ცალკეულ დეტალებზე და ფორმებზე.

ფიქვნარის ძველ ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალაში თითქმის თანაბრად ვხვდებით ერთი მხრივ შავ-ლეგა, ხოლო მეორე მხრივ წითლად და მოყვითალო წაბლისფრად გამომწვარ თიხის ჭურჭლის ნატეხებს (ოდნავ სჭარბობს შავ-ლეგა). ჭურჭელი დამზადებულია ქვიშა და კვარცხანარევი თიხისაგან. მისი გამოწვის ხარისხი უმეტესად დამაკმაყოფილებელია. აქვს ძირითადად კარგად მოსწორებული და ხშირად სხვადასხვა ორნამენტით შემკული ზედაპირი.

განსახილველ მასალაში (სურ. 3, 4, 5), ჭარბობს ისეთი ჭურჭლის ნატეხები, რომელთა პირის დიამეტრი 10—20, ხოლო ძირისა კი 6—12 სმ-ია. გაცილებით იშვიათია როგორც უფრო პატარა, ასევე უფრო დიდი პირის მქო-


<sup>20</sup> ა. კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბ., 1965, გვ. 75; მ. ისიკე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 57, 58.

<sup>21</sup> ა. კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, გვ. 75, სურ. 4. ა. კახიძეს მოცემული აქვს ამგვარი ჭურჭლის რესტავრაციის სამი შესაძლო ვარიანტი. ამათგან ჩვენ შედარებით მისაღებად მივჩინა პირველი და მესამე.

<sup>22</sup> Б. Б. Пиотровский, Кармир-блур, II, Ереван, 1952, გვ. 21, სურ. 7.

<sup>23</sup> ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 57, 58.

ნე ჭურჭელი. როგორც ჩანს, (სურ. 3, 4) ფიქვენარის ძველი დასახლების გვიდრთ ხმარებაში ჰქონდათ უპირატესად დაბალყელიანი და ოდნავ პირგადაშლილი, ხოლო უფრო იშვიათად პირმოყრილი ჭურჭელი. გამოირჩევა მომცრო და საშუალო ზომის ქოთნები, კათხები, ტოლჩები, ქილები, კოჭობები. გაცილებით ნაკლები რაოდენობით არის დიდი ზომის ქვაბ-ქოთნები, დერგები. სრულებით არა ჩანს სქელკეციანი, მოზრდილი ჭურჭელი. მოპოვებული კერამიკა ძირითადად უქუსლო და ბრტყელძირიანია, მაგრამ გვხვდება, როგორც ბრტყელი, ასევე გულამოღებულ ქუსლიანებიც (სურ. 5).




სურ. 3. თიხის ჭურჭლის ზედა ნაწილის პროფილები (მ. 1:5)

ფიქვენარის ძველ ნამოსახლარზე საკმაოდ ფართო ხმარებაში ყოფილა ყურიანი ჭურჭელი (ტაბ. II). ხშირ შემთხვევაში მათ ახასიათებთ მცირედ განზე გაშლილი, ზეაზიდული, წვერებმორგვალეული და ჩაზნექილქედიანი რქები, ზოგჯერ კი ზეაღმართული ვერტიკალური ქიმი. ისინი უმეტესად ფრინველის მკერდის მოყვანილობისა არიან. უფრო იშვიათია ერთი მხრივ წახნაგოვანი, ზონარგასაყრელი პატარა ხერგელის მქონე და მეორე მხრივ განზე გაშლილი, წვერებგაბრტყელებული ცილინდრულრქებიანი ყურები. თიხის ჭურჭლის ყური ძირითადად ოვალური ან ნახევრადოვალური განივკვეთიანია, მაგრამ გვხვდება წახნაგოვანიც.

არც თუ იშვიათად, თიხის ჭურჭელს ყურის ნაცვლად აქვს შვერილები (სურ. 6). მათ შორის არის როგორც მართკუთხა, ასევე რგვალი და ოვალურგანივკვეთიანი ნიმუშები. ზოგ მათგანს გაბრტყელებული ბოლო აქვს, ზოგს კი — რქისებრი ნაზარდით დაბოლოებული. ზოგჯერ ამგვარ ყურებს აქვთ დაღარული ზედაპირი, ზოგჯერ კი შემკულია წიწვისებური ორნამენტით.

ფიქვენარის ძველ ნამოსახლარზე მოპოვებული საყოფაცხოვრებო თიხის ჭურჭელი ფორმისა და ცალკეული დეტალების მიხედვით ანალოგიებს ნახუ-

ლობს დაბლა გომის მეორე ფენის<sup>24</sup>, ნაოხვამუსა<sup>25</sup> და ნოსირის<sup>25</sup> სამოსახლო ბორცვების სამივე ფენის მასალაში. დაახლოებით ასეთივე ვითარება გვაქვს თიხის ჭურჭლის შემკულობის მხრივაც (სურ. 6, 7, 8). აქ ერთი მხრივ ჭურჭ-



სურ. 4. თიხის ჭურჭლის ზედა ნაწილის პროფილები


ლის ზედა ნაწილზე ეხვდებით ნაოხვამუსა და ნოსირის ქვედა ფენებისათვის დამახასიათებელ ორნამენტს. კერძოდ, განსაკუთრებით ხშირია სავარცხლის-კბილისეული თუ კბილანა ბორბლის ნაჭდევებით<sup>27</sup> შევსებული, ამოღარული ხაზებით შემოფარგლული, ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ თუ ირიბ ზოლებად განლაგებული არშიები; სხვადასხვა ხასიათის ფესტონები და შევრონები, ძუძუსებური და მორჩისებური ნაზარდები და სხვა. უფრო იშვიათია ე. წ. პარკეტული ორნამენტი, რგვალი ნაჭდევების სარტყლები. მეორე მხრივ აქვე მრავლად ეხვდებით დასახელებული ბორცვების ზედა ფენებისათვის

<sup>24</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 124—126, ტაბ. 35<sub>1</sub>—5, 36<sub>2</sub>.


<sup>25</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 193—238, ნახ. 48, 49, 60; ტაბ. 55—62.

<sup>26</sup> დ. ქოტიძე, ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—44, ტაბ. I—VIII;


<sup>27</sup> ჩვენ პირადად უფრო მართებულად მიგვაჩნია ამგვარი ორნამენტი კბილანა ბორბლის ნაჭდევებზე მივიჩნიოთ და არა სავარცხლის კბილისა, რადგანაც სავარცხლის კბილით, სხვა რომ არაფერი, მოუხერხებელი იქნებოდა ნაჭდევების გაკეთება არასწორხაზოვანი ღრებით შემოფარგლულ არშიაზე.



სურ. 5. თიხის ჭურჭლის ძირის პროფილები



სურ. 6. შვერილიანი და ძუძუსებრი ნაზარდის მქონე ჭურჭლის ნატეხები



სურ. 7. თბის ტერქლის შემკვლობის ნიმუშები



სურ. 8. თიხის ჰერმელების შემკვლეობის ნიმუშები

დამახასიათებელი შემკულობის ისეთ ნიმუშებსაც, როგორც არის ამოღარული შევრონები, სადა თუ ირიბი ნაქდევებით დაფარული კანელურები, ირიბი, თუ სწორი ნაქდევების სარტყლები და სხვა<sup>28</sup>. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფიჭვნარის ძველი სამოსახლოს კერამიკაში თავს იჩენს გაპრიალებული ხაზებით შედგენილი სახეებით ვაფორმებული ჭურჭელი.

ამით ჩვენ დაემათავრეთ ფიჭვნარის ძველ ნამოსახლარზე 1965 წ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიმოხილვა. როგორც მოტანილი პარალელებიდან ჩანს, იგი გარკვეულ მსგავსებას პოულობს დაბლა გომის მეორე ფენის, ნაოხვამუს და ნოსირის ნამოსახლარების მასალასთან. ამასთან ერთად, განხილული კერამიკისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება თითქოს იძლევა საშუალებას შედარებითი ქრონოლოგიის თვალსაზრისით ფიჭვნარის გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარს უფრო კონკრეტული ადგილი მიეუჩინოთ დასავლეთ საქართველოს სხვა შესაბამის ძეგლებს შორის.

მსგავსად ნაოხვამუს შუა ფენისა<sup>29</sup>, ფიჭვნარის ძველი სამოსახლოს საყოფაცხოვრებო კერამიკაში გამოირჩევა როგორც გვიანი ბრინჯაოს ხანის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი ფორმები და შემკულობის სახეები (პირმოყრილი ქოთნები და ტოლჩები, ფრინველის მკერდის ფორმის ყურები, ძუძუსებური და მორჩინებური ნაზარდები, ამოღარული ზოლებით შემოფარგლული ნაქდევები, შტამპიანი ორნამენტების სხვადასხვაგვარი კომბინაციები და სხვა.), ისე ამავე პერიოდის მიწურულისა და ადრე რკინის ხანისათვის დამახასიათებელი ფორმები და შემკულობის სახეები (კანელურები, დაღარულ ზედაპირიანი შევრონები, სხვადასხვა ტიპის ზომორფული ყურები, მოკლე ნაქდევების სარტყლები, ნაპრიალები ზოლებით შედგენილი სახეები და სხვა). ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ფიჭვნარის ძველი სამოსახლო ნაოხვამუს შუა ფენის თანადროულად მივიჩნიოთ. ამასთან, ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილულ მასალაში თავს იჩენს შემკულობის ზოგიერთი ისეთი სახეობა (გაპრიალებული ზოლები, ირინაქდევებიანი რელიეფური სარტყლები და სხვა), რომლებიც ნაოხვამუს შუა ფენაში არ გვხვდება და თავის განვითარებას შემდგომ პერიოდში პოულობს, უფლებას გვაძლევს ფიჭვნარის ძველი ნაოხვამუს შუა ფენაზე რამდენადმე ახალგაზრდად ჩავთვალოთ.

ფიჭვნარის ძველი სამოსახლოს კერამიკა ანალოგიებს პოულობს ნოსირის მესამე ფენის მასალაშიც, რომელსაც გამთხრელები ნაოხვამუს ქვედა და შუა ფენის თანადროულად მიიჩნევენ<sup>30</sup>. მაგრამ შესამჩნევია რიგი განსხვავებანიც. კერძოდ, ფიჭვნარში თითქმის სრულებით არა გვაქვს დიდი ზომის სქელკედლიანი ჭურჭელი, უფრო იშვიათია და არა ისე მკვეთრად გამოხატული თიხის ჭურჭლის კანელურებით შემკობა, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი ნოსირის მესამე ფენაში. ამიტომ, საუარაუდოა, რომ განხილული მასალა რამდენადმე ადრეულია ნოსირის მესამე ფენის კანელურებიანი და სქელკედლიანი ჭურჭლის შემცველ შრეზე.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ფიჭვნარის ძველი სამოსახლო უნდა მივიჩნიოთ გვიანი ბრინჯაოს ხანის ბოლო პერიოდის ძეგლად.

<sup>28</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 193—238, ნახ. 48, 49, 60, ტაბ. 47—62; დ. ქორიძე, ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—44, ტაბ. I—VIII.

<sup>29</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

<sup>30</sup> დ. ქორიძე, ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

თეიმურაზ ჩიქოვანი

საიკლავო მატერიალური კულტურის ძეგლები ფაშახეთში

ვახუშტის აღწერილობით „...ჯავახეთს არს, ვითარცა თრიალეთი, უგენახო, უხილო, უტყუო, ვიეთთა ადგილთა სწვენ წივასა, და მოსავლითაც ეგრეთივე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოცდენილი. ჰავითაც მზგავსი, გარნა უმჭობესიცა, ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი“<sup>1</sup>. ვახუშტის შემდეგ, ორი საუკუნის განმავლობაში ჯავახეთი იგივე ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ხასიათდება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სამაგიეროდ ადგილი ჰქონდა მძაფრ პოლიტიკურ და ეთნიკურ პროცესებს. შეიცვალა მოსახლეობის თანაფარდობა, ახლებურად წარიმართა მისი სამეურნეო ცხოვრება და ა. შ. ოსმალ-თურქებმა ძალით გაამუსლიმანეს ჯავახელთა ნაწილი; ნაწილი კი აიყარა და სხვაგან გადასახლდა. ვინც ადგილზე დარჩა და ქრისტიანობას არ უღალატა, მუდმივ შიშინაობაში უხდებოდა ცხოვრება.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული ჯავახეთში რამდენიმე ტალღად დასახლდნენ თურქული მოდგმის ნომადი ტომები — ზილანები, ისმაილები, თარაქამები<sup>2</sup>. XIX ს-ის 20-იანი წლებიდან ასევე რამდენიმე ტალღად ჩამოვიდნენ თურქეთიდან ლტოლვილი სომხები, ხოლო ამავე საუკუნის 40-იანი წლებიდან ყირიმში, ვორონეჟისა და ჩერნიგოვის გუბერნიებში დევნილი რუსი სექტანტები — „დუხობორები“<sup>3</sup>. უცხო ეთნიკური ელემენტი ქართველთა მიერ მიტოვებულ სოფლებში დასახლდა და სულ მალე ზოგიერთ მათგანს სახელები შეუცვალეს, ზოგსაც თავისებურად დაუმახინჯეს<sup>4</sup>. ორიოდ საუკუნის განმავლობაში ქართველობა ჯავახეთის მოსახლეობის უმცირესობად იქცა.

ჩამოსახლებულებმა, განსაკუთრებით კი სომხებმა, ადგილზე დახვედრილი მატერიალური კულტურის ძეგლები მზამზარეულად აითვისეს და თავისებურად გამოიყენეს, ეს პირველ ყოვლისა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს შეეხება. რაც შეეხება ნომადებს, მათ თავიანთ ტრადიციას არ უღალატეს და XIX ს-ის შუა წლებამდე თექის კარვებში — ალაჩულებსა და ყარაქჩებში განაგრძობდნენ ცხოვრებას. ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა მათ მხოლოდ საგლეხო რეფორმის შემდეგ დაიწყეს<sup>5</sup>. ამისდა მიუხედავად ნომადები იალალებს მაინც ვერ შეეღიენ, სწორედ აქ დაიწყეს მათთვის უჩვეუ-

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 131.

<sup>2</sup> X. Вереминшев, Экономический быт государственных крестьян в Ахалкалакском и Ахалцихском уездах Тифлисской губернии, МДИЕБГКЗК, Тиф., 1883, ч. 2-ая, გვ. 175.

<sup>3</sup> З. Поракишвили, Духоборы в Грузии, Тб., 1970.

<sup>4</sup> ს. ჭიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგ. III, თბ., 1958, გვ. 303—359; ნ. ბერქენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 28, 31, 57, 63, 67, 84.

<sup>5</sup> X. Вереминшев, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.



ლო საცხოვრებლის — მიწაში ჩათხრილ-ჩამწეხებული ქოხსახლების მშენებლობა. თურქულ-თურქმანული მოდემის აღნიშნული ტომები ამჟამად ჯავახეთში უკვე აღარ მოსახლეობენ. ისინი დიდი ხანია, რაც საქართველოდან გადასახლდნენ.

ჯავახეთი ცნობილია, როგორც ინტენსიური მემინდვრობა-მესაქონლეობის მხარე, სადაც უპირატესობა მეცხოველეობას ენიჭება<sup>6</sup>. აქ ოდითგანვე მოყავდათ საუკეთესო ხორბლეული, მრავლად იყო ჯიშიანი საქონელი და აწარმოებდნენ თაფლს, რასაც მშვენიერად ადასტურებს ვახუშტის „აღწერა“: „მოსავალი მოუცდენელი და ნაყოფიერი“... „ცხოვარნი, მროწლენი და ჯოვნი მრავალნი“<sup>7</sup>; „თაფლნი მრავალნი“<sup>8</sup>.

სოფლის მეურნეობა ჯავახეთში სიმბიოზურად იყო და არის განვითარებული. აღნიშნული ვითარება ადგილობრივ ხალხურ მატერიალურ კულტურაშიც საკმაოდ რელიეფურადაა ასახული, რაზედაც ჯერ კიდევ თვალნათლივ მიგვითითებს საველე ეთნოგრაფიული და უკვე არქეოლოგიურ ძეგლებად ქცეული მატერიალური კულტურის ძეგლები.

ცნობილია, რომ იმ მხარეში სადაც მარცვლეულის და ფქვილის შესანახი ჭურჭელ-სათავსები ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი, პირველ რიგში მემინდვრობის მაღალი დონის მაუწყებელია. ჯავახეთში, ისევე როგორც მესხეთში აღნიშნული დანიშნულების ჭურჭელ-სათავსები მართლაც მრავალი ნაირსახეობით ყოფილა გავრცელებული — ხარო, ბეღელი, ამბარი, ხელამბარი, კიდობანი, შელსილი გოდორი, ჩანახი, კოდი და ა. შ. ეს ორი უკანასკნელი ჭურჭლეული საწყაოდაც ითვლება. განსაკუთრებით ორიგინალურსა და საყურადღებო ჭურჭლეულ-საცავს წარმოადგენს ხარო — ქვითკირით ამოყვანილი მიწისქვეშა ნაგებობა<sup>9</sup>. ჯავახეთის ზეგნის სოფლებში იშვიათი იყო ისეთი მოსახლე, რომელსაც ხარო არ ჰქონოდა.

ქართული ხარო ამჟამადაც ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობითაა შემონახული არა მარტო ქართველებით, არამედ სომხებით დასახლებულ სოფლებშიც. XIX ს-ის ოციანი წლების მიწურულს ჯავახეთში ჩამოსახლებულმა სომხობამ შემონახული ხაროები მზამზარეულად აითვისეს. აღრე ხორბლეულს ინახვდნენ, ხოლო შემდეგ კართოფლისათვისაც გამოიყენეს.

ხაროებს ჩვენი წინაპრები უმთავრესად ეზოს ფარგლებში აკეთებდნენ; ზოგჯერ უშუალოდ სახლშიც, უმეტესად კარაპანში. იგი ხორბლეულის საიდუმლო საცავი იყო, მისი ადგილმდებარეობა მხოლოდ პატრონმა იცოდა. ხაროს ზშირად ტყვის დასამწყვდევადაც იყენებდნენ.

როგორც საველ ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, ჯავახეთში მოსულ სომხობას ქვითკირიანი ხაროების მშენებლობა არა სცოდნია. პურეულის შესანახად ჩვეულებრივ მიწურ ორმოს იყენებდნენ. ალბათ ამიტომაცაა, რომ ქართველთა ხაროებსაც ტრადიციის გავლენით „ჰაცი ჰორს“, პურის ორმოს უწოდებენ.

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

<sup>7</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი) თბ., 1960, გვ. 44; მისივე, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 90.

ჭავჭავეთის მატერიალურ კულტურაში ხარობის დიდი რაოდენობით არსებობა, სხვა მონაცემებთან ერთად იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ამ კუთხეში მართლაც ინტენსიურ მემინდერობასთან უნდა გვექონოდა საქმე.

რაც შეეხება ფართო მასშტაბის მესაქონლეობას, მისი არსებობისათვის განვითარებული მემცენარეობა და ბლახთესვის კულტურაა საჭირო, რადგანაც მხოლოდ ასე შეიძლება საქონლის ზამთრის საკვები მარაგის დიდი რაოდენობით მომზადება<sup>10</sup>. ვარდა ამისა, საჭიროა, აგრეთვე, საკმარისად არსებობდეს კარგად მოწყობილი საქონლის საზამთრო სადგომები<sup>11</sup>. ისტორიული ჭავჭავეთის სამეურნეო ყოფაში ეს ორი აუცილებელი პირობა ერთმანეთს სინქრონულად ბასუხობდა. წარსულში აქ არსებობდა საძოვრების მოვლა-პატრონობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია. იალაღების მცენარეული საფარი ყოველთვის შეუწინაღებელი ყურადღების ცენტრში იდგა<sup>12</sup>. ნიადაგების ეროზიას მუდამ ებრძოდა ქართველი მეურნე. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბოსლების მშენებლობის საქმეს. სამხრეთ საქართველოს მიწურბანთან საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსში ყველაზე დიდი ფართი მუდამ საქონლის სადგომებს, ბოსლებს, ეკავა<sup>13</sup>. თრიალეთსა და ჭავჭავეთში სახლებში ბოსლებს ჩვეულებრივ ასი ან ორასი კვ. მეტრი და ზოგჯერ უფრო მეტი ფართი ჰქონდა დათმობილი<sup>14</sup>. ასეთი დიდი მოცულობის ბოსლები მხოლოდ გადმონაშთის სახით შემონახული დიდი ოჯახების პრივილეგია როდი იყო. იგი საერთო დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა ქართული მცირე კავკასიონის მესაქონლეობისათვის. ქართული ბოსლები არქიტექტურული აღნაგობისა და სანიტარულ-ჰიგიენური ვარგისიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მონაბოვარს წარმოადგენს.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურა მხოლოდ დიდი ბოსლების არსებობით როდი ამოიწურება. ჭავჭავეთში, ისევე როგორც მესხეთსა და თრიალეთში, ალბური საძოვრებისათვის მეტად დამახასიათებელი იყო სეზონური ხასიათის სამეურნეო დასახლებები, რომელთაგან ზოგიერთი ამჟამად უკვე არქეოლოგიურ ძეგლად არის ქცეული. ამგვარი ხასიათის დასახლებები ჭავჭავეთის თითქმის ყველა მაღალმთიან საძოვარზეა წარმოდგენილი, მაგრამ მეტი სიხშირით უფრო აბულ-სამსარის იალაღებზე გვხვდება.

აბულის იალაღი. ჭავჭავეთში აბულის ორი მთაა, ერთი დიდი და მეორე — პატარა. დიდი აბული (3301 მ)<sup>15</sup> სამსარის ქედის დამამთავრებელია და ამ მთავარხილში შემავალი ყველაზე მაღალი მწვერვალია. პატარა აბული არც თუ ისე დიდი გორაა და იგი უშუალოდ ახალქალაქთანაა აღმართული.

დიდი აბული, მართალია, სამსარის ქედის სისტემაში შედის, მაგრამ თავისი მდებარეობით თითქოს დამოუკიდებელი მდგომარეობა უკავია. მისი დავაკებულ-დამრეცილი კალთები მაღალნოყიერი მცენარეული ხალიჩითაა დაფარული. იალაღები ზღვის დონიდან უმთავრესად 2000—2400 მეტრზეა გან-

<sup>10</sup> А. Еремеев, Юрюки, М., 1969, გვ. 29.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> Х. Веремиев, დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74; М. Рчеулишвили, Отгонное овцеводство Грузии, Тб., 1957, გვ. 48.

<sup>13</sup> თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ ნაგებობათა ისტორიიდან, გვ. 94.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 180.

<sup>15</sup> საქართველოს სსრ გეოგრაფიული ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, რუქა 13—14.

ლაგებული. საძოვრების შემდეგ მორენები იწყება, ხოლო ამ უკანასკნელის მერე „მუდმივ თოვლის კუნძულებია“.

აბულის იალაღი ანკარა წყაროებით და მთის კალთებზე მიმოზნეული პატარა ტბებით ხასიათდება. ყველაზე მოზრდილი ტბა აბულის სახელითაა ცნობილი. დანარჩენი უსახელოა. აღნიშნული იალაღის საძოვრები ამჟამად მხოლოდ ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სოფლებზეა განაწილებული. საძოვარ-სათიბები კარგადაა მოვლილი, რის გამოც ნიადაგიც ნაკლებად ეროზირებულია. ყველაზე კარგად მოვლილი საძოვარი აბულის ტბის შემოგარენშია და იგი სოფ. ეშტიას ეკუთვნის. რაც შეეხება უშუალოდ აბულის ტბას, იგი უპატრონობის გამო თანდათან ლაქაშით იფარება და ყვინთია იხვების თავშესაფარს წარმოადგენს. როგორც ადგილზე გვითხრეს, ტბაში თევზი ჯერ კიდევ უნდა იყოს.

ამ იალაღზე, განსაკუთრებით კი აღნიშნული ტბის შემოგარენში, ჯერ კიდევ თვალსაჩინოადაა შემორჩენილი ალპური მეურნეობისათვის დამახასიათებელი რეალები: მწყემსური ქოხსახლებისა და საქონლის ღია სადგომების მრავალი ნაშთი.

აბულის ტბის ალპური ნამოსახლარი. ეს ალპური ბაზა-ნამოსახლარი ტბის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, საკმაოდ დავაკებულ ადგილზეა გაშლილი. ფართის მიხედვით ჩვენ მიერ ჯავახეთში ფიქსირებულ სხვა სამეურნეო ბაზა-ნამოსახლარებთან შედარებით ყველაზე დიდია. დღევანდელი თვალსაჩინოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბაზა-ნამოსახლარს ორი ათას კვ. მეტრზე მეტი ფართი უკავია. მისი სამხრეთი ნაწილი ამჟამად მყინვარის მიერ ჩამოტანილი უზარმაზარი ლოდებითაა დაფარული. ლოდებქვეშ, აქა-იქ ჯერ კიდევ კარგად მოჩანს ადამიანის ნახელავი ყორეზლუდეთა ნაშთები, რაც იმის მაუწყებელია, რომ ნამოსახლარი უფრო დიდი ფართისა უნდა ყოფილიყო. თუ ფორმის მიხედვით ვიმსჯელებთ, მის საერთო მოყვანლობა მოგარძო ოვალს ემსგავსება. ადგილზე ჩატარებული კვლევა-ძიებების შემდეგ გავიკვამ, რომ თვალსაჩინოდ შემორჩენილ ნაწილში ამჟამად რელიეფურად შეიმჩნევა რამდენიმე ქოხსახლისა და საქონლის ღია სადგომთა ორმოციოდენ ნაშთი, რომელთაგან ზოგი მსხვილფეხა საქონლისაა, ზოგი წვრილფეხისა. ნამოსახლარის ფორმა, ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ჯგუფურად გაშენებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისაგან შედგენილ დასახლებას განეკუთვნება. გარდა აღნიშნულისა, თვალნათლივ შეიმჩნევა დასახლების ცენტრში ქოხსახლების თავმოყრის ტენდენცია. საქონლის სადგომები კი მათ გარშემო ზღუდისებურადაა განლაგებული. ქოხსახლებისა და საქონლის ღია სადგომთა დაგეგმარების ანალოგიური წესი ჩვენ დადასტურებული გვაქვს თრიალეთის იალაღებზე ფიქსირებულ ამგვარი დანიშნულების სამეურნეო ბაზა-ნამოსახლარებში. და როგორც ჩანს, აღნიშნული გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს. იგი გარკვეული, ცხოვრებისეული, კანონზომიერებითაა შეპირობებული, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

აბულის ტბის ბაზა-ნამოსახლარის ნაქონაოთა უმრავლესობა სანახევროდ დამუშავებული ნაგლეჯი ქვით ნაშენი ორსათავსიანი ნაგებობების შთაბეჭდილებას ტოვებს. მათ შორის ერთსათავსიანებიც დასტურდება. გეგმაზე ორივენი ოთხკუთხედის მოყვანილობისა არიან. კედლების წყობა ჰორიზონტალურია და ტალახის გამოყენებით უნდა იყოს ნაშენი. კედელთა კუთხეების შემკვრულად კარგად ნათალი დიდი ლოდებია გამოყენებული. ყველა ქოხსახლი

თუ ნაქოხარი უკლებლივ მიწისზედა ნაგებობაა და ფართის მხრივ დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ზეძირკველთა გეგმის მიხედვით ყველა ნაქოხარს ერთი შესასვლელი აქვს. ზაგრაა ერთსათავისიანისაგან განსხვავებით ორსათავისიანების შესასვლელთანვე შექმნილია ძალიან პატარა დერეფანი, სადაც ორივე სათავსს ცალ-ცალკე კარებისათვის განკუთვნილი საჩარჩოები აქვთ დატანებული. ამათგან განსხვავებით ერთსათავისიანების საკარებო პირდაპირ სათავსში შესასვლელადაა დაგეგმარებული.

ნაქოხართა ნაწილს ალაგ-ალაგ კედლებიც, შეიძლება, პირვანდელი სახით აქვს შენარჩენილი. კედლებში საფანჯრები არ დასტურდება. როგორც ჩანს, ქოხსახლები ერთიანი, ან საკარებო მხარეს არსებული მცირე სარკმლით ნათედებოდნენ. ეს თუ ასეა, მაშინ მათი სახურავი მიწური ბანი უნდა ყოფილიყო მომთავრებული. ბანის გამართვის ტრადიცია კი, როგორც ცნობილია, სამხრეთ საქართველოში შორეული წარსულიდან მომდინარეა<sup>16</sup>. რაც მთავარია, იალალური ყოფა-ცხოვრების პირობებში ბანური გადახურვა ყველაზე ხელსაღრელია.

ორსათავისიან ნაქოხართა დაგეგმარებაში, როგორც წესი, ერთი სათავსი ფართით ყოველთვის დიდია მეორეზე. დიდები 30 კვ. მ. აღწევენ, ხოლო შედარებით მცირენი 20 კვ. მ. საფიქრებელია, რომ ფართის ასეთი დიფერენცირება მათი ფუნქციონალური დანიშნულებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ამაზე მიგვიითობებს დღემდე მოქმედ საიალლო ნაგებობებში შიდა დაგეგმარების ტრადიცია. მაგალითად, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (თრიალეთი, მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა) ძეგლებსა თუ ქვით ნაგებ ორსათავისიან ქოხსახლებში დიდი ყოველთვის ადამიანისათვისაა განკუთვნილი, ხოლო მცირე რძისა და ხორცის პროდუქტების სამზად-შესანახ განყოფილებას წარმოადგენს<sup>17</sup>. ვფიქრობთ, რომ აბულის ტბის უკვე არქეოლოგიურ ძეგლადქცეულ სამეურნეო ნამოსახლარში, კერძოდ კი, ქოხსახლებში ანალოგიურ ვითარებას უნდა ჰქონოდა ადგილი. ეს ვარაუდი უფრო ნათელი გახდება, როცა საიალლო ქოხების მშენებლობისათვის დამახასიათებელ ტრადიციას გავიხსენებთ. ეს ტრადიცია კი შორეული წარსულიდანაა მომდინარე და გარკვეულ კულტურულ-ისტორიულ მონაბოვარს წარმოადგენს. მცირე კავკასიონზე რაგინდ პატარა მოცულობის წყემსური ქოხი არ უნდა იყოს, იგი პირობითად მაინც ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთში ადამიანის საძინებელია გამართული, ხოლო მეორე, შედარებით უფრო პატარა ფართისა, — მესაქონლეობის პროდუქტებისათვის გამოიყენება. ეს მაშინ, როცა ერთსათავისიან ქოხთან ვვაქვს საქმე. ორსათავისიანზე ლაპარაკიც ზედმეტია. საქართველოსათვის ბინადარი, ადგილობრივად მომთაბარე, მესაქონლეობა იყო და არის დამახასიათებელი. და სწორედ ამიტომაცაა, რომ აჭარის, გურიის, იმერეთის, მესხეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭისა და საერთოდ საქართველოს სხვა კუთხეების საძოვრებშიც მოსახლეობა ყოველთვის მყარად ნაგებ სეზონურად საცხოვრებელ მოსახლეს იშენებდა<sup>18</sup>.

<sup>16</sup> ტ. ბუნიიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 21—25.

<sup>17</sup> თ. ჩიქოვანი, მთური ჭარგვალი ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. I, გვ. 10, 11, 16, 20.

<sup>18</sup> თ. ჩიქოვანი, მთური ჭარგვალი...; ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969.

აბულის ტბის სამეურნეო ნამოსახლარში, როგორც უკვე ნათქვამი იყო. ნაქონართა ირგვლივა დაგეგმარებული საქონლის ღია სადგომები, რომელთაგან ზოგიერთი ფართით ორასიოდე კვ. მეტრია, ხოლო მცირენი — 30—40 კვ. მეტრი. დიდს ქართველები ხალხამს<sup>19</sup> უწოდებენ, პატარებს კი ბერას. ბერა ნამოსახლარებში ორმოცამდე ბერა შემორჩენილი, და ისიც სანახევროდ ნანგრევების სახით. ყველა ბერა გეგმაზე მომრგვალო მოყვანილობისაა, შემოზღუდულია ლოდებით და ორი საკარეთი ხასიათდება. თანამედროვე ბერათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი საკარე ადგილი ცხვრის „შესადენი ყელი“ უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე — „გასადენი“.

ბერათა ქვისაგან შექმნილი ზღუდე-კედელი ამჟამად მთლიანი სახით აღარაა შემონახული. დრომ და ვითარებამ მათდა ხალხამებსაც თავისი დაღი დასვა. ზღუდეები სანახევროდ მიწითაა დაფარული, რაც 60—70 სმ არ აღემატება; სისქეც ასევე არათანაბარია, ეს უკანასკნელი ლოდების სისქე-სიდიდენა და მოკიდებული. ბერათა ზღუდე-კედელი 50—60 სმ შორის მერყეობს. რაც შეეხება „ყელთა“ სიგანეს, ისინი სტანდარტულის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მათი სიგანე 70 სმ არ აღემატება. მოცულობის მიხედვით ნამოსახლარში გვხვდება 18 კვ. მ-დან მოყოლებული ორმოციოდე კვ. მ ფართის მქონე ბერები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბერას სახით ქართულ მესაქონლეობაში (წვრილფეხმესაქონლეობაში) საქმე გვაქვს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული დუალური დანიშნულებისა და ტრაფარეტული გეგმა-მოყვანალობის საქონლის ღია სადგომთან. იგი ცხვრის საწველი და სადგომი ნაგებობაა. ბერას თანამედროვე ვითარებაში მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს: იგი მხოლოდ საწველია. სადგომად ბაკებს იყენებენ. გარდა აღნიშნულისა, ბერა წარმოადგენს ბინადრად მოიალადე მესაქონლეობის მატერიალურ დამადასტურებელ ფაქტს. ამგვარი რამ ნომადებისათვის უცხო იყო. მაგალითად, თურქეთში დღემდე მომთაბარე იურიუკები ცხვარს დღედაღამ აძოვებენ. მოსაწველი ცხვარი მხოლოდ დილით მიჰყავთ თავიანთ კარებთან<sup>20</sup>.

ხალხამი გეგმაზე აგრეთვე მომრგვალო მოყვანილობისაა, მაგრამ ბერასთან შედარებით საკმაოდ დიდი ფართისაა და თანაც დიდი ლოდებითაა ნაგები მისი ზღუდე-კედელი. ქართველებისაგან განსხვავებით ჩამოსახლებული სომხები და სამხრეთ საქართველოში მომთაბარე აზერბაიჯანელები თურქული ენის გავლენით ხალხამს — მსხვილფეხა საქონლის ღია სადგომს აღილს უწოდებენ. სხვათაშორის, მათთვის ბერაც აღილია<sup>21</sup>.

ხალხამი დიდი მოცულობის მსხვილფეხა საქონლის ღია სადგომია. აქვს ერთი საკმაოდ ფართო შესასვლელი — მისი სიგანე 1,5 მ. აღწევს. დღემდე შემონახულ ზღუდეთა სიმაღლე 1 მ-მდეა, ხოლო სიგანე, რომელიც ბერასავით კვლავ ლოდების სისქეზეა დამოკიდებული, 70×90 სმ შორის მერყეობს. როგორც ჩანს, არქეოლოგიურ ძეგლად ქცეული ხალხამთა შესასვლელებიც ამჟამინდელ ხალხამებსავით ხის ლატანებით იკეტებოდა.

აბულის ტბის სამეურნეო ნამოსახლარში, შედარებით კარგად შემონახულ ზოგიერთ ხალხამში ეშტიელ სოთხებს დამ-დამობით თავიანთი საკოლმე-

<sup>19</sup> ქვით შემოზღუდულ და ოთხკუთხედის მოყვანილობის საქონლის ღია სადგომებს მესხეთ-ჭავჭავთში ხალხამს უწოდებენ.

<sup>20</sup> Д. Еремеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

<sup>21</sup> ინ. დ. მაგაზანიის მიერ 1931 წ. გამოცემული თურქულ-რუსული ლექსიკონი.

ურნეო მეწველი საქონელი უყენიათ. ეშტიელთა საკოლმეურნეო ფერმა ამ ნამოსახლარის გვერდით, ტბის ნაპირზეა გაშენებული. მათ ფერმაში ორი ბრიგადაა და ორივე მეძროხეობისაა. უნდა ითქვას, რომ აბულის იალალები ამჟამად უმთავრესად მსხვილფეხა საქონლის საძოვარია. თუ ხალხამთა სიმრავლესაც გავითვალისწინებთ, აშკარა ხდება, რომ აბულის საძოვარი მსხვილფეხა საქონლის ტრადიციულ იალაღს უნდა მიეკუთვნებოდეს. როგორც ჩანს, აქ ცხვარი დიდი რაოდენობით არც წარსულში უნდა ეძოვებინათ, ამავე ფაქტზე ბერათა სიმცირე მიგვიჩივებს.

ხსენებულ სამეურნეო ნამოსახლარში არსებული ხალხამები ფართის მიხედვით პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1. ხალხამები, რომელთა ფართი 100-დან 150 კვ.მ-მდე მერყეობს, 2. ხალხამები, რომელთა ფართი 400—500 კვ. მეტრია. ნამოსახლარში ამჟამად 16 ხალხამია შემორჩენილი, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ 100 კვ. მ. ხალხამში ორმოცდაათი სული მსხვილფეხა საქონელი ეტევა, მაშინ ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რა დიდი რაოდენობით უნდა ჰყოლოდა საქონელი ამ ბაზის მეპატრონეს. ამგვარი მასშტაბის მესაქონლეობის წარმოება მხოლოდ დიდ ფეოდალს შეეძლო. დიდი მასშტაბის მესაქონლეობა კი X—XIII სს. ჯავახეთისათვის უცხო არ იყო<sup>22</sup>.

აბულის ტბის სამეურნეო ნამოსახლარის ადგილმდებარეობა, დასახლების კომპაქტურობა, ნაქოხართა და საქონლის სადგომთა სიმრავლე იმის მანიშნებელია, რომ ჯავახეთის ამ ნაწილშიც უნდა არსებულებოდა ფეოდალთა გლეხობის „ზაფხულ საჯდომი“ ანუ მესაქონლეთა სეზონური ხასიათის სპეციალიზებული მუდმივი დასახლება, ბაზა. ამგვარად სპეციალიზებული სამეურნეო დასახლება „ზაფხულის საჯდომი“ — ძველი საქართველოს მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის დაკავშირებულია მეურნეობის გარკვეულ მომენტებთან და მთისა და ბარის ურთიერთობის მატერიალური გამოსახულებათა<sup>23</sup>.

გარდა აღწერილი სამეურნეო დასახლება-ნამოსახლარისა აბულ-სამხარის საძოვრებზე აქა-იქ შემონახულია ცალკე დგმული, რამდენიმე ხალხამიან-ნაქოხრიან მცირე სამეურნეო ნამოსახლართა ნაშთები, რომლებიც მიგვიჩივებენ, რომ „ზაფხულად საჯდომი“ სამეურნეო ბაზები ქართულ მცირე კავკასიონზე მართლაც საკმაოდ დამახასიათებელ მოვლენად გამოიყურება. ეს რომ ასე იყო, ამაზე კვლავ მიგვანიშნებს ჩილდირის იალაღზე ფიქსირებული ფაქტობრივი მონაცემები.

ჩილდირის ქედის იალაღები ამჟამად ძირითადად თურქეთის სახელმწიფო საზღვარშია მოქცეული. ის რაც საქართველოს ტერიტორიაზეა დარჩენილი, მეტად მცირეა. მიუხედავად ამისა, სასაზღვრო ზოლის გამო საქართველოში დარჩენილმა ნაწილმა საკმაოდ რელიეფურად შემოგვინახა ძველი სამეურნეო მატერიალური კულტურის ნაშთები: საქონლის ღია სადგომები და ნაქოხრები.

XIX ს-ის ვითარებაში ქართველ მესაქონლეებს ჩილდირის ქედის ორივე მხარეზე დაუდიოდათ ცხვარ-ძროხა<sup>24</sup>. ისინი თითქმის პირველ მსოფლიო

22 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86, 87, 117, 118.

23 იქვე. გვ. 219.

24 ნ. ვერმიშევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

ომამდეც საქონლის გაცვლა-გამოცვლის მიზნით ყარსსა და არდავანშიც დადიოდნენ<sup>25</sup>. ასე რომ, ჩილდირის ქედის იალაღები რთული პოლიტიკური ვითარებების მიუხედავად (XIX საუკუნე ხომ რუსეთ-თურქეთის ომების გაუთავებელი პერიოდი) მაინც ინტენსიურად იყო ათვისებული.

საქართველოს ფარგლებში დარჩენილი ჩილდირის ქედის საძოვრები მცენარეული საფარის მიხედვით უკეთ გამოიყურება, ვიდრე აბულ-სამსარი-სა. სასაზღვრო ზოლის გამო საქონლის ძოვება მტკიცედა რეგლამენტირებული. საძოვრები აქაც სხვადასხვა რაიონის კოლმეურნეობებზეა განაწილებული. ყოველ კოლმეურნეობას თავისი ფერმა-ბინები აქვს გაშენებული, რომელთაგან ზოგიერთი მართლაც პასუხობს მეცხოველეობის თანამედროვე დონეს. საინტერესოა, რომ საკოლმეურნეო ფერმა-ბინათა უმეტესი ნაწილი გაშენებულია ძველ ალპურ სამეურნეო ნამოსახლარებზე, ანდა უშუალოდ მათ სიახლოვეს.

მართალია, ზაფხულობით აქ ცხვარიც მოედინება, მაგრამ თანამედროვე სურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩილდირის საძოვრები მაინც მსხვილფეხა საქონელს აქვს დათმობილი.

ჩილდირის საძოვრებზე ყოფნისას საშუალება მოგვეცა დაგვეთვალიერებინა ის ადგილები, სადაც ქართველთა მიერ ძველნაშენი სამეურნეო ბაზები არიან განლაგებული. დღევანდელი მოსახლეობა — სომხობა თურქული ენის გავლენით ამ ბაზა-ნამოსახლარებს აღილებს უწოდებს. ცალკეულად ადგილები სამეურნეო ბაზა-ნამოსახლარები ერთმანეთისაგან ერთი კმ-ით თუ იქნება დაშორებული და აბულის ტბის ნამოსახლარებთან შედარებით მცირე დასახლებებს წარმოადგენენ.

პირველი ნამოსახლარი, რომლის სახელიც უკვე აღარავისათვისაა ცნობილი, ქარისაგან დაცულ „მზისგულზეა“ გაშენებული. მას სამი მხრიდან მთის ფერდობები იცავენ. წინა მხარე ღია აქვს, საიდანაც (აღმოსავლეთით) მოჩანს აბულ-სამსარის ქედის თვალწარმტაცი პანორამა. ამ ნამოსახლარს მაინცდამაინც დიდი ტერიტორია არ უკავია. მისი ფართობი ორ ჰექტრამდე აღწევს. რის გამო არც ხალხამებია დიდი. დასახლებაში ორი ხალხამის სამი პატარა ბერას და ორი, აგრეთვე პატარა, ქოხსახლის ნაშთია.

ხალხამები ჩვეულებრივად დიდი ლოდებისაგანაა ნაშენი. აქვთ ერთი საკარე. გეგმაზე ორივე ოვალსურობის ტენდენციას ამჟღავნებს. ერთის ფართი 140 კვ. მ უდრის, ხოლო მეორისა 152 კვ. მ. ორივე ხალხამი იავარყოფილია.

ხალხამებთან შედარებით ბერათა ნაშთებით მხოლოდ ქვით ნაშენ-შემოზღულდული და ალაგ-ალაგ გაწყვეტილი წრეხაზების შთაბეჭდილებას ტოვებენ. გეგმაზე სამივე მომრგვალო მოყვანილობისაა და ფართით ერთმანეთს თითქმის არ აღემატებიან (15 კვ. მ — 16 კვ. მ).

მესაქონლეთა ამ ნამოსახლარში შემორჩენილია ორი ნაქოხრის უტყუარი ნაშთი, რომლებიც ნაგლეჯი ქვით უნდა ყოფილიყვნენ ნაშენი. თვალნათლივ ჩანს ნაგლეჯი ქვით ამოყვანილი ზეძირკველი. ორივე ნაქოხარი გეგმაზე ოთხკუთხედის მოყვანილობისაა. ზეძირკველის გეგმაზე აშკარად ჩანს საკარე ადგილები. მათი ორიენტირი სამხრეთ-აღმოსავლეთია. ერთი ნაქოხარი ორ-

<sup>25</sup> მ. ჩიქოვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52; მ. მაკალათია, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი), მესხეთ-ჯავახეთი, ეთნოგრაფიული მასალების კრებული, თბ., 1972, გვ. 37, 59.



სათავსიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მეორე აშკარად ერთიანია. ორსათავსიანის ფართი 22 კვ. მ აღწევს, ხოლო ერთიანისა 14 კვ. მეტრს.

მეორე ნამოსახლარი აგრეთვე უსახელოა და პირველისაგან რვა-ასიოდე მეტრით თუ იქნება დაშორებული. იგი უფრო დავაკებულ ადგილზეა გაშენებული და არც თუ ისე მოშორებით (სულ ასიოდე მეტრზე) ანკარა ნაკადული ჩამოედის. ესეც კომპაქტურად დაგეგმარებული სამეურნეო „ზაფხულ საჯდომია“. ბაზა-ნამოსახლარში ჯერ კიდევ ხათლადაა შემონახული სამი ნაქობრის, ხალხამის ხუთი და ორი ბერას ნაშთი. ნამოსახლარის ტერიტორია ორ ჰექტარს არ აღემატება.

ამ სამეურნეო ბაზა-ნამოსახლარის გეგმა აბულის ტბის ბაზა-ნამოსახლარისას ჩამოჰგავს. ნაქობრები დასახლების ცენტრშია მოქცეული, ხოლო საქონლის სადგომები მათ ირგვლივაა განლაგებული.

ნაქობართა ნაშთები გეგმარებით აქაც ოთხკუთხოვანია. სამივე ორ-ორ განყოფილებიანია. მათ საშენად ნაგლეჯი ქვაა გამოყენებული. საკარებო ადგილები ზეძირკველთა გეგმაზე კარგად შეიმჩნევა. საკარებოთა სიგანე 80 სმ არ აღემატება. ასევე სტანდარტულია ზეძირკველთა სისქე — 50 სმ. რაც შეეხება ფართს, იგი სხვადასხვანაირია. ერთის 18 კვ. მ-ია, მეორესი 19, ხოლო მესამესი — 21 კვ. მ. აი ეს ფართებია დაყოფილი თითოეულ ნაქობარში ორად. დაყოფა არათანაბარია. სამივე ნაქობარში ერთი სათავსი მეორეზე ყოველთვის დიდია. თუ თანამედროვე, ანდა XIX ს-ის საიალლო ცხოვრების ტრადიციას გავიხსენებთ, ამ ორსათავსიან ნაქობართა დიდი „ოთახები“ მწყემსთა უშუალო სამყოფი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ნაქობართა გადახურვას, როგორც პირველ ნამოსახლარში, ისე მეორეში, მიწურ-ბანური უნდა ყოფილიყო. ეს ვარაუდი მათ აღნაგობასა და სამხრეთ საქართველოში გავრცელებულ ხალხურ სამშენებლო ტრადიციაზეა დამყარებული. ბანური კი იყო, მაგრამ როგორი ბანური, ბრტყელი თუ ზურგიანი? ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ სავარაუდოა, რომ ამ ნაქობართა სახურავები დასახლების რელიეფის მიხედვით იყო გაკეთებული. მაგალითად, არც თუ ისეთ შორეულ წარსულში ჩვენი წინაპრები როცა იალაღებზე ქოხსახლებს აგებდნენ, საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ რელიეფს. თუ იგი დავაკებული იყო, მაშინ ქოხსახლს ზურგიან ბანს უკეთებდნენ. მაგრამ თუ ნავარაუდები იყო, რომ ქოხსახლი სანახევროდ ფერდაში უნდა შეედგათ, მაშინ მას ბრტყელი ბანით ხურავდნენ. ბრტყელ ბანს იმიტომ უკეთებდნენ, რომ ასეთი სახურავი ფერდაზე დაცურებულ ზეგას ტრამპლინივით ირეკავდა. თუ მშენებლობის ამდაგვარი ხერხის გამოყენებით მივუღებთ, მაშინ პირველი ნამოსახლარის ნაქობართა სახურავი ბრტყელი ბანით უნდა ყოფილიყო მომთავრებული, ხოლო მეორესი კი ზურგიანი ბანით. საერთოდ გადახურვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეს სამშენებლო ელემენტი მეტად კონსერვატული ხასიათის მატარებელია. მაშინ როდესაც საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა ნაგებობათა გარეგანი თუ შინაგანი სახე, სახურავი კვლავ უცვლელი რჩებოდა. ნაგებობაში სახურავი ყველაზე ნაკლებად ცვალებადი ელემენტია.

ქოხსახლთა, ანუ ნაქობართა განათების საშუალება აბულის ტბის ანალოგიური უნდა ყოფილიყო, რადგანაც მცირე ზომის მიწურბანიან ნაგებობებში, მით უმეტეს საიალლო ქოხსახლებში ყველაზე ობტიმალურია კარის მხრიდან



განათება. დღემდე შემონახულ ძველნაშენ მწყემსურ ქოხსახლებში საშუქად კარის სიახლოვესაა დატანებული პატარა სანათური. ასეა მთელ ქართულ მცირე კავკასიონზე.

მეორე ნამოსახლარში არსებული ხალხამები ფორმა-მოყვანილობითა და კედელ-ზღუდეთა მიხედვით სხვა თანამომკმეებისაგან არაფრით არ განსხვავდება. ასევე ითქმის ბერათა შესახებაც. ხალხამთა ფართი 80-დან 115 კვ. მ მერყეობს. ბერები ჩვეულებრივ გაცილებით პატარები არიან. მათი ფართი 20 კვ. მ. არ აღემატება.

როგორც აღწერილობიდან დავინახეთ, ჩილდირის ეს ორი საიალალო სამეურნეო ბაზა-ნამოსახლარი მცირე მოცულობისა და შედგენილობის დასახლებას წარმოადგენს. ნამოსახლარში აშკარად დასტურდება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სამშენებლო კულტურის მიერ შექმნილი ნაგებობანი. ნაგებობათა ერთი წყება — საქონლის ღია სადგომები ციკლოპური ხასიათის მატარებელია. რაც შეეხება მეორე წყებას — მესაქონლეთა ქოხსახლებს — (მასალისა და მშენებლობის ტექნიკის მიხედვით) მათი ქრონოლოგიური მიჯნა ადრეფეოდალურ ხანას არ უნდა სცილდებოდეს. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე აბულის ტბის ნამოსახლარშიც.

სამხრეთ საქართველოს ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ზემოთ განხილულ იავარყოფილ სამეურნეო დასახლებებს „ნაქობრებს“, „ნაოხრებს“ და ზოგჯერ „ნაქართლსაც“ უწოდებს. მართალია, პირველი ორი სახელწოდება ბოლომდე არ ხსნის მათ ნიშანდობლივ თავისებურებას, სპეციფიურობას, მაგრამ სამაგიეროდ ნათლად ასახავს დასახლების თანამედროვე მდგომარეობას. მეტის მთქმელი უნდა იყოს სახელწოდება „ნაქართლი“, რომელიც შესაძლებელია უფრო ნათელს ჰფენდეს მის დანიშნულებას. თუ ამ ტერმინს „ქართას“ დავუკავშირებთ, მაშინ ნაქართლი მართლაც რაღაც კავშირში უნდა იყოს „ქართლის“ თავდაპირველ მნიშვნელობასთან, ზღუდებიან დასახლებასთან<sup>26</sup>.

კოლექტივიზაციამდე, როგორც სავსელ ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, ჯავახელი ქართველი გლეხობაც იშენებდა საიალალო ქოხსახლებს. მათი საიალალო ქოხსახლები, სანახევროდ მიწაში ჩადგმული, ნაგლეჯი ქვისა და ტალახის გამოყენებით ნაშენი, არც თუ ისე დიდი მოცულობის ბანიანი ნაგებობები იყო. მესხეთ-ჯავახეთში დღემდე მოქმედი საიალალო დასახლებები პატრონომიული ნიშნის მიხედვითაა დაგეგმარებული. სოფლის საერთო საზაფხულო საძოვარზე უწინ ყოველი გვარი ცალკე მიკროუბნად იყო დასახლებული. საიალალო დასახლება, როგორც წესი, ყოველთვის მონოგენურობის მიხედვით იგეგმებოდა. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი აჭარაშიც.

ყოველ პატრონიულ გაერთიანებას ჰქონდა ერთი დიდი ხალხამი, სადაც დამე აყენებდნენ მსხვილფეხა მეწველ საქონელს. რაც შეეხება წვრილფეხა საქონლის სადგომს — ბერას, იგი ყოველ ოჯახს ჰქონდა გამართული საკუთარი ქოხსახლის გვერდით. გარდა აღნიშნულისა, მესხეთ-ჯავახეთის ქართველობამ თითქმის ჩვენ დრომდე შემოინახა საერთო საგვარო-პატრონიული და ცალკე საოჯახო დამლა, საქონლის სერია.

<sup>26</sup> გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 238—239.

თანამედროვე პირობებში, როცა საქონელი საერთო საკოლმეურნეო საკუთრებად იქცა, იალაღებზე პატრონიმიული ნიშნით დასახლებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ეხლა თითქმის ყველა საზაფხულო საძოვარზე აშენებულია, ანდა მშენებლობის პროცესშია საკოლმეურნეო ფერმები, რომლებიც გარკვეულად პასუხობენ თანამედროვე მესაქონლეობის მოთხოვნილებებს.

რევოლუციამდე, განსაკუთრებით კი XIX ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ჯავახეთის საზაფხულო საძოვარებზე ცხვარი უმთავრესად კახეთიდან, უფრო კი ქიზიყიდან მოედინებოდა. მაგრამ როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ამ მხარეში ქართლელებსაც დაუდიოდათ საქონელი. ამის საბუთად წმ. ნინოს ჯავახეთში მოსვლის გახსენებაც საკმარისია. ფარავნის ტბასთან გაჩერებული მქადაგებლისათვის ქართლელ მწყემსებს უსწავლებიათ მცხეთის გზა<sup>27</sup>. ასევე, წერილობითი წყაროებით აშკარა ხდება, რომ მოგვიანო ხანებშიც ქართლისათვის თრიალეთთან ერთად სწორედ ჯავახეთი წარმოადგენდა უმთავრეს საიალადო ბაზას. ჯავახეთშიც დაუდიოდათ თავიანთი საქონლის ჯოგები თორელ ერისთავებს<sup>28</sup>.

აქ მოტანილი და განხილული მესაქონლეობასთან დაკავშირებული, უკვე არქეოლოგიურ ძეგლებადქცეული მატერიალური კულტურის ნაშთები საშუალებას იძლევიან გავაკეთოთ სავარაუდო დასკვნა: საიალადო ნამოსახლართა გეგმის კომპაქტურობა, საქონლის ღია სადგომებისა და ნაქონრების ერთ დასახლებაში თავმოყრა იმის მაუწყებელია, რომ ისტორიულ ჯავახეთში ადგილი უნდა ჰქონოდა დიდი მასშტაბის მსხვილფეხა მესაქონლეობას. ეს საიალადო ნამოსახლარები მსხვილ ფეოდალთა გლეხობის „საზაფხულო საჯდომების“ შთაბეჭდილებას ტოვებენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თრიალეთ-ჯავახეთის იალაღები ისტორიულ წარსულში მსხვილ ფეოდალთა ჯოგების საძოვარებს წარმოადგენდნენ, მაშინ აშკარა გახდება ამგვარი სამეურნეო დასახლებების საჭიროება.

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I. (ლეონტი მროველი), ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, გვ. 85—86.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II (ვამთააღმწერელი), ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1965, გვ. 265.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ

დავით აღმაშენებელი

სულთსაქცევ სპირაზ ორღანოსა და სონინარის წარმოშობა-  
შრტიყრთობის საკითხისათვის

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ მუსიკალური საკრავი ორღანო ძველ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მართალია, საკამათოა საკითხი, ორღანო ძველ ქართულ საისტორიო წერილობით ძეგლებში ყოველთვის ერთსა და იმავე საკრავს აღნიშნავს თუ განსხვავებულს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ სიტყვით აღნიშნულ საკრავსა თუ საკრავებს ქართველები უპირატესად ეკლესიებში იყენებდნენ, ისიც ნათელია, რომ „ძალებიანი, ჩასაბერი და სხვაგვარი საკრავები ძველ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში ბევრი იყო“<sup>1</sup>.

პირველ ყოვლისა უნდა გაირკვეს, როგორი საკრავია თანამედროვე ორღანო. მუსიკალურ ლექსიკონებში მოცემულ განმარტებათა თანახმად ორღანო (ორღან-ი) მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ორგαν“, რაც ნიშნავს იარაღს, ინსტრუმენტს.

ამ ტერმინით ამჟამად აღინიშნება დიდი ზომის სასულე კლავიშებიანი ინსტრუმენტი, რომელიც შეიცავს მრავალ ლაბილურ და ენობურ მილს, საკრავი ორღანო თავისი არსებობის მანძილზე თანდათან იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. მიღების რაოდენობა და ორღანოს სიდიდე განსხვავებულია, ყოველი მილი განოსცემს განსაზღვრული ტემბრის მქონე ერთ ბგერას, რამდენიმე ერთტემბრიანი მილი ქმნის ერთ რევისტრს, ყოველი რევისტრი წარმოადგენს ცალკე სასულე ინსტრუმენტს. შათი ცვლა, ან ერთდროულად ახმიანება იწვევს ისეთსავე შთაბეჭდილებას, როგორსაც ორგესტრი. ორღანოს აქვს მართვის რთული მექანიზმი, რომელსაც ჩვეულებრივ მართავს (ემსახურება) ერთი შემსრულებელი (იშვიათად ერთი ან ორი თანაშემწით). პაერი ორღანოს მიღებს მიეწოდება საბერვლებით, რომლებსაც ამოქმედებს ელექტრომოტორი; ყოველ მილში პაერის მიწოდება ხდება შესაბამის კლავიშზე დაწოლით, ორღანოს კლავიშები ერთიანდება რამდენიმე კლავიატურაში. მათ მეორედან ამუშავებს თითობით (მანუალი) და ფეხებით (პედალი). ორღანო XIV—XVIII საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში. იგი ჯერ საერთო საკრავი იყო. შემდეგ საეკლესიო მუსიკალური ინსტრუმენტი გახდა.

საისტორიო წყაროები და ეთნოგრაფიული მონაცემები მოწმობენ, რომ ამ საკრავის წარმოშობასა და განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, იგი გენეტურად დაკავშირებულია სონინართან (ლარქემთან), რომელიც სალამურის მონათესავე საკრავია (სურ. 1).

სონინარი ოდითგანვე არსებობდა ქართველ მოსახლეობაში. იგი წარმოადგენს მრავალლულიანი საბერვლიანი საკრავის უძველეს საწყისს.


ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იმ ხალხთაგან, რომლებსაც ორღანო ჰქონდათ, სონინარი ყველაზე ადრე მოეპოვებოდათ ქართველებს<sup>2</sup>. როგორც ზემოთ ითქვა, ორღანოს უშუალო წინამორბედი, მისი სულისჩამდგმელი სონინარია და იგი დღესაც ამ რთული საკრავის არსებით ნაწილს წარმოადგენს. ბუნებრივად

<sup>1</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 100.

<sup>2</sup> В. М. Беляев, К вопросу изучения Грузинских музыкальных инструментов, საქ. მეზღუების შობაზე, IX V.; В. К. Стещенко-Куртина, Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки, I флейта Пана, Тб., 1936, გვ. 80—93.

ისმის კითხვა, მიუძღვის თუ არა რაიმე წვლილი ორღანოს შექმნასა და გამოგონებაში ქართველ ხალხს. საკითხის ნათელსაყოფად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, ხშირად იხსენიება თუ არა ორღანო ქართულ ორიგინალურ წერილობით წყაროებში. რამდენად ძველი და მყარია ორღანოს ანალოგიური საკრავისა და სონარის გამოყენების ტრადიცია ქართულ სინამდვილეში.

„ორღანო“ ქართულ ორიგინალურ წყაროებში ხშირად იხსენიება. როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, ორღანო პირველად მოხსენიებულია XI საუკუნის მწერლის გიორგი ხუცესმონაზონის შრომაში: „ძეწნთა ზედა დაგვიდენით ორღანონი ჩუენნი, რამეთუ ღუმლისა მიერ თავთა თუსთა და ორღანონი ცა თუსნი დასაჯნეს... ჰე ჰეშმარიტად, და უქმად უძრავად ორღანონი იგი მეტყველებისა ჩუენისანი ღუმლისა მიერ შეშათა ზედა დაჰკიდენით (ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ, გვ. 341)“<sup>3</sup>.



სურ. 1

ორღანოს ასახელებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი<sup>4</sup>, ეს საკრავი გვხვდება ანდრია კრიტელის საგალობლების ქართულ თარგმანსა და აბდულმესიაში.

ამათ ძალითა,  
რომ ათძალითა

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 357.

ორლანო უძნან  
 ებან ებნითა?<sup>5</sup>

„ორლანო“ მოხსენიებულია სხვა ქართველ ავტორებთანაც (შავთელი, საბა, გურამიშვილი და სხვ.).

ამგვარად, სხვადასხვა ხანის ძველი ქართული წერილობითი ძეგლები მოწმობენ, რომ ორლანოდ სახელდებული საკრავი განსაზღვრული დროიდან მკვიდრად იყო ფეხმოკიდებული ქართველთა ყოფაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორლანო ძველი ქართული მუსიკალური კულტურის ორგანული ელემენტი იყო და მის ბგერებთან ჩინებულად შეწყობილი იყო მრავალი ქართული საგალობლის ტკბილხმოვანება.

ტერმინ ორლანოს შესატყვისი უნდა იყოს ქართული „ათძალი“. ათძალის საამო ხმოვანებაზე კი საგანგებოდ მიუთითებს ჩახრუხაძე: „ფსალმუნთა მთქმენსა, შენსა სისმენსა ათძალი ჰქონდეს, ქნარ-სიტყვა რევანდ<sup>6</sup>“. ეს ლექსი მოწმობს, რომ ფსალმუნთა თქმის ანუ სასულიერო საგალობელთა შესრულებისას ქართველები იყენებდნენ „ათ ძალს“, ორლანოს. დანამდვილებით დასტურდება, რომ ორლანო ძველად, ქართულ ეკლესიებში ხმარებაში იყო და ქართველ ერს არაერთი მრავალძალიანი და საბერვლიანი საკრავი (ორძალი, სამძალი, ოთხძალი, ხუთძალი, გუდასტვირი, სალამური, სოინარი, დუდუკი და სხვ.) ჰქონდა.

ზემოთქმულის შემდეგ საჭიროა გაირკვეს ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, რა თავისებურება და აღნაგობა ჰქონდა ორლანოს.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ორლანოს თუ „ათძალად“<sup>8</sup> წოდებულ სიმებიან საკრავს სხვა სახის ზოგიერთ მუსიკალურ ინსტრუმენტთან ერთად იყენებდნენ (შავთელი, ჩახრუხაძე). საბას განმარტებით, „ორლანო საკრავია — საბერვლიანი“<sup>9</sup>; ე. ი. ორლანო განეკუთვნება საბერვლიან საკრავთა კლასს (სადაც, აგრეთვე შედის გუდასტვირი, დუდუკი, ნესტივი, საყვირი და სხვა). საბას თავისი განმარტების სისწორის დასამტკიცებლად ფსალმუნი (150<sup>4</sup>) აქვს დამოწმებული. იგი, ჯავახიშვილის აზრით, ორლანოს საბასეული „განმარტება დასავლეთ ევროპის ასეთივე სახელის მქონებელი საკრავის აგებულების ცოდნაზეა დამყარებული. საბას ევროპაში თვით უნახავს ორლანო და თავის მოგზაურობის აღწერილობაშიც ერთგან აღნიშნული აქვს, რომ „პატრმა ორლანოს საბერველს ბერვა დაუწყო“<sup>10</sup>. რადგან ორლანო განეკუთვნება საბერვლიან საკრავთა კლასს და მისი ერთ-ერთი არსებითი ნაწილ<sup>11</sup> იყო და არის საბერველი, საბას განმარტება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ორლანოს მეორე არსებით ნაწილს შეადგენდა ის, რაც საბერვლის დაბერვით ხმიანდებოდა.

საბა თავის ნაწარმოებში („მოგზაურობა ევროპაში“) იუწყება: „ერთი მესტირე მოვიდა, ერთი გუდით შვიდ სტირს უკრავდა; ორს სათითები ჰქონდა, — ხუთს არა, ზილი და ბონი შეეწყო, ორლანოს მსგავსი იყო“<sup>11</sup>. გუ-

5 ი. შავთელი, აბდულმესია, 152.

6 ჩახრუხაძე, თამარიანი, V<sub>3</sub>.

7 იგი, ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 131—136, 177—207.

8 „ათძალი — ათ ალყა“ (ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949).

9 ს.-ს. ორბელიანი, დასახ. ლექსიკონი.

10 იგი, ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

11 ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, გვ. 50.

და სტივის დაბერვით ახმინანებს. ამ მხრივ ამ ინსტრუმენტს ცოტაოდენი მსგავსება აქვს ორღანოსთან. რადგან „პატრმა ორღანოს საბერველს ბერვა დაუწყო“, ამ საკრავის საბერველს ისეთივე ფუნქცია ჰქონია, როგორც სტივის გულდას.

დ. გურამიშვილის ნათქვამიც მიგვანიშნებს, რომ ორღანო საბერველიანი საკრავია „ათაძალს ალყანი აუბნა, უკრა, ღვთის ქება აუბნა“... „ორღანოს დაბერა“ (სტივისადაც ხომ ჩაბერვა უნდა), ამასთან ნათქვამი აქვს: „ვმა მოუღაბლე ორღანოს ა შ ი ყ - მ ა შ ი ყ თ ა ს ტვეენასა“. გამოდის, რომ ერთი მხრივ, ორღანოს მეშვეობით შესაძლებელი ყოფილა „აშოყ-მაშოყთა“ სტვენის შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ ღვთის ქება. ევროპაში რომ ორღანო „აშოყ-მაშოყთა“ სტვენისათვის არ იყო განკუთვნილი, ეს ორბელიანსაც კარგად შეუნიშნავს რომში იეზუიტების მონასტერში ყოფნის დროს: „სამს მხარეს ორღანო იყო გამართული მალა და სამსავე მხარეს მგალობლები გალობდნენ“<sup>12</sup>. მონასტერში გალობა კი, როგორც ცნობილია, ღვთისმსახურებასთან არის დაკავშირებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ის ორღანო რომლის ხმას დ. გურამიშვილი „აშოყ-მაშოყთა სტვენას“ უწოდებს, გულდასტივის მონათესავე საკრავი უნდა ყოფილიყო.

როგორც ეს ცნობები, ისე სხვა ზოგიერთი მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ტერმინი „ორღანო“ საქართველოში იხმარებოდა არა მარტო ერთი საკრავის, არამედ საბერველიანი საკრავების საერთო სახელადაც. მაშასადამე, მას ზოგადი ტერმინის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. ის კი აშკარაა, რომ საბას განმარტებაში — „ორღანო საკრავია საბერველიანი“, ნაგულისხმევია მხოლოდ ერთი საბერველიანი საკრავი. ეს რომ ასე არ იყოს, საბა შვიდსტივიანი და გულდასიანი საკრავის შესახებ არ იტყოდა, „ორღანოს მსგავსი იყო“.


შეიძლება დაისვას საკითხი: თუ ორღანო საბერველიანი საკრავია, რად დასჭირდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თანამედროვე მოღვაწეს არსენის ქართლის კათალიკოსი იოვანე „კეთილად მორთული ორღანოსათვის“ შეედარებინა? ხომ არ წარმოადგენდა ორღანო ძალებიან საკრავს?

ივ. ჯავახიშვილს ამ საკითხის შესახებ გამოთქმული აქვს შემდეგი თვალსაზრისი: „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს სახელდობრ მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა მსჯელობის დახასიათებაში აღნიშნული აქვს, რომ ისინი თურმე თვალთმაქცობით გაიძახოდნენ: „არცა ძალი ორღანოსა (აიტანს) მარადის განსხიპულობასო“. აქედან ჩანს, რომ მაშინ ორღანო ძალებიანი საკრავი იყო.

არსენი კიდევ თავის ზემოდასახელებულ ცნობაში გამოჩენილ მაშინდელ ქართველ კომპოზიტორს, იოვანე ქართლისა კათალიკოსს, „კეთილად მორთულსა ორღანოსა“ ადარებს. ამ გამონათქვამითგან ჩანს, რომ ორღანოსაც ყოველთვის კეთილად მომართვა სჭირდებოდა, რომ მისი ჟღერა სასიამოვნო მოსასმენი ყოფილიყო. ამნაირად, ორღანო იგივე ყოფილა, რაც სავალთებელი, ანუ საფსალმუნე იყო... XII საუკუნეში ქართველ ისტორიკოსებსა და მაღალ წრეს ორღანოს აგებულება კარგად სცოდნიათ. ეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში მოყვანილი ერთი შედარებითაც მტკიცდება: „არცა ძალი ორღანოსა [თავს იღებს] მარადის

12 ს.-ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

განსხირობულ ობასაო“. მაშასადამე, ორღანო XII საუკუნეში საქართველოში საბერვლიანი კი არა, არამედ ძალეზიანი საკრავი ყოფილა<sup>13</sup>. ამასთან ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს შემდეგ საგულისხმო ვარემოებას: ებრაელთა ერთძალიან საკრავს ეწოდებოდა ქინორი.



სურ. 2

„ებრაელთა მეორე ჩვეულებრივი ძალეზიანი საკრავის სახელი ებრაულად არის ნობელ, ანუ ნებელ, რომელიც ბერძნულად ნაბლად, ანდა ნაულად არის ვადმოცემული, ქართულად კი საფსალმუნედ არის ნათარგმნი. უფრო ხშირად კი საფსალმუნე ბერძნულ ფსალტერიონს, ლათინურ psalterium-ს, ან organum-ს, ანდა lyra-ს და სიმსურ... სალმოსარანს უღრის“<sup>14</sup>.

ამ ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ვარკვეულ დრომდე ორღანო საბერვლიან საკრავს არ ეწოდებოდა. ის ვარემოება, რომ ებრაული ძალეზიანი საკრავის ნობელის სახელის შესატყვისად ლათინურში ხშირად organum-ი, ანდა lyra (ლირა) იხმარებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ორღანო (organum) თავდაპირველად საერთოდ ძალეზიანი საკრავის აღნიშვნელი იყო. ამასთან საგულისხმოა, რომ ლათინური organum (ორღანო), რომლის იდენტურია ტერმინი საფსალმუნე (ლათ. psalterium, ბერძ. ფსალტერიონ), ბერძნული organon-იდან მომდინარეობს.

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი, დსახ. ნაშრომი, გვ. 139—140.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 138.

ორღანო ქართულში ბოლისემანტური სიტყვაა. აღნიშნავს: 1. საერთოდ იარაღს, ინსტრუმენტს; 2. მუსიკალურ საკრავს. ეს კარგად ჩანს სიტყვა ორღანოს საბასეული განმარტებიდან: „იარაღი ესე არს ჭურჭელნი, კელოვანთა საკმარნი, რკინათა თუ ძელთაგან, მეომართა აღსაკაზმავი, გინა ცხენთა, ანუ ხუროთა, მჭედელთა და კალატოზთა. ეს მსოფლიოთა ენითა არს. ხოლო სამღვდელოთა ენითა ჭური, ჭურჭელი და რომელთამე ორღანო ეწოდებს“<sup>15</sup>.

„ორღანო“ სიტყვის, როგორც მუსიკალური ტერმინის, თავდაპირველი მნიშვნელობის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგი გარემოების გათვალისწინებას: შესაქმნეს ებრაულ ტექსტში დასახელებულია ტერმინი *ugab*, რომელიც აღნიშნავს აუბალის (ქართველი ტომი) სალამურს<sup>16</sup>. ქართულ ბიბლიაში ეს ადგილი ასეა თარგმნილი: „აუბალი იყო გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა“ (IV, 21). ერთ თალმუდურ წიგნში (*milte lagiborim*), ძველი ტრადიციის თანახმად, ეს „სალამური“ გაგებულია როგორც გუდასტირი (*sackpfeife*), რომელიც უფრო გვიან დანიელის წიგნში (III, 5, 10, 15) მოხსენიებულია სიმფონის (*sumfoniákh*) სახელით, რომელიც ქართულად ნათარგმნ ბიბლიებში გამოტოვებულია. ბერძნულ სირიქსს *συνεχ*; თარგმანში შეესატყვისება მეორე ებრაული ტერმინი *masroqita*, რომელიც მოხსენიებულია დანიელის წიგნში (III, 5, 10, 15).

კახანოვიჩი მიუთითებს, რომ ზოგიერთი კომენტატორი *masroqita*-ს აიგივებს ძველ *ugab*-თან და ვარაუდობს, რომ ეს უკანასკნელი არ განსხვავდებოდა ბერძნული *σῦνχ*-ისაგან, ე. ი. მრავალღეროიანი, პანას სალამური-საგან<sup>17</sup>.

ამასთან დაკავშირებით ვ. კ. სტეშენკო აღნიშნავდა: «В то же время, возможно, что и под симфонией, также отождествляемой с *ugab*, могла подразумеваться, по *Casapowicz*'у не только волынка, но и флейта Пана, как сложный флейтовый инструмент.

Все эти колебания в толковании понятия *ugab*, то в смысле волынки, то многоствольной свирели, объясняются еще более, поздним применением этого термина к органу или гидравлу (например, в псалме 150,4 термин *gab*), в котором соединялся механизм вдвухания многотрубная форма».

ვ. კ. სტეშენკოს თანახმად, თუ *ugab*-ი მოგვიანებით თალმუდურ ლიტერატურაში ეწოდებოდა ჰიდრავლს (პირვანდელი „ორღანო“), რასაც საბას მიერ ფსალმუნის დამოწმებაც ცხადყოფს „ორღანოს“ განმარტებისას, მაშინ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს სახელი (*ugab*-ი) ჰიდრავლზე გადავიდა მისი პირველი პროტოტიპიდან, სახელდობრ მრავალღეროიანი სალამურიდან. ამასთან აღსანიშნავია, რომ ებრაულ წყაროში *ugab* სახელით თავდაპირველად, როგორც ითქვა, აღნიშნული იყო მუსიკის მითოლოგიური შემქმნელის აუბალის საკრავი<sup>18</sup> (რომელიც მრავალღეროიანი საკრავი — ლარქემი უნდა ყოფილიყო).

<sup>15</sup> ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა.

<sup>16</sup> В. К. Стешенко-Куфтина, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

<sup>17</sup> I. M. Casapowicz, The collections of Old word Archeology in the United States National Museum, Washington, 1924, გვ. 488.

<sup>18</sup> В. К. Стешенко-Куфтина, Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки, I. флейта Пана, გვ. 72—74.



„უგაბი“ რომ არ აღნიშნავდა გულა-სტვირს, მეტყველებს ის ფაქტი, რომ გულა-სტვირი ებრაელებში გაჩნდა გვიან (მათი ბაბილონელთა ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ). sumponia-ს სახელით ცნობილი ქალღური საკრავის სახით.

როგორც ვხედავთ, ძველებრაული სამუსიკო ტერმინები ბუნდოვანი ყოფილა მაშინაც, როცა ბიბლია ბერძნულად ითარგმნებოდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ებრაულმა სიტყვამ *אגב*-მა, რომელიც მრავალდროიან ჩასაბერ ინსტრუმენტს აღნიშნავდა, ბერძნულ ტექსტში შეცდომით მიიღო ძალებიანი საკრავის მნიშვნელობა: აქ ქინთორისა (იგივე ქნარი) და უგაბის ნაცვლად წერია საფსალმუნი და კითარა<sup>19</sup> (ქართულში საფსალმუნი და ებანი), კითარას — კი შეესაბამება ქართული ებანი (ძალებიანი საკრავი).

ვფიქრობთ, ესლა უფრო ნათელი უნდა იყოს, რითაა გამოწვეული ძველ ქართულ ტექსტში ორღანოს სხვადასხვანაირი გაგება და რატომაა იგი გაიგივებული ძალებიან საკრავთან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და არსენის ცნობებში.

მუსიკალური ინსტრუმენტებიდან ევროპაში გარკვეული დროიდან ორღანო (organum) მხოლოდ იმ საბერვლიანი საკრავის აღმნიშვნელი გახდა, რომელიც დღესაც ამ სახელწოდების მატარებელია. როგორც აღვნიშნეთ, მისი ორი ძირითადი ელემენტია საბერველი და თვით საკრავი, რომელიც ლითონის სოინარების (ლარქემების) სახითაა წარმოდგენილი. ს.-ს. ორბელიანს ევროპული ორღანოს აღწერისას, გარდა საბერველისა, დასახელებული აქვს სათითურები („მერე ორღანოს სათითურებმა ძვრა შეჰქმნეს“) <sup>20</sup>, ჩხირი („ორღანოს საბერველს ბერვა დაუწყო, ერთი ჩხირი დასარა“) <sup>21</sup> და ჯახრაკი („ერთი პატარა ორღანო იყო, სამი კაცი იჭდა, ორი დედაკაცი, ერთი ჯახრაკით ააბრუნა პატრმა“) <sup>22</sup>.

სათითურები, აშკარაა. კლავიშებს აღნიშნავენ. რაც შეეხება ჩხირს და ჯახრაკს, ამ ცნებებს გარკვევა სჭირდება, რაზედაც ჩვენ არ შევჩერდებით. საბას ნამბობიდან ცხადი ხდება, რომ მის დროს ევროპაში ორგვარი ორღანო არსებულა — პატარა და დიდი.

საგულისწმოა ის გარემოებაც, რომ ორღანოს დასახელებული ნაწილები, გარდა „ჯახრაკისა“, ძველი ქართული სამუსიკო ხელოვნებისათვის უცხო არ იყო. ორღანოს უმნიშვნელოვანესი ნაწილი — სოინარი (ლარქემი) დამოუკიდებელი სახით ქართველების ძველთაძველი საკრავია. ისინი ფლობდნენ ამ საკრავის კეთებისა და გამოყენების ფრიად მაღალ ტექნიკას. რაც შეეხება საკრავის საბერველს, მას ქართველები გუდისა თუ ტიკის სახით იყენებდნენ სტვირის ასამღერებლად. ქართველებს მოეპოვებათ აგრეთვე „ნესტვა“ (სალამური, სოინარი, სტვირი და სხვ.) ხმის მარეგულირებელი ელემენტები სათითურთა და ნაჩრეტთა სახით.

გუდის ანუ საბერვლის სტვირთან დაკავშირების შედეგად მივიღეთ გულა-სტვირი, ხოლო საბერვლისა და სოინარის (ლარქემის) შეერთებით — ორღანო. ორივე საკრავის პრინციპი ერთია: საბერვლისა და ძველ ქართულში „ნესტვად“ წოდებული საკრავის შეუღლება. ამის

<sup>19</sup> К. Стешенко-Кухтина, დასახ. ნაშრომი, გვ. 74—76.

<sup>20</sup> ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, გვ. 50.


<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> იქვე.

გათვალისწინება აუცილებელია ორღანოს წარმოშობისა და განვითარების განხილვისას, რაც ქართული მუსიკის ისტორიის ღრმა ცოდნას მოითხოვს.

ამჟამად ორღანოდ (*organum*) წოდებული საკრავის უარსებობის ნაწილია შუიდან ორმხრივ ირიბად წაკვეთილი ქართული სოინარის ანუ ლარქემის (მრავალღეროიანი სალამური) ღეროების (ლულების) მსგავსად განლაგებული სხვადასხვა სიმაღლის ლულების რიგი. ეს გარემოება იმას უნდა მოწმობდეს, რომ სოინარის აღნიშნული სახეობა თავისი ფორმითა და მუსიკალური თვისებებით სრულყოფილია (რამდენიმე ასეთი ტიპის სოინარი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხის ფონდში, 4 სოინარი წარმოდგენილია ამავე მუზეუმის ეთნოგრაფიულ გამოფენაში).

მრავალღეროიანი ანუ მრავალლულიანი სალამურის (ლარქემის) მექანიკურ ორღანოდ გარდაქმნის პირველი ცდა დაკავშირებულია ბერძენი სწავლულის, არქიმედის სახელთან, მან ამ საკრავისათვის გამოიყენა წყლის ძალა, რის გამო ორღანოს ამ პირველ სახეობას სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება ჰიდრაველოსი (სურ. 3). იგი გააუმჯობესა ტექნიკოსმა კტეზიბემ




სურ. 3

(ალექსანდრია, ძვ. წ. IX ს.). ამ საკრავის თავისებურება იმაში გამოიხატებოდა რომ წყლის სვეტის მეოხებით შეკუმშული ჰაერი გადაეცემოდა ორღანოს ლულებს (სოინარებს). წყალი მომარაგებული იყო კასრებში. ჰიდრაველოსი შეცვალა უფრო გაუმჯობესებულმა პნევმატურმა ორღანმა, რომელმაც მისი წინამორბედი (ჰიდრაველოსი) საბოლოოდ განდევნა ხმარებიდან ახ. წ. VI ს.<sup>23</sup>. მან თანდათანობით გაუმჯობესების შედეგად მიიღო თანამედროვე ორღანოს სახე.

აღსანიშნავია, რომ პნევმატური ორღანოს ტიპს განეკუთვნება აგრეთვე ძველებრაული მარგრეფა<sup>24</sup>, რომელიც იდგა იერუსალიმის მეორე ტაძარში.

<sup>23</sup> В. К. Стещенко-Купчина, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 94—95.

<sup>24</sup> იქვე, 83. 93.



სურ. 4

ის უფრო კეთილშობიანი იყო, ვიდრე ჰიდრავლოსი. მარგრეფას ყოველ ლუ-  
 ლას ჰქონდა 10 ნაჩრეტო.

\*  
 \*

ქართული მუსიკის ისტორიის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, ისაა  
 საგულისხმო, რომ ორღანოს პროტოტიპს, მის სულსჩამდგმელს წარმოად-  
 გენს სოინარი ანუ ლარქემი (ლარქამი), რომელიც სამეცნიერ-  
 რო ლიტერატურაში ცნობილია მრავალეროვანი სალამურის სახელწოდებით  
 („სოინარი“ სიტყვის მონათესავეა სოლინარი, რომელიც ძველ ქართულ-  
 ში ნიშნავდა მილს). ის არის ჩასაბერი სამუსიკო იარაღი, განეკუთვნე-  
 ბა იმ საკრავთა ჯგუფს, რომელნიც, საბას განმარტების თანახმად, „ნესტუ-  
 აღ“ იწოდებოდნენ. ნესტვად წოდებულ საკრავთა ერთ სახეობას წარმოად-  
 გენს სტვირი (ფსტვრი || სტვირი). სოინარი არის რამდენიმე  
 ერთ ჯგუფად, მიჯრით შეწყობილი სტვირები (ივ. ჯავახიშვილი); საბას გან-  
 მარტებით, სოინარი სწორედ იმით განსხვავდება ჩვეულებრივი სტვირ-  
 საგან, რომ ამ საკრავში „სტვრნი შეწყობით შეწყებულნი“ არიან. მაშასადამე,  
 სოინარი არის მრავალსტვირიანი საკრავი.

საგულისხმოა, რომ ამ საკრავს სახელად, გარდა აღნიშნულისა, გვხვდება  
 სასწრაფო. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ძველე-  
 ბურ ექვსმილიან (ექვსბუდიან) სათოფისწამლესაც „სასწრაფო“ ერქვა  
 (ვ. კ. სტეშენკო). არანაკლებ საყურადღებოა, რომ ლაზურად სოინარს „ოსტ-  
 ვინონი“ ეწოდება.

ზემოაღნიშნულ ტერმინთა სიმრავლეს კი ცხადყოფს, რომ სოინა-  
 რი ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ორგანული ელემენტი იყო,  
 ის ჩვენმა წინაპრებმა სხვებისაგან დამოუკიდებლად შექმნეს და მრავალი სა-  
 უკუნის განმავლობაში აუმჯობესებდნენ მას, უხამებდნენ მის წყობას ვოკა-  
 ლურ პრაქტიკას.

ზემოხსენებული ტერმინებიდან სოინარის წარმოშობის, სიძველის, გავ-  
 რცელებისა და თავისებურების დასადგენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია  
 სტვირი და ოსტვინონი. სტვირი, როგორც აღვნიშნეთ, იმ საკრავის  
 სახეობაა, რომელსაც ქართულად ნესტვი ეწოდება. ივ. ჯავახიშვილის  
 ნესტვის შესახებ გამოთქმული აქვს შემდეგი საგულისხმო აზრი: „ვისაც  
 ძველი ქართული ძეგლები წაკითხული აქვს, ეცოდინება, რომ ნესტვი...  
 ფართო მნიშვნელობის მქონებული სიტყვაა და ზოგადად ყოველნაირი  
 მილის აღმნიშვნელი იყო. მაგრამ, თუ აღამიანი ჩაუკვირდება, დარ-  
 წმუნდება, რომ თავდაპირველად ნესტვი მხოლოდ სტვი-  
 ნის ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო და ისე-

თი საგნის, ანდა ნაწილის აღმნიშვნელად არის საგულისხმებელი, რომელიც უსტვენდა<sup>25</sup>.

აშკარაა, სტვირი, ფსტვირი და შტვირი სიტყვებიც სტვენა სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. სტვენის შესატყვისია ფსტვენა (ფსტვნა), ფშტვენა და შტვენა (შტვნა). ქართული მეტყველების სისტემაში ოთხივე სიტყვა კანონიერია. სტვირის შესატყვისია სტვენა, ფსტვირისა — ფსტვნა (ფსტვენა) და ფშტვენა, ხოლო შტვირისა — შტვენა.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „გამოსლვათა 1822-ის დამოწმებით, ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ სტვირი სასტვენავი არის, მაგრამ სასტვენელის ქვეშ მასვე დანიელის 37-ზე დაყრდნობით განმარტებული აქვს რომ სტვირებიცაა.“

მასშავადამე, საბაბს სტვირი სასტვენელ საკრავთა ჯგუფისად მიაჩნდა. მართლაც, დაბადების ქართულ თარგმანში, სახელდობრ დანიელის 36-ში ნახმარია სასტვინელი, სადაც ნათქვამია: „რომელსაცა უამსა გესმას-ყეკმისა, საყურისა, სასტვინელისა და ქნარისა, სამეციისა და საფსალმუნისა-ო“. ასევეა დანიელის 510-შიც. ქართული სასტვინელი უდრის ბერძნულ სკრინქსს, ლათინ. fistula-ს... და ამგვარად ბერძნული სახელი აქვს შენარჩუნებული. ბერძნულში უეჭველია, სვირინქს მონოკალამოსი-ი. ერთლერწმიანი, ორთავე მხრითგან ღია, უენო ფლენიტის მაგვარი საკრავი უნდა იგულისხმებოდეს. ამნაირად ირკვევა, რომ სასტვინელი დაბადების ქართველ მთარგმნელებს ზოგად ჯგუფობრივ ტერმინად — კი არ ჰქონდათ მიჩნეული, როგორც ს. ორბელიანს ეგონა, არამედ ცალკეული საკრავის სახელად<sup>26</sup>. მაგრამ ამასთან მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ლაზურად, როგორც აღვნიშნეთ, სონარს ანუ მრავალსტვირიან საკრავს ეწოდება ოსტვინონი. ამ სიტყვაში „ო“ პრეფიქსი შეესატყვისება ქართულ „სა“ პრეფიქსს, ხოლო სუფიქსი „ონი“ მიუთითებს ინსტრუმენტის დანიშნულებაზე, აღნიშნავს, რომ ის „სტვენისათვის“ (ლაზ. ოსტვინუ), ფრინველთა გალობას მისვავსებული („სიმღერისათვის“) არის განკუთვნილი<sup>27</sup>. ამრიგად, ქართულში ლაზური ოსტვინონის იდენტურია სასტვინავი, რომელიც საბას განმარტების თანახმად, იგივე სტვირია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად სტვირი და სასტვინავი შეიძლება რქმეოდა მხოლოდ ერთსტვირიან საკრავს (სალამურს), მაგრამ ლაზურში სონარისთვისაც სასტვინავი შეურქმევიათ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი სტვირიდანაა წარმოქმნილი.

სასტვინავისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს машоқita-ს, რომელიც არამეული წარმოშობისაა. მისი ძირია шқ, რაც ნიშნავს სტვენას, შიშინს („свистеть, шипеть“, В. К. Стешенко). ზოგი მკვლევრის აზრით, ამ სამასიან ძირთან დაკავშირებულია ტერმინი шқ:ყ-ი.

ის გარემოება რომ шқყ ტერმინს ბერძნული ენის შიგნით არ მოეპოვება აშკარა ეტიმოლოგიური კავშირები, ნაწილობრივ მიგვითითებს იმაზე,

<sup>25</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 186.

<sup>27</sup> В. К. Стешенко-Куртина, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

რომ ამ სახელწოდებამ ბერძნულ გარემოში განიცადა განპიროვნება. ერთ-ერთ ბერძნულ ლიტერატურულ ლეგენდაში ნათქვამია, რომ მრავალღეროიანმა სალამურმა თავის სახელწოდება მიიღო არკადიის ნიმფის (ფანტასტიკური ლამაზი ქალი) Syrinx-ის საკუთარი სახელიდან, რომელიც სევდიანი ხმების გამომცემ ლერწმად იქცა, როცა მას დაედევნა მასზე შეყვარებული, ტყე-ველთა ღმერთი პანა, რომელმაც მოჭრა იგი (ლერწამი) და მისგან შექმნა მრავალღეროიანი სალამური. ამიტომ სირინქს ეწოდება აგრეთვე პანას სალამური<sup>28</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სიტყვა სირინქსი რომელსაც თვით ბერძნულში ეტიმოლოგიური წინამძღვარი არ უჩანს, ლაზური ოსტვიონონის (სასტვინავი) იდენტური უნდა იყოს. ცხადია, რომ ეს უჩანასკნელი, ისევე როგორც სირინქსი, სოინარის წინამორბედი საკრავის, ე. ი. სალამურის აღმნიშვნელი იქნებოდა, შემდეგ კი სოინარის სახელად მოგვევლინა. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სირინქსი, როგორც განხილული ბერძნული ლეგენდიდან ირკვევა, ქართული სოინარის ანუ ლარქემის მსგავსად, პირველად მხოლოდ ლერწმიდან კეთდებოდა (სხვა მასალას სოინარისათვის ქართველები იშვიათად იყენებდნენ). ლარქემი მეგრული ტერმინია. მისი შესატყვისია ზოგადქართული ლერწამი და სვან. ლერწ, ერწ. ეს ორი, ფრიად საგულისხმო გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ძველ ბერძნულ სამყაროში სოინარი შესული უნდა იყოს იმ მონათესავე ხალხთა წრიდან, რომელსაც ქართველთა შორეული წინაპრები განეკუთვნებოდნენ.

ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დაბადების ებრაულ ტექსტში, როგორც ზემოთ ითქვა, ugab ტერმინით აღნიშნულია ქართველი ტომის ძუბალის (პირვანდელი მნიშვნელობით იგივე ტუბალი, ტაბალი) სალამური (ბერძნულ ტექსტში მას სირინქსი შეესატყვისება). ეს ტერმინი, რომელიც მრავალღეროიან სალამურსაც (სოინარსაც) ნიშნავდა, ებრაელთა შორის ორდანოს აღმნიშვნელიც გამხდარა. ამასთან დაბადებაში ნათქვამია, რომ ძუბალი იყო ღვიძლი ძმა დაბალისა, რომელიც მეცხვარეობას მისდევდა და კარავში ცხოვრობდა. „ესე იყო მამად მკვდრთა კარვებისათა, საცხოვარისა საზრდელთა“ (IV, 20). მას (ძუბალს) ამ წყაროში საფსალმუნისა და ებნისა, საკრავთა გამომაჩინებლის (მამამთავრის) სახელი აქვს დამკვიდრებული, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ტაბალის (ტუბალის) მოდგმაში, მკედლობასა და მაღალგანვითარებულ მესაქონლეობასთან ერთად, მუსიკაც ფრიად განვითარებული ყოფილა და ამ ნიშნით, ალბათ, ტაბალთა ეთნიკური წრე თავის მეზობლებს ბევრად აღემატებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაბადებაში თავისებურად ასახულია გენეზისი და ევოლუცია იმ საკრავისა, რომელიც სალამურით იწყება და ჯერ სოინარად და შემდეგ ორდანოდ იქცა, ისე რომ თავის პირვანდელი სახელი (ugab, სასტვინავი) ძველ ებრაულ გარემოში შეინარჩუნა. რადგან ამ წყაროში ძუბალი მიჩნეულია მეცხვარე დაბალის ღვიძლ ძმად, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ჯერ მწყემსის ერთღეროიანი სალამური უნდა გამოეგონებინა და შემდეგ — მრავალღეროიანი (სოინარი, ლარქემი). რადგან დაბადებაში სასტვენ საკრავთა შემოქმედად ტუბალის, ანუ ტაბალის ნაშიერია აღიარებული, გვაქვს უფლებება ვიფიქროთ, რომ იმ ხალხთა შორის, რომლებიც იმჟამად ებრაელთათვის ცნობილი იყო, სოინართა

<sup>28</sup> В. К. Стешенко-Куртина, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

„შექმნა-განვითარებაში პრიორიტეტი ქართულ ეთნიკურ გაერთიანებას (თუ გაერთიანებებს) ეკუთვნოდა. ამას გვაფიქრებინებს ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ფაქტებიც.“

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებშიც კი სოინარი სამეგრელოსა და გურიის რიგ სოფლებში გავრცელებული იყო; ირკვევა, რომ მას ამ კუთხეებში მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა და შემონახული იყო მასზე დაკვრის მეტად მდიდარი და თავისებური მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

დაკვრის წინ სოინარის ლულებს როგორც გურულები, ისე მეგრელები, ავსებდნენ წყლით, რომელსაც  $1/2$  საათის შემდეგ გადმოღვრიდნენ; ამ პროფილაქტიკურ საშუალებას მიმართავდნენ იმისათვის, რომ სოინარი გაზზარვისაგან დაეცვათ და ლულათა შეუმჩნეველი ნაჩვრეტებიც კი ამოვსებულიყო, სრულიად მოესპოთ ლულათა გვერდებიდან „ხმის გაპარვის“ შესაძლებლობა. წყლის მეშვეობით დაბერილი ლულები გამოსცემენ წმინდა, მკაფიო ხმას. ზოგჯერ რამდენიმე სოინარის (ორი, ოთხი) ხმას შეაუღლებდნენ. არაიშვიათად ოთხი ექვსლულიანი სოინარისაგან შედგენილი ორკესტრი გამოყენებული იყო ქორწილში, დიდი ღვინისა და ცეკვა-თამაშის დროს. სოფ. ჯვარში მცხ. თეიმურაზ ცხადაიას ცნობით, ზოგჯერ ლარჭემზე, დაირაზე და სვანურ ქიანურზე (ჭუნირ) ერთდროულად უკრავდნენ. ბაკრატ ჭანტურიას ცნობით, სოფ. ჩქვალერში, დიდ ხუთშაბათს, ხალხი წირვის შემდეგ კარდაკარ დადიოდა, მღეროდა, თან უკრავდა ლარჭემზე, რომელიც შეუღლებული იყო დაირასა და ხის ან სპილენძის საყვირის (ოცელია, ოცე) ხმასთან. ლარჭემის დამკვრელები ხშირად ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ (ეს ჩვეულება მწყემსთა შორის ძველ საბერძნეთშიც იყო გავრცელებული).

ლარჭემი სამეგრელოში წარმოადგენდა მწყემსის განუყრელ ინსტრუმენტს. ვიცი ფიფიას ცნობის თანახმად, არსებობდა ლარჭემზე დაკვრის სამი მწყემსური მოტივი. ერთი მოტივის ზემოქმედებით ჯოგი (ფარა) დილით საძოვრისაკენ მშვიდად მიემგზავრებოდა, მეორე მოტივის თანხლებით კი შინ ბრუნდებოდა, მესამე მოტივს მწყემსი ასრულებდა საქონლის ძოვის დროს. მეგრელებს მიაჩნდათ, რომ ლარჭემის დაკვრისას ცხოველები წყნარდებოდნენ და ბალახს კარგად შეექცეოდნენ. ლარჭემითვე მოუხმობდა კვირნაზე ნადირობისას შორს წასული, ეული მონადირე თავის ძაღლებს. ლარჭემის ანუ სოინარის ხმა ისმოდა  $1\frac{1}{2}$  კილომეტრზე. ამიტომ ზოგჯერ მონადირეები შეთანხმდებოდნენ, რომ ღამით, როცა სოინარის ხმას გაიგონებდნენ, თავიანთ სოფლებს უნდა განშორებოდნენ, სანადიროდ გამოსულიყვნენ. ის სამგზავრო და ღამის ინსტრუმენტადაც ითვლებოდა. ღამით მავალ მეურმეებს სოინარი აუცილებლად თან მიჰქონდათ და მასზე უკრავდნენ. მთვარის დაბნელების დროსაც სოინარს აზღერებდნენ. ეს მოვლენა შეიძლება მთვარის კულტთან იყო დაკავშირებული. მთვარის კულტი კი ქართველებში მძლავრად იყო ფეხმოკიდებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ გურიაში სიმინდის თხუნის დროს, რომელსაც თან ახლდა სიმღერა „ნადური“, ენაცვლებოდა სოინარი<sup>29</sup>.

სოინართან დაკავშირებული ეს მდიდარი ტრადიცია და ის ფაქტი, რომ სამეგრელოსა და გურიაში ამ ტრადიციამ XX ს-ის 30-იან წლებამდე შემო-

<sup>29</sup> B. K. Стешенко-Купчина, დსახ. ნაშრომი, გვ. 21—53.

ინახა თავი (თუმცა შეკვეცილი სახით) მოწმობს, რომ სოინარი ქართველების უძველესი მუსიკალური კულტურის ელემენტია, იგი ოდითგანვე შესისხლხორცებულია ამ ხალხის ყოფასთან (სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ქართველთა ყოფაში მისი ასე დიდხანს არსებობა და ფრიად მრავალმხრივი გამოყენება) და რომ მათი სამკვიდრო არის ამ საკრავის გავრცელების, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი მთავარი ცენტრი შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზ-



სურ. 4

ში. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ვ. მ. ბელიაევი სავსებით სამართლიანად აღიარებდა, რომ „საქართველო მსოფლიოში არის ერთ-ერთი, იშვიათი ადგილთაგანი, სადაც პანას სალამური ჯერ კიდევ ყოფაში არსებულ მუსიკალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს“<sup>30</sup>.

ეს საიდუმლო გარემოება ანტიკური ხანის წყაროებში ასახული ვითარების გათვალისწინებასაც მოითხოვს. ცნობილია, რომ ძველ ბერძნულ კლასიკურ მუსიკალურ სისტემაში, რომელიც კითარისტულ პრინციპზე დაფუძნდა, სოინარი ანუ მრავალღეროიანი სალამური ათვალწუნებული იყო (მაგალითად, პითაგორასა<sup>31</sup> და პლატონს ეს საკრავი არ უყვარდათ) და მისი გავრ-

<sup>30</sup> В. М. Беляев, К вопросу изучения грузинских музыкальных инструментов, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომბე, IX (1), თბ., 1936, გვ. 3.

<sup>31</sup> პითაგორულ მოძღვრებაში, სადაც მოცემულია მუსიკის პირველი თეორია, ნათქვამია: ერთნაირად დაჰიმული, ერთნაირი მასალისა და ერთნაირი სიმსხოს მქონე სიმები რომ ავიღოთ, შევამჩნევთ, რომ მათი ტონები იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება მათი სიგრძე. ერთწყურთიან სიმს უფრო დაბალი ბგერა აქვს, ვიდრე წყურთა-ნახევრიანს. პირველის ტონი მეორის ტონისათვის არის ის, რასაც მუსიკაში ოქტავს ეძახიან. აგრეთვე თუ ავიღებთ ორი ერთნაირი მასის მქონე და ერთნაირად დაჰიმულ სიმს, რომელთა სიგრძე ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 2:3, ჩვენ შევინშნავთ, რომ მათი ტონები ქმნიან იმას, რასაც მუსიკაში კვინტას ეძახიან. თუ სიმების სიგრძეთა დამოკიდებულება არის 3:4, მათი ტონები გვაძლევენ იმას,

ცვლები არე ძველ საბერძნეთში მწყემსთა კოლექტივის არ გაშორებია. ბერძენი მწყემსების წრეში კი მისი როლი და მნიშვნელობა დიდად არ გაზრდილა<sup>32</sup>, არ მიუღწევია ისეთი სისრულისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იგი ბერძნებისათვის უცხო წარმოშობის საკრავი იყო, რომელიც მათ წინაელნისტური ფენიდან გადაეცათ.

სრულიად ბუნებრივია, რომ თვით ბერძნული წყაროები როგორც ენპარამონის, ისე მრავალღეროიანი სალამურის წარმოშობას აკავშირებენ წინააზიურ გარემოსთან. სალამურზე დაფუძნებული მუსიკალური ხელოვნების წინააზიურ ბუნებაზე მრავალთაგან ის ფაქტი მიგვიითებს, რომ ეს ხელოვნება ბერძნული ლიტერატურული ცნობით, დაკავშირებულია მარსიასის, ოლიმპისა და მიდასის სახელებთან, რომლებიც აღებულა ლიდიისა და ფრიგიის სინამდვილიდან. ოლიმპი იმ მუსიკოსების სახელი უნდა ყოფილიყო, რომელთა სამშობლოში იყო ოლიმპის მთა. ჰეროდოტეს ცნობით, „მისიანელები ლიდიელების შთამომავალნი, ოლიმპიელების სახელს ატარებენ ოლიმპის მთიდან“ (წგ. VII, 74). ამასთან აღსანიშნავია, რომ მიდასი, როგორც ბერძნული გადმოცემა მრავალღეროიანი სალამურის გამოგონებასთან აკავშირებს, იყო ფრიგიის მეფე. თუ სეისა და ვინკლერს დავეთანხმებით, ფრიგიელი მიდასის სახით ჩვენ უნდა შევიცნოთ მოსხების ანუ მუსკების მეფე მიტა, ამ მეფისა და მისი სამფლობელოს შესახებ ივ. ჯავახიშვილი იტყუებოდა: „სარგონ მეფის (722—705) ხორსადაბადის დიდი წარწერიდან ჩანს, რომ მარტო ერთს მუსკების მეფეს მიტას სამი ქვეყანა ჰქონია სამფლობელოდ (KB, II, 75, 151); ამ მიტას ბერძნების წყაროები ფრიგიის მეფე მიდასს ეძახდნენ, ხოლო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ერთ დროს ფრიგიის მიწა-წყალიც მუსკებს უნდა ჰქუთნებოდათ. თუ მესხებს ამაზე დასავლეთით არ უცხოვრიათ, მაშინ მუსკების მონაპირე დასავლეთის სამფლობელოდ ფრიგია უნდა ჩათვალოს“<sup>33</sup>. ამასთან ცნობილია, რომ ფრიგია იყო სონარების გავრცელების ცენტრი მცირე აზიაში, საიდანაც ეს საკრავები გადავიდა ბერძენთა სამკვიდროში. მუსკების ძლიერებისა და ისტორიული როლის შესახებ შეტყვევებს 1100 წ. ტიგლატ-პილესარ I წარწერა: „ჩემი მეფობის დროს თავის ძლიერებით მოქადული 20000 მუსკი და მათი ხუთი მეფე, რომელნიც ბრძოლის ველზე ჯერ ვერც ერთს მეფეს ვერ დაემარცხებინა, კუმუხში ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრეს“.

მეორე ქართველი ტომი „ტაბალი“ პირველად სალამანსარ II-ის (860—825) წარწერაშია მოხსენიებული; „ქრონიკონსა მეფობისა ჩვენისასა

რასაც მუსიკაში ეწოდება კვარტა. ამრავად, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება სიმის სიგრძე, იცვლება მისი ტონი, მაგრამ სიმის სიგრძე გადმოიცემა შესაფერი რიცხვით, ხოლო სიმის ტონი რომ მისი თვისებაა? მასადაამე, თვისება იცვლება აქ რიცხვთან ერთად (ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ, ტფილისი, 1926, გვ. 225).

ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი სონარის (სვირინქის, ლარქემის) მიმართ. მისი ღეროების (სალამურების, სასტვენების) ტონები განსხვავებულია მათი სიგრძის განსხვავების მიხედვით, რაც მათემატიკური ფარდობით გამოისახება. მაგრამ ამის შესახებ პითაგორა არაფერს ამბობს.

<sup>32</sup> В. К. Степешко-Куртина, დასხ. ნაშრომი, გვ. 81—82.

<sup>33</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 413.



ოცდამეორესა მეოცდაათჯერ ევფრათი გადავიარე, ჩავედი ტაბალად და ტაბალის 24 მეფისაგან საჩუქრები მივიღეო<sup>34</sup>.

მოსხები და ტაბალები წყაროებში მუდამ მონათესავე ხალხებადაა მოხსენიებული (ჰეროდოტე, ისტორია, III, 94, VII, 78 და სხვ.). ჰეროდოტეს თხზულებიდან ჩანს, რომ მოსხები, ტიბარენნი, მაკრონები და მოსინიკებიც განსაზღვრულ ხანაში სპარსეთის მეფეს ემორჩილებოდნენ, მათი ქვეყანა XIX სავამეოო შაზრად ითვლებოდა სპარსეთში და წლიურად 300 ქანქარს (ტალანტს) ხარკს იხდიდა ხოლმე (ჰეროდოტე, იქვე, III, 94). „მოსხებისა და ტიბარენების სპასალარად, მაგალითად. დარიოხის შვილი არიომარდი იყო“<sup>35</sup>.

მოსოხი სახელის მონათესავეა აბასხი. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „პრ. ნ. მარი მართალი უნდა იყოს, როდესაც აფხაზების ძველს სახელწოდებას: „აბას-ხი“-ის ამ „მას-ხი“-ს უკავშირებს, მხოლოდ მას თავში აფხაზური თავსართი „ა“ უხის“<sup>36</sup>; მოსხი „შესაძლებელია... საზოგადო სახელი იყოს... ლეკები თუშებს ეხლაც „მოსექ“-ებს, ესე იგი „მოსოხებს“ ეძახიან“<sup>37</sup>.

ასევე კანონიერადაა მიჩნეული მეგრულში ტუბალი და ატუბალი სახელებიდან ივერზე, იმერზე და მეგრულზე გადასვლა<sup>38</sup>. ებრაელი მწერალი იოსებ ფლავიუსი (I ს. ახ. წ.) ებრაელთა სიძველეში (თავი VI) გადაჭრით ლაპარაკობს, რომ მის დროს ტუბალები იბერებად იწოდებოდნენ. ამასთან თობალი და მოსოხი დაბადებაში მოძმე ტომებად (იაფეტის შვილებად) არიან აღიარებული: „თობელი ესე იყო კვერით ხურობ, — ნათქვამია შესაქმეში (IV, 22), — მჭედელი რვალისა და რკინისაო“, ეზეკიელი კი ტვიროსის გოდებაში ამბობს: იოვანა, თობალი და მოსო „ვაპრობდეს შენ შორის სულგბსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“ (XXVII, 13).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარდა ამ ტომებისა დაბადებაში მოხსენიებულია იუბალი და იაბალი. ივ. ჯავახიშვილმა ცხადყო, რომ „იუბალი“ (მუსიკის „წარმომაჩენლად“ მიჩნეული პირის სახელი) წარმოადგენს თობალს სახელის ახალ ფორმას. წყაროში ამ სახელით მოხსენიებული პიროვნების მუსიკის მამამთავრად გამოცხადება უეჭველად მიუთითებს თობალების ანუ ტაბალების განსაკუთრებულ დამსახურებაზე სამუსიკო ხელოვნებაში. (ქართული, ებრაული, ასურული, ბერძნული მონაცემები ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზში მოსახლე ძველი კულტურული ხალხებიდან იმ მდიდარი მუსიკალური ტრადიციის შექმნა-განვითარებაში, რომელიც დაფუძნებულია სასტვენ-ჩასაბერი საკრავების (ვანსაკუთრებით სტივის ანუ ტალამურის და სოინარის) გამოყენებაზე, პრიორიტეტი ქართველ ტომებს (ტაბალი, მოსოხი, კოლხი) მიეკუთვნებათ.

ვარდა აღნიშნულისა, ამ ვითარების მაუწყებელია ის, რომ ბერძნულ ძეგლებში მოცემულია ირიბად წაკვეთილი სოინარის ორივე სახეობა დამოწმებულია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში (გურიასა და სამეგრელოში). იმ სახის სოინარი, რომელიც ვ. კ. სტეშენკომ გურია-სამეგრელოში დამოწმა და აღწერა, ორმხრივ ირიბად წაკვეთილია. მისი შუა ლულები ბა-

34 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 402.

35 იქვე, გვ. 444.

36 იქვე, გვ. 402.

37 იქვე.

38 И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914, 33. XIII № 217.

ნისათვისაა განკუთვნილი. სულ 6 ლულა აქვს. ასეთი სოინარი ბერძნულ ძეგლებში იშვიათადაა მოცემული. უფრო ხშირად ამ ძეგლებში გვხვდება სწორი და ერთმხრივ ირიბად წაკვეთილი სოინარები. სტეშენკოს ერთმხრივ ირიბად წაკვეთილი სოინარის არსებობა გურია-სამეგრელოში არ დაუმოწმებია. სამაგიეროდ საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის ხის ფონდში დაცულია ასეთი სოინარის ერთი ეგზემპლარი, რომელიც 1881 წელსაა შემოსული სამეგრელოდან. საგულისხმოა ისიც, რომ ეს სოინარი არ არის ლერწმისაგან დამზადებული. ისიც ექვსლულიანია. სწორედ ასეთი სოინარები ჰქონია ბერძნულ პნევმატიკურ ორღანს. ირკვევა, რომ წინა აზიაში სამივე სახის სოინარი ყოფილა გავრცელებული. მათგან ერთი ძველ ბერძნებს ჰაერით მოქმედი ორღანოსათვის გამოუყენებიათ.

ყურადღებამ იპყრობს აგრეთვე ბერძნულ-რომაული პნევმატიკური ორღანოსათვის გამოყენებული საბერვლები. ისინი თავის ფორმითა და მოქმედების პრინციპით არ განსხვავდებიან რკინის გასახურებელი სამკედლო ქურის საბერვლისაგან. ცხადია, ასეთი საბერველი ანტიკურ სამყაროში ყველაზე ადრე ცნობილი უნდა ყოფილიყო იმ ქართველი მეღიფთონე ტომებისათვის (ტაბალი, მუსიკი, ხალიბი), რომლებმაც კაცობრიობას რკინის მადნის გამოღობა, ფლოადის დამზადება და რკინის მკედლობა ასწავლეს. როგორც ცნობილია, ქურქისაგან შემზადებული საბერვლებისა და ამასთან საქმენი შილების (სოინარების/სოლინარები) გამოყენება რკინის დნობასა და მკედლობაში აუცილებელი იყო და მათ შემზადებაში ქართველები დიდად დაოსტატებული იყვნენ. ამრიგად, მექანიკური პნევმატიკური ორღანოს შექმნისათვის საჭირო წანამძღვრები ქართულ სამყაროში შემზადებული იყო. ხოლო მათი კომბინირება ასეთი საკრავის სახით განხორციელდა ბერძნულ-რომაულ ხანაში (პნევმატიკური ორღანოს ტიპს, როგორც აღვნიშნეთ, განეკუთვნება აგრეთვე ძველ-ებრაული მ ა გ რ ე ფ ა).

სოინარსა და მექანიკურ პნევმატიკურ ორღანოს შორის, განვითარების დონის მიხედვით, საშუალო ადგილი უკავია საპირე ორღანს (ლაოელი ტომები, ბორნეო, ჩინეთი, იაპონია), რომელსაც აქვს მუსიკალური ბგერების გამომცემი მილები (სოინარი) და მათთან დაკავშირებული რეზერვუარი, რომელშიც ჩასაბერი მილით ჰაერი გროვდება. ეს აადვილებს პირით დაკვრას და იძლევა შესრულების დიდ შესაძლებლობას (ვ. სტეშენკო).

ამ ტიპის, მაგრამ მასზე შეუდარებლად განვითარებულ საკრავს წარმოადგენს გუდა-სტვირი, რომელიც ქართულ სანამდვილეში იგაჩენილია საკუთარ ნიადაგზე. იგი განსაზღვრულ დრომდე მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ივ. ჯავახიშვილი). ქართული გუდა-სტვირი გუდი-სა და რთული აგებულების სტვირისაგან შედგება. გუდას საბერვლის დანიშნულება აქვს, მან საკრავს (სტვირს) განუწყვეტლივ ჰაერი უნდა მიაწოდოს. გუდის ზემო ნაწილში ჩადგმულია ჩასაბერი მასრა. გუდაშივე შედგმულია ხმის გამომღები სტვირი ანუ შტვირი. ის გარეგანი და შინაგანი ნაწილებისაგან შედგება. გარეგანი ნაწილს ხის ბუდე ანუ ნავის ხე ეწოდება. შინაგანი ნაწილი ლერწმები ანუ დენები აქვს. მარცხენა დენის დამწყები, ანუ მოქმედი ეწოდება, მარჯვენას მობანე. დენებს თვლები, ანუ სათითები აქვს: დამწყებს — 6, მობანეს კი 3. ხის ბუდეს ბოლოში ხმის გასაძლიერე-

ბლად რქის ქარახსა აქვს, რომელიც ფიფინურებითა და ძეწკვებით არის შემკული<sup>39</sup>.

